ახალი მოკრძალება

იანვარი 2010 №56
ფასი 5 ლარი

ისტორიები

თაზო დავარაშვილი
ანა კორძაია-სამადაშვილი

გიორგი კეკელიძე
დავით გაბუნია

გია ეძგვერაძე
მიხეილ ხუნდაძე

ინტერვიუები

ბესიკ ხარანაული
ქეთევან სადღობელაშვილი

თამაზ კანდელაკი
გიორგი ხასაია

ქორი უილქე
კახა თოლორდავა

კომენტარი

მე – მეინსტრიმი
ანა არგანაშვილი

ესეი

„პირველი რუსის“ ამბავი
ლაშა ბუღაძე

საავტორო

რაზლასკი
ლევან ბერძენიშვილი

ნიკალა
აკა მორჩილაძე

„გაძლიერებული ლოცვა“
გიორგი მაისურაძე

ლიტერატურა

ირაკლი სამსონაძე
შალვა რამიშვილი
ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი

ISSN 1512-2220
9 771512 222006

ჯეოსელი
თქვენი ქსელი
გილოცავთ შობა-ახალ წელს!

გარეკანზე: თაზო დავარაშვილი
ფოტო: დავით მესხი

ცხელი შოკოლადი

N56, იანვარი 2010

მთავარი რედაქტორი: ნინო ლომაძე
აღმასრულებელი რედაქტორები: ნინო ჯაფიაშვილი, სალომე კიკალეიშვილი
არტ-რედაქტორი: გიორგი ნადირაძე
რედაქტორ-სტილისტი: ნინო სვანიძე
კორექტორი: ნინო საითიძე
ნომერზე მუშაობდნენ: დავით ბუხრიკიძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, კახა თოლორდავა, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, ანა არგანაშვილი, რეზო გეთიაშვილი, დათო ტურაშვილი, არჩილ ქიქოძე, დავით გაბუნია, მიხეილ ხუნდაძე, აკა მორჩილაძე, გიორგი ხასაია, ქეთევან სადღობელაშვილი, ლაშა ბუღაძე, გიორგი მაისურაძე
ფოტო: დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე, მარიკა ქოჩიაშვილი, თემო ბარძიმაშვილი
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი, მაია სუმბაძე
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა: ლელა შუბითიძე
სარეკლამო გაყიდვები: შალვა ჩუბინიძე
დისტრიბუცია: ზვიად შენგელია
გამომცემელი: შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სხვა გამოცემები: *ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელები.*

სტამბა: შპს „სეზანი“, თბილისი, წერეთლის გამზ. 140, ტელ.: 357002

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

6 რედაქტორის წერილი

8 ჩვენი ავტორები

მიმოხილვები

12 თბილისის სამხატვრო აკადემიაში – მესიჯი ესტონეთიდან
დავით ჩიხლაძე

14 ფინელი პოეტები ცარიელი აუდიტორიების ქვეყანაში
დავით ჩიხლაძე

14 ელენ შეიბახის ფოტო-გრაფიკული ღია ბარათები
დავით ჩიხლაძე

18 დანგრეული კედლები, აღდგენილი პრესტიჟი და მარადიული ჟესტები ***დავით ბუხრიკიძე***

ტაიმაუტები

16 დმანისის აღმოჩენა White Cube-ში

16 *შორეული ქვეყნის ფერები*

კომენტარი

24 მე – მეინსტრიმი ***ანა არგანაშვილი***

იმოგზაურე საქართველოში

28 ფრინველებზე დაკვირვება
რეზო გეთიაშვილი

წერილები

30 სხვა ამსტერდამი ***დათო ტურაშვილი***

34 *ოჰი, პედი მუ...* ***არჩილ ქიქოძე***

ისტორიები

40 *თაზო დავარაშვილი*
სადო-მაზო-თაზო ***ანა კორძაია-სამადაშვილი***

46 *გიორგი კეკელიძე*
მოთქმა თავ-ბოლო ერთი ***დავით გაბუნია***

52 *გია ეძგვერაძე*
"Born in Georgia or from surface to abyss" ***მიხეილ ხუნდაძე***

ინტერვიუები

58 „ინტერპრეტაციის წინააღმდეგ“ ***გიორგი ხასაია***

60 მთვრალი მიწისმზომელი ***ქეთევან სადღობელაშვილი***

66 ინტერვიუ ქორი უილქესთან ***კახა თოლორდავა***

iსაქართველო

70 აკრძალული დროშები ***ლაშა კალანდაძე***

ესეი

72 *„პირველი რუსის“ ამბავი* ***ლაშა ბუღაძე***

საავტორო

78 *ნიკო ფიროსმანი*
ნიკალა ***აკა მორჩილაძე***

82 რაზლაცკი ***ლევან ბერძენიშვილი***

88 „გაძლიერებული ლოცვა“ ***გიორგი მაისურაძე***

პირის ღრუს მოვლის საუკეთესო საშუალებები GPC-ისა და წითელი ✓-ს აფთიაქებში

ყავა და თამბაქო

მასღუნებელი სიამოვნების მოყვარულთათვის

R.O.C.S.-ის კბილის პასტა "ყავა და თამბაქო" სპეციალურად შემუშავებულია ყავის, ჩაის, წითელი ღვინისა და თამბაქოს მოყვარულთათვის. იგი საშუალებას გაძლევთ შეინარჩუნოთ მომხიბვლელი ღიმილი და ჯანსაღი სუნთქვა. ამცირებს თამბაქოს ბოლის უარყოფით ზემოქმედებას პირის ღრუზე. აბრაზიული ნივთიერებების ზომიერი შემცველობა საშუალებას იძლევა გამოიყენოთ R.O.C.S.-ის კბილის პასტა "ყავა და თამბაქო" ყოველდღიურად.

www.gpc.ge

www.reda.ge

საინფორმაციო სამსახური

„ცხელი შოკოლადის“ პირველი ნომრის გამოცემიდან ხუთი წელი გავიდა. „საიუბილეო“ ნომერში ჟურნალის შექმნის იდეას ვიხსენებთ და დიდ ადგილს ადამიანებს, მათ ისტორიებს, მათ განცდებს, ფიქრებს, ყოველდღიურ თუ ცხოვრებისეულ გამოწვევებს ვუთმობთ.

თაზო დავარაშვილის სამყარო იმითაა საინტერესო, რომ მასში აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები გადაიკვეთებიან. ბედნიერებისა და წარმატების ბანალური და საყოველთაო ფორმულა მნიშვნელობას კარგავს და თაზოსთვის წარმატება მხოლოდ ამ ხალხთან ურთიერთობით იზომება.

გიორგი კეკელიძე ახალგაზრდა ლაურეატი პოეტია. გულწრფელად ამბობს, რომ საკუთარი პერსონის გარშემო მითებს თავად ქმნის, რომ მერე წარმატებით გაყიდოს. ეს მას მარკეტინგისთვის სჭირდება, რადგან მკითხველის წრე უკიდურესად ვიწროა. და გიორგის ეს სულაც არ უკვირს. ის ფიქრობს, რომ ნამდვილი პოეზია მაინც ელიტურია და ვერასოდეს გახდება მასობრივი.

გია ეძგვერაძეზე ორი წლის წინაც გიამბეთ. მაგრამ ამჯერად ის არა მხოლოდ საკუთარ პროექტებსა და ნამუშევრებზე, არამედ თანამედროვე ხელოვნების პარადიგმასა და განათლებაზე, აკადემიის მოწყობის გზაზეც საუბრობს. თუმცა ჩემთვის ყველაზე საინტერესო მაინც მისი დღევანდელი სამყაროს აღქმაა. დღეს, როდესაც ყველანაირი ინფორმაცია, მათ შორის ყველაზე პირადი და ტრაგიკული ამბებიც ვიღაცის მანიპულაციის საგანი ხდება და აბსოლუტურად შემზარავ პოლიტიკურ რიტორიკად გარდაიქმნება, მისი ეს თვალსაზრისი ვფიქრობ, განსაკუთრებით აქტუალურია.

„ირღვევა სამყაროს სიმწყობრე, მის გამართულ ლოგიკაში ნაპრალები ჩნდება. თითქოს სამყარო თავზე გენგრევა – დალაი ლამა ჩიჩოლინას მეზობელია ჟურნალის ყდაზე, დოლი ბასტარდი სხაპასხუპით იძლევა ინტერვიუს პოლიტიკის ან ეკოლოგიის საკითხებზე, და ამას სერიოზულად გვთავაზობენ... კიჩი და უზნეობა გაკიცხვას არ იმსახურებს; მადონას ქცევის წესზე, მისი ცნობიერების მიმართებაზე ფილოსოფიური გამოკვლევები იწერება. ყველაფერი წვრილმანი, ბანალური, ინტერესის ცენტრში ექცევა და კვლევის, სიყვარულის, ყურადღების ღირსი ხდება. ზუსტი ეგზისტენციური ორიენტაციები ქრება. როგორ? დაცემაა? დეკადანსი? დეგრადაცია? არა, ყველაფერი სასიცოცხლო ენერგიითაა სავსე. აბა, როგორ?“

ნინო ლომაძე
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

მადლობა
ურთიერთობისთვის!

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

მიხეილ ხუნდაძე

2009 წელის იანვარში ჰოლანდიაში CoBrA-ს მუზეუმში ქართველ თანამედროვე ხელოვანთა გამოფენა გაიმართა. ამ მოვლენისთვის ფილმის გადაღებაც დაიგეგმა. ნუგზარ მეტრეველის და ჩემი მიზანი შორს იდგა მოვლენის შესახებ მხოლოდ რეპორტაჟის შექმნისგან, გვინდოდა, უფრო ღრმად შევსულიყავით იმ თემებში, რასაც თანამედროვე ხელოვნება მოიცავს. "Born in Georgia or from surface to abyss" – ორმოცდახუთწუთიან დოკუმენტურ ფილმში საუბარია (მხოლოდ) დასავლეთის მიერ მოტანილ კულტურულ ფასეულობებზე, კულტურულ ენაზე, რომელიც დამკვიდრდა თანამედროვე ხელოვნებაში და მის პრობლემატიკაზე. გადაღებებზე გადაგვეხსნა დიდი კითხვებით გატენილი სივრცე და გვიხარია, რომ კითხვა ფილმშია, და ფილმი კითხვაა, რომლის დაბადება ხდებოდა აზრთა სხვადასხვაობის, მტკიცების, ჩხუბის, ნერვებისა და, რაც მთავარია, რწმენის ხარჯზე. ფილმის წამყვანმა კითხვამ – „თუ რა არის თანამედროვე ხელოვნება" – დეკონსტრუქცია განიცადა, ამოიწია ფილოსოფიური პრობლემატიკა. ჩვენი რესპონდენტების შემოქმედებიდან დასმული და დანახული, ტკივილით გაჟღენთილი კითხვა-პასუხი მეტაფიზიკაზე, პოსტსტრუქტურალიზმის სივრცეებზე გასცდა გამოფენის და ნამუშევრების ჩარჩოებს და დაგვანახა პერსონალური ცხოვრების ნიშნები, სადაც ცხოვრება, კითხვა, შემოქმედება, ტკივილი განუყოფელია და იმ უფსკრულის ფორმაა, რომელზე მინიშნებითაც მთავრდება ფილმი. რამდენიმე პრივატული ჩვენების გარდა, ფილმი, მხოლოდ გოგი გვახარიამ აჩვენა გადაცემაში „წითელი ზონა", სხვებმა გადაწყვიტეს, რომ მას აქ ვერ გაიგებდნენ. რას ვერ გაიგებდნენ, არ ვიცი, მაგრამ მაქვს კითხვა: მაშინ რა არის ქართული საზოგადოებისთვის დასავლეთი და მისი დემოკრატიული ფასეულობები, თუ მისი ენა, ნიშნები და დასავლურ კულტურაში ინტეგრირებული შემოქმედება არ გვესმის და გვეშინია.

დავით გაბუნია

სერიოზული, მეტისმეტად სერიოზული

პოეტი გიორგი კეკელიძე სერიოზული ტიპია, ჩემს ჩანაწერში სერიოზულად ლაპარაკობს, ინტერვიუს დროს იშვიათად იცინის. დაახლოებით 2 წელია, ვიცნობ და სულ ორიოდე თვის წინ მომმართა პირველად „შენობით", მიუხედავად იმისა, რომ ის 25 წლისაა, მე – 27-ის. წერს უცნაურ ლექსებს – იმდენად უცნაურს, რომ მასზე კრიტიკული წერილის/სტატიის დაწერა არაერთხელ გადამიფიქრებია. ეს უცნაური ლექსები ბევრს მოსწონს, განსაკუთრებით – კრიტიკოსებს. მე მათ ადვილად ვერ ვიღებ – ვკითხულობ ერთხელ, მერე ვუბრუნდები, ვხვდები, რომ მათში დიდი შრომა და ინტელექტია ჩადებული და მხოლოდ ამის შემდეგ მომწონს. ერთი სიტყვით, პირადად ჩემთვის ისეთი პოეტია, ადვილად რომ არ გემორჩილება, ცოტას გაწვალებს კითხვისას, მაგრამ შედეგი წვალებად ღირს. თუმცა, ვისთვის როგორ – იქნებ მე ვირთულებ ცხოვრებას და გიორგის ლექსებში, სტრიქონებს შორის იმას ვეძებ, რაც მათში არ არის.
ჰო, სერიოზულია-მეთქი, – ზემოთ ვთქვი, – მაგრამ მიმხვედრი მიხვდება, ამ ინტერვიუში სად ხუმრობს, სად ამლაშებს, სად კიდევ პროვოკატორობს. პოეტის იმიჯზე რომ ვკითხე, ასე მითხრა, – მიმაჩნია, პოეტისთვის საუკეთესო ვარიანტია, ცინიკოსი იყოს, პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ არა მხოლოდო. ასე რომ, ფანქარი მოიმარჯვეთ და ინტერვიუს ნაბეჭდ ტექსტში გემოვნების მიხედვით ჩასვით „სიცილაკები" – სადაც როგორ მოგეჩვენოთ საჭიროდ. ეს საქმე თქვენ დაგიტოვეთ, ძვირფასო მკითხველო.

გილოცავთ შობა-ახალ წელს

40 %- მდე ფასდაკლება შოურუმის მოდელებზე

+ 1000 ლარიანი ვაუჩერი საჩუქრად

ვირპულის და ფილიპსის

ტექნიკის შესაძენად

დიზაინ სალონი სკავოლინი

ბარათაშვილის 8 ტელ.: 252 253

www.scavolini.com

ანა არგანაშვილი

რამდენიმე კვირის წინ პარიზის მასტერსის ტურნირზე ნადალის და ჯოკოვიჩის ნახევარ-ფინალს მე და ჩემი შვილი ანდრო ვუყურებდით. ვისკენ ხარ: ნადალისკენ. გამიკვირდა: ნადალი ხომ თითქმის წაგებულია? ზუსტად მაგიტომ, თუ უკვე იცი, ვინ მოიგებს და მაინც მისკენ ხარ, მაშინ ხომ საინტერესო აღარაა? – მიპასუხა.

თავიდან სუსტის მხარდაჭერას მივაწერე. არა, ჩოგბურთს თვითონაც თამაშობს და იცის, რომ იქ სუსტები და დაჩაგრულები მასტერსის ფინალში ვერ გადიან. მით უმეტეს, ნადალს არაფერი აქვს 8 წლის ანდროს დასაცავი. მსოფლიოს მე-2 ჩოგანია კაცი. ისევ მის პასუხს დავუბრუნდი – „საინტერესო“ ამეკვიატა.

რა შორს მიდიხარ, საკუთარ თავს შეხედე: ყველა დისკუსიაში, სადაც ვხვდები, დომინანტური მოსაზრების კონტრარგუმენტს ვავითარებ. რა თქმა უნდა, არა ვინმეს სიბრალულის მოტივით, იმიტომ, რომ ასე საინტერესოა, ასე ეკვილიბრიუმია, ასეთია ჩემი ხატი სამყაროს შესახებ.

ჩემ ხატში არ არსებობენ აბსოლუტურად ტოლერანტი, მართალი, ჭკვიანი, ლიბერალი და ა.შ. ადამიანები. ისინი იმდენად არიან ასეთები, რამდენადაც თავიანთი მოცემულობის სიმყიფეს გრძნობენ და აღიარებენ, რომ მათი ტოლერანტობა, სამართლიანობა, ჭკვიანობა, ლიბერალობა და ა.შ. უსასრულო კონტინიუმზე რაღაც კონკრეტულ წერტილშია ლოკალიზებული. ეს წერტილი შეფარდებითია, და თუ ვინმე წინაა, ის ვიღაცაზე უკანაც არის. დღეს თუ წინაა, ხვალ შეიძლება ჩამორჩეს.

ჩემ ხატში არ არსებობს აბსოლუტურად სწორი, ჰუმანური, სამართლიანი, ჭკვიანური იდეები, იმიტომ, რომ ყველა მტკიცებულებას მოენახება ალტერნატიული მტკიცებულება. ყველა მსჯელობას აქვს სუსტი მხარე. ყველა მოგებას ახლავს პარალელურად რაღაცის წაგებაც.

ჩემი ხატი წონასწორობაა კონტრ და პროს შორის. ამიტომაც არც ერთ პოზიციას ავტორიტარულად მტკიცების ძალა არ აქვს.

რასაც ახლა ვამბობ, ეს ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ქართული რეალობისთვის – რელევანტური. აქ ხშირად ხდება ჭეშმარიტების ეგიდით დომინირება და საკუთარი წინმსწრები პოზიციით ტკბობა; ხდება საკუთარი მოსაზრებების უნივერსალურ სიმართლედ გასაღება ხოლო საკუთარი პერსონის – სიმართლის აპოლოგეტად. აქ არ უყვართ საუბრის დაწყება ფრაზით „შესაძლებელია, ვცდებოდე“, „შესაძლებელია, ეს არ იყოს სწორი, მაგრამ მე ასე ვფიქრობ“, „დიდ პატივს ვცემ თქვენ განსხვავებულ აზრს, მაგრამ მე ვთვლი, რომ“...

მატჩის შემდეგ ანდრო მიხსნიდა, სად ჩააგდო ნადალმა თამაში. საიდან შეიძლებოდა ამოექაჩა. ჩვენ საიდან ამოვქაჩავთ?

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
SOLO
საბანკო ხელოვნება





თბილისის სამხატვრო აკადემიაში – მესიჯი ესტონეთიდან

თბილისის სამხატვრო აკადემიაში 16 დეკემბერს ესტონელი არტისტების გამოფენა და პერფორმანსი გაიმართა. ბოლო პერიოდში ორმილიონიან, ევრაზიულ, დემოკრატიულ, პროგრესისტულ, ადამიანის უფლებების დამცველ, აბრეშუმის გზის, პრესტიჟულ, სვეტურ ქალაქში ეს ერთადერთი მოვლენა იყო, რამაც ისევ სევდიანად შეგვახსენა, რომ თანამედროვე კულტურის ენაზე ჩვენც ვიცით წერა-კითხვა, თუმცა ასეთი სუსტი ალიბი შეიძლება საპირისპიროსაც გვაფიქრებინებდეს.

ჰანეს ასამეტსმა, ჰენრი ჰუტმა, მიჰიკელ ილუსმა და მიჰიკელ მარიპუსმა მდიდრული თანამედროვე ფერწერა, ვიდეო არტი და პერფორმანსი წარმოადგინეს. პერფორმანსის ასეთი კლასიკური ფორმა, სადაც დეკორატიულობა ისევ შემცირებულია (როგორც ეს მის საწყის ტრადიციებს ახასიათებდა) და წინა პლანზე ეგზისტენციური და ექსპრესიული შტრიხები გამოდის, სარისკოც არის და თან მისასალმებელი.

ჩვენ დროში, სადაც იდეალი სუპერმარკეტია, ყველაფერი მხოლოდ კომფორტს და დიზაინს ემსახურება. უკვე პოსტმოდერნიზმიც, მემარცხენეობაც და სოციალიზმიც მხოლოდ დეკორატიული მოხმარების საგნებია. დღეს ყველაფერს მაშინვე მოეძებნება ლეიბლი და უკვე აღარავინ იცის, თუ რა განსაკუთრებული ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ნამდვილ თანამედროვე ხელოვნებას – სარეცხი მანქანების, ტირამისუს ნამცხვრების, ვებ-ფორუმებისა თუ სარემონტო საღებავების რიგში.

ესტონელი მხატვრების ამ გამოფენამ, რომელიც არქიდრომის ოფიციალური მოწვევით და ესტონეთის კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელშეწყობით (რაც თავად მხატვრებმა აღნიშნეს გახსნაზე) გახდა შესაძლებელი, თბილისს ის არცთუ შორეული წარსული გაახსენა, როდესაც მსოფლიოში ჯერ კიდევ არ იყო ისტორია დამთავრებული და ხელოვნებაც ახალი ადამიანური ძიებებისკენ მიგვანიშნებდა (იდეალურისკენ მარადიულ გზაზე). სწორედ ეს განწყობა მოიტანა ესტონურმა გამოფენამ თბილისში – გვიჩვენეს რაღაც ისეთი ნაცნობი და უშუალო, მხოლოდ სიზმარში რომ შეიძლება შეგახსენოს საკუთარმა ქვეცნობიერმა.

საქართველოს კრიტიკულ დროს მოუხდა დასავლეთთან ინტეგრირება. და თუ იქ ეს ჯერ კიდევ იდეოლოგიურ ტრიუკებად ან მატრიცად მოიაზრება, ჩვენთან თითქმის ცხოვრების კულტურული საზრისის მნიშვნელობა შეიძინა. ესტონურმა პერფორმანსმა უნებლიეთ და ირიბად სწორედ ამას გაუსვა ხაზი, რომ ეთნო-კომფორტი იდეალი ვერ იქნება. მიუხედავად იდეოლოგიური შავი ხვრელისა, ხალხი გარეთ უნდა გამოვიდეს, გამორთონ კომპიუტერები, ვირტუალური ნეტვორკები და ასეთი ცოცხალი გამოფენების შემდეგ ცოტა ღვინოს და თუნდაც მწირ სადილსაც შეექცნენ. რა დროს ჩვენი გაუცხოებაა, ქართველებო.

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: თემო ბარძიმაშვილი

თბილღვინო
მრავალი ქვეყნის რჩეული ღვინო

*2009 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით

№1 ღვინის ექსპორტიორი კომპანია 2009 წელს*

TBILVINO

ფოტო: ბარბარა ქორიაშვილი

ფინელი პოეტები ცარიელი აუდიტორიების ქვეყანაში

ორმა ახალგაზრდა ფინელმა პოეტმა – ვილე ჰიუტიონენმა და ვილე-იუანი სუტინენმა გადაწყვიტა კავკასიაში ემოგზაურა. მათ სამშობლოში ხომ მზე ასე ცოტა ხანს ანათებს წელიწადის ამ დროს. თბილისი არტისტულ ინიციატივას გულღიად შეხვდა და ამ ორი მართლაც შესანიშნავი პოეტის საღამოზე, რომელიც 15 დეკემბერს „კავკასიურ სახლში“ მოეწყო, მათ დაახლოებით 10 ადამიანისგან შემდგარი აუდიტორია შეეგება. არადა, ორივე იმდენად კარგი პოეტი აღმოჩნდა, რომ ალბათ მსგავს შეხვედრას ბოლო პერიოდის მანძილზე ვერც გავიხსენებთ. მათი დეკლამაცია იყო უბრალო, უშუალო, ერთდროულად მორიდებულიც და არტისტულიც. ვილე ჰიუტონენმა ლექსი სიყვარულზე, თავზე ჩამოსაცმელი ნაქსოვი ნიღბით წაიკითხა, ხოლო ვილე-იუანი სუტინენმა მოკრძალებით განაცხადა, რომ ლექსების წერას, უკვე დიდი ხანია, თავი დაანება და მხოლოდ ესეებს წერს, და ალბათ ამიტომ საკუთარი ლექსი აუდიტორიისაკენ ზურგით მდგომმა წაიკითხა. სასურველია, საღამოზე მეტი დისკუსია ყოფილიყო, და ფორმალური სტუმარ-მასპინძლური შეკითხვების გარდა, პოეტების შემოქმედებითი სამზარეულოსთვისაც შეგვევლო თვალი. მით უმეტეს, რომ ეს არ იყო ნარცისისტული პოეზია, როგორიც დღევანდელი საქართველოს ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფ ლიტერატურულ საზოგადოებებშია გავრცელებული – „მე და შენ“-ზე აგებული. ამ მიზეზით საღამო, მიუხედავად მისი მაღალი ხარისხისა, მაინც მალე დამთავრდა. „უკრავდნენ საყვირები როცა მოძრაობაში მოდიოდნენ ეშელონები... სიყვარულის ამბები, შვილები... და მაწანწალა ძაღლები მათ ყმუილით ეხმარებოდნენ და ბოლოს თავად ჩვენ, როდესაც სიცილს ვიწყებდით კინოში და ა.შ... და როდესაც მამაკაცი ჩერდება და ხელს მიქნევს, მე ვიღებ მის კარდიოგრამას... კარჭაპი გადის სასაზღვრო მდინარეზე... ისევ ვხედავ ეკლესიას... ფანჯრიდან სკამს გემბანზე“... იქ მყოფებს ნამდვილად გვეცნო გარემომცველი სამყაროს ეს ხმები.

ელენ შეიბახის ფოტო-გრაფიკული ღია ბარათები



ყოველდღიურობისა და ტექნოლოგიური ფუფუნების ფონზე, საინტერესო აღმოჩენაა: ფოტოგრაფიამ, მხატვრობის მთავარმა კონკურენტმა, შეიძლება ნახატის უმანკო ტერიტორიაზე ის ადგილი დაიკავოს, სადაც გრაფიკული ჩანახატი პოეზიაა, ფოტოგრაფია კი აღარაა უბრალოდ რიგითი, ცხოვრებიდან ნაჩქარევად მითვისებული დეტალი. შეიძლება ეს ფოტოგრაფიის ნამდვილ ტერიტორიაზე დაბრუნებაც აღმოჩნდეს. პარადოქსია, რომ ეს შედეგი სწორედ ტექნოლოგიური ფუფუნებით – ორი მედიის ალქიმიური შენაერთით მიიღწევა, რაც ალბათ ხელოვნებაში იგივეა, რაც შუასაუკუნეებში სახელგანთქმული ფილოსოფიური ქვის მოძებნა. ელენ შეიბახის მცირე ზომის ფოტო-გრაფიკული ოფორტები 8-14 დეკემბერს იყო გამოფენილი შარდენის ქუჩაზე მდებარე გალერეა „აკადემია პლუსში“. ამ ლირიკულ პორტრეტებში, პეიზაჟებში, შენობების პორტალებში, ატრიუმებსა და მათ დეტალებში, რომლებიც მკრთალი შავი და ნაცრისფერი ტონებით არის გადმოცემული და პოეტური წიგნის ილუსტრაციებსაც გვაგონებს, მაყურებელი რაღაც არქეტიპულს, მკრთალს, მაგრამ წარუვალს შეიგრძნობს. ნამუშევრების შესრულებისას ფოტოგრაფი შერეულ ტექნიკას იყენებს და სითბური და ქიმიური დამუშავების შემდეგ ქაღალდზე ფოტოგამოსახულება გადააქვს. ისინი კი თითქოს ტექნოლოგიებისა და სისწრაფის ხმაურში პეტერბურგელი ახალგაზრდა ქალის მიერ გამოგზავნილი ღია ბარათებია. ინტელექტუალური შეიძლება მოგეჩვენოს სნობურად, და არა – პირიქით. პეტერბურგელმა ფოტოგრაფმა, ელენ შეიბახმა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ლატვიაში, იტალიასა და მალტაზე გაატარა და მისგან მიღებული ეს ერთგვარი ღია ბარათები ძალზე დახვეწილი საჩუქარია თბილისისთვის საუკეთესო სურვილებით.

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: თემო ბარძიმაშვილი

პეგასი

აუდიო და ვიდეო ტექნიკა

თქვენი საახალწლო საჩუქრისთვის

Capitol RECORDS

SONY BMG MUSIC ENTERTAINMENT

UNIVERSAL

Epic

WB RECORDS

EMI MUSIC PUBLISHING

ხიდის ქუჩა №2
(მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორია)

ტელ.: 47 56 12
www.pegasigroup.ge

დმანისის აღმოჩენა WHITE CUBE-ში

დმანისში აღმოჩენილი 1.8 მლნ წლის წინანდელი ევროპელის თავის ქალა 2009 წლის 28 ნოემბერს პირველად გაიტანეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავიდან. გამოფენა ლონდონის გალერეა White Cube-ში სადღესასწაულო გარემოში გაიხსნა. 1991 წელს დმანისის გათხრების ამ აღმოჩენამ ძირფესვიანად შეცვალა მეცნიერების წარმოდგენა ადამიანის ევოლუციის შესახებ. ესაა 12-13 წლის „გოგონას“ ნეშტი პატარა ზომის ტვინით და კარგად განვითარებული ქვედა კიდურებით. აღმოჩენამ დაადასტურა, რომ ჰომინიდები ბევრად ადრე მოვიდნენ აფრიკიდან, ვიდრე ეს აქამდე იყო ცნობილი. თუმცა, დღემდე არავინ იცის, როგორ მოახერხეს მათ, განუვითარებელი ტვინით და პრიმიტიული ხელსაწყოებით უზარმაზარი მანძილის გადალახვა. „გოგონასთან“ ერთად სხვადასხვა ასაკის და სქესის ჰომინიდის რამდენიმე ნეშტი იყო აღმოჩენილი, რაც უკვე გარკვეული სოციუმის არსებობაზე მიუთითებს. გამოდის, მიგრაცია აფრიკიდან ევროპაში არა აზიიდან, არამედ საქართველოდან/კავკასიიდან წამოვიდა? ეს „გოგონა“ შეიძლება გასაღები იყოს ამ საიდუმლოსი, რომელიც 1.8 მილიონი წლის წინ დაიწყო დმანისის ველზე და ახლა კიდევ ერთხელ გაცოცხლდა უამრავი დამთვალიერებლის თვალწინ.
მხოლოდ ერთი ექსპონატისთვის განკუთვნილ შავ ოთახამდე ვიწრო მინის კორიდორი მიდის. შავ ოთახში მინის კედლებს მიღმა განათებულ თეთრ კვარცხლბეკზე ამ უცნობი „გოგონას“ თავის ქალა დევს. ოთახში სამარისებული სიჩუმეა – ერთდროულად იქ მხოლოდ ერთი ან ორი ადამიანის შესვლა შეიძლება. კედლებში ჩამონტაჟებული აუდიოაპარატურა გულის ძგერის ხმას გამოსცემს ზომიერი ვიბრაციით. სიჩუმეს მხოლოდ გულის ძგერის ხმა არღვევს.

შორეული ქვეყნის ფერები

მხატვარი მაია ჩაჩავა, თხუთმეტი წელიწადია, ამერიკაში ცხოვრობს. როგორც თვითონ ამბობს, თავს ემიგრანტად არ მიიჩნევს. ბევრი ემიგრანტივით მასაც ენატრება სამშობლო, მაგრამ ამ მონატრებას ნოსტალგიას არ უწოდებს და საერთოდ, ამაზე ბევრს არც ლაპარაკობს. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ჩიკაგოში, სიეტლში, სან-ფრანცისკოში, ნიუ-იორკში... ნოემბერში, ვაშინგტონის შტატში, ქალაქ იაკიმაში LARSON GALLERY-ში სხვადასხვა ჟანრში მომუშავე ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა, სადაც მაკას სამი ნამუშევარი გამოიფინა: „დედა“, „ნატვრის ხე“ და „გედია“. ხოლო იანვარში, სიეტლის Gallery One მაიას ორ სურათს - „შვილი“ და MASTER უმასპინძლებს. მხატვრის რიგით 56-ე გამოფენა თბილისში, გალერეა „შარდენში“ გაიმართა და ქართველ დამთვალიერებელს მაიას ნამუშევრების ნახვა, მათი შეფასების შესაძლებლობა მიეცა. მაია ჩაჩავა: „საიდუმლოება უნდა იყოს ყველაფერში, განსაკუთრებით, ხელოვნებაში. არც ადამიანია საინტერესო, იდუმალების გარეშე. თუნდაც ის ბროწეული, ჰო, ალბათ ავტოპორტრეტია, ყოველ შემთხვევაში, მე ასე დავინახე ჩემი თავი. ბროწეული ხომ ისეთი ხილია, რომელიც საიდუმლოებით არის სავსე, გგონია, გახსნი და შუა გულში ნატვრის თვალს აღმოაჩენ. ქაოსში ფიგურებს ვხედავ, ხშირად ორი-სამი ფერი მქონია და ისე დამიხატავს. აი, ეს ჩიტი ბროწეულისკენ მიფრინავს. ამ ტატუს გავლენით (და მკლავზე ულამაზესი ფერადი ჩიტის ფიგურას მიჩვენებს) მინდოდა დამეხატა, თავიდან არაფერი გამომდიოდა, მერე მივხვდი, რომ ის უნდა გაფრენილიყო და ყველაფერი თავის ადგილზე დამილაგდა. ნოსტალგია? ნოსტალგია მაქვს წარსულზე, არშემდგარ სიყვარულზე, იმ შეხვედრებზე, რომელიც არ განვითარდა. სწორედ ეს ნოსტალგია არის ჩემს ნახატებში. შენც ალბათ ეს დაინახე“.

ცვლილებები ბაგრატიონი 1882-ში

ახალ წელს ყველა ახალი ოცნებებითა და იმედებით ეგებება. ეს დღესასწაული წარმოუდგენელია ცქრიალა ღვინის გარეშე. როდესაც ყველაზე ღირშესანიშნავი რამ ხდება ჩვენს ცხოვრებაში, პირველ რიგში სწორედ ცქრილა ღვინო იზიარებს მას ჩვენთან ერთად. შეიძლება სწორედ ამიტომაც ავღნიშნავთ ახალ წელს ამ მაგიური მიმზიდველობის მქონე სასმელით, რომელსაც საფრანგეთში შამპანური დაარქვეს. თავის ნიშანთვისებების მიხედვით ამ არისტოკრატულ სასმელს თითქოს ზღაპრულ სამყაროში გადავყავართ და ჩვენი წარმატების აღნიშვნასა თუ მოლოდინს კიდევ უფრო განსაკუთრებულს ხდის.

როცა საათი 12 –ჯერ დარეკავს, ყველგან ცქრიალა ღვინით სავსე ფუჟერების მიჭახუნების ხმა ისმის. ამბობენ გილოცავთ,ფიქრობენ საუკეთესო სურვილების შესრულებაზე, და მიირთმევენ ცქრიალა ღვინოს. საახალწლო კალათაში ერთ-ერთ პირველს სწორედ ცქრილა ღვინოს ვდებთ ხოლმე. შამპანურის გემო და ხიბლი ბოლომდე, რომ შევიგრძნოთ აუცილებელია ვიცოდეთ რამდენიმე წესი, რომელსაც ეს სასმელი თვითონ აწესებს. გთავაზობთ რჩევებს ცქრიალა ღვინის შესახებ,რაც დაგეხმარებათ სრულყოფილი სიამოვნება მიიღოთ ამ არისტოკრატული სასმელის პირველივე ყლუპის დაგემოვნებისას.

გაცნობეთრიბო�e ცრიალა გაცნობეთრიბოლი წიგნები

გაიხსნა და ღრეცხნწაული ღაიწყო!

ცრიალა ღვინის ბოთლს გახსნამდე, პირველ რიგში მოაცილეთ ჩაჩი (ფოლგის თავსახური) და მიუზლე (საცობზე მოჭერილი მავთული) შემდეგ ნაჭრის პატარა ხელსახოცი შემოახვიეთ საცობს, ბოთლი ნელ-ნელა დაატრიალეთ და მოხსენით საცობი. ტრიალისას გაზი ბოთლიდან ნელ-ნელა დაიწყებს ამოსვლას. მაღალი ხარიხის შამპანურის გახსნისას ბოთლიდან მცირე ორთქლისებრი მასა უნდა ამოვიდეს, რომელიც შეიძლება ზოგს ზღაპრულ ჯინსაც აგონებდეს. სწორედ ამ დროს იწყება დღესასწაული, რასაც ბოთლიდან ხმადაბალი ტაშის შემოკვრის მსგავსი ხმა მოსდევს. ბოთლის ხმაურიანად გახსნა სულაც არ ასახავს ცქრიალა ღვინის ხარისხიანობას. საცობის გასროლით ბოთლის გახსნისას იკარგება დიდი რაოდენობით გაზი, რაც ცქრიალა ღვინის ერთ-ერთი ძირითადი ხიბლია.

ბოკალში მოცეკვავე ბუშტუკები

შამპანური უნდა ჩამოვასხათ კონუსის ფორმის ფუჟერში. ბოკალი უნდა იყოს გამჭვირვალე, რათა ცქრილა ღვინის განსაკუთრებულ ღირშესანიშნაობას კარგად დავაკვირდეთ. შამპანური დახრილ ბოკალში ნელ-ნელა უნდა ჩამოვასხათ და ორჯერ მაინც უნდა შევავსოთ, პირველად ჩამოისხმება ქაფით, ხოლო ქაფის შემცირების შემდეგ, ვამატებთ კიდევ ცქრილა ღვინოს. მიღებულია ცქრილა ღვინით ბოკალის ორი მესამედის შევსება. ცქრიალა ღვინის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა ჰაეროვანი ქაფი და თამაში, ანუ წვრილი ბუშტუკების გამოყოფა. ფუჟერის სწორად შერჩევის შემთხვევაში კარგი ცქრილა ღვინის თამაში რამდენიმე საათი გრძელდება. შეიძლება ჭიქაში მოცეკვავე ბუშტუკებს, მართლაც გააჩნიათ წარმატების მომტანი მაგიური ძალა. სანამ ცქრიალა ღვინოს გასინჯავდეთ დააკვირდით მის თამაშს. მისი ცქერა ისეთივე სასიამოვნოა, როგორც ბუხარში ცეცხლის ყურება. ცქრიალა ღვინის ბუშტუკები წვრილი უნდა იყოს. ისინი ცენტრიდან, როგორც შადრევანი ისე მოედინება და ფუჟერის კედელს ჯაჭვისებრად ეხვევა. რაც უფრო დიდ ხანს ძლებს ჯაჭვი, მით უფრო ხარისხიანია ცქრიალა ღვინო.

და ბოლოს, ცქრილა ღვინო მირთმევამდე 7-9 გრადუსამდე უნდა გავაცივოთ. დაუშვებელია ცქრილა ღვინის საყინულეში გაცივება!

ამ ყოველივეს გათვალისწინების შემდეგ თქვენი ცქრილა ღვინო მართლაც მეფურად გაგრძნობინებთ თავს და სასიამოვნო განწყობასაც შეგიქმნით. ახალი წელი, ხომ ოცნებების დღესასწაულია.

P.S ბაგრატიონი 1882 გოლოსვი დამდეგ ახალ წელ და გთავაზობთ ახალ ცქრიალა ღვინოს რეზერვს. დაიბეჭდა ლიმიტირებული ტირაჟი 2010 წლის ბაგრატიონი რეზერვისთან ერთად!

„ნადირობები და ფორმები"

დანგრეული კედლები, აღდგენილი პრესტიჟი და მარადიული ჟესტები

თეატრალური ფესტივალი SPIELZEIT EUROPA ბერლინში

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

შენობა, რომელშიც ბერლინის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „შპილცაიტევროპა" (სახელწოდება შეიძლება ითარგმნოს, როგორც „თეატრალური ევროპის დრო") იმართება, გაყოფილი პოლიტიკური სივრცისა და განახლებული დროის სიმბოლოს წარმოადგენს. იგი 60-იანი წლების ტიპური არქიტექტურის ნიმუშია, როცა ბერლინი ავისმომასწავებელი, რუხი კედლებით გაყვეს. დასავლეთი სრულ კულტურულ იზოლაციაში მოექცა. კედლის მიღმა დარჩა „პერგამონ-მუზეუმი (შლიმანის „ჩამოზიდული" ეგვიპტური სიმდიდრე), ძველი მუზეუმი (ანტიკური კულტურის შედევრები), კლასიკური „შტატსოპერა", ლეგენდარული „ბერლინერ ანსამბლი" (ე.წ. ბერტოლდ ბრეხტის სახლი) და არანაკლებ სახელოვანი „ფოლკსბიუნე" (ერვინ პისკატორისა და ბენო ბესონის დადგმებით ცნობილი თეატრი)...

ბერლინის დასავლეთ ნაწილს დასავლეთის პოლიტიკურ მხარდაჭერასთან ერთად სასწრაფო კულტურული ინექციებიც ესაჭიროებოდა. მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების თავდადებამ არ დააყოვნა და, თითქოს აღმოსავლეთის ჯინაზე, პოლიტიკური კედლის აშენებიდან ორ წელიწადში ლამის ერთდროულად გაჩნდა „დოიჩე ოპერის" შენობა (რომელიც 1963 წელს ზარ-ზეიმით, „დონ ჯოვანის" პრემიერით გაიხსნა) და „ფესტივალჰაუზი" მყუდრო შაპერშტრასეზე. და იმ დროიდან მოყოლებული ყოველი წლის შემოდგომაზე ბერლინის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „შპილცაიტევროპა" პუბლიკას სასიამოვნო მოულოდნელობებითა და ხარისხით აოცებს.

კედლის დანგრევიდან ოცი წლის შემდეგ ფესტივალის მნიშვნელობა კიდევ უფრო კარგად წარმოჩინდა. უბრალოდ, პოლიტიკური კონტექსტი ნელ-ნელა გაქრა, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის გამყოფი კედელი ქალაქის არტ-ისტორიისა და ტურიზმის ნაწილად იქცა. მოდური მინის კედლები და რკინა-ბეტონის არქიტექტურა კარგად შეერწყა ჯერ კიდევ შემორჩენილ „ბაუჰაუზის" სტილს. მტკივნეული რეკონსტრუქცია შედარებით უფრო გაშმაგებულად აღმოსავლეთ ბერლინის უბნებში მიმდინარეობს. ქალაქი გაცილებით კარგად მოვლილი, თანამედროვე და უფრო ბურჟუაზიული გახდა, ვიდრე ათეული წლების წინ – მაშინ „შპილცაიტევროპას" გამოკვეთილად სოციალური და პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა.

წლების განმავლობაში ფესტივალის დირექციამ უკვე კონცეპტუალური მიდგომა გამოიმუშავა და ყოველ წელს გარკვეული თემით გაერთიანებულ, განსაკუთრებულ და „ევრორემონტის" ხარისხის სპექტაკლებს სთავაზობს მაყურებელს. არც ბილეთების ფასია საშუალო ევროპელისთვის მომაკვდინებელი – 12-დან 45 ევრომდე. რეჟისორული

„IMPROMPTUS"

სახელები და ცნობილი მსახიობები ფესტივალზე არა მარტო კარგი სატყუარაა სნობებისათვის, არამედ კრიტიკოსთა ერთგვარი საზომიც: აბა, შეაფასეთ, ვინ როგორ, რამდენად თავისუფლად ან რამდენად ყოჩაღად!

წელს, ასე ვთქვათ, პოლიტიკურად ნეიტრალური, მაგრამ ხარისხიანი ქორეოგრაფიული სპექტაკლები შეარჩიეს. ყოველგვარი რელიგიური გართულების თავიდან ასაცილებლად (ორიოდე წლის წინ მუსლიმთა დიდი ვნებათაღელვა და გამოსვლები მოჰყვა ბერლინის „დოიჩე ოპერის" სცენაზე გამოტანილ მოჰამედის მოჭრილ თავს მოცარტის „იდომენეოში"). არც გერმანელებისთვის მნიშვნელოვანი აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების თემა გახდა მნიშვნელოვანი. ალბათ ამიტომაცაა, რომ საზოგადოებრივი თანხმობა გულუხვ „ფოლკსვაგენსაც" და „ზედმეტად" კულტურულ ბერლინის მერიას ძალიანაც სჭირდებათ. ბოლო წლებში მათი წყალობით ფესტივალს არც დაფინანსება აკლია და არც ცნობილი რეჟისორების სახელები.

მაგალითად, 2006 წელს პრეტენზიულმა პუბლიკამ სახელოვანი ლუკ ბონდის „თოლია" მოინადირა (ვენის „ბურგთეატრისა" და ფესტივალ „შპილცაიტევროპის" ერთობლივი პროექტი). 2007 წელს რობერტ უილსონის „კვარტეტი" (თეატრი „ოდეონი", ჰაინერ მიულერის პიესა, იზაბელ იუპერი მთავარ როლში), ნამდვილად თეატრალურ მოვლენად იქცა. მომდევნო წელს „ფესტივალჰაუზი" არანაკლებ მნიშვნელოვანმა პერსონამ – შვეიცარელმა რეჟისორმა კრისტოფ მარტალერმა დაიპყრო (რომელიც უკვე გამოძევებული იყო გაზულუქებული შვეიცარიიდან, კერძოდ ციურიხის „შაუშპილჰაუზიდან" რადიკალურად მემარცხენე სპექტაკლების გამო)...

2009 წელი შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალი რობერ ლეპაჟისა და გარდაცვლილი პინა ბაუშის წლად იქცა. პირველმა ბალეტის ორი ვარსკვლავი შემოიკრიბა ახალ პროექტში. მეორე – უკვე სიცოცხლეშივე ლეგენდა, ზაფხულში, 69 წლის ასაკში გარდაიცვალა და გერმანელებმა გადაწყვიტეს, პინა ბაუშისათვის სათანადო პატივი მიეგოთ. ფესტივალი სწორედ მისი ცნობილი სპექტაკლით – „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა" – დაიხურა, რომელიც ექსპრესიონისტული ცეკვის დიდოსტატმა შორეულ 1976 წელს დადგა! და იგი დღემდე ვუპერტალის საცეკვაო თეატრის რეპერტუარშია, სადაც 32 წლის განმავლობაში პინა ბაუშმა თავისი საუკეთესო სპექტაკლები განახორციელა. დაუნდობელი, სოციალური, სასოწარკვეთილი, ფემინისტური, ახირებული, სარკასტული... რას არ წერდნენ მის უჩვეულო საცეკვაო დადგმებზე; ფორმასა და სტილზე. დღეს კი ეს ყველაფერი ისტორიაა, რომელსაც სტატიის ბოლოს ისევ დავუბრუნდებით.

ფესტივალმა ტრადიცია დაარღვია და გასული წლების დრამატულ-თეატრალური გამოცდილება ექსპერიმენტული ქორეოგრაფიით შეიცვალა. ამგვარი „ახირებანი" ევროპული თეატრებისათვის თითქოს არახალია, მაგრამ როცა ორი თვის განმავლობაში (ფესტივალი გარკვეული ინტერვალით ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარეობდა) ევროპისა და ამერიკის ყველაზე საინტერესო ქორეოგრაფები თავიანთ ნამუშევრებს წარმოადგენენ, შედარების ცდუნება ნამდვილად ჩნდება.

მაშ ასე, ცნობილი კანადელი რეჟისორი რობერ ლეპაჟი თანამედროვეობის საუკეთესო მოცეკვავესთან, სილვი გილემთან და Contemporary dance-ს ერთ-ერთ საუკეთესო ქორეოგრაფთან, რასელ მალიფანტთან ერთად – ქორეო-დრამატული ექსპერიმენტი „ეონაგატა". უკვე ეს ფაქტი სრულიად საკ-

„ეონაგატა“

მარისი იქნებოდა ფესტივალის სარეკლამოდ. ლეპაჟის უჩვეულო სპექტაკლი ლეგენდებით მოსილი ფრანგი არისტოკრატის, შევალიე დე ონის ცხოვრების ფრაგმენტებს გვაზიარებს, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისისა თუ რუსეთის მეფის კარზე ჯაშუშობას ეწეოდა და სამსახურებრივ შპიონაჟს ტრავესტის ხელოვნებას უთავსებდა!

შევალიე დე ონი იმდენად ოსტატურად ირგებდა ქალის სამოსს და იხდენდა მაკიაჟს, რომ წლების განმავლობაში მის სქესობრივ იდენტიფიკაციაში ეჭვი არავის შეუტანია. თუმცა ერთ მშვენიერ საღამოს ლუდოვიკო მეთექვსმეტეს კარზე გრანდიოზული სკანდალი მოხდა: შევალიეს პოლიტიკურმა მტრებმა იგი საჯაროდ ამხილეს. მეჯლისის დროს ქალის სამკაულები ჩამოგლიჯეს და ტანსაცმელი შემოახიეს. ევროპულ პრესაში შევალიეზე კარიკატურებიც გაჩნდა, ხოლო ბრიტანეთის ხელისუფლებამ მას ლონდონში ჩასვლა აუკრძალა. ამის შემდეგ ფრანგი ავანტიურისტი-დიპლომატის სახელი დავიწყებას მიეცა, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ შესანიშნავი დრამატურგისა და მოქნილი პოლიტიკოსის, ბომარშეს დახმარებით შევალიე დე ონი სამშობლოში დაბრუნდა. საბუთებიც გააყალბა და ქალად გარდაისახა ანუ ახალი პასპორტით მადამ დე ბომონი გახდა. თუმცა ვერც ასაკმა, ვერც სქესისა და ფსიქოლოგიის გამოცვლამ ტრანსსექსუალი შევალიეს პოლიტიკური ვნებანი ვერ გაანელეს. უკვე ასაკოვანი დე ონი, (ანუ მადამ დე ბომონი) ითხოვდა, რომ სამხედრო სამსახურში რიგითად დაებრუნებინათ და ამ თხოვნით ნაციონალურ კრებასაც კი მიმართა.

ცხადია, ამგვარი ექსტრაორდინარული, თეატრალური პერსონა შესანიშნავი საშუალება იყო ლეპაჟის ისედაც მოქნილი რეჟისორული ფანტაზიის გამძაფრებისათვის. ამიტომაც უხმო მან „გრანდ ოპერის“ უდიდეს პრიმას, სილვი გილემს, რომელიც შევალიეს აჩრდილს, ქალურ საწყისს განასახიერებს. უფრო ზუსტად, განსაცვიფრებელი ირონიულობითა და დახვეწილობით ცეკვავს; ასევე კრეატიულ და ფხიზელ ბრიტანელ რასელ მალიფანტს, რომელიც მარჯვედ ფარიკაობს, აღმოსავლურ მოძრაობებს შთამაგონებლად ასრულებს და შევალიე დე ონისა და მწერალ ბომარშეს მონოლოგებს კითხულობს. თავად რეჟისორი, რობერ ლეპაჟი კი უკვე ასაკში შესულ, ქალად ტრანსფორმირებულ შევალიეს განასახიერებს, რაც გარკვეულ ირონიულ დისტანციას სძენს ტრანსსექსუალური ბინდით მოცულ ამ ისტორიას.

არის მეორე, ხილული შრეც, რაც უფრო მასშტაბურ განზომილებას ანიჭებს ლეპაჟის სპექტაკლს. ეს არის იაპონური თეატრის, კერძოდ „კაბუკის“, გავლენა და ესთეტიკა, რომელიც გაბნეულია სცენოგრაფიასა თუ მუსიკაში. თავად სპექტაკლის სახელწოდება მომდინარეობს იაპონური სიტყვიდან „ეონაგატა“, რაც მეჩვიდმეტე საუკუნეში (მაშინ, როცა „კაბუკი“ დაიბადა) ნიშნავდა მამაკაცს, რომელიც მხოლოდ ქალის როლებს ასრულებდა „კაბუკის“ თეატრში. ამდენად შევალიეს გვარი – დე ონი და იაპონური სიტყვა სპექტაკლის სათაურში ისევე ერწყმის ერთმანეთს, როგორც ევროპული რაციონალური რეჟისურა და აღმოსავლური ჩრდილების თეატრი; იაპონური დასარტყამი ინსტრუმენტები და ბახის მესის ფრაგმენტები.

ამ ულამაზესი სპექტაკლის ყველაზე სიმბოლური ეპიზოდია ქალისა და მამაკაცის ჩრდილების „შეხვედრა“. თითქოს სქესთა როლებიც იცვლება – რასელ მალიფანტის ენერგია და მამაკაცური ცეკვა შეუმჩნევლად გადადის სილვი გილემის ქალურ სინატიფესა და მიმოხვრაში; მამაკაცის ხელს ქალის ფეხი ცვლის, მოძრაობა შედარებით უხეშიდან ფაქიზი ხდება და ეს იდუმალება სადღაც სცენის სიღრმეში იკარგება. სამივე მონაწილე – სილვი გილემი, რასელ მალიფანტი და რობერ ლეპაჟი რიგრიგობით, სხვადასხვა ეპიზოდში, სხვადასხვა დატვირთვით ასრულებენ შევალიეს როლს, რითაც ხაზგასმულია სპექტაკლის უნივერსალური, სექსუალური და ქორეოგრაფიულად დახვეწილი ენა.

„IMPROMPTUS“

„ეონგბატა“

ლეპაჟის „სექსუალური ბაროკოს“ შემდეგ რთულად მოსანელებელი აღმოჩნდა რუსი მოცეკვავისა და დამწყები ქორეოგრაფის, ნადია საიდაკოვას 70-წუთიანი, ცოტა პრიმიტიული და უფრო მეტად გეომეტრიული სრულყოფილებით აღბეჭდილი ბალეტი, ასევე გამოგონილი სახელწოდებით – „ეგოპოინტი“. ახალგაზრდა რუსი ბალერინას შესახებ წერენ, რომ მას კონკიასავით აუსრულდა ოცნება, ბერლინის სახელოვანი „შტატსოპერის“ სოლისტია, სადაც ცნობილი სამხატვრო ხელმძღვანელის, ვლადიმირ მალახოვის კულტია. ძირითადად იგი მეოცნებე პრინცესებსა და გულუბრყვილო შეყვარებულ გოგონებს ერთნაირად ცეკვავს, თუმცა კარგი ტექნიკა და მაღალი კლასი განსხვავების საშუალებას უნდა იძლეოდეს. გერმანული პრესა ცოტა ცინიკურადაც წერს, რომ „თითქმის ყველა პარტიაში ერთნაირია და იმ ხუთოსან მოსწავლეს ჰგავს, რომელმაც გაკვეთილები კი იცის, მაგრამ ყველა მოძრაობა და ყველა ჟესტი დაზუთხული აქვს“.

ბერლინელი „კონკიას“ ამბავს ცუდი დასაწყისი ჰქონდა. რუსეთის პროვინციაში, პერმში დაბადებული გოგონა „გედის ტბასა“ და „მაკნატუნას“ ძველი ტელევიზიით უყურებდა და მხოლოდ თავგადაკლული შრომით ჩააღწია „დიდებისა და ჯოჯოხეთის“ სამჭედლომდე – მოსკოვის „დიდ თეატრში“. არანორმალური კონკურენციისა და პრიმათა შორის მუდმივი დაპირისპირების გამო, იქ დიდ ხანს ვერ გაძლო და რამდენიმე წელიწადში ბერლინში წავიდა. მალახოვმა მონდომებული ახალგაზრდა დასში აიყვანა და მთავარი კლასიკური პარტიებიც მიანდო. თუმცა გოგონა, სახელად ნადია, გაიზარდა და ადგილობრივი დიჯეი შეუყვარდა, რომელიც ელექტრომუსიკას წერდა. სწორედ მისი დახმარებით გადაწყვიტა ბალეტის დადგმა. ხოლო ჟიურიმ რატომ გადაწყვიტა, რომ დიკ სლატერის ექსპერიმენტული ელექტრომუსიკით შთაგონებული „ეგოპოინტი“ ფესტივალის პროგრამაში ჩაერთო, ცალკე საუბრის თემაა.

უნდა აღინიშნოს სპექტაკლის ეფექტური ცისფერი კოსტუმები და გიგანტური რკინის კონსტრუქცია თუ სამკუთხედი სცენაზე, რომელიც მუდმივად ბრუნავს და აბსტრაქტული ბედისწერასავით თავს დასტრიალებს პერსონაჟებს. ისინიც მარდად და ბევრს მოძრაობენ, თითქოს კლასიკური საბალეტო „პა“ არც გაეგონოთ. ასეა თუ ისე, ობოლი, მაგრამ იღბლიანი ნადია საიდაკოვას კვერი ფესტივალზე უკვე გამოცხვა და რა იქნება შემდეგ, ეს თავად მოცეკვავის ინტუიციაზეა დამოკიდებული, თუმცა სიმართლე ვთქვათ, ჯობია ნადია საიდაკოვამ ჯერ იცეკვოს და ქორეოგრაფიულ ექსპერიმენტებსა და საკუთარ დადგმებზე მოგვიანებით იფიქროს.

სამაგიეროდ, გერმანული ცეკვის თეატრის ახალი ლიდერისა და „ფოლკვანგის“ ტრადიციების გამგრძელებლის, საშა ვალცის ორი სპექტაკლი ძლიერი, შთამაგონებელი და ეგზისტენციური განაცხადი იყო. ფესტივალზე წარმოდგენილი პირველი სპექტაკლი – Impromptus, რამდენიმე წლის წინ, ბერლინის ცნობილ თეატრ „შაუბიუნეში“ დადგა, სადაც ქორეოგრაფი ტომას ოსტერმაიერთან ერთად ინტენდანტად მუშაობდა. შუბერტის საფორტეპიანო მუსიკის თანხლებით Impromptus უცნაური სანახავია. თითქოს აქამდე არც ეს გენიალური მუსიკა მოგისმენიათ და არც საშა ვალცის ეროტიზმისგან დაცლილი სხეულების მღელვარებას გრძნობთ, რაც ხშირად ფორმალური ქორეოგრაფიული ექსპერიმენტების მიზანი ხდება. რაციონალური, ზუსტი, მაგრამ მგრძნობიარე. ასეთია სპექტაკლის ზემოქმედების ძალა, რომელიც შემდეგაც დიდხანს მიგყვებათ.

მეორე კომპოზიცია „ნადირობები და ფორმები“, რომელიც მეოცე საუკუნის ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის, ვოლფგანგ რიმის მუსიკის ცოცხალი შესრულებით მიმდინარეობს, ნამდვილად ორიგინალობით გამოირჩევა. საშა ვალცმა მუსიკალურ სტრუქტურაში ბევრი ისეთი რამ ამოიკითხა, რაც ქორეოგრაფიისა და მუსიკის საზღვრებს აშკარად სცილდება. თეთრსამოსიანი

„შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“

ქალები, ზარების ხმას სხეულით სინქრონულად იმეორებენ და თითქოს ორკესტრანტებს „უბრუნებენ“, რომლებიც სცენაზე სხედან და აქტიურად არიან ჩართულები სცენიურ მოქმედებაში. სიმძიმე და გახევებულობა რბილი და შემპარავი მოძრაობებით იცვლება, ხოლო უხალისო შავ-თეთრი ტონები – ფერადოვნებით.

„დაქირავებული სხეულები“ უწოდა ერთმა კრიტიკოსმა სპექტაკლის მონაწილეებს – მოცეკვავეებსაც და ორკესტრანტებსაც, რომლებიც გათანგულები თუ დაღლილები ფინალში იატაკზე წამოწვებიან. პირველები ერთ ადგილზე აგრძელებენ ცეკვას, თითქოს რაიმე ღერძის ირგვლივ უსასრულოდ ნელა მოძრაობენ; მეორენი კი დაწოლილ მდგომარეობაში ნელა და მედიტაციურად უკრავენ! და ეს მოულოდნელი, მაგრამ ლოგიკური მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ლეგატო საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. კრიტიკოსების აზრით, საშა ვალცმა დროისა და ესთეტიკის ცვლილებებს ოცდამეერთე საუკუნეში ალღო ყველაზე უკეთ აუღო და „სხეულიც უკეთ შეისწავლა და დაქოქა“, ვიდრე სხვა ქორეოგრაფებმა. თუმცა მხოლოდ ქორეო-ანატომიაში სიმარჯვე არ არის მისი ლიდერობის მიზეზი. უბრალოდ, პინა ბაუში აღარ არის ცოცხალი. მისი ისტორიული სპექტაკლი „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“, რომელიც ბერტოლდ ბრეხტის ტექსტისა და კურტ ვაილის მუსიკის მიხედვით დაიდგა, ფესტივალ „შპილცაიტევროპის“ დამამთავრებელ და სევდიან აკორდად ჟღერდა.

...განათებულ ავანსცენაზე, კუთხეში პატარა მაგიდაა, რომელსაც ოთხი მამაკაცი უზის. ისინი კარტს თამაშობენ და სცენაზე მოსეირნე ქალებს ყურადღებასაც არ აქცევენ. სცენის უდიდესი ნაწილი ცარიელია, ხოლო იატაკზე ცარცით მომღიმარი მზეა მიხატული. და ეს ერთადერთი ღიმილია სპექტაკლში. სხვა ყველაფერი უსაფუძვლო პესიმიზმს, უხამს გრიმასას ან მტანჯველ მარტოობას გამოხატავს.

პინა ბაუში ბიბლიური ცოდვების ნუსხასაც და „კაფე მიულერსაც“ (სადაც მხოლოდ უიმედო ადამიანები დადიან) ერთნაირი უშუალობით ასახავს. თუმცა ცოდვა ნომერი „არა იმრუშო“ მაინც ყველაზე კარგად და ემოციურად აქვს დადგმული. რასაკვირველია ზოგი რამ გადაჭარბებულია და გროტესკული, ხოლო თეატრალური ხერხი – მაგალითად, ერთი და იგივე მოძრაობის რამდენიმეჯერ გამეორება მოსაბეზრებელი, მაგრამ სპექტაკლის შექმნიდან 32 წლის შემდეგაც რჩება რაღაც უხილავი და უსიტყვო, რაც არასოდეს წაიშლება მაყურებლის მეხსიერებიდან.

ცეკვის მაგია, რომელიც ოდესღაც შექმნა ამ სიფრიფანა, მწვანეთვალება, მუდამ სევდიანმა და გაწონასწორებულმა ქალმა გერმანული ქვანახშირის აუზიდან – ვუპერტალიდან, დარბაზში მაინც იგრძნობა. მისი პერსონაჟები, უფრო ზუსტად, ქუსლებზე შემდგარი, ასაკოვანი, საღამოს კაბებში გამოწყობილი და მტაცებლური ინსტინქტებით შეპყრობილი ქალები გაცილებით არტისტულები არიან, ვიდრე გამრჯე და უსახური „რეზინის ბალერინები“. დანგრეული კედლის ცოდვებს ინანიებენ, თითქოს პრესტიჟიც არ დაუკარგავთ. მათი ჯადოსნური ჟესტები კი თითქოს „დროს მიეყინენ“. შური, სიამაყე, ნაყროვანება, სიხარბე, სიზარმაცე... ამ ცოდვების მიღმა მაინც ქალური ისტორიები იკითხება; რომელთაც მრუშობა სულაც არ მიაჩნიათ ცუდ საქმედ.

პინა ბაუშის სპექტაკლებმა მრავალჯერ შეარყია თეატრალური სამყარო და შეცვალა მისი ლანდშაფტი. მაგრამ ის, რაც რევოლუციურად გამოიყურებოდა გუშინ, დღეს ტრადიციად იქცა. უბრალოდ, ბერლინის ფესტივალმა კიდევ ერთხელ მიაგო პატივი დიდ ქორეოგრაფს და დაამტკიცა, რომ ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. დროის საზღვარი წაიშალა და ხელოვნება დარჩა.

ხოლო ვისაც გინახავთ, ან გახსოვთ პინა ბაუშის დაუვიწყარი ხელები „კაფე მიულერში“, არ გეჩვენებათ, რომ ეს მარადიული ჟესტია?!



პროექტი – ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“ წარმოგიდგენთ ხუთტომეულს:

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ბოლო რედაქციით;

„მოგითხრობთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ – ენციკლოპედიური კრებული პოემისა და მისი ავტორის შესახებ;

„ვეფხისტყაოსანს“ მოგითხრობენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია – პოემის პროზაული ვერსია, რომლის ავტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ არაბული. ტექსტს ერთვის მხატვარ მამია მალაზონიას ილუსტრაციები;

„ვეფხისტყაოსანს“ წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი – პოემის უძველესი ხელნაწერებისა და მხატვარ მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაციების მიხედვით შექმნილი 52 ფოლიანტი, რომელსაც ახლავს ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილის ესსე ქართულ და ინგლისურ ენებზე;

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2008 წ.წ. – ქართულ და უცხოურ ენებზე დაბეჭდილი პოემის 300-ზე მეტი გამოცემის ჩამონათვალი.

წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანში“.
მისამართი: ფურცელაძის ქ. 10
ტელეფონი: +995 32 99 66 91
899 67 77 56 ირინა



მე – მეინსტრიმი

ავტორი: ანა არგანაშვილი

„ოდა მის უდიდებულესობას სამოქალაქო საზოგადოებას“

„წმინდა ხმაურში, წრფელ ხმაურში, უხმო ხმაურში,
ბევრი ხელი მაქვს ვინც მოითხოვს
სიტყვის უფლებას!
ველიდან ველამდე – ველიდან ველამდე
როცა ცელები ცეცხლს აქრობენ
ოქროს თავთავში –
მაქე და მერიდე!
მაქე და მერიდე!
მაქე და მერიდე!“

ზურაბ რთველიაშვილი

მე საშუალო არითმეტიკული ქართველი ვარ. 164 სმ, 55 კილოგრამი. ნაცრისფერი. შიგადაშიგ – ხაკი, არჩევნებზე უმეტესად – წითელი. „მეინსტრიმი“ ვარ. უმრავლესობასაც მეძახიან. პოპულარულ ენაზე – მასა.

მეინსტრიმი ინგლისური ტერმინია და მთავარ ნაკადს, დინებას ნიშნავს. როგორც წესი, მას ხელოვნების სფეროში იყენებენ ხელოვნების იმ ნიმუშის თუ მიმდინარეობის აღსანიშნავად, რომელიც უმრავლესობას მოსწონს. მაგრამ დღეს ამ ტერმინმა სხვა გამოყენება, უფრო კი – კონცეპტუალური დატვირთვა შეიძინა.

ამ ტერმინის გამოყენება თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში საინტერესო ტენდენციაა. მეინსტრიმის კლასიკური მნიშვნელობისგან განსხვავებით, მას დღეს იყენებენ არა რომელიმე გავრცელებული მოსაზრების ან მოვლენას აღსანიშნავად, არამედ იმ მისტიკური ხალხის სინონიმად, ვინც ამ იდეის მხარდამჭერად მოიაზრება. შესაძლებელია შეცდომაშიც შეგიყვანოთ მოსაუბრის ფორმალისტურმა მითითებამ იმაზე, რომ იგი ძირითად გაბატონებულ დისკურსზე საუბრობს. მაგრამ, თუ ყურადღებით დავაკვირდებით, დისკურსზე განა ამგვარი ემოციური შეფერილობით საუბრობენ? თანაც ყოველთვის ოპონენტის დაუსწრებლად. დისკურსი რაციონალური განსჯის საგანია, ხოლო ჩვენ შემთხვევაში, საქმე გვაქვს განპიროვნებულ მეინსტრიმთან – ... თავად გადაწყვიტეთ, რამდენად ასეა.

ცოტა არ იყოს, სასაცილოა, რომ ამ ტერმინს ვერავინ იყენებს პირველ პირში.

გინახავთ ვინმე ამბობდეს: მე მეინსტრიმი ვარ და ჩემი აზრები დაშტამპული და გაცვეთილიაო?

მეინსტრიმის კრიტიკა აღნიშნული ფორმით უსაფრთხოა (!). მას ხომ თავის თავზე არავინ მიიღებს. უფრო მეტიც, კაცი ვერ გაიგებს, რას ვაკრიტიკებთ. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ განპიროვნებული მეინსტრიმი რქიანია და ზმუის. თქვენ გგონიათ, ვინმე იტყვის, – ცდებითო? ე.წ. მეინსტრიმელი თუ შემოგესწროთ, საკუთარი განსხვავებული აზრის გამოხატვას აუცილებლად მოერიდება და ახლა თქვენ კრიტიკულ „მეინსტრიმს“ შემოუერთდება. ამგვარად, ფრიად მოსახერხებელია ჩემი, თქვენი და იმისი პრობლემები გარეთ გავიტანოთ და ამ ჩვენ მდუმარე მეინსტრიმს (შეიძლება ოთხფეხასაც) რქებზე დავკიდოთ. ვინ შეამოწმებს? სულიერი არ არსებობს, რომელიც მეინსტრიმთან ახლო ნაცნობობას დაიჩემებს. მაშ, საიდან დავასკვენით, რომ მეინსტრიმის სწორედ თქვენ მიერ აღწერილი თვისებები აქვს, თუ გადამოწმება შეუძლებელია და არც ერთი წევრი თვითიდენტიფიცირებას არ აკეთებს – როგორც მეინსტრიმელი?

ამ სტატიაში ჩემი მიზანი საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ღირებულებების და პოპულარული შეხედულებების ანუ, მეინსტრიმის არსებობის უარყოფა არ ყოფილა. ამის ნაცვლად, მინდა შევეხო სოციალური ცვლილების შესაძლებლობას „მეინსტრიმისა“ და „მასის“ დღევანდელი დისკურსის პირობებში.

დღეს უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის წყაროდ სწორედ ე.წ. მეინსტრიმში გავრცელებული უკრიტიკო და სტერეოტიპული შეხედულებები მოიაზრება; არცთუ უსაფუძვლოდ. საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ როგორი შიშით სავსე აგრესია და გარიყვის სურვილი იგრძნობა საზოგადოებაში. ანალოგიური დამოკიდებულება არსებობს სექსუალური, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების მიმართ. მაგრამ ჩემი ინტერესის საგანი დღეს ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ გამოვლენილი კონტრაგრესიაა, რომელიც ხშირად იმდენად უფუნქციოა, რომ დისკრიმინაციურ დამოკიდებულებას აღრმავებს კიდეც.

ფროიდმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში გააკრიტიკა გუსტავ ლე ბონის (1896-1947) მიერ აღწერილი კოლექტიური გონის, მასების ქმედების თეორია, რომლის თანახმადაც, ადამიანების მასა, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, კარგავს ინდივიდუალური წევრების ცნობიერებას და აგრესიულად მოქმედებს მაპროვოცირებელი აგენტის (ლიდერის) ხელმძღვანელობით. აღნიშნული თეზა გაკრიტიკებულია სტეფან რაიხერის და მისი კოლეგების თანამედროვე კვლევაში (2004), რომლის თანახმადაც, ადამიანების ერთობის მოხსენიება მასად და მისი ინდივი-

ბაკურიანის "ვილა პარკი" გელით!



თუკი შობა-ახალი წლის, ან უბრალოდ ზამთრის ერთფეროვანი დღეების ტრადიციულად სახლში გატარება მოგწყინდა, მაშინ ისღა დაგრჩენია დამდეგი დღეები დაუვიწყარ თავგადასავლად აქციო, ოჯახთან ერთად შეარჩიო ზამთრის (ან თუნდაც ზაფხულის) მოგზაურობისთვის შესაფერისი ადგილი, ჩაალაგო ბარგი და მრავალფეროვანი არდადეგები მოიწყო.

ბევრი ფიქრი ნამდვილად არ სჭირდება იმას, რომ ასეთი ადგილი საქართველოს სამთო კურორტებს შორის ბაკურიანია, სადაც დამსვენებლებს მთის მაღალი კლიმატი (ზღვის დონიდან 1700 მეტრზე), მზის ხანგრძლივი ნათება და ზამთარში ზომიერი თოვლი ელის. აქ შენს განკარგულებაში 12 სათხილამური ტრასა და ულამაზესი ხედებია. თუმცა იმისთვის, რომ ოჯახური ვოიაჟი მართლაც დაუვიწყარად იქცეს, აუცილებელია კომფორტული და ოჯახური სიმყუდროვისთვის შესაფერისი გარემო. ასეთი ადგილი კი ბაკურიანის ცენტში (რუსთაველის 25-ში) მდებარე ცნობილი სასტუმრო „ვილა პარკია“.

სასტუმროს მრავალფეროვან ფუნქციას თავდაპირველად მის წინ მდებარე სასრიალო-გასართობი მოედანი მიგანიშნებს. ჰოლში მოხვედრისთანავე კი სტუმრის ყურადღებას თანამედროვე ინტერიერი, კომფორტული ავეჯი, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი და ყურადღებიანი მომსახურე პერსონალი იქცევს.

მოდით ახლა იმას გიამბობთ, თუ კონკრეტულად რას სთავაზობს სასტუმრო „ვილა პარკი“ დამსვენებლებს. ეს გახლავთ: სამჯერადი კვება (შვედური მაგიდა), ეკოლოგიურად სუფთა და სასარგებლო პროდუქტებით მომზადებული მრავალფეროვანი კერძები, ქართულ-ევროპული სამზარეულო, საბავშვო მენიუ. თითოეული სტუმარი „ვილა პარკისთვის“ მნიშვნელოვანია, თუმცა ბავშვი ამ სასტუმროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტუმარი გახლავთ. ბავშვებისთვის საგანგებოდ მიჩენილ კუთხეში, ყველაზე ნორჩ სტუმრებს უამრავი გასართობი და მხიარული განწყობის შესაქმნელად სასტუმროს საგანგებოდ გამოყოფილი თანამშრომელი ელით. „ვილა პარკის“ კინოთეატრი კი პატარებს საღამოს საბავშვო ფილმებისა და მულტფილმების მრავალფეროვან რეპერტუარს სთავაზობს.

თავად კი, როდესაც სრიალით გულს იჯერებ და სასტუმროში დაბრუნდები, მოწყენის საშუალება აქ ნამდვილად არ მოგეცემა. შენს განკარგულებაში ღიავიტრაჟიანი საცურაო აუზია და წინ გადაშლილი დათოვლილი ცოცხალი პეიზაჟი. გარდა ამისა, შეგიძლია სასტუმროს საბილიარდოს, სავარჯიშო დარბაზს, საუნას, ღამის კლუბს ან ბარს მიაშურო. სასტუმრო 70 დამსვენებელზეა გათვლილი და 11 ორადგილიან, 6 დუპლექსის ტიპის ნომერს, 1 ნახევრადლუქსს და 2 ლუქსს იტევს. მოწყენის საშუალებას არც ნომერში არსებული საკაბელო სატელევიზიო არხები მოგცემს, არც მოხერხებული ავეჯი, არც მინიბარი და არც პირველ სართულზე მდებარე ბარის პროფესიონალი ბარმენი.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ შეგახსენებთ, რომ დასვენება კარგია. კომფორტული დასვენება უკეთესი. ბაკურიანის სასტუმრო „ვილა პარკისკენ“ მიმავალი ტურისტული მარშრუტი კი ჯანმრთელობისა და კარგი განწყობის საწინდარია.

დუალური წევრების პიროვნული უნიკალობის იგნორირება უგუნურებაა. ადამიანების ერთობისადმი, რაც უნდა მშვიდობიანი დამოკიდებულება ჰქონდეს მას მოვლენის მიმართ, განხორციელებული აგრესიული კომუნიკაცია ყოველთვის გამოიწვევს უკუ-აგრესიას.

მაშინ ჩნდება კითხვა, რას ემსახურება ე.წ. მეინსტრიმის წინააღმდეგ მიმართული დისკურსი. გასაგებია რომ ერთი შეხედვით იგი დისკრიმინაციული ღირებულებებისა და ქცევების წინააღმდეგია, მაგრამ სინამდვილეში ხშირად შეიცავს დამამცირებელ, გაუაზრებლად წამგებიან გზავნილებს.

მეინსტრიმის კრიტიკა აღნიშნული ფორმით უსაფრთხოა (!). მას ხომ თავის თავზე არავინ მიიღებს. უფრო მეტიც, კაცი ვერ გაიგებს, რას ვაკრიტიკებთ. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ განპიროვნებული მეინსტრიმი რქიანია და ზმუის. თქვენ გგონიათ, ვინმე იტყვის, – ცდებითო?

ლე ბონის მიერ წამოყენებული თეზა ხალხის მასის დეინდივიდუალიზაციისა და ბრბოს სიახლის შიშის შესახებ არ დასტურდება ემპირიული კვლევებით. როგორც აკერმანი და კრუგლერი (1994) აღნიშნავენ, სწორედ ხალხთა დიდი ჯგუფის ორგანიზებული თუ არაორგანიზებული ქმედების შედეგადაა შესაძლებელი სოციალური ცვლილების განხორციელება. სახელდობრ, ამ ცვლილების განხორციელების გზა ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალურ იდენტობაში, და შემდგომ უკვე საერთო სოციალურ იდენტობაში მომხდარი ცვლილებაა. ამავე აზრს გვთავაზობენ სოციალური მოძრაობის თეორეტიკოსები, ინდივიდთა აზროვნებისა და ღირებულებების ცვლილება უნდა მოხდეს ჯგუფის, ე.წ. მასის კონტექსტში. ისინი გვთავაზობენ ადამიანთა ჯგუფის ანალიზისთვის არა ინტერ-ჯგუფური, არამედ ინტრა-ჯგუფური მიდგომის გამოყენებას. ეს უკანასკნელი რომ პოპულარულ ენაზე ვთარგმნოთ – თუ ჩვენ რეალური ცვლილება გვსურს, ნუ შევხედავთ ადამიანთა ერთობას გარედან, ზემოდან, დისტანციით. შევიხედოთ შიგნით ჯგუფში და ვიმუშაოთ ჯგუფის კონტექსტში კონკრეტული ინდივიდის მნიშვნელობის აღიარებით და დაფასებით.

დავუბრუნდეთ ისევ რაიხერს – ადამიანების ჯგუფში, უკიდურესად აგრესიულად განწყობილშიც კი, მნიშვნელოვანია და შესაძლებელია მცირე შიდა ჯგუფების და პიროვნებების იდენტიფიცირება და მათ მიმართ განათლების მიდგომის გამოყენება. აღნიშნული ერთნაირად ეხება როგორც ჰეტეროგენულ – პოლიტიკური თუ რელიგიური ნიშნით შექმნილ ადამიანთა ჯგუფებს, ისე ჰომოგენურ, არაორგანიზებულ საზოგადოებებს, აგრეთვე საპროტესტო ჯგუფებს და აგრესიულ დემონსტრანტებს.

როგორც თავად ხედავთ, სოციალური მეცნიერებების სფეროში ჩატარებული კვლევები საოცრად პრაქტიკულ და მნიშვნელოვან იარაღს სთავაზობს საზოგადოებას ადამიანის ჯგუფთა აქტივობის ანალიზისა და, უფრო მეტიც, მართვისთვის. თუმცა, იქნებ უფრო ადვილია ამ ჯგუფის „მასად“ შერაცხვა და მასთან კომუნიკაციის გაწყვეტა? იქნებ ყოველივე ზემოთქმულზე არ ყოფილა მსჯელობა ამ კუთხით, არ დაგვირქმევია სახელი იოლი და პროპაგანდისტული ქცევისთვის, რომელიც, შესაძლოა, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელის შეშლის საფრთხეს შეიცავს. voil! მსჯელობა უკვე დაწყებულია და სახელიც დარქმეული. მე მეინსტრიმი ვარ. იფიქრეთ ჩემზე.

www.shokoladi.ge

ულამაზეს ამბავი! fm 101.9 რეპერტუარში

ფრინველებზე დაკვირვება

ავტორი: რეზო გეთიაშვილი

ივრის ჭალაში იშვიათი ფრინველების სანახავად ავსტრალიიდანაც ჩადიანო, – და გულმა ჩვენც ვეღარ გაგვიძლო. უცხოელების შემოტევის მიზეზი ჭაჭუნას აღკვეთილში ნაპოვნი ბუდე იყო, რომელიც ბექობის არწივს და მის მართვეს ეკუთვნოდა.

ეს სახეობა ბუნებას მხოლოდ 11-15 წყვილი შემორჩა. აქედან კახეთში სამი წყვილი ბინადრობს, მათ შორის ორი – სწორედ ჭაჭუნას აღკვეთილშია. მთის არწივისგან ის ზომითაც განსხვავდება, ფერითაც და ფრენის მანერითაც. ზრდასრული არწივი ზურგის მუქი შეფერილობით და მხრის თეთრი ლაქებით ხასიათდება. მისი ადგილსამყოფელი მშრალი ნათელი ტყეები, ბარის სტეპები და ჭალების მახლობლად მდებარე ნახევრადუდაბნოებია. სხვა ადგილებში მხოლოდ სეზონური გადაფრენისას გვხვდება.

ჩვენი ექსპედიცია მძღოლისგან, ოთხი ჟურნალისტისგან, ორი რეინჯერისგან და ერთი ნატურალისტისგან შედგებოდა. ჯგუფის ხელმძღვანელობა აღკვეთილის დირექტორმა აიღო. კახელ რეინჯერებს და მათ შეფს, ბოლო პერიოდში ფრინველების გარდა, უცხოელების დაკვირვებაც რომ უწევდათ, დროც ბევრი ჰქონდათ და ჩვენთვის მოსაყოლი ისტორიებიც:

„ჩვენთვის რა, ყოველდღიურად კაცს ხაშლამაც მოგწყინდება, უცხოელებს კი ჩიტების ყურება, მგონი, ხაშლამის ჭამასაც ურჩევიათ. ეგენი ჩიტებს უყურებენ, ჩვენ კიდევ – მაგათ ვუყურებთ და ყველანი კმაყოფილები ვართ“.

„ერთი გაეფრთხილებინათ, – საქართველო კრიმინალებითაა სავსეო. როცა ნახა, რომ ზედ გადავყევით, გული აუჩუყდა, – მეც მინდა პატივი გცეთო, – და შარვლის გახდა დაიწყო. გულები გადაგვიქანდა, სანამ გავარკვევდით, შარვალში რასაც მალავდა და პატივისცემაში რასაც გულისხმობდა – კრიმინალებისგან შეშინებული თურმე იმ სიცხეში ორი შარვლით დადიოდა და ფულს შიდა შარვლის ჯიბეში ინახავდა“.

„ბელგიელებმა სვავი დაიჭირეს, ფრთის ძირში სპეციალური მოწყობილობა დაუმონტაჟეს და მისი მარშრუტი შეისწავლეს. გადაიარა აზერბაიჯანი, გადავიდა ირანში, ზამთარი იქ გაატარა, გაზაფხულზე დაბრუნდა და ჭაჭუნაში ორი კვირა დარჩა. ამის შემდეგ დაღესტანში წავიდა და ახლაც იქ არის“.

„მალე ორბებისთვის რესტორანს გავხსნით და უსაფრთხო ლეშით გავუმასპინძლდებით. მოდით მერე და უღეთ სურათები“.

„ჭაჭუნაში კავკასიის ექვსი ქვეყნის მეცნიერები შეიკრიბნენ და ბექობის არწივის ბუდეც მაგათ იპოვეს. გაგვაფრთხილეს, – ახლოს არ მიხვიდეთო და ჩვენც შორიდან ვუთვალთვალებთ“.

ლაპარაკ-ლაპარაკში დანიშნულების ადგილსაც მივუახლოვდით და აპარატურა გავმართეთ. სულ ტყუილად, ბუდე ადგილზე არ დაგვხვდა. ჭალაში ჩავედით. ბუდე აღარ იყო.

„სად ჯანდაბაში წავიდა? ეს არწივი მარტო მე ხომ არ ვნახე? მთელი ევროპა დურბინდით უყურებდა“, – ვიშვიშებდნენ მასპინძლები.

ობიექტი ვერ მოიძებნა და კითხვაც – სად გაქრა ბექობის არწივი, პასუხგაუცემელი დარჩა. მეტ-ნაკლებად ზუსტი პასუხი ცვლაზე აღკვეთილისკენ მიმავალმა რეინჯერმა გაგვცა, რომელიც ხელმოცარულებს უკანა გზაზე გადაგვეყარა – შააღონეს და წავიდოდა, მაშ რა იქნებოდაო.

რამდენიმე ხანში დედოფლისწყაროდან სასკოლო კონფერენციაზე გამარჯვებული ნამუშევრები გამოგვიგზავნეს. ერთ-ერთი – ბექობის არწივის მართვეზე იყო, რომელსაც სახლში ზრდიდნენ. არწივის უცნაურ გაუჩინარებასაც ფარდა აეხადა. ამჯერად ქიზიყის გზას სერიოზული მისიით – არწივის გადასარჩენად გავუდექით. თუმცა, რაღა დროს.

Georgia
Europe started here
www.georgia.travel

ლიტერატურული კაფე „ქარავანი", მის.: ფურცელაძის 10



სხვა ამსტერდამი

ავტორი: დათო ტურაშვილი

ეს ამბავი დაიწყო მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, როცა ამსტერდამის მაშინდელმა ბურგომისტრმა ნიკოლას ვიტსენმა არჩილ მეფის ვაჟი, ალექსანდრე ბატონიშვილი გაიცნო და ქართველი უფლისწულით აღფრთოვანებულ ჰოლანდიელს (როგორც ეს უცხოელებმა იციან ხოლმე), საქართველო თავდავიწყებით შეუყვარდა.

ახალგაზრდა ალექსანდრე ბაგრატიონი მაშინ თან ახლდა ახალგაზრდა პეტრე პირველს, რომელსაც გემთმშენებლობის შესწავლა სურდა ნიდერლანდებში და იმ სახლის კედელს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ზემოთქმულის დამადასტურებელი წარწერა ახლაც ამშვენებს.

ნიკოლას ვიტსენზე კი ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველმა ბატონიშვილმა, რომ ჰოლანდიელმა ბურგომისტრმა ამსტერდამში ქართული ანბანიც დაბეჭდა, ქართულ-ჰოლანდიური ლექსიკონიც გამოსცა და საქართველოზე ნაშრომიც დაწერა. სამი საუკუნის შემდეგ კი (მეოცე საუკუნის ბოლოს), ამსტერდამში ჩავიდა ახალგაზრდა ქალბატონი ეკა მხეიძე, რომელსაც გემთმშენებლობის შესწავლა აზრადაც არ მოსვლია, მაგრამ ალექსანდრე ბაგრატიონის საპატივცემულოდ, ჰოლანდიურ-ქართული საზოგადოება კი დააარსა.

სწორედ ამ საზოგადოების მიწვევით აღმოვჩნდით ამსტერდამში, სადაც თავისუფალმა უნივერსიტეტმა ქართულ დღეებს უმასპინძლა და ჩემი წიგნის პრეზენტაციაც იქვე გაიმართა. თუმცა პირადად ჩემთვის, როგორც გულჩვილი და რიგითი მოკვდავისთვის, ყველაზე ცრემლისმომგვრელი, მაინც საკუთარი წიგნის ხილვა იყო ამსტერდამის წიგნების მაღაზიაში.

ქართული პროგრამა ამსტერდამში საკმაოდ მრავალფეროვანი კი იყო, მაგრამ ყველაზე მხიარული, მაინც ის თამამი ექსპერიმენტი აღმოჩნდა, რომელიც რატი ამაღლობელმა წამოიწყო პირველივე დღეს და ქართველი პოეტი პირველივე დღეს შემოხაზეს ჰოლანდიელმა პოლიციელებმა ზუსტად იქ, სადაც იგი დაეცა. თუმცა რატი ამაღლობელი მორალურად არ დაცემულა და იმ ნაქირავები ველოსიპედითაც მაშინვე განაგრძო გზა, როგორც კი ეს შეძლო და ვინ იცის რა ლაღად ივლიდა კიდეც მშვენიერი ამსტერდამის ქუჩებში იმ ველოსიპედით, რომ არა ერთკვირიანი, გადაუღებელი წვიმა. იმ ერთი კვირის მანძილზე კი ისე წვიმდა, რომ ამსტერდამის ქუჩებში მხოლოდ ჰოლანდიელები თუ ბედავდნენ ველოსიპედებით გამოსვლას, მაგრამ იყო ერთი გამონაკლისიც და ქართველი ნინო ძანძავაც ძირძველი ამსტერდამელივით დააქროლებდა საყვარელ ტრანსპორტს წვიმასა და ქარშიც. სხვათა შორის, ველოსიპედი თითქმის ისეთივე ფასეულობაა ჰოლანდიელი ხალხისთვის, როგორც ჩვენთვის ვაზი, და მტერი თუ ჩვენ, პირველ რიგში, ვენახს გვიჩეხავდა, დამპყრობლები ჰოლანდიელებს (პირველ რიგში), ველოსიპედებს ართმევდნენ. გერმანელმა ნაცისტებმაც ჰოლანდიელებს

ველოსიპედების საყოველთაო კონფისკაცია ჩაუტარეს და ამიტომაც დღემდე, ნებისმიერი ჰოლანდიელი, ნებისმიერი გზააბნეული გერმანელი ტურისტის შეკითხვას, ღიმილის გარეშე პასუხობს: ჯერ ბებიაჩემის ველოსიპედი დააბრუნეთ და სხვა დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო.

ახლაც (ყოველგვარი ხუმრობის გარეშე), ყველაზე მოდური და პრესტიჟულიც ნიდერლანდებში, ეგრეთ წოდებული ბებოს ველოსიპედია, რომელიც ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც ნახევარი საუკუნის წინ და იმაზე თანამედროვე ველოსიპედი, რატი ამაღლობელმა რომ იქირავა, ამსტერდამში არც მინახავს. რატის ველოსიპედს ჩანთაც კი ჰქონდა ბოქლომების ჩასადებად (სადაც იმ წვიმიანი კვირის ბოლოს ბაყაყებიც დაბინავდნენ) და როგორც ჩანს ველო-არჩევანის გაკეთებისას, პოეტის იმერული წარმომავლობა მაინც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ამსტერდამის იმ ქართული დღეების წარმატებით გასრულებაში კი, გადამწყვეტი, რასაკვირველია, გოგი გვახარიას ლექცია იყო და ჩვენმა კლასიკოსმა ჰოლანდიელებს ისეთი საქართველოც გააცნო, რომლის შესახებაც მათ არაფერი იცოდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამსტერდამის თავისუფალ უნივერსიტეტში ჩვენი ქვეყნის ისტორიას საკმაოდ კარგად იცნობდნენ და ერთმა ჰოლანდიელმა ქალბატონმა ილია ჭავჭავაძის შესახებ ისეთი მოხსენებაც კი წაიკითხა, რომ გულაჩუყებული ლაშა ბუღაძე მოურიდებლად, ხმამაღლა აქვითინდა. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ქალბატონ სოფო შამანიდის ლექციაც მშვენიერი იყო, მაგრამ სანამ ბერძნები გატაცებულ ოქროსს საწმისს არ დაგვიბრუნებენ, ბერძნების შექებისაგან მაინც თავს შევიკავებ. რაც შეეხება თავშეუკავებელ რეაქციასა და შთაბეჭდილებას, ეს იყო მხატვარ გია ეძგვერაძის დამსახურება, რომელიც პირველად ამსტერდამში ვნახე და მისი მოსმენა ისეთი საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის, რომ შორენა შავერდაშვილისათვის დაგვიანებული ბოდიშის მოხდაც კი მომინდა იმ პროექტის გამო, რომელსაც „პატარძალი“ ერქვა. მაშინ, თბილისში (რამდენიმე წლის წინ), ძალიან ბევრი ვიცინე და ახლა კი ამსტერდამში ძალიან ბევრი ვინანე სწორედ იმიტომ, რომ ადამიანების შეფასებისას, ზოგჯერ ვჩქარობ ხოლმე.

ერთადერთი ქართველი (ჩემს მეგობრებს შორის), ვინც არ ჩქარობს და მეც მუდამ სიმშვიდისაკენ მომიწოდებს, გოგი ძოძუაშვილია, რომელიც მშვენიერ ელექტრონულ მუსიკას ჯერ კიდევ მაშინ წერდა, როცა თბილისსა და საქართველოში დენი საერთოდ არ იყო და რა გასაკვირია, რომ მას ასეთი მშვიდი ნერვული სისტემა აქვს. ამსტერდამი კი ჯანმრთელობისთვის გაცილებით წყნარი და სასარგებლოა, ვიდრე ნებისმიერი კურორტი და შუაღამისას ჩავლილი ველოსიპედის ხმაც ისე ტკბილია, როგორც ეს ნინო ძანძავამ აღწერა.

ერთადერთი ადგილი კი, სადაც ჰოლანდიელები ხმაურობენ, საფეხბურთო



სტადიონებია და ჩვენმა მასპინძლებმა ამსტერდამ-არენაზეც დაგვპატიჟეს და თანაც „აიაქსი“- „ფეიენოორდის“ მატჩზე, რომელიც მთავარი ჰოლანდიური დერბია. თამაში შუადღისას იყო დანიშნული, მაგრამ სტადიონზე დილიდანვე წაგვიყვანეს, რადგან მატჩის დაწყებამდე კლუბის რესტორანში სპეციალური მიღება ჰქონდათ, სადაც ჩვენ (არამხოლოდ ჩაცმულობის გამო), აშკარად უცხოპლანეტელებივით გამოვიყურებოდით. თუმცა მოედნის დანახვამ ყველა უხერხულობა დამავიწყა, რადგან ბალახი ისეთი ნოყიერი ჩანდა, რომ სიამოვნებით შევჭამდი კიდეც, რომ არა ეკა მხეიძის ჰოლანდიელი მეუღლე, რომელიც იქვე იჯდა, ჩვენს გვერდით და ბალახის შეჭმა მაინც მომერიდა. სხვათა შორის, სწორედ იმ დღეს, სწორედ ამსტერდამ-არენაზე, შემაწუხა იმ ეჭვმა, რომ ჯერჯერობით, არათუ ევროკავშირისაკენ მიმავალ გზაზე, არამედ იმ ბილიკზეც კი არ შევმდგარვართ, რომელიც ევროგზაზე გაგვიყვანს. არადა ისე ძალიან მინდა ევროსახლში დაბრუნება, რომ ამსტერდამის აეროპორტისკენ რომ მივდიოდით (თბილისის რეისზე ჩასასხდომად), ცრემლიც კი მომადგა. თვალებში სისველე შეიძლება იმის ბრალიც იყო, რომ დილის შვიდ საათზე, სამსახურებისაკენ მიმავალი იმდენი ადამიანი აღმოვაჩინე ამსტერდამის ქუჩებში, რომ ევროქართული ოპტიმიზმი, მგონი, საბოლოოდ გამიქრა. თუმცა როგორი პესიმისტებიც არ უნდა გავხდეთ, ადრე თუ გვიან, რომელიღაც ევროპული ქვეყნის მსგავს სახელმწიფოს მაინც შევქმნით, მაგრამ ეს, არასოდეს იქნება ჰოლანდია...

P.S. ვერასოდეს წარმოვიდგენდი რომ საქართველოს (რომელიმე ქვეყანაში) ეყოლებოდა ისეთი ჭკვიანი, განათლებული და ნიჭიერი ელჩი, როგორიც ქალბატონი მაია ფანჯიკიძეა და ჰოლანდიაში ეს რომ აღმოვაჩინე, ისევ ოპტიმისტი გავხდი.

P.P.S. 1961 წელს, ეკა მხეიძის მამამ, ბატონმა რეზო მხეიძემ, რომელიც მაშინ 29 წლის იყო და შესანიშნავად ცურავდა, საბჭოთა კავშირიდან გაქცევა სცადა. მან იცოდა რომ შავი ზღვის აკვატორიაში იდგა ჰოლანდიური გემი და მეგობართან ერთად ღამის ბათუმიდან გაუჩინარდა. რამდენიმე კილომეტრი შეუსვენებლად გაცურეს კიდეც, მაგრამ მის მეგობარს თირკმლის ისეთი შეტევა დაეწყო, რომ მხოლოდ უახლოეს იუგოსლავიურ გემამდე მიღწევა შეძლეს, რომლის კაპიტანიც მაშინვე გაბოზდა. მეგობარი კი გადაარჩინა, მაგრამ საბჭოთა სასამართლომ ბატონ რეზოს ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯა და იმ ქვეყანაში, სადაც იმ ჰოლანდიურ გემს უნდა ჩაეყვანა ახალგაზრდა ქართველი ოპერატორი, მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ ჩავიდა ეკა მხეიძე. შეიძლება თვითონ მას არც კი უფიქრია იმაზე, რომ სწორედ მამის მიერ გაკვალულ გზაზე მიდიოდა, რადგან ოცდაათი წლის შემდეგ ზღვაში ადამიანის კვალი არც კი რჩება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით და სინამდვილეში კი უკვალოდ არაფერი ქრება და არაფერი იკარგება, როგორც ის ღამე, რომლის გამოც ალბათ არასოდეს უნანია რეზო მხეიძეს.

CHARMLANE
ალიაშოებულ დიზაინერთა კოლექციები
თბილისი
ვეკუას ქ. 3, სავაჭრო ცენტრი GTC, ტელ.: +995 32 990397
აღმაშენებლის გამზ. 83/23, ტელ.: +995 32 960848.
him her

ათენი

ოჰი, პედი მუ...

ავტორი: არჩილ ქიქოძე
ფოტო: არჩილ ქიქოძე, ცისანა გოდერძიშვილი

– თუ გინდა, რომ ჩვენნაირად იცხოვრო, არ ჩააგდო ფული, არ იყიდო ბილეთი, – მაჩერებს ლევანი და გამზადებულ ხურდას ჯიბეში მაბრუნებინებს. ამ დროს კონტროლიორი არ ამოდის ავტობუსში. ჯერ ადრეა – ბერძნები ზარმაცი ხალხია. უკანა გზაზე ბილეთი უკვე გვჭირდება ხოლმე...

დილის რვის ნახევარია და ლევანთან ერთად ავტობუსით ქალაქგარეთ მისი სამუშაო ადგილის სანახავად მივდივარ. ლევანი დაახლოებით ათი წლის წინ გავიცანი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში, მაშინ ის არასამთავრობო აქტივისტი იყო. იმის მერე არ მენახა, მაგრამ საბერძნეთში შემთხვევით შეხვედრისას უცებ ვიცანით ერთმანეთი და ურთიერთობაც უცებ ავაწყვეთ. ამ გულღია და ძლიერი ადამიანის (დრო იყო, როცა ლევანი ჭიდაობდა და სპორტული მიღწევებიც ჰქონდა) შეყვარება სულ ადვილი აღმოჩნდა. დავმეგობრდით და ლევანმა ჩემი მეგზურობა და არალეგალური ემიგრაციის თავისებურებებში გარკვევა იკისრა, მაგრამ წინასწარ გამაფრთხილა, – ორ და სამ კვირაში შენ ამ ხალხს ვერ გაუგებ, ჩვენი ცხოვრებით უნდა იცხოვრო ცოტა ხანიო.

„შენ ჩვენ ცხოვრებას მაინც ვერ გაიგებ, ორ კვირაში შენ ამ ხალხს ვერ გაუგებ“, – ეს ფრაზა არაერთხელ გავიგონე საბერძნეთში, სადაც ვიზით, თვითმფრინავით ჩამოსულს და, რაც მთავარია, ცოტა ხანში უკან წამსვლელს ისე გიყურებენ, როგორც რაღაც იშვიათობას. „ბედნიერი ხარ, საქართველოში ბრუნდები“, – ამასაც ხშირად გეტყვიან და თითოეული იმასაც დაამატებს, რომ აუცილებლად დაბრუნდება, ოღონდ როდის, ამას ვერავინ იტყვის. „როცა ფეხზე დავდგები ცოტა“, – და ზოგი, უფრო იღბლიანი ან ყოჩაღი, დგება კიდეც, ოღონდ, დაბრუნების ნაცვლად, ცოლი, შვილი, მოყვარე ან დედა ჩამოჰყავს აქეთ და მრავლდება საბერძნეთის ქართველობა.

პირველი, რაც აქ თვალში, უფრო კი ყურში გხვდება, ქართველების სიმრავლეა. თუკი ათენში ქართულ ლაპარაკს ძალიან ხშირად გაიგონებ, მილიონნახევრიან სალონიკში, უბრალოდ, რეალობის შეგრძნებას კარგავ, ყოველ ფეხის

სამსახური

ნაბიჯზე გაგონილი საქართველოს თითქმის ყველა კუთხის კილოკავისგან. მთელი ქუთაისი და ზესტაფონი აქაა, – გეტყვის ქართლელი; მთელი ხაშური, გორი და იგოეთი აქაა, – გეუბნება იმერელი და ორივე დაამატებს, რომ მთელი დუშეთ-თიანეთიც აქაა, რუსთაველი კახეთისკენ იშვერს ხელს და – „იქ თუ დარჩა საერთოდ ვინმე?“ და კიდევ, თურმე კუნძულ კრეტაზე გურულები არიან ბევრი, ოღონდ ისინი მაგრად არიან, დიდი ხნის ჩამოსულები ოჯახებიანად. მე კრეტაზე არ ვყოფილვარ, მაგრამ მიამბეს, – კარგად არიანო. რაც მნიშვნელოვანია, ყველას სახლი აქვს ნაქირავები და საღამოთი, სამუშაოს მერე ოჯახში ბრუნდება (ეს კი იშვიათობაა საბერძნეთში). თურმე, კარგი მოსასმენია იმათი ბავშვების გურული კილო და წყალივით კრეტული დიალექტი...

სამუშაოსკენ მიმავალი ლევანი თითქმის ცარიელ ავტობუსში მაინც ჩურჩულით ლაპარაკობს. ეს უკვე ჩვევაა. ლევანმა დაახლოებით ერთი წლის წინ გადმოლახა თურქეთ-საბერძნეთის საზღვარი ფეხით და მალვით. მისი გადმოსვლა ცალკე ამბავია, ცალკე სიუჟეტი – მესაზღვრის ძაღლების ყეფით, უკუნში უცებ ჩართული პროჟექტორით, დევნით, ერთი დღე-ღამე ჭაობში წოლით და გადარჩენით (სხვათა შორის, ლევანმა იმ ადგილას გადმოკვეთა საზღვარი, სადაც რამდენიმე თვით ადრე ქუთაისელი ბიჭები აფეთქდნენ ნაღმზე). მას საკუთარი აზრი აქვს ემიგრაციის თავისებურებებზე; ამბობს, რომ აღარასოდეს გაკიცხავს იმათ, ვისი გაკიცხვაც საქართველოდან ძალიან ადვილი ეჩვენებოდა, რომ საქართველოში ოჯახის გამოსაკვებად აქ შრომისგან წელშიგამწყდარი ხალხის შემხედვარემ, ძალიან ბევრი რამ შეიტყო ადამიანის და საკუთარი თავის შესახებაც. მაგრამ არის ერთი რამ, რისიც ეშინია, რაც ბევრში არ მოსწონს: „იცი, წლები აცივებს აქ ადამიანებს. მე არ ვერიდები ხოლმე ამის თქმას და კონფლიქტებიც მომსვლია მაგაზე, მაგრამ ჩემ თავსაც ვაკვირდები და მეც იქითკენ მივდივარ, სადაც ესენი, ზოგი უკვე მისულია. გაცივება არის თავისი ოჯახების, ქვეყნის მიმართ. მარტო ერთი ვალდებულება დარჩა – ფულის გაგზავნა, დანარჩენი ვალდებულება, უკვე იმის იქით, იხსნება ამ ადამიანებში, აღარ არსებობს. ამას ვუყურებ და მძიმე საყურებელია. მეშინია, მეც ეგრე არ დამემართოს“...

გაცივებული და უკვე მხოლოდ ნომინალურად არსებული ოჯახები – ამ თემას ბევრი არ ახსენებს, ჩემთანაც კი – ორი კვირით ჩასულ ადამიანთან, რომელთანაც თითქმის ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი და გულახდილობაც საპატიოა. ვიღაცები მაინც ლაპარაკობდნენ, უფრო მეტად კი ქალები, რომელთა სიცოცხლისუნარი-

ქართულ რესორანში, სალონიკი

ანობამ და ამ სიცოცხლის შერჩენილმა ხალისმა უბრალოდ პირი დამაღებინა. მე ვნახე არაერთი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც საკუთარი შვილები და ბევრს ქმრებიც საქართველოში ჰყავს დატოვებული და სხვის შვილებს უვლის მათ გამოსაკვებად და ასე გრძელდება წლების მანძილზე... ვნახე ბებიები, რომლებიც მათზე ოდნავ უფრო მოფახფახებულ ბერძენ ბებიებს და ბაბუებს უვლიან და აღებულ ფულს თითქმის პირწმინდად გზავნიან საქართველოში და ასე წლების მანძილზე... ოღონდ, ქართველი ბებია ათი, რვა ან ხუთი წლის წინ, ჯერ კიდევ ოდნავ ახალგაზრდა და ჯანიანი ხოხვით, სირბილით, მალვით ან ავტობუსის საბარგულში ჩანთაში ჩამალულია საზღვარს გადმოსული. საქართველოდან აქაურობა უფრო სხვანაირი ჩანს – უფრო მიმზიდველი. სამუშაოს პოვნა ხშირად არც ისეთი ადვილია, როგორც ამას ადრე წასული ნათესავები ან თანასოფლელები ჰყვებოდნენ, მაგრამ მაინც ღირს, რადგან თუკი იშოვე სამსახური – „აქედან ერთი თავი იქ ოთხ-ხუთ თავს არჩენს“, იმათ რჩენაში გადის ერთფეროვანი წლები. მერე დგება მომენტი, როდესაც ბებიას, ან ცოლს, ან დედას ეჩვენება რომ საკმარისად იწვალა უკვე და ოჯახთან, შვილებთან, შვილიშვილთან ყოფნა დაიმსახურა, რომ „უკვე ამოუვსო ყველას მუცელი“ და ბრუნდება იმ სითბოსთვის, რომელიც ჰგონია, რომ დაიმსახურა, გამოიმუშავა... მაგრამ შვილი დედას ვეღარ ცნობს – „ქალბატონოს“ ეუბნება, ქმარს სხვა ქალი ჰყავს და მანქანაც, ცოლის გამოგზავნილი ფულით ნაყიდი, შვილი და უკვე წამოზრდილი შვილიშვილიც კი რამდენიმე კვირის მერე ბებიას ფრთხილად შეაპარებს: უკან როდის მიდიხარო? და ისევ იწყება ბებიას ანტიოდისეა ავტობუსით, ფეხით, მალვით, ხანდახან საზღვარზე დაკავებით, ციხით, დეპორტაციით, მერე ისევ ავტობუსის საბარგულით ან ისევ ფეხით და ბებიას უკვე აღარა აქვს იმდენი ჯანი, მაგრამ მაინც გასაოცარი, ჩემთვის გაუგებარი სიჯიუტით მიილტვის ქვეყნისკენ, სადაც თუკი გაგიმართლა და მთლად მძიმე მოხუცი შეგხვდა მოსავლელად, შეიძლება 800-850 ევროც მოგცენ თვეში. აქედან 100 ევრო (იშვიათად 150) საკუთარ მოთხოვნილებებს ხმარდება (ჩამოფასებული ან მეორადი ტანსაცმელი – „ხუთ ევროზე ძვირიანი არაფერი არ მაცვია“, ჭამა კვირაობით, როდესაც მომვლელ და მოსამსახურე ქალებს უქმე დღე აქვთ და ომონიის (ათენში) ან არისტოტელეს მოედანზე (სალონიკში) იკრიბებიან სხვა თანამემამულეებთან შესახვედრად და კიდევ „ტელეფონის კარტა“ მონატრებულ შვილებთან და შვილიშვილებთან სალაპარაკოდ), დანარჩენი ისევ საქართველოში იგზავნება. და ამ ყველაფერთან ერთად ქართველ მიგრანტებს მტკიცედ სჯერ-

საუბარი სამშობლოსთან

ქართველები თევზის ბაზარში

ათ, რომ ისინი არა მხოლოდ საკუთარ ოჯახებს, არამედ ქვეყანას კვებავენ, რომ საბერძნეთიდან და სხვა ქვეყნებიდან გაგზავნილი ფული ტრიალებს საქართველოში, ისინი კი ყველასაგან დავიწყებულები არიან – ვითომც არ არსებობენ...

– სახეზე ყველას ვცნობ, ვინც ამ ავტობუსით ამ დროს დადის, – მეუბნება ლევანი და იქვე მჯდარ გოგოზე მანიშნებს, – აი, ეს გოგო ყოველთვის ამ სკამზე ზის და ყოველთვის მარტო. ბიჭები მეუბნებიან: შენ გინახავს ადგილსო. მაგის ენა მე არ ვიცი და მაგან – ჩემი, ასე ვუცქერთ ყოველდღე ერთმანეთს. ეგ სამ გაჩერებაში ჩავა...

მეღიმება და საბერძნეთში ყოფნისას უკვე მერამდენედ მახსენდება შვეიცარიაში იტალიელ მიგრანტთა ყოფაზე გადაღებული ძველი ფილმი „პური და შოკოლადი.“ ეგ ფილმიც ეგეთია, ხანდახან რო გაგელიმება, მაგრამ მეტი წილი ძალიან სევდიანია. ქალაქი უკვე შორს მოვიტოვეთ და უკვე სულ დაცარიელებულ დილის ავტობუსში ლევანი მიყვება, როგორ სწავლობდა აქაურების მიმიკას და მიხვრა-მოხვრას, რომ არალეგალთა მადევარ პოლიციას მასში უცხო არ ამოეცნო. „ამათ აი, ასე იციან, ლაპარაკის დროს წარბების აწევა, – და მანახებს, – ტუჩებსაც რაღაცნაირად ბზიკავენ. ესენი პირჯვარსაც სხვანაირად იწერენ“, – სწრაფად და თითქოს მალვით იწერს პირჯვარს, – თურქების დასამალად ვიწერდით ეგრეო. ამას წინათ, კვირა დილა იყო, გარეთ ვიყავი გამოსული და გვიან დავინახე, ჯიპში ისხდნენ. აი, შენ წარმოიდგინე, რო მიყურებს თვალებში და უკვე კარს აღებს, რო დამიძახოს ან მოვიდეს და ამ დროს დარეკა ეკლესიის ზარმა და ამათნაირად რო გადავიწერე პირჯვარი, ტიპს უკვე ფეხი ჰქონდა გადმოყოფილი და უკან შეყო და მიიხურა მანქანის კარი“...

ლევანის წყალობით მე ბევრად მეტი შევიტყვე აქაურთა ყოფის შესახებ, ვიდრე მარტო შევძლებდი. გავეცანი ქართველებს, რომლებიც მასთან ერთად ქირაობდნენ დიდ, მაგრამ მოუწყობელ ბინას ქალაქის ცენტრში, ვიარე ქალაქის ქუჩებში და მოვინახულე ქართველთა შეკრების ადგილები, ტოტალიზატორები, ქართული რესტორნები, მოედნები, სადაც თანამემამულეები ერთმანეთს ხვდებოდნენ თავისუფალ დროს, მაგრამ შეიძლება მართალიც იყო ლევანიც და სხვებიც, როცა მეუბნებოდნენ, – ბოლომდე ჩვენსას ვერ გაიგებო, – თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი და მათი სტატუსი და, შესაბამისად, თავისუფლების ხარისხიც თვალსაცემად განსხვავებული იყო. პოლიციელების გამოჩენაზე, რომელთაც, როგორც ჩემმა მეგზურმა მითხრა, უკვე გამოხედვით სცნობდა, ლევანი აუცილებლად უნდა გაქცეულიყო, მე კი ვიზაჩარტყმული პასპორტი მედო ჯიბეში და არანაირი ხიფათი არ მემუქრებოდა.



ქართული კულტურის ცენტრი, ათენი

თუკი პოლიცია ვინმეს იჭერს, ამის შესახებ ყველა იგებს, თუნდაც არ იცნობდეს დაპატიმრებულს. წინა საღამოსაც, როდესაც ლევანთან და მის თანამობინადრეებთან ერთად საქართველოდან გამოგზავნილ ჭაჭას ვსვამდით, ქუთაისელმა ქალბატონმა, რომელიც ამ ბინის მაცხოვრებელი ერთადერთი ქალი და დიასახლისი იყო, აბავი მოიტანა: „დღეს გოგო დაუჭერიათ და მანქანიდან გაქცევია პოლიციელებს, მერე ბაზარში შევარდნილა ის უბედური და იქ უკვე ხალხს დაუჭერია – ქურდი ჰგონებიათ“. „აქ ეგრეა, ძმაო, – ფილოსოფიურად მეუბნება ერთ-ერთი არალეგალი, – აქ როცა პოლიცია მოგდევს, ხალხი გიჭერს“...

ერთ კვირაში კი, როდესაც ათენი-თბილისის თვითმფრინავში ჩავჯდები, ჩემი თვალით ვნახავ, დაპატიმრებულ და ქვეყნიდან გამოგდებულ ხალხს. ხუთ მამაკაცს და ერთ ქალს ქართული საკონსულოს თანამშრომლების თანდასწრებით ჩასვამენ თვითმფრინავში, ხელბორკილებს ახსნიან და სამშობლოს გზას გაუყენებენ... ყველანი სულ ბოლო რიგში სხედან ჩუმად და მხოლოდ ერთი, ილუმინატორთან მჯდარი წვერიანი, – ვერაფრით ისვენებს და სულ ბერძნებს აგინებს, უჯიშოებს ეძახის. საბერძნეთში ცოლი და თოთო შვილი ჰყავს დარჩენილი...

– მოვედით, – მეუბნება ლევანი და ავტობუსიდან ჩავდივართ ლამის ტრიალ მინდორზე, – ესე უფრო მოკლეა. ლევანი ღობეში ძვრება, მეც უკან მივყვები. მერე დიდი, ერთსართულიანი შენობისკენ მივუყვებით ბილიკს. ეს ლევანის სამსახურია – კუბოების საამქრო, სადაც მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ქართველი მუშაობს.

ლევანი, რომელიც საქართველოში თავის სამსახურიდან ჯერ კიდევ ერთწლიან შვებულებაში იმყოფება და რომელსაც დურგლობასთან და, მით უმეტეს, კუბოს კეთებასთან, შეხება არასდროს ჰქონია, მაინც თვლის, რომ გაუმართლა. ეკონომიკურმა კრიზისმა მშენებლობების უმეტესობა გააჩერა და ქართველ მამაკაცთა უდიდესი ნაწილი უმუშევრად დატოვა (სწორედ ამის მერე განსაკუთრებით გაიზარდა კრიმინალი ქართველ მიგრანტთა შორის), თანაც მშენებლობებზე პანტაპუნტით შავდება და სახიჩრდება ხალხი (ჩემი საბერძნეთში ყოფნის დროსაც ერთ-ერთ ქართველს დაეცა ბეტონის ფილა და წელს ქვევით მოწყვიტა – ეს ამბავიც, როგორც ყველა სხვა მსგავსი, წამში მოედო მთელ ლეგალურ და არალეგალურ დიასპორას), სასოფლო სამუშაოები კი მხოლოდ სეზონურია და ისიც ძალიან მძიმე. მართალია, ლევანი ამბობს, რომ ნელ-ნელა თვალთ აკლდება და ახალგაღვიძებულს თხუთმეტი წუთი საგნების გარჩევაც უჭირს (ამას ქიმიურ მტვერს აბრალებს), მაგრამ მაინც მისი სამუშაო სხვებს სჯობია და, რაც მთავარია,

პოლიციის რეიდი ომონიაზე. ათენი

სტაბილურია, რადგან ხალხი იბადება და იხოცება და ამას ვერანაირი ეკონომიკური კრიზისი ვერ შეცვლის. „თავიდან ჭირს, თორე ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. პირველად რო ბავშვის კუბო გავაკეთე, ცუდად გავხდი, მეთქი – ამას რას ვაკეთებ?!“ სხვათა შორის, ლევანი მაქსიმალურად ცდილობს, რომ სიტყვა „კუბო“ ნაკლებად ახსენოს და უფრო „ნივთს“ უწოდებს.

ლევანის დამქირავებელმა, როგორც ბევრმა სხვამ, ვის მშენებლობებზეც, ტავერნებში თუ კაფეებშიც მუშაობენ ქართველი მიგრანტები, მშვენივრად იცის, რომ არალეგალს აძლევს სამუშაოს. „რო გაუგონ, პრობლემა როგორ არ შეექმნება, მაგრამ აქ გამაზულია ყველაფერი. ამათ ყველგან თავისი ხალხი ჰყავთ. ვთქვათ, მოდის კომისია, წინა დღეს ვიღაცა აუცილებლად დაურეკავს და გააფრთხილებს, რო ხვალ შენთან მოდიან. ესეც იმ დღეს დაგვითხოვს და არ გამოგვაჩენს. არალეგალი მუშა ორჯერ იაფი ჯდება. დღიური ჯამაგირიც ერთი მესამედით ნაკლებია, ვიდრე ადგილობრივისთვის და „ენსიმოს“ სადაზღვევო გადასახადსაც აღარ იხდის – უღირს“.

მართლა უცნაურია საბერძნეთში ქართველ არალეგალთა ლეგალური ყოფა. საბერძნეთი არის ქვეყანა, სადაც თითქმის ყველა ელიტურ ოჯახში, მთავრობის თითქმის ყველა წევრის ოჯახში არალეგალი ქართველი მოსამსახურე ქალი მუშაობს. თავის დროზე ჩვენმა ქალებმა ამ ბიზნესიდან ფილიპინელები გააძევეს. მე მიამბეს, რომ ამას წინათ ერთ-ერთი ბერძნული მემარცხენე პარტიის ლიდერს არალეგალური მიგრაციის თემაზე საჯარო განხილვისას გამოუცხადებია კიდეც: გულზე ხელი დავიდოთ, რომ სახლებში ყველას არალეგალი მოსამსახურეები გვყავსო. ათენში მე შევხვდი ქალბატონს, რომელიც ერთი წლის წინ ახლანდელი პრემიერ-მინისტრის პაპანდრეოს ოჯახში გასაუბრებაზე იყო ნამყოფი. „ხელფასზე ვერ მოვრიგდით, თორემ ისეთი კარგი ქალი იყო იმისი ცოლი, თვალზე ცრემლიც მოადგა, როცა მოვუყევი, რა გაჭირვებით და წვალებით ჩამოვედი საბერძნეთამდეო“... ძალიან საინტერესო და უცნაური მოსასმენი იყო, როდესაც ათენის და სალონიკის ელიტურ უბნებში – პალეო ფსიხიკოში და პანორამაში – მომუშავე თიანელი ან ახალგორელი ქალბატონები იქაურ ელიტურ ჭორებს ჰყვებოდნენ ან ტელევიზორში გამოჩენილ პოლიტიკოსზე და თუნდაც წამყვანზე ამბობდნენ: ეს ჩვენი მეზობელია, ეს სკოლაში ოროსანი იყო და სულ კლასში რჩებოდა... ერთ ახალგაზრდა ქალს შეეშალა კიდეც და გადაცემის წამყვანზე თქვა: ეს ჩვენთან ცხოვრობს წყალტუბოშიო... ეს ის მომენტი იყო „პური და შოკოლადიდან“, სადაც შეიძლება გაგეღიმოს, მაგრამ სულ ცოტა ხნით.

>>> გაგრძელება გვ. 94

სადო-მაზო-თაზო

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი, დავით მესხი, რიტა ფილიპოვა

შუაღამისას, როცა მერიის საათი თორმეტს ჩამოკრავს და თბილისში სულების ჟამი დგება, თაზაზელოს ტერფები შიგნით უტრიალდება. ის კუდს ატკაცუნებს და ყვირის: „ვურდალაკებო, ჩემკენ!“ და ისინიც მოდიან: ახალგაზრდები და არც ისე, ძალიან ლამაზები და ფრიად უშნოები, ჭკვიანები და შტერები.

თაზაზელოს ირგვლივ წარმოუდგენელი ხალხი იყრის თავს, და თაზომ თუ პირი დააღო, – ХЫК! დიდი ცეცხლი გამოვარდება და ამ სახელმწიფოში კანონი ლუსტრაციის შესახებ სულ აღარ იქნება საჭირო.

მაგრამ თაზო არ ლაპარაკობს. არა, ვერ ჩამოვაყალიბე: თაზო სულ ლაპარაკობს, თან ისეთს, მსმენელი რომ ვერასოდეს მიხვდება, საიდან სად შეუხვია – რა ამოხსნის თაზაზელოს ტვინის ენიგმებს... უბრალოდ, მას არ ახასიათებს საკუთარი ბრძენი თავის შესახებ მოყოლა, პრობლემების გაზიარება და ის, რასაც სულ მდაბიურად, ჭორაობა ჰქვია. აფსუსიც კია: რა არ იქნება თაზოს მეხსიერების საიდუმლო კუნჭულებში მიმალული!

სამაგიეროდ, როგორ ისმენს! და რას აღარ! რამდენადაც ვხვდები, მხოლოდ სამი თემაა, რომლის მასთან განხილვაც არ ღირს: ბირთვული ფიზიკა, ფეხბურთი და პოლიტიკა. არ ღირს მისთვის რამის ქადაგება – აზრი არა აქვს, მხოლოდ გააღიზიანებთ და თავს დაგესხმებათ, და ივრითის მცოდნისა და თეოლოგიაში ზედმეტად გარკვეულის თავდასხმა, დამიჯერეთ, ძალიან უსიამოვნოა. დანარჩენი – რაც გენებოთ. მთავარია, სათანადო დრო და ადგილი შეარჩიოთ: ნაშუაღამევს, ღამის დაწესებულებაში, სადაც თაზოს ოფიციალურად ხან რა ჰქვია, ხან – რა, სინამდვილეში კი ფუძის ანგელოზის მისია აკისრია. ან ფუძის თაზაზელოსი – როგორც გენებოთ.

. . .

თაზოს წარმოშობის ამბავი ძალიან რთულია, თუმცა გამჭვირვალე. თამაზ დავარაშვილის ძარღვებში უამრავი სისხლია არეული, სხვადასხვა ეროვნება და სხვადასხვა კლასი, განმანათლებელი ებრაელები და სომეხი არისტოკრატები, დიდ-დიდი ქართველი თავადიშვილები და თავგადაკლული კომუნისტები.

– გადავარდა! – შესძახოდა ბაბუა ბებიას, – რა ხანია, ბატონყმობა გადავარდა!

ვისთვის – როგორ. ბებია ბოლომდე თავადის ქალად დარჩა: მუდამ ლამაზად ჩაცმული, წელში ამაყად გამართული ბებო ყველაფერს წარმართავდა, ყველაფერს განაგებდა და საშინლად ნაწყენი იყო, რომ მის შვილიშვილს ათას, მისი აზრით, ვიგინდარასთან ჰქონდა საქმე და ყველა, მისი აზრით, მდაბიოს თავს უყადრებდა. თაზო კი იფიცება, – ბებიაჩემის „მავნე“ გავლენას თავი დავაღწიეო, – მაგრამ აბა, რა გითხრათ...

– არ მიყვარს, როცა ვისვრები, – და კატასავით იფერთხავს ხელებს, ცოტა ეზიზღება.

– ვისწავლე, როგორც იქნა, და აღარავის ვპატიობ, – აცხადებს ამაყად, და უმალვე მახსენდება: „ბებიაჩემმა პატიება არ იცოდა“.

– რა ვქნა, ძალიან გოიმია, ან! – აჰა! ესეც მე ვარ?!

ისე, ბებიაცაა და ბებიაც. აი, თაზოს მეგობარს, რ.-ს, ერთობ სასიამოვნო კაცს, ჩეჩენი ბებია ჰყოლია. ბებია ხომ ყველა საყვარელია, და ესეც საყვარელი ბებო იყო. მერე რა, რომ სრულიად ბნელი ბრძანდებოდა, მერე რა, რომ ჯოხარ დუდაევი წმინდანად მიაჩნდა...

– ეგ რადა, კაცო?

იმიტომ, რომ ტელევიზორში როცა აჩვენებდნენ ხოლმე, ბებიამ შენიშნა: კარი მის წინაშე თვითონ იღებოდა. წარმოგიდგენია?

მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარია, რომ რ.-მ სამსახური იშოვა და ბებიას ახარა, რომ ასეთი კარგი საქმე დაიწყო.

– და რამდენს გიხდიან? – ჰკითხა ბებიამ.

რ.-მ ამაყად უთხრა, ამდენს და ამდენსო. ბებიას სახის გამომეტყველება შეეცვალა, ოღონდ ეს ის არ იყო, რაც რ.-ს ეგონა.

– შენ ხომ ბელატლონისტი იყავი? – ჰკითხა ბებიამ.

– კი.

– რაღაც პრიზებიც გქონდა...

– კი.

– ესე იგი, სირბილიც მაგრად შეგიძლია და სროლაც?

რ.-მ კვლავ თავი დაუქნია. და მაშინ ბებიამ დაიწყო: რომ ჩვენები თვეში ამდენს ისედაც მოგცემდნენ, და თითო ჯარისკაცში კიდევ ერთი ამდენს დაგიმატებდნენ, და თუ მართლა კარგად დარბიხარ და ისვრი, მაშინ ვინმე მაღალჩინოსანსაც ხომ დააგორებ, და ის იცი, რამდენი ღირს?

ვაი შენს რ.-ს...

არადა, ისეთი კარგი, თბილი ბებო ყოფილა, დაადგეს ნათელი.

რა გულდასაწყვეტია, რომ თაზოს მრავალ, სულ სხვადასხვანაირ ბებიას არ ვიცნობდი!

– ანტისელა-ჭერამელა! – გასძახოდა იმერელი დიდი დიდედა მეზობლის ხალებიან ქალს, – შენ გეცა კიბო ხორხაში!

ეცა, ეცა საბრალო ანტისელას: მრავალი წლის მერე, მაგრამ მაინც ყელის კიბომ შეიწირა. რაო, თაზაზელ, კუდიანობა გენეტიკურად მოგდგამთ?

თაზო მხოლოდ იცინის, მერე თეატრალური ჟესტით იზელს საფეთქლებს: „დამტოვე! დავიღალე...“

თაზო, სატანისტ-ჰუმანისტი.





მაგრამ თაზო არ ლაპარაკობს. არა, ვერ ჩამოვაყალიბე: თაზო სულ ლაპარაკობს, თან ისეთს, მსმენელი რომ ვერასოდეს მიხვდება, საიდან სად შეუხვია – რა ამოხსნის თაზაზელოს ტვინის ენიგმებს...

– კარგად გამოუვიდა, – ჰყვებოდა ერთ მეგობარზე, – კინაღამ ვუთხარი, ყოჩაღ-მეთქი, მაგრამ დროზე ვიკბინე ენაზე: მერე „ობრაზს“ რა ვუყო?

ძნელი სათქმელია, მიზანთროპია მართლა „ობრაზია“ თუ ობიექტური რეალობა. ერთი კია: თაზო უყვარს ყველა ბავშვს და ყველა ძაღლს, მათზე კი მსმენია, – ადამიანებში ყველაზე კარგად ერკვევიანო. პირველებს თაზო არ სწყალობს და ქ-ნ ფაინას სიტყვებით იშორებს: Дети, пошли в жопу! მაგრამ ყველანაირი მხეცუკა თაზოს დიდი სიყვარულია.

როტვეილერი ჟოლი, გარეგნულად – ბასკერვილების ძაღლის გარე ბიძაშვილი, გულით – პუდელი არტემონი, სოლოლაკში სასეირნოდ მხოლოდ თაზოს იმედით გამოდიოდა: „ხომ არ მიმატოვებ, თაზაზელო?“ მაგრამ შორს, ნაგვის ყუთთან მოღავღავე ძუკნას დანახვაზე მაინც წახდა, ჩაჯდა და აკანკალდა.

– ჟოლი, შენ როტვეილერი ხარ, – უხსნიდა თაზო.

შენც არ მომიკვდე. „ხომ არ მიმატოვებ, თაზაზელო?“

და თუკი დედები თავიანთ მემკვიდრეებს უცხო ძიას არ ატანენ, ქუჩის ძაღლებს ამაში ხელს არავინ უშლით, და ასე მიაბიჯებს ხოლმე ღამის თბილისში უცნაური პროცესია: ძაღლთა ღმერთი თაზო და მის გარშემო – უამრავი საშიში თუ სასაცილოდ მახინჯი ქუჩის ძაღლი...

– მაგრამ ყველა ძაღლი ძაღლი როდია, – დააზუსტა თაზომ და კისლოვოდსკელი დრუჟოკის ამბავს მოჰყვა. მეგობარიც ასეთი უნდა!

...იმხანად, როცა ამხანაგმა სტალინმა „ბრალეული ერის“ ცნება შემოიტანა, ჩრდილოეთ კავკასიაში რაჭველებიც ჩაასახლეს, და ასე გამოვიდა, რომ თაზოს მეგობარ მარიანას იქ, საკურორტო ზონაში, შესანიშნავი სახლი ჰქონდა. ყველაფერი კარგი იყო, დრუჟოკის გარდა.

დრუჟოკი იყო პატარა, უშნო, მავნე და ძალიან ჭკვიანი ძაღლი. დრუჟოკმა თავისიანის და უცხოს გარჩევა არ იცოდა, ის ყველას კბენდა, ერთადერთი ბიჭის, თავისი უშუალო პატრონის გარდა, რომელიც არანაკლებ მავნე

მთლად შურის ამბავი არაა, მაგრამ თუ ვინმე ოდნავ მაინც ექსტრემის მოყვარულია, აუცილებლად მოინდომებდა ამ გზის გავლას. მერე რა, რომ ინდოეთში თაზო, ცხადია, სასტიკად მოიწამლა. მერე რა, რომ მაიმუნებთან ბრძოლები გადახდა. მერე რა, რომ ვარანასიში სულ გული უსკდებოდა, რამე სენი მაინც დამეტაკება და ჩემს ნეშტს აქვე, განგის ნაპირას დაწვავენო...

ზნით გამოირჩეოდა. როცა სტუმრები მოდიოდნენ, დრუჟოკს ცალკე ოთახში კეტავდნენ, მაგრამ ბიჭი კარს უჩუმრად აღებდა და დრუჟოკიც ჩუმად – როგორც მოგახსენეთ, ძალიან ჭკვიანი იყო და ყეფა და ზედმეტი ხმაური არ სჩვეოდა – მორიგ მსხვერპლთან მიიპარებოდა და კბენდა ხოლმე. ისე კი არა, ნაზად, არა, ასისხლიანებდა. ასე გამოჭამა მან რბილი ნაწილი ახლობლის საცოლეს, ასე დაუღრღნა კოჭები ყველას, ვინც სადმე შეხტომა ვერ მოასწრო. დრუჟოკი, კოშმარი.

ერთხელაც ტყე-პარკში დრუჟოკი ექსკურსიას გადაეყარა — და დაკბინა. მთელი ექსკურსია დაკბინა, დიდი და პატარა: მასწავლებლები, ექსკურსიამძღოლები, პიონერხელმძღვანელები.

– მერე?

არაფერი. ახლა რა ბედშია დრუჟოკი, არავინ იცის, ალბათ ისევ დარბის სტავროპოლის ოლქში და შიშის ზარს სცემს დიდს და პატარას.

დღეს იქ მარიანაც ვეღარ ჩადის, არამცთუ თაზო: სავიზო რეჟიმი და უბედურება. მარიანა ძალიან ჩივის, თაზო – არა.

საერთოდ, თაზო არ ჩივის. მაშინაც არ უჩივლია, როცა ქვეყანა დაინგრა, როცა ინსტიტუტში მისასვლელად მრავალი კილომეტრის ფეხით გავლა უწევდა, როცა სათუო იყო, შერჩებოდა თვალისჩინი თუ არა. როცა ძალიან გაჭირდა, თაზომ თავს უშველა:

– წამალი გამოვიწერე. მე თვითონ. ვყლაპავდი და სულ არაფერი მადარდებდა. მართალია, არც მიხაროდა...

– ნარკოტიკი?

– არა, რა სისულელეა, – ეცინება თაზოს, – არა. გიჟების წამალია, აფთიაქებში იყიდება. არაფერი სასიამოვნო არაა, უბრალოდ თიშავს.

– მერე?

– მერე შევეშვი. ყველაფერს ადვილად ვანებებ ხოლმე თავს...

ეგეც მართალია. თაზო ადვილად ამბობს უარს, ჩანს, კარგად აქვს ათვისებული ბუდას პირველი გაკვეთილი: „ისწავლე უარის თქმა“. გაბრუებულგათიშული თაზოც ძნელი წარმოსადგენია. ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ წლების განმავლობაში სასმელთან მოტრიალე, კოქტეილებით განთქმული კაცი, პრაქტიკულად, არ სვამს, და თუ სვამს – რა ვიცი, მე ძნელად ვხვდები ხოლმე. მართალია, ერთხელ მივხვდი, თან როგორ!

მეგობარმა დაბადების დღეზე ლამაზი ქალი მოიყვანა: ქერათმიანი, მოღიმარი, ელეგანტური. ქალი გაბრიყვდა და თქვა – ვინ ექაჩებოდა! – რომ რამდენიც არ უნდა დალიოს, არ თვრება, და თაზოს სთხოვა, – რამე ისეთი, განსაკუთრებული მომიტანეო. შედეგმა არ დააყოვნა. ქალი, პრაქტიკულად, წაიშალა.

– ამისთანა რა დაალევინე?

– შტრო, – გაიბადრა თაზო, – თავის ცეცხლებიან-ორთქლებიან-შესუნთქვიანად!

ძალიან კმაყოფილი იყო, სიამოვნებისგან სულ ზურგზე მოკოტრიალე კატას ჰგავდა. მერე წამოწოლილ ქალს გვერდით მიუჯდა, დააცქერდა და, გარშემომყოფთა გულის გასახეთქად, ძალიან სერიოზულად უკბინა გაბზეკილ, შავი აბრეშუმით დაფარულ ტაკოზე: „ვურდალაკებო, ჩემკენ!“ თაზოს ჩაკბეჩილს კი კამჩატკაზეც იცნობს კაცი: ყველა კბილი საკუთარი, ჯანმრთელი აქვს და ერთი ეშვი ცერად ეზრდება. ეჰეი, თაზაზელო!

– მართლა? რა სირცხვილია, – შეიცხადა მეორე დღეს, როცა დიდი დაკბენის აქციის მოწმეებმა დიდი დაცინვით დასცინეს. შეიცხადა, მაგრამ მეტისმეტად კმაყოფილს უბრჭყვიალებდა თვალები.

თაზო პატარა სიხარულების კაცია. მისი გახარება იოლი საქმეა. თაზოს უხარია, თუ გამოძინებულმა გაიღვიძა და არაფერი სტკივა; თაზოს უხარია, რომ საჭმელი გემრიელია; თაზოს უხარია, როცა რამეს სჩუქნიან, თუნდაც სულელურს, მაგრამ გულით. ასეთი სისულელეებით აქვს აჩონჩხლილი გასაღებების აცმა, და გულზეც ყველაფერი ჰკიდია: შიიტური გემა, ტიბეტური მალა, როგორც მისი ერთი მეგობარი იტყოდა, ყველა და ყველაფერი.

ამავე მეგობარმა განაცხადა, რომ თაზომ მოგზაურობა მოპარა. ეგ როგორ? როგორ და მას, ალექსანდრეს უნდოდა ირანში, პაკისტანსა და ინდოეთში მოგზაურობა, მას უნდა მოევლო ფეხით წმინდა ქალაქები და მთიანი სოფლები – და აჰა, თაზო წავიდა!

– შენ მთელი ცხოვრება გშურდა ჩემი, – პასუხობს თაზო, – შური დაგაბერებს.

მთლად შურის ამბავი არაა, მაგრამ თუ ვინმე ოდნავ მაინც ექსტრემის მოყვარულია, აუცილებლად მოინდომებდა ამ გზის გავლას. მერე რა, რომ ინდოეთში თაზო, ცხადია, სასტიკად მოიწამლა. მერე რა, რომ მაიმუნებთან ბრძოლები გადახდა. მერე რა, რომ ვარანასიში სულ გული უსკდებოდა, რამე სენი მაინც დამეტაკება და ჩემს ნეშტს აქვე, განგის ნაპირას დაწვავენო... ესეც ხომ ზღვარია, რომელზე გავლაც თაზოს ძალიან მოსწონს მიწისქვეშა გამოქვაბულებში ძრომისას, ჯომარდობის თუ ფრენის დროს – ზღვარი, რომელიც ყველაზე დიდი სიხარულია, ყველაზე დიდი სიამოვნება...

– სადო-მაზო-თაზო, – განაცხადა დედოფალმა.

– ძალიან სახიფათო დედოფალი ხარ, – უთხრა თაზომ.

– ვიცი... – მიუგო დედოფალმა და მომხიბვლელად გაუღიმა.

ეს დიალოგი ღამით შედგა, ნაშუაღამევს, იმ დროს, როცა ქუჩებში მაქციები გამოდიან...

>>> გაგრძელება გვ. 95

მოთქმა თავ-ბოლო ერთი

გიორგი კეკელიძე

ავტორი: დავით გაბუნია
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

პოეტია, ახალგაზრდა ლაურეატი-პოეტი. 25 წლისაა და ძალიან აღიზიანებს, როცა „ახალგაზრდა პოეტად“ მოიხსენიებენ. ნამდვილად არის რაღაც გამაღიზიანებელი ასეთ ფორმულირებაში, მაგრამ რას ვიზამთ, მართლა ახალგაზრდაა და მართლა პოეტი. ეს ორი ფაქტი უტყუარია. დანარჩენი კი მითია, რომელსაც, როგორც გიორგი ამბობს, ჯერ გაუთავებლად ქმნის თვითონ და მერე ცდილობს, წარმატებით გაყიდოს. თუმცა, კი წუწუნებს, – „გაყიდვის არეალი“ არც ისე ფართოაო, – მაგრამ თან ამტკიცებს, – წუწუნი და მოთქმა არ მიყვარს, ჩემი სტილი არ არისო. გიორგის უსმენ და ცდილობ დაიჯერო, რომ ამბიცია, რომელიც ქართულ კონტექსტში ლამის სალანძღავ სიტყვად ითვლება, თურმე არც ისე ცუდი რამაა. მე პირადად არც მოთქმა-წუწუნში ვხედავ რაიმე საჩოთიროს, ასე რომ, ყველაფერს, რაც გიორგიმ მიამბო, პირობითად „მოთქმებად“ დავყოფ. მანამდე კი, ოთხი ფაქტი შესავლის ნაცვლად:

1. უყვარს ფეხბურთი და თან იმდენად, რომ ლამის ზოდიაქოს ნიშნად აქვს „მანჩესტერ იუნაიტედი“ – თუ გუნდი წააგებს, კვირა დაღუპულია, საქმეები ცუდად მიდის და პირიქით. ეს იმ კატეგორიის ცრურწმენაა, რომელზეც რაციონალურად დაფიქრებისას ეცინება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მაფრთხილებს, ბოლო თამაში „მანჩესტერმა“ „ასტონ ვილასთან“ წააგო და ფრთხილად იყავი, ინტერვიუ ცუდი გამოვაო.

2. ადრეც უმუშავია და ახლაც მუშაობს ციხეებში – ჯერ რუსთავის №1 კოლონიაში, ზრდასრულ პატიმრებთან, ახლა კი მოზარდებთან. პროფესიით ფილოლოგი ასწავლის ლიტერატურას და მიაჩნია, რომ ციხეებში მუშაობის გამოცდილება მისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი რამაა, რაც კი ცხოვრებაში გაუკეთებია.

3. მეგობრებთან ერთად დააფუძნა და დღემდე მართავს ქართულ ელექტრონულ ბიბლიოთეკას www.lib.ge, რომელიც სულ უფრო მზარდი პოპულარობით სარგებლობს. ამ საქმეში ფული არ ყრია, მაგრამ კეთილი საქმეა და სიამოვნებს. თუმცაკი, ბოლომდე კმაყოფილი არ არის მიღწეული შედეგით და არც იმაზე იტყოდა უარს, ვინმე კეთილი სპონსორი თუ წააშველებდა ბიბლიოთეკის განვითარებას ხელს.

4. ამბობს, ვინმემ ძალიან ბევრი ფული რომ შემომთავაზოს, ამწუთას უარს ვიტყოდი პოეტობაზე და პირობას დავდებდი, რომ ლექსს არასოდეს დავწერდიო (თანხის დასახელებისგან შეგნებულად ვიკავებ თავს; დაინტერესებულებმა, თუკი ასეთები გამოჩნდებიან, თავად გაარკვიონ თანხაც და განაცხადის სერიოზულობაც).

მოთქმა ოდებსა და ხის სახლებზე

2009 წლის ივნისში, საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში მისმა კრებულმა „ოდები“, საქართველოში (ჯერჯერობით) ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია, „საბა” დაიმსახურა (პრიზი კიდევ ერთ დებიუტანტ პოეტთან და თან თავის მეგობარ დიანა ანფიმიადისთან გაუყვეს). ერთ-ერთ ქართულ ონლაინ საინფორმაციო საგენტოს საოცარი შეცდომა მოუვიდა ამ ფაქტთან დაკავშირებით: დაჯილდოების ცერემონიის შესახებ სტატიის ინგლისურ თარგმანში ეწერა, რომ გიორგი კეკელიძემ „საბა“ დაიმსახურა კრებულისთვის Wooden Houses. (ხის სახლები, ინგლ.) როგორც ჩანს, ქართველი პოეტის, მით უმეტეს – გურულის, გაიგივება კლასიკურ ბერძნულ სახოტბო ლექსთან გაცილებით რთული აღმოჩნდა რიგითი ჟურნალისტისთვის და სათაურში გამოტანილი სიტყვა გურულ ოდებს დაუკავშირა. კარგი საბაბია გურიაში გატარებული ბავშვობის გასახსენებლად:

„დავიბადე 1984 წელს ქალაქად წოდებულ ოზურგეთში, ამ წუთას ქალაქი აღარ არის, მაშინ ქალაქი იყო – მახარაძე. ლეგენდების თანახმად, რაღაი მითური უნდა იყოს ჩვენი საუბარი, პირველი ლექსი დავწერე 3 წლისამ, თუმცა ძალიან ეჭვი მეპარება, რომ ბებიაჩემის დაწერილია. მეპარებოდა, და ახლა დარწმუნებული ვარ. ორ მამიდაჩემს და ერთ ბიძაჩემს თუ ხალხად ჩავთვლით, სახალხო მთქმელი გამოვდივარ, რადგან 3 წლისამ წერა ჯერ არ ვიცოდი. აი, ლექსიც:

„ჭრიჭინა და წვიმა მიყვარს,
ქარია და ქარი.
ბავშვებო, არ გამოხვიდეთ,
არ გააღოთ კარი“.

ეს ერთადერთი საკუთარი (?) ლექსია, რომელიც გიორგიმ უშეცდომოდ იცის ზეპირად. დანარჩენების გახსენება გამიჭირდება, ყოველ შემთხვევაში, ისე არ ვიცი, რომ საღამოებზე ხმამაღლა წავიკითხო, თუმცა, ინტიმურ გარემოში, მაგალითად, ლოგინში ყველაზე კარგად მახსოვს ჩემი ლექსებიო. არადა, მასაც ეუბნებოდნენ მთელი ბავშვობა, – პოეტი აბა, რა პოეტია, თავისი ლექსები ზეპირად თუ არ იცისო. პოეზიასთან პირველი შეხება ადრეულ ბავშვობაში:

„პირველი ლექსი, რაც ვისწავლე, თუ არ ვცდები, უნდა ყოფილიყო მურმან ლებანიძის „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. მეორე ალბათ იყო „შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“

ისტორია

მუხრან მაჭავარიანის, მესამე ალბათ ანა კალანდაძის „მოდიოდა ნინო მთებით“ (კინაღამ პირიქით ვთქვი, წმინდა ნინოს „მოდიოდა ანა მთებით“). ჩემი მშობლები მე ამას მასწავლიდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ეს იყო პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, მაგრამ ისინი სხვა რამესაც მასწავლიდნენ, რომლის ანალიზიც გაცილებით გვიან მოვახდინე და ვთქვი, რომ ეს არ არის კარგი და გადავირჩიე რაღაცები, თუმცა ნაწილი მათი ბუნებრივია „დავიტოვე“.“

გიორგის, ჩემგან განსხვავებით, არ ეჩვენება ტრაგიკულად ბავშვებისთვის პოეზიის სწავლების დეკლამაციურ-პათეტიკური სტილი. ვიხსენებ საკუთარ მაგალითს, როგორ შემაძულეს სკოლაში გრიგოლ ორბელიანი და რამდენი წელი დამჭირდა მისი პოეზიისადმი ინტერესის დასაბრუნებლად.

„მეთოდები, რომლებიც არსებობს და რომლებიც თავს მოგვახვია საბჭოთა პერიოდის პედაგოგიკამ და მეთოდიკამ, რა თქმა უნდა, არ არის მისაღები, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი გარკვეულ შაბლონს აწესებდნენ და მერე ამას მასწავლებლების უმეტესობა ითვისებდა. მაგრამ მე, როგორც „რადიკალი მემარჯვენე“, ვფიქრობ, რომ შენი შემთხვევა არის კლასიკური მაგალითი იმისა, რომ ადამიანების მხოლოდ ნაწილს უნდა უყვარდეს პოეზია და ეს თავისით უნდა გააცნობიეროს. რადიკალური მემარჯვენე ბრჭყალებში და ირონიით იმიტომ ვთქვი, როგორც ამ შემთხვევაში განყენებული ადამიანისთვის და არა როგორც პედაგოგისთვის, რომელიც მოწოდებულია საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, უფრო უპრიანია, რაც მეტი იქნება ეგეთი მასწავლებელი და რაც უფრო შეაძულებს ბავშვებს, რომლებიც მერე თავისით მიაკითხავენ პოეზიას, მით უკეთესი. უკურეაქციას გამოიწვევს იმიტომ, რომ პოეზიისადმი სიყვარული ზუსტად ისეთივეა, როგორც პოეტობა. ერთი ჩინური საინტერესო ამბავია: იმპერატორმა მოიკითხა რამდენი პოეტი იყო ქვეყანაში. უთხრეს, რომ არის 15007. მომიყვანეთ ყველანაო, მოიყვანეს. იმპერატორმა თქვა, – ახლა მე უნდა გამოვცე კანონი, რომლის მიხედვითაც პოეტობა დასჯადი იქნებაო. ბუნებრივია, ხალხს შეეშინდა. დარჩა ათასი პოეტი, რომელთაც უარი არ თქვეს პოეტობაზე. მომიყვანეთ ეს ათასი პოეტიო. მოუყვანეს, იმპერატორმა უთხრა: თქვენ დღეიდან გეძლევათ სრული ფუფუნება, ძალიან კარგი ცხოვრება... და მხოლოდ ერთმა კაცმა გააგრძელა ლექსების წერა. არ მინდა, რომ პოეზიის საკრალური მითის მომხრე გამოვჩნდე, მაგრამ იმდენად ელიტური ამბავია, რომ ჯობია დარჩეს ერთი, რაც უნდა საცდურები შეხვდეს, ვიდრე მასობრივად ყველას უყვარდეს მაგალითად ელიოტი. რატომ უნდა გავიგოთ სხვანაირად, მაგალითად, „ჩემს დას, ეფემიას“, რა საჭიროა? ნუ გაიგებენ, გახდნენ მათემატიკოსები, თუ მოეწონებათ ისედაც მოეწონებათ. მე ვლაპარაკობ, როგორც მე. განათლების სამინისტროში რომ იაკობ გოგებაშვილის პროექტის წარმომადგენელი ვიყო, მაშინ სხვანაირად დაგელაპარაკებოდი“.

პოეზიის ელიტურობასა და სნობიზმზე

პრემირებული წიგნის, „ოდების“ პირველად წაკითხვისას ძალიან მეხამუშა მასში ჩართული ე.წ. „მარგინალიები“, სადაც ქართული ჰუმანიტარული აზრის ზეპურნი მამანი (ასე მაგალითად, ზ.შათირიშვილი, ლ.ბრეგაძე, ლ.ბერძენიშვილი, ზ. კიკნაძე, გ.ალხაზიშვილი და სხვანი) ავტორის ქებაში ერთმანეთს ეცილებიან, – შენ ჩადი და მე ამოვალო. რადგან მეხამუშა, ავდექი და მოურიდებლად ვკითხე, – არ მოგერიდა-მეთქი?

>>> გაგრძელება გვ. 96

„შავი კვადრატი დაძრული მარცხნივ", 1974

"BORN IN GEORGIA OR FROM SURFACE TO ABYSS"

მიშა ხუნდაძის და ნუგზარ მეტრეველის დოკუმენტური ფილმიდან "BORN IN GEORGIA OR FROM SURFACE TO ABYSS" გია ეძგვერაძესთან ჩაწერილი ინტერვიუს ბეჭდური ვერსია

გია ეძგვერაძე

ავტორი: მიხეილ ხუნდაძე

მეტაფიზიკა ანუ შავ-თეთრი ნამუშევარები

მიშა ხუნდაძე: რატომ დაუკავშირე შენი მომავალი მხატვრობას? რა გინდოდა გამოგეკვლია ამ გზაზე?

გია ეძგვერაძე: ბოლო წელს სკოლიდან გამომაგდეს ინტოქსიკაციებით ზედმეტი გატაცებისთვის. თანაც სასტიკად ამიკრძალეს კლასის გამოსაშვებ საღამოზე მივსულიყავი – ჩემი კლასელების მშობლები ბავშვებს „საშინელი გავლენისგან" იცავდნენ. ის ღამე სადღაც სარდაფ-რესტორანში გავატარეთ მე და ჩემმა ორმა მეგობარმა და მერე მაინც მოვახერხეთ ჩვენი კლასელი გოგოები სახლში გაგვეცილებინა. ასეთი მიზეზებით დავამთავრე რაღაც ღამის სკოლა, რომლის მისამართიც წესიერად ვერასდროს გავიგე. ამ უზნეობის პერიოდის გამო, ჩემმა რამდენიმე ახლო მეგობარმაც მიმატოვა. ასე რომ, ინტოქსიკაციას და უზნეობას საზოგადოებამ „დიდი წინააღმდეგობა" გაუწია. ამას ყველაფერს მოევლო, მაგრამ ორიენტაცია დიდხანს ვერ ვიპოვე და სკოლის შემდეგ ჩემი სახლი სამი წლის განმავლობაში ცნობილი იყო როგორც ЦДБ (центральный дом бездельников). კარი ყოველთვის ღია იყო და ვისაც უნდოდა, მიდიოდა და მოდიოდა, ეწეოდა და სვამდა, უკრავდა და ლაყბობდა, ჭორაობდა და ფილოსოფოსობდა – მოკლედ რომ ვთქვა, დედაჩემის, ქალბატონი დოდოს დიდი მადლობელი ვარ, ამ ყველაფერს რომ გაუძლო. ალბათ ინტუიციით მიხვდა, როგორი საჭირო იყო ეს უცნაური ქცევის წესი ადამიანის სულში კულტურასთან დაპირისპირების გაჩენისათვის – ანუ მხატვრის (შემოქმედის) გაფორმებისთვის.

ამ ყველაფრის მაყურებელმა, ჩემმა პირველმა და უკანასკნელმა „პლატონურმა" სიყვარულმა, ქეთი ოქროპირძემ (ჩვენ, როგორც მახსოვს, ფიზიკურად არც კი შევხებივართ ერთმანეთს ორი წლის სულიერი „ახლობლობის" განმავლობაში!!!) მომიტანა ფუნჯები, საღებავები და მითხრა, – „მიდი, მიდი, მაინც არაფერს აკეთებ და ხატვა დაიწყეო". დეიდაჩემის, ირინა უზნაძის წყალობით, ხელოვნებას კარგად ვიცნობდი და ეს ნაბიჯი სრულიად აბსურდულად არ მომჩვენებია. ასე დაიწყო ჩემი მხატვრობა, დავიწყე საგნების, პეიზაჟების, ნატურმორტების ხატვით. დიდი ნიჭით არ გამოვირჩეოდი, საშუალო ნიჭის ფერმწერი ვიყავი (ალბათ სწორედ ამან გადამარჩინა). მგონი, ჩემი პირველი მასწავლებელი ვალია შერპილოვიც ასე თვლიდა, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, ფანტასტიკური პიროვნება კი იყო, ძველი გვარდიის და მხატვრის კლასიკური იმიჯის წარმომადგენელი. შემდეგ აკადემიაში გამოცდებზე გავედი, სადაც ძაან ცუდად წამივიდა საქმე – სასწრაფოდ გამომაგდეს. მეორე წელს მოვხვდი. რაღაც დონეზე კი ვასრულებდი, რაც ევალებოდა მაშინდელ აკადემიის სტუდენტს, მაგრამ შინაგანად სულ სხვა მოძრაობას ვგრძნობდი, რაღაც მოუსვენრობას, თავისუფლების შეგრძნებას, რომლის რეალიზაციაც მინდოდა. ოღონდ არ ვიცოდი, საიდან და როგორ უნდა დამეწყო. თავისუფლების ამ შეგრძნებას და მისკენ ლტოლვას თავისი ისტორია აქვს. დაახლოებით 17 წლის ვიყავი, როდესაც გამოვიდა წიგნი – ასკეტურ/პურიტანული შავი ყდით და ზედ თეთრი წარწერით „მოდერნიზმი". არაჩვეულებრივი წიგნი იყო მაშინ ჩვენთვის. რასაკვირველია, გადავსებული იყო კრიტიკით, მაგრამ ამავე დროს ინფორმაციაც საკმაო იყო; დადაიზმზე, სიურრეალიზმზე, ფლუქსუსზე და ასე შემდეგ – რასაც ჩვენთან „გიჟობებს" ეძახდნენ. ამ ინფორმაციის გაცნობისგან ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს უცბად საკუთარ სახლში აღმოვჩნდი ახლობლებთან და მეგობრებთან. ასეთივე გრძნობა ერთხელ კიდევ მქონდა, ბევრად ადრე, ბავშვობაში. რუსთაველზე, აჭარული ხაჭაპურები რომ იყო სარდაფში, იქ ჩავედი და ვიღაცის ხელში ჟურნალი შევამჩნიე, რომელზეც ადამიანების ნახევრად შიშველი ფიგურების ფოტოები იყო დაბეჭდილი, უცნაურად დაგრეხილ პოზებში. აქაც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც ვიცანი, რაღაც გამახსენდა. აღმოჩნდა, რომ იოგების ფოტოები იყო. იმ დროს ალბათ თორმეტი-ცამეტი წლის ვიყავი. აი, ასეთი განცდა მქონდა ამ წიგნზეც. მახსოვს დადაიზმზე ვკითხულობდი სტატიას და კითხვის დროს უცნაურად ექსტაზური გავხდი. სადღაც ვიყავი წასასვლელი და შხაპი უნდა მიმეღო; ვიდექი გასაპნული შხაპის ქვეშ და ცრემლები მომდიოდა – სასწაული ბედნიერების განცდა მქონდა – გამოთავისუფლების, გაქცევის – მოსაზღვრულობისგან, შეზღუდულობისგან, დეტერმინულურობისგან, სულ ერთია, რა სტრუქტურით. აქ ამ წიგნში უსასრულო გაბრძოლების მაგალითი დავინახე ვიღაცების მიერ ჩადენილი, ვიღაცების მიერ განხორციელებული. ეს ჩემი პირველი ზიარება იყო როგორც საკუთარ, ასევე სხვის ნამდვილ შემოქმედებით იმპულსთან. ბევრს ვკითხულობდი კონცეპტუალიზმზე. მახსოვს ჟინა პაჟის ნამუშევარზე წავიკითხე. აღწერილი იყო პატარა ტყვიის ფირფიტა, რომელზეც ეწე-



ციხფერი გალერეა, თბილისი 1985

რა: წყალი, H2O, მერე წყლის სამეცნიერო დახასიათება. მხატვარი იდგა ხიდზე და ამ ფირფიტას წყალში აგდებდა. ამ ნამუშევარზე შეყვარებული ვიყავი. ის ჩემთვის სახელის მოშლას უკავშირდებოდა და, როგორც დღეს ლაკანის სიტყვებით ვიტყოდი, „Real"-თან შეხებაზე მიანიშნებდა – ცნების გარღვევაზე, მის დეკონსტრუქციაზე. მე თვითონ იმ დროს, პრინციპში, არც ვხატავდი, არც ვმუშაობდი, არაფერს არ ვაკეთებდი, ვუსაქმურობდი, მაგრამ შინაგნად ასეთ მოძრაობას, ამ ლტოლვას ვატარებდი და ვუკეთებდი ორგანიზაციას. ეს ტრანსგრესიის შინაგანი მოთხოვნაა ადამიანში. მერე ეს ყველაფერი ნელ-ნელა გადაიფარა, გაქრა, აკადემიაში მოვხვდი და დაიწყო მოგზაურობა კულტურაში. ტრანსგრესიის უშუალო იმპულსი – რაც მხატვრობას პრინციპულად ქმნის, როგორც ვთქვი, გადაიფარა. ასე ვთქვათ, საშიშ ზონაში შევიჭერი – დღესაც არ ვიცი, აუცილებელია თუ არა მხატვრისთვის ამ ზონაში შეჭრა. მერე შევხვდი შურა ბანძელაძეს და აბსტრაქციონიზმმა გამიტაცა, რაც, რასაკვირველია, იმასთან შედარებით, რაც აქამდე აღვწერე, დროში ორი ნაბიჯით უკან სვლას ნიშნავდა. ამ ეტაპიდან მოყოლებული თითქოს რეტროსპექტულად გავიარე მთელი კულტურა. შურა ნამდვილი მასწავლებელი იყო ყველაფერში – ცხოვრების წესის, სამყაროსადმი დამოკიდებულების, განყენებულობის – ის ხომ ვერასდროს ეწერებოდა საზოგადოებაში და ამას ჩემთვის განუზომელი შარმი ჰქონდა. მხატვარმა საზოგადოებისკენ კი არ უნდა იმოძრაოს, არამედ მის საპირისპიროდ, ან სულაც წინ უნდა გადაუხტეს და სარკასტულ, ირონიულ ან ცინიკურ თამაშად აქციოს ეს ურთიერთობა. დღეს ალბათ ასე ვიტყოდი – ამ პერიოდში შურასთან და ჩემ მეგობრებთან ერთად ფუნდამენტური ვიზუალური ტექსტების დიალექტიკას ვსწავლობდით და მათზე სერიოზულად ვმუშაობდით. კონსპექტურად გავიარეთ მთელი თანამედროვე კულტურა. ეს იყო ჩვენი სკოლა. მაგრამ იყო საშიშროება მას საერთოდაც გადავეყლაპეთ, რაც პრინციპში ბევრს დაემართა კიდეც. არ მახსოვს, თანამედროვე ხელოვნების ჟურნალები გვეთვალიერებინა და მერე რაიმე „თრენდის" სტილში გვეხატა – მისი „მსხვერპლი" გავმხდარიყავით. ასეთ მიდგომაზე ჩვენი თაობა აცრილი იყო. ფუნდამენტური ფასეულობებისაკენ სწრაფვა და ორიგინალურ ტექსტთა შექმნა ჩვენი თაობის ნიშანი იყო, მისი მოძრაობის გამსაზღვრელი ფაქტორი.

ამ გრძელვადიანმა ექსკურსიამ კულტურაში ჩემში მის მიმართ შინაგანი პროტესტი გააფორმა. ჩემი რეაქცია კულტურის მიერ ცნობიერების სრული დეტერმინირების საშიშროებაზე შავ-თეთრი ფერწერა იყო. ჩემი პირველი შავ-თეთრი სურათი „მარცხნივ დაძრული შავი კვადრატი – კონცეფციის კონცეფცია" იყო (60x50სმ. ტილო, ზეთი, 1974), რომელიც სულ ახლახან იყიდა ამერიკულმა „Zimmerly" მუზეუმმა და უკვე ორ ანალიტიკურ სტატიაში განიხილა. „Zimmerly" მუზეუმი რადგერსის უნივერსიტეტის ნაწილია, რომელიც ამერიკაში ფილოსოფიის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად ითვლება. ეს ნამუშევარი ზეთის თეთრი საღებავით დაფარული ტილოა, რომელსაც მარცხენა გვერდზე ვიწრო შავი ზოლი დაყვება. როცა ის დავხატე, 21 წლის ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ ასეთი განზოგადების სურათი აღარ შემიქმნია. ის სრულიად პარადიგმული ხასიათისაა – ზოგჯერ ასე უცნაურადაც ხდება. მთელი ჩემი შემდგომი შავ-თეთრი მხატვრო-

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ბუდაპეშტი 1999

„მოფარიკავეები", ჰანს მაიერის გალერეა, 2000

De Apple Foundation, 1995

მეკინ არტ გალერეა, შეფილდი, 1992

ბის სერია (ამ სერიის შექმნას ოცდახუთი წელი დასჭირდა) ამ სურათის დაშლის და ემანირების პროცესია.

ეს სურათი ძალიან ადრე შეიქმნა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ საკმაოდ რადიკალური ნაბიჯი გადავდგი.... სხვათა შორის, ჩემმა მეგობრებმა ამ ნაბიჯში არ ამიბეს მაინცდამაინც მხარი. თვლიდნენ, რომ შავ-თეთრ მეთოდს გაძარცვულობა და ფორმის ნაკლებობა ახასიათებდა, ამიტომ თითქმის მარტო ვიკვლევდი ამ ახალ მხატვრულ შესაძლებლობას. ხალხი რომ მოდიოდა ჩემ სახელოსნოში, ცდილობდნენ, ჩემი შავ-თეთრი სურათებისთვის თვალი აერიდებინათ, რომ ეს სურათები მსჯელობის საგანი არ გამხდარიყო. კიდევ ასეთი სიტუაცია მახსოვს – ორი შავ-თეთრი სურათი გავიტანე საშემოდგომო გამოფენის კომისიაზე. კომისიამ ეს ნახატები გამოაგდო, მაგრამ ორი კვირის შემდეგ კომისიის წევრი შეხვდა დეიდაჩემს, ირა უზნაძეს (ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივანი იყო) და უთხრა, – ეს რა სასწაული მოიტანა შენმა დისშვილმა, მთელი კომისია ვიდექით და ვიცინოდითო. შემდეგ აქ, დასავლეთში ეს ორი სურათი სამ წამყვან მუზეუმში გამოიფინა და ახლა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კერძო კოლექციაშია – იოჰან და სიუსი ჰოლის. ასეთი შეხედულებები იყო იმ დროს და ამ ყველაფერთან გიწევდა დაპირისპირება, და ეს წარმოუდგენელ თვითრწმენას მოითხოვდა. 1985 წელს

ვენეციის ბიენალე, 1997


„პატარძალი თვითმგზორავზე“, ბერლინი 2005

„ბანავლის საშრობი“, 1993

ილიკო ზაუტაშვილმა შესთავაზა თემო გოცაძეს ჩემი პერსონალური გამოფენის გაკეთება. თემომ გარისკა (რისთვისაც მაგრად გაკიცხეს) და მხატვრის სახლში მოაწყო რადიკალური (კონცეპტუალური) მიმართულების პირველი, თავის ენობრივ ორიგინალურობაში გაფორმებული სოლო გამოფენა. ეს გამოფენა ვადამდე ადრე დახურეს და მისი გარჩევა რუსთაველის გამზირზე მოეწყო. ამ გამოფენის მსვლელობისას ერთხელ მხატვართა სახლის შეშინებულმა თანამშრომლებმა დამირეკეს სახლში, – სასწრაფოდ მოდი, ვიღაც ახალგაზრდა ქალი შენ შავ-თეთრ სურათს მუშტებს ურტყამსო. სამი წლის შემდეგ გერმანიიდან თბილისში რომ ჩამოვედი და ჩვენ აკადემიას ვესტუმრე, უცნობმა გოგონამ მომიბოდიშა, – ეს მე ვიყავი, თქვენი სურათი რომ ვცემე, ახლა მეც მხატვარი ვარო.

მიშა ხუნდაძე: შავ-თეთრი ნამუშევრების არსს საგამოფენო სივრცეში უხსნიდი ადამიანებს. შენი მხატვრული ენა თითქოს გასაგები ხდებოდა, მაგრამ შემდეგ მალე ავიწყდებოდათ. რა იყო მაინც შავ-თეთრი ფერწერა და რა სახეცვლილება განიცადა მან?

პირველი, ზემოთ ხსენებული მცირე ზომის შავ-თეთრი ნამუშევარი აკადემიაში ჩემ შესვლამდე დაიხატა. შემდეგი ორი ნამუშევარი აკადემიის დიპლომზე მუშაობის პარალელურად გავაკეთე. ხოლო ჩემი, კლასიკური, შავ-თეთრი მონუმენტური ტილოების ენობრივი სტრუქტურა, სადაც ზეთის თეთრი ფერის ფონზე შავი ხაზებით ნიშნებია გამოსახული, აკადემიის დამთავრების შემდეგ (1980 წელი) და 1985-ში ჩემ პირველ გამოფენამდე პერიოდში გაფორმდა. ამ ხუთი წლის განმავლობაში ამ სერიის პრობლემატიკას პრაქტიკულად იზოლაციაში მყოფი ვიკვლევდი (რომ არ ჩავთვალოთ შურა ბანძელაძე, რომელიც ჩემი შავ-თეთრი ფერწერის დიდი თანამდგომი იყო). ასე დაიწყო შავ-თეთრი ნამუშევრების დიდი სხეულის შექმნა, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვი, თითქმის ოცდახუთ წელიწადს გასტანა.*

სიგნიფიკაციის აქტის შემადგენლები შავ-თეთრ ფერწერაში მხოლოდ აღმნიშვნელების შრით არის წარმოდგენილი. ამ მხატვრულ მეთოდში რეფერენტი და აღნიშნული

*ამ სერიაში, ჩემი მთავარი მიზნის – ტრანსცენდენტური ცნობიერების სივრცის გადმოსაცემად – ვცდილობდი ისეთი ენა მომეძია, რომელიც სიგნიფიკაციის აბსოლუტურად ძირეულ საწყისებზე აიგებოდა – გამჟღავნების პირველად ეგზისტენციალურ აქტზე, რაც დაპირისპირებულთა ბინარულობას გულისხმობს (ჩვენს შემთხვევაში სიმბოლიზირებულია შავ-თეთრი პრინციპით). ვიზუალური კოდის ამ ბაზაზე გაფორმება მისი ემოციონალური და დრამატული მახასიათებლების ნულოვან დონეზე დაყვანას ნიშნავს, ეს კი თავისთავად ადამიანური მუხტის მქონე კონოტაციებისაგან ვიზუალური კოდის გამონთავისუფლების გარანტიაა და ტრანსცენდენტურთან დაახლოების პრაქტიკა (ამ გამონთავისუფლების შედეგია ასევე ნიშნის ვიტალურობის რესტავრაცია). შავ-თეთრ ნამუშევრებში დრამატული მხოლოდ პოტენციის სახით არსებობს – ალბათ ამდაგვარი მახასიათებლებით წარმოადგენდა „ეიდოსს“ პლატონი.

ინტერესის მიღმა რჩება. იმ დროს, როცა მე ამ მეთოდზე დავიწყე მუშაობა, წარმოდგენა არ მქონდა, რომ აღმნიშვნელები 80-იანების ევროპული ფილოსოფიის ინტერესის ცენტრშიც მოექცეოდნენ. ტრანსცენდენტურისკენ სწრაფვა ენის ძირების გაანალიზებას მოითხოვს, რომ მათი გამომჟღავნებით ენის გადალახვა მოხდეს. ენის, რომელმაც, როგორც ნიცშე ამბობდა, გადაფარა და გვიმალავს „რეალობას“ (ლაკანი აზუსტებს და მას „Real“-ს ეძახის).

სად და როდის იჩენს თავს ნიშანში ცნება, როდიდან ხდება ნიშანი მისი მატარებელი, რატომ ფორმდება და სად მთავრდება თავად ნიშანი, რა ურთიერთობაშია ცნება და ნიშანი ერთმანეთთან, როდის და როგორ უკავშირდება ეს ორი კოსმოსს და როდიდან ხდება ის აღმნიშვნელის ნაწილი. ამ ძირეულ პრობლემებს არკვევდა ჩემი შავ-თეთრი ფერწერა, მერე ის უფრო და უფრო განივრცო, სიმბოლურ დონეზე გაჩნდა ფიგურატიული ელემენტები, სიმბოლური სტრუქტურები ჩაანაცვლა ენობრივმა თამაშებმა, ირონიისა და სკეპტიციზმის დონეზე სოციალურ კრიტიკული ტექსტიც კი გაჩნდა. მოკლედ, ამ მეთოდმა სიღრმიდან ზედაპირზე გადმოინაცვლა, უფრო სწორად მეთოდში ზედაპირი შემოიზიდა და სამივე შრე (ნიშანი, ცნება, სოციალური კონტექსტი) ერთიანი გამჭვირვალობით წარმოჩინდა.

>>> გაგრძელება გვ. 100

„ინტერპრეტაციის წინააღმდეგ“

ინტერვიუ თამაზ კანდელაკთან

ავტორი: გიორგი ხასაია

თავიდანვე ცხადი იყო, რომ თამაზ კანდელაკის სტუმრობა შოუში „სიმართლის დრო“ უხმაუროდ არ ჩაივლიდა.

ბევრისთვის ეს მოვლენა, როგორც მოსალოდნელი იყო, ლამის ეროვნულ ინტერესებზე მიტანილ იერიშად იქცა, ბევრმა ჩათვალა, რომ ქართველ ლიბერალებს უბრალოდ გმირი დასჭირდათ, ზოგსაც ჰგონია, რომ პროფესორ კანდელაკის „სიმართლის დროში“ სტუმრობა ცოტაოდენი ფულის შოვნის მცდელობა იყო. ბატონი თამაზი ინტერპრეტაციების წინააღმდეგია. თუ მას დავუჯერებთ, „გამოყენებულმა“ და „გამომყენებელმა“ შეიძლება ადგილები ადვილად გაცვალონ.

გიორგი ხასაია: ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თქვენმა სტუმრობამ შოუში „სიმართლის დრო“. რატომ გადაწყვიტეთ საერთოდ ამ შოუში მისვლა?

თამაზ კანდელაკი: პირველ რიგში, ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცი, რადგან საზოგადოების რეაქციამ დაგვანახა, რომ ერთი ადამიანის აღსარება, რაოდენ სკანდალურადაც უნდა მოგვეჩვენოს ის, ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოების იმ მდგომარეობის განსაზღვრისათვის, რომელშიც ის იმყოფება. მე მქონდა პირადი მიზეზი – ჯერ ერთი ის, რომ ამდენი წელი ვიცხოვრე ამ ტვირთით, იმიტომ რომ არ არის ადვილი ამ ქვეყანაში ასეთი მენტალობით ცხოვრება, მით უმეტეს გარკვეული პრეტენზიის ქონა იმაზე, რომ საზოგადოებაში იპოვო და შეინარჩუნო შენი ადგილი, და მეორეც – მინდოდა, გავთავისუფლებულიყავი ყოველივე ამისაგან და, მიუხედავად გამოხმაურებებისა – თუ რა წერილები იდება, ბატონი გვახარია რა კომენტარებს აკეთებს ამაზე და სხვები, მე ვფიქრობ, ადამიანი მაშინ არის ჭეშმარიტად თავისუფალი, თუ შინაგანად თავისუფალია. ამ მხრივ, მე შეიძლება ბევრად უკეთესად მაქვს საქმე, ვიდრე ჩემ კრიტიკოსებს და იმათ, ვინც „ჯვარს აცუ იგის“ შემომძახებს. სამწუხაროდ მასმედიას ავიწყდება ან არ უნდა იმის დანახვა, რომ თანამგრძნობებიც და მომხრეებიც ძალიან ბევრი გამომიჩნდა და კარგია ეს, რომ საზოგადოება არ აზროვნებს ერთი სტერეოტიპით – ან ეს არის მიუღებელი და ეს როგორ მოხდა და, ან – 21-ე საუკუნეა და ა.შ. კარგია, რომ ამან ასეთი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს გამოხმაურებები, მაგრამ ეს გარკვეულ სიმამაცეს შეჰმატებს იმ ადამიანებს, რომლებსაც, ასეთი თუ არა, რაღაც სხვა სათქმელი აქვთ გასამხელი საზოგადოებისთვის და ჯერჯერობით ამას ვერ ბედავენ. თუ ჩვენ ვთვლით და სამართლიანად ვთვლით, რომ ვართ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცივილიზაციის მქონე ქვეყანა, რომლის ფასეულობებმაც, თავისთავად ცხადია, გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, ჩემი აზრით, საზოგადოების ტოლერანტობის მაჩვენებელი ის უნდა იყოს, რომ არ უნდა გვეშინოდეს სიმართლის, როგორი მწარე და მიუღებელიც უნდა იყოს ის. რაც შემეხება მე, მირჩევნია ადამიანებს ვუთხრა, ვინა ვარ, რა ვარ, საიდან მოვდივარ, ვიდრე ზურგსუკან იყოს ამაზე საუბრები. მე გამოვაცალე იარაღი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, რომელსაც ყოველთვის შეეძლო ჩემკენ თითი გამოეშვირა. გარკვეული ძალები თვლიან, რომ მე „სარჩობელაზედ“ უნდა ამიყვანონ, ნაწილს მიაჩნია, რომ მე ვარ ლიბერალების ახალი იმედი, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მსოფლმხედველობის გამტარებელი – ეს ჩემთვის სასაცილოა. ჯერ ერთი, მე უპრეტენზიო და აპოლიტიკური ადამიანი ვარ, მეორეც, ამ ცნებას – „ლიბერალები“ – ყოველთვის დიდი ეჭვით ვუყურებდი და ეს დღესაც დადასტურდა, რომ ამ ლიბერალიზმის მიღმა ცუდად დაფარული მერკანტილიზმი იმალება. ყველაფერს არ ვიტყვი, მაგრამ მე დამიკავშირდა, როგორც თვითონ თვლიან, გარკვეული პოლიტიკური წონის ხალხი და მითხრეს, რომ არ შეეგუებიან ჩემ დისკრიმინაციას, თუ ეს იქნება, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემთან დაკავშირებამდე თავად არ ქირქილებდნენ ამ სატელევიზიო შოუს გამო. ბატონმა გოგი გვახარიამ დაწერა ჩემზე, რომ გმირი დაიბადა. არანაირ გმირად თავს არ ვგრძნობ, მაგრამ არც მსხვერპლად ვგრძნობ თავს, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს. ეს ჩემთვის იყო არაორდინარული ნაბიჯი, რომლის მსგავსიც ცხოვრებაში არაერთხელ გადამიდგამს. ამიტომ მე ამ ყველაფერს ძალიან ფილოსოფიურად ვუყურებ და ვიტყვი, რომ პირველი ქვა იმან მესროლოს, ვინც უცოდველია.

გ.ხ. თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ კინომცოდნე გოგი გვახარიას ბლოგი. ის თქვენ თემასაც ეხება და მსჯელობს ექსჰიბიციონიზმზე, რომ ინტიმურის საჯაროდ გამოტანით პირადი ცხოვრება იდუმალებას კარგავს და ადამიანებს არაფერი რჩებათ თავისი –

დაახლოებით ასეთ აზრს განავითარებს; თითქოს ამ თემის მორალურ ასპექტს ეხება, ასე ჩანს. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

თ.კ.მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ბატონ გვახარიას, როგორც ინტელექტუალს, მაგრამ, სამწუხაროდ, და არა მარტო გვახარიას შემთხვევაში, ადამიანებს გარკვეული პაბლისიტის შემდეგ უჩნდებათ ამბიცია, რომ შეუძლიათ ყველაზე და ყველაფერზე გამოთქვან „ისეთი“ აზრი. ეს არ არის ტრაგედია, ტრაგედიაა, გეგონოს, თითქოს ეს აზრი არის ჭეშმარიტება, რომელიც ყველამ უნდა გაიზიაროს. შეიძლება ბატონმა გვახარიამ თქვას, რომ მას არაფერი აქვს საჯაროდ სათქმელი, მაგრამ მაინტერესებს, ეყოფოდა თუ არა თვითონ მოქალაქეობრივი სიმამაცე, რომ სხვა შემთხვევაში, სხვა თემასთან დაკავშირებით გამოსულიყო და ეთქვა ჭეშმარიტება, რომლის აპოლოგეტადაც თავს მიიჩნევს.

გ.ხ. თქვენ თქვით, რომ ამ ტვირთით ცხოვრობდით ამდენი წელიწადი, თანაც საზოგადოებაში, რომელზეც ვერ ვიტყვით, რომ არაჰომოფობიურია. დაჭერილიც ჰყავდით საბჭოთა პერიოდში, მართალია, სხვა ოფიციალური მიზეზით, მაგრამ გასაგებია – რატომაც. ამის გათვალისწინებით, თქვენი მისვლა „სიმართლის დროში“ და ამ ყველაფრის საქვეყნოდ, იმ ადამიანების გასაგონად თქმა, ვისი მხრიდანაც ამდენი წელი წნეხს განიცდიდით, ალბათ ეპატაჟსაც გულისხმობდა, არა?

თ.კ. ეპატაჟის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამაში გარკვეული შურისძიების ელემენტი იყო. როცა ჩემზე ჩამოვარდებოდა საუბარი, რომ ეს არის განათლებული პიროვნება, ძალიან კარგ ლექციებს კითხულობს, სტუდენტებს ძალიან მოსწონთ და სხვ., ჩემი კოლეგების გარკვეული ნაწილი, შურის გამო, ცდილობდა, ეს ყველაფერი გაეუფასურებინა და დაეყვანა აქამდე – მერე რა, რომ ასეა, ის ცისფერია. ეს იყო მათი არგუმენტი. ამიტომ მე შევეცადე და გარკვეულწილად მოვახერხე კიდევაც, რომ ეს არგუმენტი, რომელიც მათ ყველაფრის გადამფარავი ჰგონიათ და არ შეუძლიათ ამის მიღმა ადამიანში რაიმე პოზიტიური დაინახონ, ხელიდან გამოვაცალე. აქვე მინდა ვახსენო ბატონი რუსლან რუსია, რომელმაც ამ შოუს გასვლიდან მესამე დღესვე „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა სრულიად ამაზრზენი სტატია. „საქართველოს რესპუბლიკა“ რა გაზეთია და რა წარსული აქვს, ყველამ კარგად იცის. ამ გაზეთს არავინ კითხულობს და ალბათ სცადეს, ტირაჟი აეწიათ. სხვა ნეგატიური გამოხმაურება არც მინახავს და არც წამიკითხავს. მე არ ვაპირებ, ვუჩივლო ამ ადამიანს, რისი იმედიც ალბათ ჰქონდა. ვისაც ამით პურის ჭამა უნდა, ეს მისი ხელობაა. ყველამ თავისი წილი ცოდვა ზიდოს.

გ.ხ. რამე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა თქვენ ცხოვრებაში ამ შოუში სტუმრობის შემდეგ, გარდა იმისა, რომ, როგორც ამბობთ, ოპონენტებს ხელიდან გამოაცალეთ თითის გამოშვერის შესაძლებლობა?

თ.კ. როცა გადაცემის ჩაწერა დამთავრდა და მერე თბილისიდან ქუთაისში მოვდიოდი, მთელი გზა ვფიქრობდი, – კი, მე ეს მინდოდა, მე ეს გავაკეთე და ეს არის, ასე ვთქვათ, შესრულებული მისია ჩემი მხრიდან, მაგრამ რა იქნება მერე, როცა გადაცემა გავა? იმიტომ, რომ რამდენიმე დღეში ჩემი დისერტაციის დაცვა უნდა შემდგარიყო და ვერავინ იტყვის ალბათ, თუ რა გამოხმაურება შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას საზოგადოების მხრიდან და კონკრეტულად იმ სასწავლებელში, სადაც მე ვმუშაობ. რომ გითხრათ, ყველაფრისთვის მზად ვიყავი-მეთქი, არ ვიქნები მართალი. გარკვეულწილად მეშინოდა კიდევაც, რომ ამას არ მოჰყოლოდა, როგორც კომუნისტები იტყოდნენ, ადმინისტრაციული და სამართლებრივი ღონისძიებები. საბედნიეროდ ასე არ მოხდა. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც სწორად გაიგო ამ შოუში ჩემი მისვლის მიზანი, ასევე ჩემ კოლეგებს და სტუდენტებს, რომლებთანაც ვმუშაობ, რადგან ზედმეტი თავის ტკივილი ამარიდეს. ვერ გეტყვით, კულუარებში რას ლაპარაკობენ, მაგრამ პირადი საუბრის დროს ბევრმა მითხრა, რომ ეს ძალიან მამაცური, გამბედავი ნაბიჯი იყო, და რომ კარგი გავაკეთე. არ მინდა, ეს რაიმეს ქადაგებად ჩამეთვალოს. არასდროს მიმიცია ჩემი თავისთვის უფლება, რომ ჩემი ცხოვრების წესი სარეკლამოდ და საპიაროდ მექცია. ან რა არის ამაში ნორმალური ადამიანისთვის სარეკლამო და საპიარო. არც ვინმესთვის მომიწოდებია, – აი, თუ თქვენ ხართ ტოლერანტული, დადექით იქ, სადაც მე ვდგავარ-მეთქი. ძალგიძთ თუ არ ძალგიძთ, ეს სხვა საკითხია. საერთოდაც უნდა გითხრათ, რომ აქ დგომა არ არის ადვილი, საკმაოდ ძნელია და ყველას ვერ მოსთხოვ ამას. ყველა ცდილობს, ერთი მხრივ, საზოგადოებას დაანახონ, რომ ისინი ჩემზე არანაკლებ ტოლერანტულები არიან, ამ საკითხს უყურებენ შემწყნარებლურად, ეს როცა პიარს ეხება საქმე, მაგრამ როცა მორალს ეხება, ნაწილი შეურიგებელი ხდება. შეიძლება ისინი გულში ასე არ ფიქრობენ, მაგრამ რას იტყვის ხალხი?! ჩვენ ხომ ხალხის მსახურები ვართ და მისი აზრის გამომხატველები. არავის აქვს უფლება, პრეტენზია ჰქონდეს იმაზე, რომ ის არის ხალხის აზრის გამომხატველი. ამან დაგვლუპა ჩვენი ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპებზე და თუ ისტორიის ერთადერთი გაკვეთილი ის არის, რომ ვერაფერს ვსწავლობთ, მაშინ ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ შეიძლება განმეორდეს მსგავსი კატაკლიზმები. როგორ შეიძლება ერთი ჩვეულებრივი „არაჩვეულებრივი“ ადამიანის აღიარება გარკვეული ძალების პოლიტიკური და პირადი ამბიციების ფონად იქცეს.

> არანაირ გმირად თავს არ ვგრძნობ, მაგრამ არც მსხვერპლად ვგრძნობ თავს, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს. ეს ჩემთვის იყო არაორდინარული ნაბიჯი, რომლის მსგავსიც ცხოვრებაში არაერთხელ გადამიდგამს. ამიტომ, პირველი ქვა იმან მესროლოს, ვინც უცოდველია.

გ.ხ. კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება იქცეს კიდევაც, რატომაც – არა?!

თ.კ. როგორც რუსები იტყვიან, скатертью дорога, როგორც უნდათ, ისე გამოიყენონ ის, რაც უკვე ისტორიის კუთვნილებაა. და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩემი გამოყენება იოლი საქმეა, ძალიან შემცდარა, ასეთი ადამიანი არ ვარ, მაგრამ თუ მოვინდომე, შეიძლება პირიქით, მე თვითონ გამოვიყენო ეს ყველაფერი.

მთვრალი მიწისმზომელი

ბესიკ ხარანაული

ავტორი: ქეთევან სადღობელაშვილი

ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიალზე, რომლისთვისაც თურმე ყველა მწერალი პირველი გაუმართავი სტრიქონის დაწერისთანავე ემზადება და რომელიც აგერ უკვე 40 წელია ტექსტობს ბესიკ ხარანაულში, ის ასეთი რამის თქმას აპირებს: მწერალი ამაოდ ცდილობს, თავისი სულიერი მეტამორფოზა აქციოს წიგნად, ცდილობს, რაღაცეები მოიგონოს, მაგრამ არაფერი გამოსდის და ამბობს: – ხედავ, რა ყოფილა ეს პოეზია – ერთადერთი მართალი, რომელიც სრულიად ტყუილია...

კიდევ ამის თქმასაც აპირებს: დაე, დიდი ერები ნუ ჩაყლაპავენ პატარა ერებს, ვაითუ, რომელიმე აღმოჩნდეს ალმასისა... დიდთა ენებო, ნუ დაამცირებთ მცირეთა ენებს, ვაითუ, რომელიმე ღმერთს ეამებოდეს...

ამ „სანობელე სიტყვაში“ საჩემო ადგილსაც მივაგენი, ბესიკ ხარანაულის ახალ წიგნთან მკითხველის მისატყუებლად რომ გამომადგება.

„მოდი, ფრაგმენტებს შევაჩვიოთ ჩვენი მკითხველი. სინამდვილეში გაბმულად არაფერი ხდება. ყველაფერი ფრაგმენტებად მიმდინარეობს. მოდი, შევაყვაროთ. მოდი, შევაჩვიოთ. მოდი, დავარწმუნოთ ფრაგმენტებში“.

შეყვარება, შეჩვევა და დარწმუნება (ოღონდ ვისი ან რითი, ახლაც არ ვიცი) ფრაგმენტებით მაშინ გადავწყვიტე, როცა ბესიკ ხარანაულის ახალი წიგნის „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“ მკითხველის წინაშე წარდგენა მთხოვეს. წიგნს რომ წაიკითხავ, წესით, უნდა შეგრცხვეს, რამე დაწერო, რადგან რაც შეიძლებოდა გეფიქრა, გელაღა, გეთქვა და ჩაგედინა, აქ ყველაფერია. წარდგენაც რა, წიგნის პირველი გვერდიდან, სათაურების სარჩევშივეა. მე უბრალოდ, „ტკბილი სიგიჟის“ მონაწილის „სტატუსი“ მთვრალ ავტორთან საუბარშიც შევინარჩუნე და მინდოდა თუ არა, ალოგიკური ფრაგმენტების მდინარეს მივყევი. აი, ასე:

„იმღერე სისულელე, დაე სიბრძნეს ედოს საფარველი! სისულელე ვერ გაძლებს უმღერლად, სიბრძნე კიდევ დუმილის გარეშე, შენ იქნები მათ პირშესაყარზე როგორც მთვრალი მიწისმზომელი და სინამდვილეს აურ-დაურევ“.

ბესიკ ხარანაული (10 წლის)

საბა კავკასიაზე
ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა

„ჩემი სიტყვა არაფერს არაა ამოფარებული, არც გმირობას, არც ნაწარმოებს... მარტო საკუთარ თავს ებრძვის და სხვებისთვის დრო აღარ რჩება“
(წიგნიდან)

– ჩემთან ყველა სიტყვა არის კრისტალი, რომელსაც უნდა მიაგნო და პოეზიად აქციო. საერთოდ არ მიყვარს, როცა პოეტი რამეს იგონებს, პოეტი უნდა მოედინებოდეს სინამდვილიდან. მე საიდუმლოებები არა მაქვს, არასოდეს მომინდება ვიყო არქილოქე, არადა, მევასება. ჰომეროსის ილიადა ძაან მაგონებს ხევსურულ პოეზიას, აბსოლუტურად ერთნაირია და ბევრი აქვთ საერთო, ტიპები იქაც ოხრად ყრია, მაგრამ საქციელი, მორალი, ზნეობა და ვაჟკაცობა ერთნაირია. სხვათა შორის, ჰომეროსთან შემჯავრდა ვაჟკაცობა, საძაგლობაა და იმიტომ, მთელი გზა ამტკიცებს, რომ ეს გმირები სულაც არ არიან გმირები, ისინი არიან ამპარტავანი ხალხი, მკვლელები და მომხვეჭელები.

– ეგრე თუ გავყვებით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც არაჰუმანურები არიან, მკვლელობებზე რომ არაფერი ვთქვათ.

– მანდ ორი რამე ირევა ერთმანეთში, „ვეფხისტყაოსანი“, როგორც მხატვრული ნაწარმოები, ყველაზე წინაა მთელ დედამიწაზე, რადგან არსად არაა სული და ხორცი ასეთ ჰარმონიაში, დანტე ვინ არის მაგასთან. ყოველი მესამე სტრიქონი რომ ერთმანეთს ერითმება, ის არის ქაჯობა. ვაჟასთან სტრიქონები არის იოლი. ჯოჯოხეთის აღწერა ხალხურ პოეზიაში ისეთია, რომ მაგასთან ვერავინ მივა. სიკვდილი? ქართველ კაცს მარტო ეგ აინტერესებს.

– მე მგონი, „ჯორზე ამხედრებულ რაინდებსაც“ მარტო ეგ აინტერესებთ – სიკვდილთან თამაში და არშიყი.

ბესიკ ხარანაული (70 წლის)

სიკვდილი გაიგივებული აქვთ ადამიანთან, რომელიც უყვართ, რომლის თანასწორადაც თვლიან თავს.

– არც არსებობს ისეთი სრულყოფილი არსება, ვისთვისაც სიკვდილი არ იყოს სუბიექტი. სიკვდილი არის მარად არსებული მისტიკა, ამიტომ ის, რაც უკვდავია, არის მხატვრული, რაც მოკვდავია, არის არამხატვრული.

– ადამიანს, რომელსაც არ ესმის პოეზია, როგორ გააგებინებთ, რა არის პოეზია.

– ვერ გააგებინებ. ეს ყოფილა საოცარი რაღაც. მე ვერც დავიჯერებ, რომ წესიერ ადამიანს არ ესმის რა არის პოეზია. ნიჭია, რა. მე რომ დაგასწრო იმის თქმა, რასაც შენ მერე გაიგებ. პოეტი არის არსება, რომელიც იგებს და ამბობს „რაღაცას“, მე მგონი სწორი ეგ არის.

– ახლა ეს გამახსენდა: „რაც მე არ ვიცი – ეს არის ცხოვრება, რასაც არ ვიცნობ – ადამიანი, მაგრამ ამეებსაც არაფრად ჩავთვლიდი ჩემს თავს რომ ვიცნობდე, ამიტომაც ვწერ, ვწერ არცოდნაზე და უსასრულოა ჩემი ასპარეზი“.

– მე სანამ ცოცხალი ვარ, არ შეწყვეტ ბრძოლას იმისათვის, რომ გავიგო, ვინა ვარ, საიდან მოვდივარ... ადამიანს აქვს უფლება ***ეცადოს***, მეტი არაფერი შეუძლია.

ერთი სურათი გადამიღო დედაჩემმა, ყელზე აბრეშუმის ბანტით, მის მერე ვეხვეწები ყველას ეს ბანტი მომიტანონ, ტრაქტორს მოგიტანენ, მაგრამ იმ ბანტს ვერავინ მოგიტანს. მინდა რომ ის ვიყო, იმას ვერ დავშორდები, დედაჩემს, ჩემს ბავშვობას, იმის იქით ნაბიჯი არ მინდა. დანარჩენი ყველაფერი ჩათლახობაა.

– მთვრალს ოდესმე გიწერიათ?

– დამიწერია, მაგრამ არ ვარგოდა და გადავყარე, სისულელე იყო, სამარცხვინო.

ბანტის ამბავი არ გაინტერესებს? დედაჩემი მოვიდა ერთხელ, საყვარელი, და მითხრა – წამო, სოსიკომ სურათი უნდა გადაგიღოსო. გამიკეთა შავი ბანტი და წამიყვანა, სოსიკომ გამოაღო შიფანერის კარი, ფონი დააყენა, ჩხაკ-ჩხუკ გადამიღო და გამოვედი ჯოკონდასნაირი ტიპი... ის ადამიანი, რომელიც პირველად შეურაცხყვეს, ეხლა ვინ უნდა შეურაცხმყოს, სულ მკიდია ყველა. იცი, რა მაგარი ბაევოი ბიჭი ვიყავი? ყველას ვერეოდი უბანში, მერე მითხრეს, მამაშენს რა ქვიაო და დავკომპლექსდი, რატომ იცი? ჩემს გარდა არავინ იყო ისეთი, ვისაც მამა არ ჰყავდა და ამან დამთრგუნა.

„ასეთ პატარა სოფელში ხბოზეც კი არ იკითხავდნენ, – ვისიაო? და მეც შემკითხველებს, სხვადასხვა ფორმით, მახსოვს, ვალში არ დავრჩენილვარ. ამაზე გული არა მწყდება. მე უფრო ის მაინტერესებს, ამ ბოლო ხანებში კითხვა რომ ამეკვიატა: განა ღმერთს მიწაზე შვილი არა ჰყავს? განა ღმერთი არ ეძებს თავის შვილს?

და, აი, ერთ დილას, აზრისა და გრძნობის ერთდროულმა დარტყმამ გამომაღვიძა: ღმერთი ეძებს შვილს და პოულობს მას ნაგავსაყრელზე.

უკეთეს პასუხს არც ველოდი“

(წიგნიდან)

– ნერვებამდე შიშველი პოეტია ბესიკ ხარანაული, ვისთანაც არაფერია დაფარული და რატომ გაქვთ ეს მამის კომპლექსი, თქვით ერთხელ და მოისვენეთ. ზედმეტ ტვირთს რატომ იმატებთ?

– ტვირთს კი არა, უპირატესობას ვიმატებ. მაგარი ვარ და არც შეიძლება, სხვანაირი ვიყო. მე მყავს შვილიშვილი, რომელსაც ბესიკი ჰქვია და ძალიან მგავს, იცი, როგორ უმკლავდება სოფელს? ერთხელ ლევანს უთქვია – საწყალი მამაჩემი, როგორ უმკლავდებოდა ამ გათახსირებულ სოფელსო.

– გათახსირებულ ქალაქს როგორღა უმკლავდებით?

– ვაცლი, რომ იყოს გათახსირებული, რა ჩემი საქმეა. სოფელი სხვა არის, რადგან შენ თვითონ ხარ სოფელი. ქალაქი დიდია, აქედან წახვალ, სხვაგან მიხვალ, სოფელი პატარაა.

როგორ ივარგებ – ესაა, მეტი კი არაფერია ცხოვრება, ამისთვის კი ყველაზე კარგია ხელოვნება. ხო ხედავ, რამდენხანს გაძლო ჰომეროსმა, იმიტომ რომ უფრო მაღალია, ვიდრე სინამდვილე. პოეზია ყველაზე დიდი რამეა, პროზაში რაც კარგია, ისიც პოეზიისაა. ბევრი პოეტი ხო არ არსებობს, პოეტები არიან თითო-ოროლა შერეკილები. თავისთვის ცხოვრობდნენ დიდი პოეტები – ბერნსი, მერცხალა. ჩვენზე დიდი პოეტები არ არსებობს, მერე ეს ყველაფერი შეკონა შექსპირმა, ჰომეროსმა. გოეთემ ნაკლებად, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არ მევასება. ან, თუნდაც ელიოტი. ჰემინგუეიმ თქვა, რაც გაჩნდა, იმის მერე ერთი წლითაც არ გაახალგაზრდავებულაო, ელიოტი კარგად ვიცი, მაგრამ მაინც მირჩევნია ფოთოლათ მერცხალა. არ შეიძლება მე ინტელექტუალი ვიყო, ჩემს საფეთქლებში იმის მეტი, რაც ბავშვობიდანაა შემოსული, ვეღარაფერი შემოვა, რადგან სავსე ვარ.

– აღარ გამოგელიათ მარაგი?

– არც გამომელევა არასოდეს. ერთადერთხელ მქონდა კრიზისი, როცა მივხვდი, რომ ჩემი ნაწერი ლექსი არ იყო, პატარა ვიყავი მაშინ, სკოლაში ვსწავლობდი. ბებოჩემმა სამი მანეთი სახსარი გამატანა გასვენებაში, იქ იტირეს ქალებმა, ვისაც თვითონაც ჰყავდათ მიცვალებული. კიოდა მოტირალი და ეს სცენა არასოდეს ამომივა თავიდან, ნამდვილი იყო, ის ტიროდა თავის ქმარს, შვილებს, წარსულს, ქმარი აქეთ იხრწნებოდა – ეს იყო ძღვენი ჩემთვის, იმიტომ, რომ მაშინ გავიგე, რა არის პოეზია. შენ როგორ ფიქრობ, ახალი აღთქმა, იოანეს სახარება პროზაა თუ პოეზია?

– ფსალმუნებიც დიდი პოეზიაა.

– მე ესე მიმაჩნია, რომ სახარება პოეზიაა. ჩემთვის ჭეშმარიტების ფორმა პოეზიის გარდა არაფერს არა აქვს. 2+2 არის 4, თუ ეს პოეზიაში არ არის ნათქვამი, მე ის არა მწამს, მეცინება. აბსოლუტურად მათემატიკურად ზუსტია პოეზია. ბარათაშვილისთანა გენიოსი პოეტი სადღაა, არც დაიბადება. ნიკოლოზ ბარათაშვილისნაირი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი დღესვე. ანდა ილია, ყვარლის მთებისნაირ ლექსს ვერავინ დაწერს. „პადონოკები“ კიდევ

ვაჟა ფშაველა მარჯვნიდან მესამე (სიკვდილამდე 2 წლით ადრე)

ქეთო, ეს ფოტო ოცდაათიან წლებში ყუბანეიშვილსაც აქვს გამოქვეყნებული თავის მონოგრაფიაში ვაჟაზე, სხვა დროსაც გამოქვეყნებულა, მაგრამ არასოდეს თქმულა, რომ ამ ფოტოზე ვაჟასთან ერთად ქიტო ხარანაულიც არის გამოსახული, პაპაჩემი, თიანეთის მამასახლისი (შუაში, ხანჯალზე რომ უდევს ხელი). ვაჟას ბებია იყო დოჯურ ხარანაულის ქალი. ასე რომ, ნათესავები ვართ, რაც ძალიან მეამაყება. ბესიკი

ათას სისულელეს ამბობენ ილიაზე. მე მაგალითად ვილტვი, რომ ვინმე კარგი იყოს, ეგენი ილტვიან, რომ ვინმე ცუდი იყოს. ვიღაცამ მითხრა, აი, ტომეულები გამოვიდა გალაკტიონის და ორი ტომი თუ იქნება კარგიო. გალაკტიონი იმით კი არაა ცუდი, რაც არ უვარგა, იმითაა კარგი, რაც კარგი აქვს. ცუდს ეძებენ, გაიგე?

– ჯორზე ამხედრებულ რაინდებს მივხედოთ, რეალურები იყვნენ ისინი?

– იცი, რას გეტყვი? (პაუზა), მე მგონი მინახია ეგენი. რაღაცნაირად დარწმუნებული ვარ, რომ მინახია, თუ არ მინახია, მაგის დედაც, არ მაინტერესებს. ის ვიცი, რომ მაგარი წიგნი დავწერე. ჰიპერბოლები ვერ იცხოვრებდნენ ამ მამაძაღლ ქვეყანაში,

„იმის ეჭვიც მიჩნდება, იყო თუ არა ეს ყველაფერი სინამდვილეში, მაგრამ რომ გამახსენდება, როგორ მაძლევდა სიცხეებს ამ ამბების გამო და როგორ ვისველებდი ღამღამობით, რის გამოც იძულებული გახდა დედაჩემი, ცალთვალა მკითხავთან წავეყვანე გამოსალოცად (ასეთი შემთხვევა ერთი და ორი როდი ყოფილა), ვამჯობინებ დავიჯერო, რომ სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ნამდვილად ვნახე“

(წიგნიდან)

– ნანახი გამონაგონს უნდა შერეოდა, სხვადასხვა ავტორების მოგონებებით და ეთნოგრაფიული ჩანახატებით – თავიდანვე ასეთი ფორმა გქონდათ ჩაფიქრებული?

– ეს არის ერთი ლექსი, დაწერილი ხუთას გვერდზე, მეტი არაფერი. ერთი ხუთასი გვერდი კიდევ, ამოვყარე. რომ ჩაიხედო იმ გადაყრილში, დაგენანება, რატომ არ შევიდა წიგნშიო, მაგრამ ვეღარ ავიტანე. დავხოცე ხმლით, ხანჯლით. 3 წელი ვწერდი. გაგიჟდები, ისეთი სწრაფი ტვინი მაქვს, ჭჭჭიუუუ! ეგეთი. ჩემი ტვინი არის ისარივით გასროლილი, მაგრამ მაინც ის ბანტი მინდა მქონდეს, სურათში რომ მაქვს, ძვირფას საჩუქრებს მჩუქნიან და იმ ბანტს არავინ მჩუქნის.

– ვინც უკვე წაიკითხა „ჰიპერბოლებისა და მეტაფორების წიგნი“, ყველა ამბობს, ძეგლი დაუდგა ფშავ-ხევსურებსო.

– რა ძეგლი? ეს არის ზღაპრული სინამდვილე, რომელშიც ადამიანი ცხოვრობდა. ქერის მარცვალს ითვლიდნენ და სიცოცხლეს არ ითვლიდნენ, ეს იყო მათი უბედურებაც და სიშტერეც, მაგრამ მაინც ჯიგრები იყვნენ, მიყვარან, რა.

– წიგნში მაინც შეიმჩნევა დაპირისპირება ხევსურებსა და ფშავლებს შორის.

– ვაჟა ფშაველი იყო და 85-86 წლებში წერდა კორესპონდენციებს ჰიპერბოლებზე კი არა, მათ აჩრდილებზე, მაგრამ რა ქნა იცი, რაც გენიალური დაწერა, დაწერა ჰიპერბოლებზე, ანუ ხევსურებზე. „ალუდა ქეთელაური“ და „გველისმჭამელი“ სულ მაგათ ანდრეზებზე დაწერა. ეს ხალხი თავად იყო წიგნი, მაგრამ როგორც კი ფეხი გადმოდგეს წიგნიდან, დაერხათ.

– თქვენ მათი დაწერილი ზეპირი წიგნი გადმოწერეთ?

– ყველა სიტყვა, რაც წიგნშია, მე მეკუთვნის, და ამავე დროს, ჩემი კი არ არის, ეკუთვნის ნამდვილ ისტორიას.

– მკითხველმა როგორ გაარჩიოს, თქვენ რა გეკუთვნით და ისტორიას რა.

– რაც ჩემი არაა, ბრჭყალებშია. მკითხველი თვითონ იგრძნობს, რომ მე არასოდეს ვიტყვი იმას, რაც არ ვიცი. რასაც ამბობენ ზისერმანი, რადე, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი, ბესარიონ გაბუური, მე იმათთან არ ვერევი, ჩემსას ვმღერი, ჩემს სიმღერას.

– რომელიც სათაურებიდანვე იგრძნობა.

– აი, იქა ვარ, სათაურებში. 140 სათაურია ანუ ერთი დიდი ლექსი, მარტო სათაურები რომ წაიკითხონ, მეტის წაკითხვის თავი არცა აქვთ და არც არის საჭირო. არადა, ამ წიგნში კი-

> მე სახარება „შემოწმებული“ მაქვს პოეტური თვალით, იმიტომ რომ პოეზია ჩემთვის არის ყველაზე ზუსტი მეცნიერება და პოეტური თვალით რომ შევამოწმე, ვნახე, რომ ზუსტია, ქრისტეს ყოველი სიტყვა არის ზუსტი ანუ პოეზიაა.

თხვა ვაქციე ხელოვნებად, მთელი წიგნი არის თამაში, რადგან ვერაფერზე იტყვი, რომ რეალურია. მთელ წიგნს ვთავაზობ მკითხველს იმისათვის, რომ იმხატვრულოს, რაღაცა ნახოს რა, ამ შობელძაღლმა.

– წიგნის სათაურიდანვე „ჯორზე ამხედრებული რაინდები“ ერთგვარ ირონიულ ასოციაციას იწვევს როსინანტზე ამხედრებულ რაინდისას.

– განა რატომ არ უნდა გაჩნდეს ეს ასოციაცია? ოღონდ ეს არის კომიზმი – მარად განმეორებადი ჭეშმარიტება. სინამდვილე, სილამაზეა კომიზმი, ესენი აბსოლუტურად არა ჰგვანან დონ კიხოტს, მაგრამ მკითხველი ელოდება დონ კიხოტს, ამ დროს კი მკითხველსაც დავცინი და ყველა დანარჩენსაც.

– ძალიან ნათელია ჯოროსნების სახეები, ცოცხების თავებსა და ჯორის ფლოქვებს ადევნებული მტვრის ბუღს ახლაც ვხედავ. ნამდვილი წიგნიც ხომ სინამდვილეა, რომელიც ოდესღაც გინახავს. „ჰიპერბოლებისა და მეტაფორების“ ფინალი ჩვენი საუკუნის ირონიაა?

– ნამდვილად ირონიაა. ის ბიჭიც მე ვარ, 40 წლისა რომ ხდება, მერე წავა, წავა და უცებ გახდება ასაკის გარეშე. ცხოვრებაში შესატყუებელ წიგნში ვამბობ: სიტკბოთი კი არ შეიტყუებს კაცს ცხოვრება – სიმწარით. სიხარულით კი არა – ტანჯვით.

– წიგნში ბევრია ფილოსოფია და სიბრძნეები.

– რა ჩემ ფეხებად მინდა სიბრძნე, ვშაყირობ ხოლმე კიდეც – სიბრძნეა შვილო, ესა, ფილასოფიაა. რაც ვნახე, ვნახე ბავშვმა და ის არასოდეს ამომეწურება. მე, ბავშვმა ვნახე მთელი ქვეყნიერება, როგორ მიდგას იცი თვალწინ მთელი სამყარო, გაგიჟდები. ხანდახან ვფიქრობ, რას ვაფერადებ-მეთქი, მრცხვენია. რაც ვნახე, იმას ვწერ და ძაან იოლადაც. წამოვწვები, ვდგევარ თუ დავდივარ, ყველგან ჩამესმის რა უნდა დავწერო. ასეა, ასე. „უნდა მიჰყვე პოეზიას სრულად და ლექსს რამდენადმე“.

წარსული არის ის, რაც არ გახსოვს, მაგრამ გელანდება. მე მაგალითად ძაან უცნაური რაღაცეები მემართება. წინა წიგნში მყავდა პროკლოვიანთ კატო, ერთხელაც, მინდა, რომ გადავაკეთო ეს პროკლოვიანთ კატო და მივდივარ გამომცემლობაში, სადაც წიგნი ეწყობა, ერთი ქუჩა უნდა გადავკვეთო და გადავიდე მეორეზე. ბესიკ, გამარჯობა! – მესმის უცებ – ვერ მიცანი, პროკლოვიანთ კატოს შვილიშვილი ვარო. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, მინდოდა, მეტირა. მაპატიე, ჩემო კატო დეიდა, როგორ გღალატობდი-მეთქი.

– ამ ერთგვარ ეპოსში კავკასიაზე უმეტესობა ხალხურ ანდრეზებზეა დაფუძნებული თუ გამონაგონიც ბევრია?

– მე ვარ ადამიანი, რომელსაც უყვარს ეს ყველაფერი და მინდა ვანახო მკითხველსაც, რაც დაწერა ვაჟამ, გაბუურმა. გაბუურს ხო არასოდეს წაიკითხავს მკითხველი. მოვაგროვე ეს ყველაფერი და მივეცი მკითხველს. ბევრი რამ აღმოვაჩინე ჩემთვისაც, იმდენად მხატვრულ ირონიაშია მოთხრობილი ყველაფერი, მოუკვდეთ ჩემი თავი, „ვყოფილვართ ცოტინიკანი, ადგილ გვჭერივა ხმლითაო, ვხოცილვართ სიუჭკოვითა, ისივ ადგომამც იყვაო!“ არავის არ აქვს თავისთავზე ეგეთი რამ ნათქვამი. ხევსურებისნაირი კილოკავიც, მწიგნობრული ენა არსად არაა საქართველოში, მათნაირი ტანსაცმელიც, ჩემი ახირებით კავკასიაში არავის აცვია, არადა, კავკასია რა არის? ყველაფერს ერთმანეთისგან იღებენ.

– ჰიპერბოლა და მეტაფორა ასე გაქვთ განმარტებული – შეუძლებელი და შესაძლებელი. როცა შეუძლებელი და შესაძლებელი ერთმანეთთან ვერ თავსდება, ის კულტურა იღუპება?

– არა, ის კულტურა არ იღუპება, პოეზიაში რჩება. სანამ არის შესაძლებელი და შეუძლებელი და ეს ყოველთვის იქნება, მანამ არის პოეზია, ეგრეა. პოეზია კი მარადცოცხალია, სიცოცხლის გარეშე პოეზია არ არსებობს.

– მეეჭვება „ჰიპერბოლებისა და მეტაფორების წიგნს“ მრავალრიცხოვანი მკითხველი გამოუჩნდეს.

– მკითხველს მხალივით დავუკეპე მთელი წიგნი ანუ დავცინე, სათაურები რომ წაიკითხოს ისიც ეყოფა, ბოლომდე მაგის წაკითხვა ვის შეუძლია? დავუშვათ, შენ გინდა მსოფლიოს გააგებინო, რაზეა ეს წიგნი, ესაა საგა კავკასიაზე, ადამიანებზე, რომლებმაც სიყვარული კი არ იცოდნენ, სურვილი ჰკლავდათ. სურვილი მათთვის იყო შეუძლებლისადმი ლტოლვა.

– ეს აღმატებული საგაა?

– ბესარიონ გაბუურისას რომ წაიკითხავ, არ არის ეგრე.

– ბესიკ ხარანაულისას რომ წაიკითხავ?

– აკი გითხარი, მთელი წიგნი პოეზიაა, ხუთას გვერდზე გაჭიმული და არცერთი სტრიქონი არ არის ისეთი, პოეტური რომ არ იყოს. მეჯავრება ყველაფერი არაპოეტური და არც შემიძლია, ვერა ვწერ ეგეთ ფრაზებს, იმიტომ, რომ პოეზიის გარდა არცერთი ენა არ მესმის. არც არასოდეს დაიხურება პოეზიის კარი, ისეთი რამეა, წააწყდება ვიღაცა და აიღებს. მე არა მწამს ისეთი წარსული, რომელსაც ადამიანი თუნდაც ორასი წლის მერე აღიქვამს როგორც იმდროულს, მე მწამს ისეთი წარსული, რომელიც ახალ კულტურულ გარემოში მოექცევა, რაც იყვნენ ხევსურები და ფშავლები, ის

კულტურული გარემო უნდა ვითამაშოთ ახალ დროში, ახალი ხერხებით.

– სახარებას აღიქვამთ როგორც პოეზიას, თავად პოეტი რელიგიურია?

– მე სახარება „შემოწმებული“ მაქვს პოეტური თვალით, იმიტომ რომ პოეზია ჩემთვის არის ყველაზე ზუსტი მეცნიერება და პოეტური თვალით რომ შევამოწმე, ვნახე, რომ ზუსტია, ქრისტეს ყოველი სიტყვა არის ზუსტი ანუ პოეზიაა. ჩემთვის სახარების ოთხივე ტექსტი პოეზიითაა გაჟღენთილი, ფსალმუნებზე არა ვარ ისე გადარეული, რამდენიმე მიყვარს, მაგრამ ფსალმუნებს ისე არ ვუყურებ, როგორც სახარებას, ფსალმუნების ავტორი ქრისტე არ იყო. ქრისტემ შეცვალა კაცობრიობა ჩემი აზრით, მერე ბოროტად გამოიყენა ქრისტე კაცობრიობამ, ეგ არ მომწონს. ქრისტე ჩემთვის ძალა კი არ არის, რომლითაც შეგიძლია მოკლა მეორე, არამედ ძალაა, რომლითაც შენს თავს უნდა მოერიო.

– ჰიბერბოლებსა და მეტაფორებსაც ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ? მათ ხომ არც ესმოდათ ლოცვები, რომლებიც გაუგებარი სიტყვების გროვა უფრო იყო.

„მამაო და ღმერთო ჩვენო, რომენი ხარ ცათაშია, აგრე ხოყანათაშია! მოგვიშვი და მოგვიტევე პური ჩვენი არსობილთა, რაც უფალთა მოგვიტანა ნუ შეგვიყვან განსაცდელსა“

(წიგნიდან)

– ერთი ღმერთი ყოველთვის ჰყავდათ. ისტორიკოსები და ეთნოგრაფები არასოდეს ამბობენ, რომ ეს ხალხი ნიჭიერი იყო, არადა, ნიჭიერები იყვნენ, რაც ზევით მიიწევდა მარტო ის ქონდათ – ალვის ხე და მუხა – რაც მაღალი იყო და მათ ზევით იყო, იმაზე ლოცულობდნენ, მერე იპოვეს ღმერთი. კაცობრიობამ რა, როდის იპოვა ქრისტე, მაშინ, როცა დაჭირდათ, როგორც ადამიანი. ამათ კიდე, სულ ადამიანები ჰყავდათ ხატებად, იმისათვის რომ გვერდზე ყოლოდათ და მიხმარებოდათ, მერე ყველა წმინდა გიორგით გარდაისახა. „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი...“ კოსმოსში არაა გასული ამის მთქმელი?

– ლოცვების აზრს კი არ მიყვებიან, არამედ რიტმს.

– სწორედაც იქცევიან, იმიტომ რომ შელოცვები და ქადაგება ძირითადად ემყარება პოეტურ რიტმს.

– ფიქრობთ, რომ ისინი უფრო მეტად განვითარებულები, სივრცეში განფენილები, სამყაროსთან დაახლოებულები იყვნენ, ვიდრე ჩვენ?

– დარწმუნებული ვარ, რომ თავიანთ მცირე სივრცეში ისინი აბსოლუტურად ეკუთვნოდნენ მხოლოდ ცას და მიწას, სწამდათ, რა. არადა, დასცინოდნენ მათ. ჩვენ ხომ სასაცილოდ ვიგდებთ იმას, რაც თავად არ შეგვიძლია.

– ამ სამყაროში არიან ჰიპერბოლები და მეტაფორები თუ გადაშენდნენ.

– არ გადაშენებულან, ილტვიან, ილტვიან, ილტვიან. არც შენ და არც მე არ გვინდა ვიყოთ შედარებები, ჩვენ გვინდა ვიყოთ ჰიპერბოლები და მეტაფორები. ხანგრძლივი ეპიკა კი არაა პოეტი, ერთი აბზაცია, ერთი სტრიქონია, რომელსაც ის მთელი ცხოვრების განმავლობაში მოიპოვებს.

– მერე რას შვრება, რომ მოიპოვებს?

– არაფერს არ შვრება, პოეტის მოპოვებული რამე გინახავს? პოეტი მოიპოვებს მხოლოდ სიკვდილს, ნამდვილ სიკვდილს. პოეტისთვის ბედნიერება რა არის, იცი? იმან იცის, რომ კვდება, მაგრამ წარმოიდგინე, რომ წახვედი საიქიოში და დაგეჯახა ჰომეროსი, აქილევსიც დაგეჯახა, ნაბუქოდონოსორიც...

– გეშინიათ საიქიოსი?

– საიქიოსი არა, ცოდვების მეშინია და იმის, რომ ცოდვა არ ჩავიდინო, ჩვენ ვცხოვრობთ ანბანს ზედა, ნოტებს ზედა, ძაან მგრძნობიარეა მიწა, რასაც ცოდვას ვარქმევთ, ამას მხოლოდ ჩვენ ვხედავთ. არადა, ცოდვა არის ისეთი რამე, რომელიც მოგინდება, რომ სხვამ არ გაგიკეთოს. მოკლედ, ცოდვა არის სიგლახე (დიდი პაუზა). თუ იყავ, რად აღარ ხარ, ჩემო თავო.

თუ იყავ, რად აღარ ხარ, ჩემო თავო...

- ბესიკ ხარანაული ესაა დედა, მიწა და პოეზია. ვერცერთიდან ვერ გადიხართ, ეს არის ტვირთი თუ ჯილდო.

– დედა, მიწა და პოეზია არის ერთი და იგივე.

რატომ ვიყავი დედასთან ესე? მარტო ვიყავით, ერთად ვიყავით, სულ ასე იქნება, მე დედაჩემზე კარგი ადამიანი არ მინახავს ცხოვრებაში.

მიწა კიდევ, ერთი მტკაველი გვქონდა და სულ ვიცავდი იმათგან, ვინც იმ მიწაზე შემოიწევდა.

პოეზიაში დავიბადე კაცო და ახლა რომ მეუბნებიან ხოლმე ვერლიბრის მამა ხარო – მეცინება, რა ვერლიბრი, ვერლიბრზე დავიმცირებ თავს? იოანეს სახარება ვერლიბრია? ნატირლები ვერლიბრია? მე არ დავბადებულვარ ვერლიბრში, მე დავიბადე პოეზიაში.

P.S. მეეჭვება ასე წარადგენდნენ ახალ წიგნს. მართლა ისე გამოვიდა, მთვრალი მიწისმზომელი რომ სინამდვილეს აურ-დაურევს. არადა, ეს წიგნი საყოველთაოა, ყველანაირი ჯურისა და ჟანრის მკითხველისთვის:

თავგადასავლების მოყვარულთათვის
ისტორიისადმი თავმოდრეკილთათვის
ეთნოგრაფიით დაინტერესებულთათვის
სასიყვარულო, რომანტიკულისადმი თვალებმინაბულთათვის
უხამსობის მოტრფიალეთათვის
ფანტასტიკურში დაკარგულთათვის
ირონიულად თვალებმოწკურულთათვის
ფილოსოფია – სიბრძნეებისაკენ მილტოლვილთათვის
პათეტიკისკენ მიდრეკილთათვის
შარა-გზისა და ნაგავსაყრელის ხიფათოსნებისათვის
ავტორით აღფრთოვანებულთათვის
პოეზიაზე გადარეულთათვის
თქვენნაირებისათვის
ჩემნაირებისათვისაც – „ადრე მეგონა, რომ ყველას ვუყვარდი.

მერე მინდოდა, რომ ყველას ვყვარებოდი.

ახლა მინდა, რომ თავი დამანებონ“.

ინტერვიუ ქორი უილქესთან

ავტორი: კახა თოლორდავა
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭი იყავით, როდესაც ერთმა ვეტერანმა ჯაზმენმა ასეთი რამ გითხრათ: „ბიჭი, შენ ის გაქვს!" ეს „ის" სხვადასხვა ენაზე სხვადასხვანაირად ჟღერს, მაგალითისთვის, ესპანელები ამას დუენდეს უწოდებენ – *tener duende* ესპანურად „სულის ქონას" ნიშნავს. გიცდიათ თუ არა, თუნდაც თქვენთვის, განგემარტათ, თუ რაა ეს „ის," რასაც ხანშიშესული ჯაზმენი გულისხმობდა?

დუენდე! ჰო, მე წამიკითხავს ამის შესახებ... ეს „რაღაც" მხოლოდ და მხოლოდ ხარისხობრივად ხელშესახები ცნებაა. როდესაც ვინმე კარგად უკრავს, ის მუსიკის მეშვეობით გადმოგდებს ამას და მხოლოდ ასე თუ გაგრძნობინებს იმ „რაღაცის" ქონაარქონას. ზოგჯერ კონცერტის დროს ვიღაცას რომ უსმენ, შეიძლება შენდაუნებურად დაგბურძგლოს და ეს შეგრძნება ძალიან, ძალიან ძლიერია; ხშირად ისეთი ძლიერი, რომ სიტყვებით ახსნაც კი შეუძლებელი ხდება. ბავშვობის დროინდელ შემთხვევას თუ დავუბრუნდებით, გამოგიტყდებით, რომ მაშინ ვერც კი გავიგე, ის კაცი რას გულისხმობდა. მერვე კლასში ვიყავი იმ დროს. მან მითხრა: „შენ ეს გაქვს!" მე კი მეგონა, რომ რაღაც დავაშავე, ან რაღაც გავაფუჭე. მერე ყველაფერი უფრო დაწვრილებით ამიხსნა, მაგრამ ჩემთვის ეს განმარტება ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგანაც ყოველთვის იმას ვუკრავდი, რასაც ვგრძნობდი. ყოველთვის მქონდა კარგი მუსიკის შეგრძნების უნარი და კარგ მუსიკაში სულ მესმოდა ის ენით აუწერელი „რაღაც." სხვათა შორის, იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ როგორ ჟღერდა ცუდი მუსიკა; მუსიკა იმ იდუმალი „რაღაცის" გარეშე. ბავშვობაში სულ თან დავყვებოდი მშობლებს ტაძარში მსახურებაზე, იქ კი, წირვის დროს, სულიწმიდის ხსენებისთანავე ადამიანები სიმღერას და ცეკვას იწყებდნენ. რიტუალურ მუსიკას მძლავრი ენერგეტიკა აქვს! ცუდი მუსიკა პირველად, მგონი, კოლეჯში მოვისმინე. მაშინ მივხვდი, რომ ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ იმ მუსიკოსებმა დაკვრა არ იცოდნენ, უბრალოდ, მათ ეს აუხსნელი „ის" არ ჰქონდათ, ჩემთვის კი, გონებას თუ მოვიკრებდი, ყველაფერი ეს ბუნებრივად მოდიოდა...

ლუის არმსტრონგი ამბობდა, რომ ჯაზი ისაა, რაც და ვინც ხარ შენ... როდის დადგა თქვენთვის ის მომენტი, როდესაც მიხვდით, რომ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეგეძლოთ საკუთარი მუსიკალური მონაცემებით?

ბავშვობაში სპორტის ფანატიკოსი ვიყავი. ფეხბურთს ვთამაშობდი და ძალიან კარგად ვჭიდაობდი; იმდენად კარგად, რომ შანსიც კი მქონდა ჭიდაობას პროფესიონალურად გავყოლოდი. ამის გამო, რაღაც მომენტში სკოლაში პრობლემები შემექმნა – ნიშნები გაუარესდა. მშობლები შეწუხდნენ და მითხრეს: „გადაწყვეტილება უნდა მიიღო და არჩევანი გააკეთო. ყველაფერს ერთად ხომ ვერ მიედ-მოედები". სწორედ ამ დროს გადავწყვიტე მუსიკისთან „დარჩენა". ამ გადაწყვეტილებამ ძალიან გააბრაზა ჩემი მწვრთნელი, მაგრამ მაშინ უკვე მესმოდა, რომ ფეხბურთი ან ჭიდაობა ჩემი ცხოვრების ნაწილი ვერ გახდებოდა. ვიგრძენი, რომ მერჩივნა ის გრძნობები გადამეცა ადამიანებისთვის, რასაც მე ვიღებდი კარგი მუსიკის სმენისას. იმასაც ვხვდებოდი, რომ მუსიკას რაც შეეხებოდა, სხვები უფრო აფასებდნენ ჩემში ჩადებულ მონაცემებს, ვიდრე მე თვითონ. ცოდვა იქნებოდა ეს ნიჭი რომ არ გამომეყენებინა. უამრავი ადამიანია გარშემო, ვინც მთელი ცხოვრება ცდილობს, გაერკვეს თუ რატომ აკეთებს იმას, რასაც აკეთებს. არ მინდოდა ერთ-ერთი მათგანი ვყოფილიყავი...

ჯაზში წარსული უკვე განვლილი და დავიწყებული გზა კი არა, არამედ მნიშვნელობით სავსე დროის მონაკვეთია, რომელსაც მომავლის განსაზღვრა ძალუძს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჯაზში მოქმედი მუსიკალური ფორმების არსის ჩასაწვდომად აუცილებელია მის საწყის ფორმებთან დაბრუნება ამ ფორმების უფრო კარგად აღსაქმელად?

დიახ, გარკვეული თვალსაზრისით ეს აუცილებელია, თუმცა პირადად მე, როგორც ჩიკაგოელს, შორს წასვლა არც დამჭირვებია; ჩემივე ფესვები, იმ მუსიკის ფესვები, რასაც მე ვუკრავ, ჩემსავე ქალაქშია. კლუბი Velvet Lounge თავიდანვე ის ადგილი იყო, სადაც ჯემ-სეშენებზე ვუკრავდი და სადაც ავან-გარდისტ ჯაზ-მუსიკოსებს ვხვდებო-დი. დღესაც, ჩიკაგოში რომ ჩავდივარ, პირველი რასაც ვაკეთებ, ისაა, რომ იქ მივდივარ დასაკვრელად. თუ ჩიკაგოში იქნებით და კვირას ჩემი მოსმენა მო-გინდებათ, ქალაქში თუ ვარ, აუცილე-ბლად Velvet Lounge-ში მნახავთ. ისეთი დიდი მუსიკოსები, როგორებიც არიან საქსოფონისტები ვონ ფრიმანი და ფრედ ანდერსონი, ხშირად უკრავენ იქ; Velvet Lounge ანდერსონის კლუბია და მას და სხვა დიდ მუსიკოსებს სწორედ იქ ვხვდები ხოლმე. ამას ვგულისხმო-ბდი, რომ გითხარით, საკუთარი ფეს-ვების დასაძებნად შორს წასვლა არ მჭირდება-მეთქი; ეს უკვე ხანში შესუ-ლი მუსიკოსები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და მათ უამრავი რამის სწავლება შეუძლიათ ჩემთვის. იმდენი ჯერ არც კი მიცხოვრია, ძალიან შორს რომ და-მჭირვებოდა წასვლა. ამასთან ერთად ნუ დაივიწყებთ, რომ მე ჰიფ-ჰოფის თაობის მუსიკოსი ვარ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცალი ყური ქუჩისკენაც მიჭირავს; მინდა ვიცოდე, თუ რა ხდე-ბა ახალი მუსიკაში. მე ბავშვობიდანვე ვუსმენდი ე.წ. „ძველ მუსიკას“ – Earth Wind and Fire, Ohio Players, BB King-ს და ბლუზს, ბებიასთან და ბაბუასთან ერ-თად. ასე რომ, ჩემივე ფესვები მუდამ ახლოს იყო ჩემთან...

ეს ის შეკითხვაა, რომელსაც ხვალ კურტ ელინგს დავუსვამ. ეს მისივე სიტყვებია: „ჩიკაგო ყოველთვის თავზე ბანდანაწაკრულ პოლონელ ქალს მაგონებს; მან ეს-ესაა მორეცხა იატაკი და ახლა, მუხლებზე დამდგარი ემზადება მის გასახეხად“. რამდენადაა მისაღები თქვენთვის მშობლიური ქალაქის ასეთი დახასიათება?

უჰ, არ ვიცი... ჩიკაგო ძალიან თბილი და მყუდრო ქალაქია საცხოვრებლად და ოჯახის შესაქმნელად; ის საოცრად საინტერესოა მუსიკალური თვალსაზრისით და კიდევ ბევრი სხვა რამის გამო. ის მულტიკულტურული ქალაქია, მაგრამ ნიუ-იორკისგან ესეც არ გაგიჭირდება. ნიუ-იორკში ეს უფრო რთული მისაღწევია. თანაც, ჩიკაგოში უფრო ნაკლები ფული გეხარჯება...

თქვენ უკვე ახსენეთ, და მეც კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩიკაგო სრულიად განსაკუთრებული ადგილია მუსიკალური თვალსაზრისით. როდესაც საქმე მუსიკას ეხება, ჩიკაგოს საუნდს ვახსენებთ და განვასხვავებთ ამ საუნდს ნიუ-იორკის ან სხვა რომელიმე ამერიკული ქალაქის საუნდისგან. რითაა გამორჩეული ჩიკაგო ხმოვანებით დანარჩენი ამერიკული მუსიკალური კერებისგან?

განსხვავებით, სადაც ყველა და ყველაფერი ერთმანეთშია გადახლართული, ჩიკაგო უფრო სეგრეგირებულია. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივ თემებს შორის მაინც განსაკუთრებული კავშირია, იქ ადამიანებს უყვართ ერთად ყოფნა და ცხოვრების ხარისხიც ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სადმე სხვაგან, სადაც მიცხოვრია. სიგიჟემდე მიყვარს ნიუ-იორკი, მაგრამ იქ ვერ ვიცხოვრებდი. რა თქმა უნდა, მუსიკალური თვალსაზრისით ნიუ-იორკი განსაკუთრებულია, მაგრამ პერიოდულად მაინც მინდება მისგან თავის დაღწევა. ჩიკაგოში ადვილია ყირაზე დგომა და მოვლენების ცენტრში ყოფნა, მაგრამ თუ ამ ყველაფრისგან დასვენება გინდა,

დიახ, ჩიკაგო მართლაც რომ განსაკუთრებულია მუსიკალური თვალსაზრისით და უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ის ბლუზის და გოსფელის ქალაქია. ბლუზი და გოსფელი აქ დაკრული ნებისმიერი სტილის მუსიკის განუყოფელი ნაწილია. ჩიკაგოში ბავშვობიდანვე შენშია გამჯდარი რიტუალური, საეკლესიო მუსიკა და ეს უკვე საკმარისი საწინდარია მუსიკისადმი განსხვავებულად მიდგომისათვის; ეს განსაკუთრებით ჯაზს ეხება... ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ის მიდგომა, რაც მე მაქვს ჯაზისადმი, ჩიკაგოს გავლენითაა განპირობებული, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვობაში, ბებიასთან ერთად დავდიოდი ხოლმე ბლუზის ფესტივალებზე. სულ რაღაც ხუთი წლის ვიყავი, პირველად ბი ბი ქინგი რომ მოვისმინე! ჩემი ერთ-ერთი ბიძაშვილი ჯაზ-ტრომბონისტი იყო და ისიც ბევრს დამატარებდა კონცერტებზე. ძალიან ბევრს ნიშნავს, როდესაც ბავშვობიდანვე ასეთ კულტურულ სფეროში იზრდება ადამიანი, ჩიკაგოში და მასთან ასოცირებულ მუსიკალურ გარემოში...

არ მახსოვს, ეს თქვენი ბერქლის მუსიკალურ კოლეჯში სწავლების პერიოდში მოხდა თუ შემდეგ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თქვენ გადაწყვეტილება მიიღეთ, წასულიყავით ნიუ-ორლეანში და დროებით იქაურ მუსიკალურ გარემოში „ჩანერგილიყავით“. რამ განაპირობა თქვენი ეს გადაწყვეტილება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რა შეიძინეთ იქ ყოფნისას ისეთი, რაც დღემდე ფასეულია თქვენთვის?

ნიუ-ორლეანი! იქ სულ რაღაც ექვსი თვე დავრჩი, მაგრამ იქ შეძენილი გამოცდილება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ჩემს ცხოვრებაში. იქ კი იმიტომ წავედი, რომ ლუიზიანას შტატის სამხრეთ უნივერსიტეტში მინდოდა სწავლის გაგრძელება. ჩემი და ჩემი მეგობრის მორის ბრაუნის საერთო ნაცნობი სწავლობდა იქ, მაგრამ ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც ვგეგმავდით. საბოლოო ჯამში უნივერსიტეტის მაგივრად ერთ-ერთ ადგილობრივ ეკ-

ლესიაში დავიწყეთ დაკვრა, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, შემოსავალი არ მოჰქონდა. ჩვენი დაქირავებული სახლის პარმაღი საგადასახადო სამსახურის ჩეკებით იყო მოფენილი. და მაინც, ნიუ-ორლეანში გატარებული დრო და იქაური მუსიკოსებისგან მიღებული გამოცდილება აბსოლუტურად განსაკუთრებული რამაა. სხვათა შორის, ნიუ-ორლეანი ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, რომელზეც ვერ ვიტყოდი, რომ მსოფლიოს რომელიმე სხვა ქალაქი მას მაგონებს. ის უნიკალური ადგილია! იქ მუსიკა რელიგიაა! იქ მუსიკით სუნთქავენ ოცდაოთხი საათის განმავლობაში. იგივე ხდება ბატონ რუჟშიც, ლუიზიანას შტატის სიდიდით მეორე ქალაქშიც, რომელიც სულ რაღაც ერთი საათის სავალშია ნიუ-ორლეანიდან და ამიტომაც იქაური მუსიკოსები სულ აქეთ-იქით მიმოდიან სხვადასხვა ბენდებში მუსიკის დასაკრავად. როდესაც იქაურ სასულე ორკესტრებთან უკრავ, უფრო ღრმად ხვდები იმ მუსიკის არსს, რაც შენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ნიუ-ორლეანში ჯაზს სულ სხვანაირად უკრავენ, ვიდრე ჩიკაგოში და მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ უფრო კარგად მესმოდა, თუ რას ვაკეთებდი. ეს ის ცოდნაა, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გაგყვება და ის მე, წიგნებიდან კი არა, პრაქტიკით მივიღე. მე ის მუსიკოსი ვარ, ვინც მექანიკურად ითვისებს ახალს. ბერკლიში ორი წელი დავრჩი და ეს დიდებული გამოცდილება იყო ჩემთვის, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, რომ უფრო მეტის მისაღებად ბერკლის მიღმა უნდა გადამედგა ნაბიჯი და ცოტა „სხვა წყალში“ დამესველებინა ფეხი, რადგანაც ვხვდებოდი, რომ აკადემიური სივრცე ყველაფერს ვერ მომცემდა. სპონტანური სკოლა, აი ისეთი, მოულოდნელად რომ გეტაკება და ფიქრის საშუალებას არ გაძლევს, ყველაზე ბევრის მომცემია; ეს და უფროსი თაობის მუსიკოსებთან ერთად დაკვრა. ყველა ჩემი მენტორი, იქნებოდა ეს კაჰილ ელ ზაბარი თუ ერნსთ დოქინსი, ხელს მიწყობდა ახალი ცოდნის მიღებაში და რომ იცოდეთ, რამდენი რამ იყო შესასწავლი მათგან, რამდენი რამ... განსაკუთრებით კი იმ უკვე ხანში შესული მუსიკოსებისგან, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია და უკრავს. აქვე დავამატებ იმასაც, რომ ჩემი თაობის მუსიკოსებიც – როი ჰერგროუ, ნიქოლას ფეითონი და სხვები, ძალიან მეხმარებოდნენ თავისი რჩევებით. ჰო, ეს ურთიერთობები ძალიან დამეხმარა შემდგომ განვითარებაში...

> ვიგრძენი, რომ მერჩივნა ის გრძნობები გადამეცა ადამიანებისთვის, რასაც მე ვიღებდი კარგი მუსიკის სმენისას. იმასაც ვხვდებოდი, რომ მუსიკას რაც შეეხებოდა, სხვები უფრო აფასებდნენ ჩემში ჩადებულ მონაცემებს, ვიდრე მე თვითონ. ცოდვა იქნებოდა ეს ნიჭი რომ არ გამომეყენებინა. უამრავი ადამიანია გარშემო, ვინც მთელი ცხოვრება ცდილობს, გაერკვეს თუ რატომ აკეთებს იმას, რასაც აკეთებს. არ მინდოდა ერთ-ერთი მათგანი ვყოფილიყავი...

თქვენ თანამედროვეობის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პატივცემული მესაყვირე, ლესთერ ბოუი შეცვალეთ Art Ensemble of Chicago-ში, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ. შეგიძლიათ გაიხსენოთ, თუ როგორ მოხდა თქვენი ბენდში დაპატიჟება ბოუის პარტნიორის როსქო მიჩელის მიერ და რამ განაპირობა ეს?

Art Ensemble of Chicago-მდე ორი წლის განმავლობაში ჯერ მიჩელის მეორე ბენდში – Note Factory-ში ვუკრავდი. მას ჯერ კიდევ იმ პერიოდში შევხვდი, როდესაც ერნსთ დოქინსის Little Spirit Big Band-ში ვუკრავდი. ერთხელ ერნსთმა როსქო თავის კონცერტზე მიიწვია დასაკრავად. ადრე არ მყავდა როსქო ცოცხლად მოსმენილი, თუ არ ჩავთვლით ვიდეოზე ნანახ Art Ensemble of Chicago-ს კონცერტს. სიმართლე რომ გითხრათ, არც კი ვიცოდი, თუ რა მელოდა იმ დღეს, რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ მეცადინე მუსიკოსი ვიყავი, ვსწავლობდი ბიბოფის დაკვრას და იმის დროც კი არ მრჩებოდა თვალყური მედევნებინა თუ რას აკეთებდა ამ დროს როსქო მიჩელი. ცხრამეტის თუ ოცის ვიქნებოდი იმ დროს. მოკლედ, იმ საღამოს პირველად რომ ერთად დავუკარით, ნოტების ნიაღვარი მოგვაყარა; მეგონა, ეს ნიაღვარი სცენიდან წაგვლეკავდა! სოლირებისას თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში ახერხებდა წრიული სუნთქვის მეშვეობით საქსოფონზე შეუჩერებლად დაკვრას! ცხოვრებაში არასდროს მომესმინა და მენახა ასეთი რამ და გამოგიტყდებით, რომ ეს ცოტა შეურაცხმყოფელიც კი იყო, აი ასეთი მაღალი დონე! თანაც, მე ხომ იმ საღამოს მსმენელი არ ვიყავი? მე მასთან ერთად ვიდექი სცენაზე და უნდა დამეკრა!

>>> გაგრძელება გვ. 106

ლაშა კალანდაძე

აკრძალული დროშები

www.facebook.com

„ჩვენი დროშა წითელი იქნება მტერი ნაციონალიზმის და ინტერნაციონალიზმის“
დ. ჩიხლაძე

ამ ორიდე თვის წინ უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან ჰაინრიხ ბიოლის ძველ, 1964 წლის ქართულ გამოცემას გადავაწყდი, მაშინვე შევიძინე და დროის გასაყვანად იქვე, ქუჩაში დავიწყე კითხვა. რასაკვირველია, ჩემი საყვარელი ტრადიცია არ დავარღვიე – რომანს გადავახტი და მოთხრობებს ჩავუჯექი. ასე შემომეკითხა ბიოლის ერთი პატარა მოთხრობა, „ჩემი ნაღვლიანი სახე“, სადაც ციხიდან სულ რამდენიმე საათის გამოსულ პერსონაჟს, ხელმეორედ აპატიმრებენ, დაკავების მიზეზი კი, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდება, მისი ნაღვლიანი სახეა. მოკლედ, ბოლოს ისიც ირკვევა, რომ პერსონაჟმა წინა სასჯელი მისი მხიარული სახის გამო მოიხადა. ჰაინრიხ ბიოლის ამ ძალიან პატარა მოთხრობაში კარგად ჩანს საყოველთაო, სახელმწიფო ან „უბრალო“ აკრძალვების და აკრძალვების ჩანაცვლებების სრული აბსურდულობა.

ეს ტექსტი კი პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის გადაწყვეტილებამ გამახსენა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ დაამტკიცა კანონი პოლონეთში კომუნისტური სიმბოლიკის აკრძალვის შესახებ. კანონი ითვალისწინებს იმ პირების დაჯარიმებას ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ვინც რაიმე სახით გაავრცელებს ან შეინახავს ნივთებს საბჭოთა სიმბოლიკით. ყურადღება მიაქციეთ, საქმე ეხება არა უბრალოდ სახელმწიფო შენობების, მათი ინტერიერის ან ექსტერიერის კომუნისტური სიმბოლიკისგან „განთავისუფლებას“, არამედ ადამიანების პირად ნივთებს, რომელთა მნიშვნელობასაც, ან თუ ასეთ კანონპროექტთა ინიციატორების საყვარელ სიტყვას – ღირებულებას – ვიხმართ, თავად ამ ნივთების მფლობელი ადამიანები უნდა ადგენდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ, გამონაკლისის სახით, კომუნისტური სიმბოლიკის გამოყენება დასაშვებია ხელოვნების, კვლევითი ან საგანმანათლებლო დანიშნულებით. აკრძალვა არც კოლექციონერებს შეეხებათ. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამ კონკრეტული კანონის მთავარი ინიციატორები პოლონელი მემარჯვენეები იყვნენ. მათ მთავარ არგუმენტს საბჭოთა კავშირის დანაშაულებრივი რეჟიმი და ამ რეჟიმის მიერ პოლონეთისთვის მიყენებული ზიანი, მათ შორის მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, წარმოადგენს. ისინი ამტკიცებენ, რომ ასეთი რეჟიმის სიმბოლიკას არანაირი ფორმით არ აქვს არსებობის უფლება პოლონეთში. მათი შემდგომი მოთხოვნა კი შენობებისა და ქუჩებისთვის კომუნისტური სახელწოდებების შეცვლაა.

აღნიშნულ ცვლილებას მაშინვე მოჰყვა თავად პოლონეთში მემარცხენეების პროტესტი, რომლე-

ბიც ძირითადად ადამიანის უფლებათა დარღვევაზე მიანიშნებენ. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კომუნისტური სიმბოლიკა დღემდე რჩება სოციალისტებისა და მემარცხენეების ნაწილისთვის მნიშვნელოვან ატრიბუტად; მით უმეტეს, რომ აკრძალვას დაექვემდებარა არა მხოლოდ „ნამგალი და ურო", ან წითელი ვარსკვლავი და დროშა, არამედ ჩე გევარას ცნობილი გამოსახულებაც, რომელიც მთელ მსოფლიოში, ძირითადად ახალგაზრდებს შორის, უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ჩემთვის, პირადად, პოლონეთის ეს გადაწყვეტილება ნამდვილად გასაკვირი იყო. მით უფრო, რომ არ ვიცი ამ ქვეყნის შიდა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ მისთვის, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის, საბჭოთა კავშირი განვლილი ეტაპი უნდა ყოფილიყო. მეგონა ისიც, რომ ასეთ ქვეყნებში, ირონიული თუ არა, მინიმუმ იგივე დამოკიდებულება მაინც არ ექნებოდათ კომუნისტური სიმბოლიკის მიმართ, როგორიც თავად „ბოროტების იმპერიის" მმართველებს ჰქონდათ. მაშინ, როდესაც გავრცელებულია აზრი (და ეს ქართული ტელევიზიებით სხვადასხვა ადამიანისგან არაერთხელ მომისმენია), რომ პოლონეთმა ან იგივე ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შეძლეს საბჭოთა კავშირის საკუთარ თავში დამარცხება, ლეხ კაჩინსკის ეს გადაწყვეტილება სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ პოლონეთი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა კომუნისტური წარსულისგან. კაჩინსკი და მისი მომხრეები (ამ საკითხში) სრულიად პარანოიდულ დამოკიდებულებას ავლენენ, არც მეტი, არც ნაკლები, სიმბოლიკების მიმართ და მათი აკრძალვით ძალაუნებურად აგრძელებენ საბჭოთა იმპერიის ტრადიციებს (განადგურდეს ყველაფერი, რაც რევოლუციამდელი ან მიუღებელია).

ცხადია, რომ არ შეცვლილა ასეთი (ან კონკრეტულად კომუნისტური) სიმბოლიკების შეფასების, აღქმის კრიტერიუმები. თუ წარმოვიდგენთ ერთგვარ ვირტუალურ სქემას, სადაც მითითებული იქნება საბჭოთა სიმბოლიკის მნიშვნელობა „წითელი იმპერიის" დიქტატურისას და კაჩინსკის ამ გადაწყვეტილების შემდგომ, დიდ განსხვავებას ვერ აღმოვაჩენთ. პოლონეთში ამ სიმბოლიკების გაქრობის აუცილებლობა ერთი-ერთზე ემთხვევა საბჭოთა კავშირის დროს ამავე სიმბოლოების არსებობის აუცილებლობას. ასეთი ნაბიჯები კი მხოლოდ და მხოლოდ მათი მნიშვნელობის გაზრდას უწყობს ხელს. ვიღაცები იმასაც კი ცდილობენ, რომ პოლონეთის ეს გადაწყვეტილება რამენაირად გაუთანაბრონ გერმანიაში არსებულ ნაცისტური სიმბოლიკის აკრძალვას (სხვათა შორის, პოლონეთშის ეს კანონი ამ სახის სიმბოლიკის აკრძალვასაც ითვალისწინებს). ეს გასაკვირი ნამდვილად არაა იმ ფონზე, როცა პოლონეთი წამდაუწუმ ცდილობს, გააიგივოს ერთმანეთთან ფაშისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი. მათი ეს წადილი გარკვეულწილად გასაგებიცაა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ქვეყანამ საკუთარ თავზე გამოსცადა ორივე რეჟიმის ძალა. არავინ დავობს იმაზე, რომ ორივე მათგანი სისხლიან იმპერიას წარმოადგენდა და რომ მათ უდიდესი დანაშაული მიუძღვით ზოგადად კაცობრიობის წინაშე, თუმცა მათი სრული გაიგივება (აშკარა მსგავსებების მიუხედავად) უფრო ზედაპირული, არასერიოზული მიდგომა მგონია.

ასევე ვფიქრობ, რომ პოლონეთში კომუნისტური სიმბოლიკის აკრძალვა ვერანაირად ვერ იქნება ეკვივალენტური გერმანიაში არსებულ აკრძალვასთან. გასათვალისწინებელია ის, რომ გერმანია ამ ნაბიჯით საკუთარ (!) ნაციონალიზმს (!) უპირისპირდება, თუმცა ამ აკრძალვის მართებულობაზეც შეიძლება დავა. ის ქვეყნები კი, რომლებმაც საბჭოთა კავშირის გავლენა განიცადეს (და ეს გავლენა ყოველთვის ნეგატიური იყო), მუდმივად ცდილობენ ბოროტების იმპერიის რუსეთთან გაიგივებას და საკუთარ (!) პასუხისმგებლობას გაურბიან. კაჩინსკის ეს გადაწყვეტილება თავდაყირა აყენებს იმ აზრს, რომ იგივე პოლონეთმა, ლუსტრაციის კანონის მიღებითა თუ სხვა ქმედითი საშუალებებით, შეძლო საბჭოთა კავშირის საკუთარი მენტალობიდან ამოძირკვა. საინტერესოა, რა ბედი ელით წიგნებს, მარქსის, ლენინის, ტროცკისა და სხვათა ნაშრომებს, კანონში წიგნების შესახებ არაფერი წერია. თუმცა, ასეთი ლიტერატურა უფრო უნდა აშინებდეთ პოლონელ ნაციონალისტებს, ვიდრე, ვთქვათ, ჩე გევარას გამოსახულება. მეორე მხრივ, ასეთი წიგნები ხშირად სწორედ იმ აწ უკვე აკრძალული სიმბოლიკით არის გაფორმებული, კანონი კი გვეუბნება, რომ სიმბოლიკის შენახვა-გავრცელება არანაირი, მათ შორის არც ბეჭდვითი, სახით არ შეიძლება. ნამდვილად არ ვიცი, იგრძნობა თუ არა პოლონეთში საბჭოთა კავშირისადმი ნოსტალგია, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, სიმბოლიკის აკრძალვა უფრო უგუნურ ნაბიჯად მოჩანს.

12 დეკემბერი, 2009

„პირველი რუსის“ ამბავი

ავტორი: ლაშა ბუღაძე

აგერ უკვე თითქმის ცხრა წელი გავიდა „პირველი რუსის“ დაწერიდან და ზოგიერთებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, *რა უფლებით შევძვერი წმინდა მეფის საძინებელში (მოთხრობაზე „გაბრაზებულთა“* ციტირებას ვახდენ) და რატომ არ ავუკრძალე ჩემ თავს, საერთოდ, ამ თემაზე წერა. „გაბრაზებულებში“, რაც ყველაზე სამწუხარო იყო, ახალგაზრდებიც შედიოდნდენ და დღესაც, როცა სტუდენტებთან, სკოლის მოსწავლეებთან, ლიტერატურით ან – თუკი უფრო ზუსტები ვიქნებით – ტელევიზორის მეშვეობით გაცნობილი ადამიანის ნახვით დაინტერესებულ მკითხველ-მაყურებლებს ვხვდები, დარბაზში აუცილებლად აღმოჩნდება ხოლმე ამ მოთხრობაზე გაბრაზებული ერთი-ორი მკაცრი ახალგაზრდა.

სიმართლე რომ ვთქვათ, ადრე, თუნდაც სამი-ოთხი წლის წინ, ასეთი „ავები“ შთამბეჭდავ უმრავლესობაში იყვნენ, უმცირესობაში კი, როგორც წესი, ჩემდამი თანაგრძნობით გამსჭვალული თითო-ოროლა მკითხველი იყო (სწორედ მკითხველი – ამას ხაზს ვუსვამ!), რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ „გაბრაზებულთაგან“ ჩემი და ჩემივე ტექსტის დაცვას. სულ ახლახან კი კვლავაც მოვხვდი ერთ-ერთ ასეთ დისკუსიაზე და, არ დავმალავ, სასიამოვნო ცვლილების მომსწრე გავხდი: გაბრაზებულები უმცირესობაში აღმოჩნდნენ, თანაგრძნობით აღსავსენი კი უმრავლესობაში. თუმცა, შესაძლოა, ეს დისკუსია სულაც არ ასახავდა ობიექტურ სურათს და, უბრალოდ, კეთილგანწყობილთა პატარა პლანეტაზე მოვხვდი...

ამ მოთხრობის შესახებ რამდენიმე-ნაირი შეფასება მომისმენია: გაბრაზებულების, რომლებიც უშუალოდ მე მლანძღავენ და არა ტექსტს (ვინაიდან მოთხრობა, ანუ „პირველი რუსი“, როგორც წესი, წაკითხული არა აქვთ და მის შესახებ სხვების დამახინჯებული მონათხრობით მსჯელობენ), – იმედგაცრუებულების: ანუ მათი, ვინც ამაოდ ელოდა ველურ პორნოგრაფიას, რომლის მონაწილეც მათი აზრით (და ჩემი ვარაუდით) თამარ-მეფე უნდა ყოფილიყო და სინამდვილეში კი ბანალური სატირა დაუხვდათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, და ბოლოს – პროფესიონალების, რომელთაც ტექსტი ლიტერატურული თვალსაზრისით არ მოეწონათ (თუმცა მწერლებში ისეთებიც იყვნენ – და ეს ყველაზე მეტად მაკვირვებდა – რომლებიც ამბობდნენ, რომ მოთხრობა *ეთიკურ-მორალური თვალსაზრისით* არ უნდა დამეწერა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჯარო კრიტიკისგან თავს იკავებდნენ, რათა მათი ესთეტიკური სკეფსისი იდეოლოგიური კრიტიკის ნაწილად არ აღექვა ლიბერალურ უმცირესობას.

ასე რომ, პრაქტიკულად ეს მოთხრობა არავის მოსწონებია. უფრო სწორად, რაც პოპულარული გახდა, მას შემდეგ აღარ მოეწონათ, თორემ სკანდალამდე რვა თვით ადრე, როცა „პირველი რუსი“ ირაკლი კაკაბაძის ჟურნალში „დრო მშვიდობისა“ გამოქვეყნდა, არაერთი კომპლიმენტი მიმეღო მის შესახებ.

ვინც ყველაზე ხმაურიანად მლანძღავდა, იმათ – ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ – საერთოდ არ ჰქონდათ (და არც აქვთ) ეს ტექსტი წაკითხული. ახლა შევეჩვიე, თორემ ადრე შოკში მაგდებდა ასეთების სიჯიუტე და თავდაჯერებულობა. ერთხელ – შუა სკანდალის დროს – რომელიღაც სატელევიზიო გადაცემაში ვიღებდი მონაწილეობას და კეკლუცურ-მაზოხისტური ჟინით შეპყრობილი, ანონიმ-მაყურებელთა სატელეფონო ლანძღვებს ვისმენდი, ხოდა ერთ-ერთს, რომელმაც ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა ფანტაზიორობის თვალსაზრისით (რაც ახსენა, ასეთი არაფერი მეწერა ჩემ მოთხრობაში), პატრიოტული ექსტაზით თქმული მონოლოგი ამ შეკითხვით შევაწყვეტინე: ეს მოთხრობა წაკითხული თუ გაქვთ-მეთქი? მან კი უპაუზოდ, დაფიქრების გარეშე მიპასუხა: არა, მაგ სიბინძურეს როგორ წავიკითხავდიო. ასეთებს დღემდე ვაწყდები. ჯერ იქადაგებენ (მოქადაგე სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები არიან ამ მხრივ საინტერესონი), მერე კი ჭეშმარიტად საბჭოური პათოსით დაგაყრიან მორალისტურ შეკითხვებს: რა უფლებით? როგორ გაბედეთ? რატომ თავი არ შეიკავეთ? და ა.შ. ამ თემაზე, გულწრფელად რომ ვთქვა, მეც ბევრი მიქადაგია: გავბრაზებულვარ მათზე, ვისაც ზედაპირული დამოკიდებულება აქვს საკუთარი ქვეყნის ისტორიის მიმართ და წარსულს (ისევე როგორც აწმყოსა და მომავალს) *სადღეგრძელოებიდან*, კვარცხლბეკებიდან მომზირალი მკვდარი გმირების გამჭოლ ჭვრეტს; მიქადაგია ახალი საქართველოს „მორწმუნე“ იდეოლოგ-ცენზორებზე და დაუღა-



ლავად მილაპარაკია ჩემი მოთხრობის პერსონაჟების, თამარისა და იურის ალეგორიულ სახეებზე („თამარი მუდამ მოლოდინში მყოფი, შეურაცხყოფილი და მოტყუებული საქართველოა, იური ბოგოლუბსკი კი – რუსეთი“.), და, ჩემდა სამარცხვინოდ, იმასაც მივმხვდარვარ, რომ ამ ქადაგებასა და საკუთარი სიმართლის მტკიცებაში, უკვე თავად ვქცეულიყავი სადღეგრძელოდ და რომ ბოდიშებს, სინამდვილეში, არც მეტი, არც ნაკლები, კლასიკური პატრიოტული მოთხრობის გამო ვიხდიდი. დღეს ყველაზე მეტად სწორედ ეს არ მომწონს ამ ტექსტში – მისი ბანალური პატრიოტული სწორხაზოვნება (*რუსი* – ცუდია, *ქართველი* – კარგი) და თუკი რაიმეს შევცვლიდი, ან, უფრო სწორად, შევარბილებდი ამ მოთხრობაში არა *საძინებელში მომხდარ ეპიზოდს*, არამედ სწორედ ხსენებულ მყვირალა პატრიოტულ პათოსს. თუმცა, ცხადია, რეალურად არც არაფერს შევცვლი და „პირველი რუსი“ კვლავაც ისეთად და იმად დარჩება, როგორც თავის დროზე დაიწერა და რასაც სინამდვილეში წარმოადგენს: ეს ტექსტი ჩემი ერთადერთი პატრიოტული მოთხრობაა და, ეჭვი მაქვს, თუმცა რა ეჭვი, დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე მასაც შეიტანენ სასკოლო სახელმძღვანელოებში...

ამიტომაც იყო, *თავისებურად* რომ ბრაზდებოდნენ მეცამეტე საუკუნის ლიტ-პორნოს წაკითხვის მოლოდინში მყოფი მოქალაქეები, რა *სახმაურო* ეს მოთხრობაა, *არაფერი არ იყოო*. ეს ადამიანები, რომელთაც პირობითად იმედგაცრუებულები ვუწოდე, როგორც ჩანს, ამაოდ ელოდნენ თამარისა და იურის პერვერტული სექსის ჩემეულ აღწერას... რვაასი წლის წინანდელ მათრახებსა და ტყავის ტრიკოებს... ხელთ კი ლიტერატურულ-პოლიტიკური (და, რაც მთავარია, პატრიოტული) სატირა შერჩათ. შესაბამისად, ამიტომაც გაუკვირდათ ზოგიერთებს – აბა, ბოდიში რის გამო მოიხადაო?

საქმეც ესაა: *ბოდიშები* არ ყოფილა. იყო: ცენზურა, შიში და პროპაგანდა.

თუმცა სჯობს თანმიმდევრულად მოვყვე ყველაფერს.

1. პირველი უკმაყოფილო

პირველი ხმაური მოთხრობის გამოქვეყნებიდან რვა (!) თვის თავზე ატყდა. „პირველი რუსი“ 2001 წლის მაისში გამოქვეყნდა ჟურნალში „დრო მშვიდობისა“, რომლის რედაქტორიც ირაკლი კაკაბაძე გახლდათ. ჟურნალი საქართველოში არსებული კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ეგიდით გამოდიოდა და მას ნიდერლანდური ფონდი „ქორდეიდი“ აფინანსებდა (მოგვიანებით ამიტომაც ამბობდნენ, რომ მე სწორედ ჰოლანდიელებმა დამიკვეთეს თამარ მეფეზე *ამის* დაწერა). იდეაში, „დრო მშვიდობისა“ სამეცნიერო, პოლიტიკური ჟურნალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ირაკლი კაკაბაძემ ის ლიტერატურულ-სახელოვნებო გამოცემად აქცია. მართალია, სტატიებიც ბლომად იყო, მაგრამ ძირითად ადგილს მაინც ლექსები, მოთხრობები, ფოტოები და თავად ირაკლი კაკაბაძის ამაღელვებელ-ლირიკული „სიყვარულის დოქტრინები“ იკავებდა. პირველად სწორედ „დრო მშვიდობისას“ რედაქციაში გაარჩიეს „პირველი რუსი“, მე და ირაკლი შეგვაქეს და – თუ არ ვცდები – 100 ლარიც მომცეს (*სისხლიანი ჰოლანდიური ფული*).

როგორც ლელაკო ცისკარიშვილმა მომიყვა მოგვიანებით (ის მაშინ რედაქტორის თანაშემწედ მუშაობდა ამ ჟურნალში), პირველი უკმაყოფილება ჩემი წამოსვლისთანავე გამოთქმულა ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ, – ქართველი კონფლიქტოლოგები ჩაის და ნამცხვრეულს მიირთმევდნენ და ამ უკმაყოფილო ქალბატონსაც სწორედ მაშინ უთქვამს: ისე ეგეთი რამე მაინც როგორ დაწერაო. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ჩემი მოთხრობა მთელი რვა თვის განმავლობაში არ გახსენებიათ.

„დრო მშვიდობისა“, მაქსიმუმ, ორმოცდაათ კაცს ჩავარდნოდა ხელში (კარგი, მაგრამ სრულიად არაპოპულარული ჟურნალი გახლდათ) და, ალბათ, ამდენივე (ან, შეიძლება, ამაზე ცოტა) მკითხველი ჰყავდა ჩემს ტექსტსაც.

რვა თვის შემდეგ – წაკითხვაზე რა მოგახსენოთ – მაგრამ ეს „პირველი რუსი“ მთელი საქართველოს განხილვის საგანი გახდა.

> მახსოვს, პარლამენტშივე იღაღადა მსახიობმა (მაშინ დეპუტატიც იყო) ზურაბ ქაფიანიძემ, თითქმის მაგინა, დედამისის საქორწინო ღამე აღწეროსო, თქვა და რატომღაც მრავლობით რიცხვში გამომლანძღა: უჯიშოები და უთესლოები ეგენიო.
> მერე კიდევ სხვებმაც გაიმეორეს, რომ თამარი მათი დედა იყო და, მგონი, პარლამენტშივე გაისმა პირველად სიტყვა „განკვეთას“.

> **მუდმივი კონტროლის ქვეშ ვყავდი საპატრიარქოს „ლიბერალებს“ (მათ ხომ ჩემს უძღებშვილადქცევაზე აეღოთ პასუხისმგებლობა), დღეში რამდენჯერმე მირეკავდნენ (ბ-ნი ანდრიაძე კი, საერთოდ, სახლშიც მადგებოდა) და ქვის კომანდორებივით (მოსარტთან ერთი მაინც იყო, ჩემთან კი სრული სამი), ჯიუტად და უდრეკად მომიწოდებდნენ: მოინანიე! მოინანიე! მოინანიე!**

2. პირველი გაბრაზებული

მაისი (მოთხრობის გამოქვეყნების თვე) მშვიდობიანად გაილია, ზაფხულმა კი საერთოდ ჩაკლა მკითხველური ჟინი და „დრო მშვიდობისას“ 2001 წლის პირველი ნომერიც სრულ დავიწყებას მიეცა. ივნისში ერთადერთი მკითხველიღა ჰყავდა ამ ტექსტს და ისიც მე ვიყავი: „პირველი რუსი“ მამაჩემს წავუკითხე რიხიანად (მაშინ ასე ვკითხულობდი) და ხელებიც ენერგიულად ვიქნიე. მამაჩემი, მახსოვს, რომელიღაც მორიგი კედლის მოხატვით იყო დაკავებული (ცხენზე ამხედრებულ მეფეებს ხატავდა), მე კი ქალიმეფის უიღბლო საქორწინო ღამის ამბებს დავყვიროდი თავზე...

ივლის-აგვისტოში ეს ტექსტი მეც კი არ გადამიკითხავს, 11 სექტემბერს ნიუ-იორკს ფუნდამენტალისტი-მუსლიმანები დაესხნენ თავს და მსოფლიოშიც ჯვაროსნულ ომებზე დაწერილი რომანები გახდა პოპულარული... ზოოფილებზე დაწერილი ტექსტები სრულიად არააქტუალური გახდა.

ასე განვლო შემოდგომამაც და ახალი წელიც დადგა.

2002 წლის 10 იანვარს, ერთ-ერთ გამომცემლობაში სტუმრობისას, მამუკა ხანთაძემ მეფისტოფელური სიცილით მომაწოდა გაზეთი „რეზონანსი“, რომელშიც დიდი ენთუზიაზმით „მწყევლიდა“ ტრადიციულ ორთაბრძოლათა ცენტრ-სასწავლებელ „ხრიდოლის“ შეფი (სამწუხაროდ, მისი გვარ-სახელი არ მახსოვს).

ამ წერილში უკვე ყველაფერი იყო, რასაც შემდეგ ყველანაირი ჯურის გაბრაზებული გაიმეორებდა: ა) რომ მე მაფინანსებდნენ, რათა ქართული სიწმინდეებისთვის დამეცინა. ბ) რომ მე ვარ რაღაც ჯგუფის ნაწილი, რომელსაც ქართველობის (!) მოსპობა სურს. გ) რომ მე უნდა დავისაჯო წმინდანის შეურაცხყოფისთვის. დ) რომ მე თავად ვარ *ავადმყოფი*. ე) რომ მე მეზიზღება ქართველი ქალი და, საერთოდ, ქალები (მახსოვს, ასეთი ფრაზაც იყო: „რა ქალებთან გაქვთ, თქვე საწყლებო, საქმე?!“. ეს გახლდათ პასუხი აბზაცზე „პირველი რუსიდან“: „უკანალი ჩავარდნილი – ანუ ქართული. ოდნავ შესამჩნევი ღინღლი ნორჩ სახეზე – ესეც ქართული. ჯანმრთელი თმა და გადაბმული წარბები, როგორც ფრესკაზეა“.) ვ) რომ ხელები უნდა დაუმტვრიო ამის დამწერს (ამას კიდევ ხშირად მოვისმენ!) და *ბოლო*: ზ) რომ ჩემნაირები ბოლოს ყველა ვარიანტში ჯოჯოხეთში ხვდებიან (!).

– ესენი ნაღდად გცემენ, – მითხრა მამუკა ხანთაძემ და მერე ამიხსნა კიდეც, ვინ იყვნენ ეს ხრიდოლელები (რაც მართალია მართალია, სახელი კი ერქვათ ტოლკიენის გმირებივით შესაფერისი).

ცხადია, ვინც იქ იყო, ყველა იცინოდა, მათ შორის მეც, მაგრამ, გულწრფელად რომ ვთქვა, *პირველად* სწორედ მაშინ შემეშინდა.

არ ვიცი, ექნებოდა თუ არა ამ წერილს რაიმენაირი გაგრძელება, პასუხი რომ არ დაეწერა ირაკლი კაკაბაძეს. ირაკლი პირველი იყო, ვინც საჯაროდ დამიცვა, ხრიდოლელს საგანმანათლებლო ლექცია წაუკითხა, საქართველოს სიყვარულზე ყვირილი ვერაფერი დიდი პატრიოტიზმიაო და, მართალია, დელიკატურად, მაგრამ თავისი დისიდენტური წარსული და აწმყოც შეახსენა (ანუ მე მართლა *მიბრძოლია*, თქვენსავით ბუტაფორიული ხმლები არ მიქნევიაო).

ირაკლის პასუხებმა დიდი მოწონება დაიმსახურა ჩვენს პაწია წრეში და მე ვიფიქრე, რომ ეს მცირე კონფლიქტი ამოწურულია. კმაყოფილიც კი ვიყავი, რომ ჩემს მივიწყებულ ტექსტს რაღაცნაირი გამოხმაურება მაინც მოჰყვა. თუნდაც მისი დაბეჭდვიდან რვა თვის თავზე.

3. პირველი ცენზორი

მაგრამ ჯერ, თურმე, ყველაფერი წინ იყო. ირაკლი კაკაბაძის პასუხს ხელადვე მოჰყვა ხრიდოლელის პასუხის პასუხი. იგივე ბრალდებებით, იგივე პათოსით და პედაგოგიურ-ძველბიჭურ-სარწმუნეობრივი შეგონებებით. თუმცა ერთი მცირე სხვაობა მაინც იყო, ირაკლი კაკაბაძეს „ირაკლი-ბატონოო“, ასე მიმართავდა (როგორც ჩანს, ოპონენტის დისიდენტურ წარსულს მოეხდინა მასზე შთაბეჭდილება), მე კი კვლავ „უწმინდურად“, „საცოდავად“, „მოღალატედ“ და „ვაი-მწერლად“ მომიხსენიებდა. სხვათა შორის, ამჯერად ისეთი აგრესიულიც აღარ იყო, როგორც პირველ წერილში, აქ აშკარად ცდილობდა, რომ ირონიული ყოფილიყო. მართალია, წყევლა-კრულვა და მუქარები „პასუხის პასუხშიც“ ბლომად ჰქონდა, მაგრამ ტონი მაინც საგრძნობლად შეეცვალა. თვალში გვეცა ტავტოლოგიაც: კვლავ „ვეცოდებოდი“ – რა ქალებთან გაქვს, შე ვაი-მწერალო, საქმეო (ეტყობა, დავიწყებოდა, რომ ერთხელ უკვე შევბრალებოდი ამის გამო, ან იმდენად მოწონდა თავისი ხუმრობა, რომ გამეორება გადაეწყვიტა). ამის მერე – არ მახსოვს, ვინ – მაგრამ ვიღაცამ სერიოზულად შემოგვთავაზა, ხრიდოლელისთვის მისაწერი მორიგი პასუხის მაგივრად სუპერმოდელების ფოტოები დაგვებეჭდა გაზეთში, ფოტოების ქვეშ კი მსხვილი ასოებით მიგვეწერა: „აი, როგორ ქალებთან აქვს საქმე ლაშა ბუღაძეს“.

მახსოვს, ჩემმა ერთ-ერთმა საგაზეთო გულშემატკივარმა ხრიდოლელს ძალიან სასაცილოდ გასცა პასუხი: წმინდანს მაინცდამაინც კლაუდია

შიფერის ტანი უნდა ჰქონდეს, რომ გიყვარდეთო?

ცხადია, სრულიადაც არ ვთვლიდი საჭიროდ, რომ კიდევ ერთხელ გვეპასუხა ტრადიციულ ორთაბრძოლათა შეფისთვის, მაგრამ ირაკლი კაკაბაძემ მაინც დაუწერა „პასუხის პასუხის პასუხი"... დისიდენტურ-ინტელექტუალურ-ჭეშმარიტპატრიოტული სიმაღლიდან აშაყირ-ამუნათა და პატრიოტებად ტრანსფორმირებულ ძველ კაგებეშნიკებსაც გადაწვდა...

ხოდა, როცა გვეგონა, რომ ამით უკვე *საბოლოო წერტილი* დაესვა ამ პოლემიკას, ჩემზე გაბრაზებულებმა პარლამენტში აღიმაღლეს ხმა.

სახელმწიფო ტელევიზიის (იმხანად ასე ერქვა) მეორე არხი, როგორც დღეს, მაშინაც პირდაპირ ეთერში გადმოსცემდა პარლამენტის სხდომებს, ამიტომ ზოგიერთებს უკვე LIVE-ში ეხილათ დეპუტატ-ცენზორთა მგზნებარე გამოსვლები. მე კი *ჩემი ლანძღვა* შუადღის საინფორმაციო გადაცემაში მოვისმინე.

ვერ მიხვდი, უნდა გამხარებოდა თუ პირიქით, შემშინებოდა, ასეთ რეკლამირებას რომ უწევდნენ ჩემ ტექსტს, – აწ გარდაცვლილი პროფესორი გურამ შარაძე ცალ ხელში „დრო მშვიდობისას" აფრიალებდა, მეორეთი კი მიკროფონს ჩასჭიდებოდა და გაცხარებით მოუწოდებდა ერს *რეაგირებისკენ*...

მან თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა ხრიდოლელის დაწერილი. კერძოდ: რომ მე დაფინანსება მივიღე თამარის შეურაცხყოფისათვის, რომ უნდა *აიკრძალოს* ასეთი ტექსტების ბეჭდვა, რომ ეს არის ბრძოლა, რომელიც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განადგურებისკენაა მიმართული და რომ მთელმა ერმა და ბერმა უნდა ამოიღოს ახლა ხმა. მახსოვს, პარლამენტშივე იღაღადა მსახიობმა (მაშინ დეპუტატიც იყო) ზურაბ ქაფიანიძემ, თითქმის მაგინა, დედამისის საქორწინო ღამე აღწეროსო, თქვა და რატომღაც მრავლობით რიცხვში გამომლანძღა: უჯიშოები და უთესლოები ეგენიო.

მერე კიდევ სხვებმაც გაიმეორეს, რომ *თამარი მათი დედა იყო* და, მგონი, პარლამენტშივე გაისმა პირველად სიტყვა „განკვეთაც".

სასწაული ხდებოდა: 21-ე საუკუნის საქართველოს პარლამენტში ლიტერატურული ტექსტის აკრძალვას და ჩემი და ჩემნაირების დასჯას მოითხოვდნენ.

ამის შემდეგ რაღაც უცნაურ და ჩემთვის სრულიად უჩვეულო რეალობაში აღმოვჩნდი: მართალია, მე ვიყავი ამ სკანდალის მთავარი გმირი, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, რომ რაც ხდებოდა, ხდებოდა *ჩემს მიღმა*, ჩემგან დამოუკიდებლად... გარს უამრავი ადამიანი მეხვია და ყველა რაღაცას მეუბნებოდა, ყველა რაღაცას მირჩევდა... ხან სად დამატარებდნენ, ხან სად... თავს წესიერ ზომბად ვგრძნობდი.

იმ დღეს, რა დღესაც პარლამენტში გამლანძღეს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში თავისუფალი სიტყვის (და ჩემი) მხარდამჭერი, საპროტესტო შეხვედრა-პრესკონფერენცია მოეწყო. ვინც კი მაშინდელ ლიბერალად იწოდებოდა, ყველა იქ დამხვდა. თუმცა ეს ამბავიც მოულოდნელად შევიტყვე: ვიღაცამ მითხრა, რომ ჩემს მხარდამჭერ შეხვედრაზე მიდიოდა და მეც წავედი.

თუმცა, მახსოვს, ვჭოჭმანობდი კიდეც, მივსულიყავი თუ არა, მაგრამ რაკი სახლში გაჩერება არ შემეძლო – საერთოდ, ერთ ადგილზე გაჩერება არ შემეძლო იმ დღეებში – ბუნებრივია, წავედი. იქ მყოფი ხალხისთვის (მაშინდელი და აწინდელი ლიბერალებისთვის) *ჩემი თავგადასავალი* მხოლოდ საბაბი იყო, რომ მათ დეპუტატ შარაძეზე, რელიგიურ და ეთნიკურ შოვინიზმზე, საპატრიარქოში ჩაბუდებულ კაგებეშნიკებზე და სიტყვის თავისუფლებაზე ესაუბრათ. თურმე, როგორ ნდომებია ხალხს ლაპარაკი...

მერე რაღაც საერთო ტექსტის დაწერაც ვცადეთ, რომელსაც ამაოდ ვთხზავდით მე და GIPA-ს რექტორი, გიორგი მარგველაშვილი. სხვათა შორის, ამ ქაოსში სწორედ გიორგი იყო, რომელმაც *ნამდვილ* (და არა ეთიკურ-მორალურ) შეცდომაში გამომიჭირა: თამარს რომ თმა ცვივა კიბოს გამო შენ მოთხრობაში, რა, ქიმიას უკეთებდნენო?

ეს იყო პირველი სწორი და არაიდეოლოგიური კრიტიკული მოსაზრება, რომელიც „პირველი რუსის" შესახებ გამოითქვა...

მართლაც, რა უნდოდა ქიმიოთერაპიას მეცამეტე საუკუნეში? თუმცა არაფერი შემიცვლია: ჩემს საწყალ, მომაკვდავ თამარს *დღესაც ცვივა თმა* „პირველი რუსის" მეოთხე თავში.

GIPA-ს ლიბერალებისგან განსხვავებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში ცენზორები დამხვდნენ.

ნეტავ რამ მიმიყვანა იმ თოქ-შოუზე? განა არ ჯობდა, სახლში დავრჩენილიყავი და აქედან მედევნებინა თვალი იმ აბსურდისთვის, რაც ჩემს თავს ხდებოდა? ნებისმიერი ჭკვიანი მწერალი განზე გადგებოდა და არავითარ შემთხვევაში არ აღმოჩნდებოდა „მოვლენათა შუაგულში". მაგრამ მე ხომ მახსოვს, რაც მჭირდა: ვიყავი ეგზალტირებული, მომხდარით აღტაცებულ-შოკირებული და, რაც მთავარია, 23 წლის.

ჟურნალისტ ეკა ხოფერიას საღამოს

> ირაკლიმ მითხრა, რომ საპატრიარქოში იყო ჯგუფი, რომელიც ჩემს განკვეთას მოითხოვდა ეკლესიიდან და რომ ისინიც და სხვებიც, ანუ სხვა, ნაკლებად რადიკალური ჯგუფები, ჩემგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ. ირაკლის თქმით, საჭირო იყო საპატრიარქოში მისვლა და ჩვენი პოზიციის დაცვა. „მძიმე კამათი გველის, მაგრამ მოვიგებთ, ჩემო ბატონო!" – გამამხნევა მან.

> ... კედლებთან მონაზვნები ჩამომდგარიყვნენ. ლოცვებს სწორედ ერთ-ერთი მათგანი კითხულობდა. ხოლო წინ, მაღალზურგიან სავარძელზე – ჩვენგან ზურგით და სახით ფანჯრისკენ – პატრიარქი იჯდა და საპატრიარქოს ეზოს ბნელ ბაღს გაჰყურებდა. მე ის ვიცანი ხელით, რომელიც სავარძლის სახელურზე ჰქონდა ჩამოდებული. არა მგონია, რომ ოდესმე დამავიწყდეს ეს სურათი და მთელი ის საღამო.

თოქ-შოუზე იმ დღის მთავარ გმირებს, ირაკლი კაკაბაძეს, გურამ შარაძეს, ზურაბ ქაფიანიძეს და მე უნდა გვეკამათა ერთმანეთთან. უფრო სწორად, ირაკლის უნდა ეკამათა ამ ორთან, მე ცალკე მეთმობოდა დრო.

მახსოვს, გადაცემაში შესვლამდე საგრიმიოროში ვიჯექი და მოულოდნელად ჩვენი ოპონენტი, გურამ შარაძე შემოვარდა. გაღიმებული მოგვესალმა და ჩემს „შემათეთრებელს“, მხატვარ დათო მელიქიშვილს თავისი ჩვეული, გაბზარულ-მქუხარე ხმით მიმართა:

– რად უნდა ამისთანა ლამაზ ბიჭს დახატვა!

მერე იმწამსვე გაუჩინარდა.

„აფერისტი“, – ჩაილაპარაკა დათომ.

კლასიკური ქართული ამბავი იყო: ეთერამდე *მამა-შვილურად* მომეპყრო, ეთერში კი აუცილებლად ჩამქოლავდა.

ჭკუა დამარიგა ოპერატორმა პაატამაც, ჟაკეტზე რის ვაივაგლახით მიმიმაგრა მიკროფონი და თან მზრუნველურად მირჩია:

– არ ინერვიულო, წყნარად ილაპარაკე, საშიში ხალხია ეგენი.

მიუხედავად ამისა, საშინლად ვიბლუყუნე, არც მახსოვს, რეებს მივედ-მოვედებოდი, – მხოლოდ ის მახსოვს, როგორ ვიმეორებდი ერთსა და იმავე წინადადებას: „ეს სიმბოლური სახეებია... თამარი და იური საქართველო და რუსეთია“, – და როგორ მირეკავდნენ მლანძღველები (ერთ-ერთზე უკვე მოგიყევით, წაკითხული თუ გაქვთ-მეთქი, რომ ვკითხე და მაგ სიბინძურეს როგორ წავიკითხავდიო, კიდევ უფრო რომ გაბრაზდა).

სამაგიეროდ, ირაკლი კაკაბაძემ იბრძოლა ღირსეულად: გურამ შარაძეს ზვიადისტობის ექსკლუზივი წართვა – ანუ პატრიოტულ-ეროვნული კუთხიდან შეუტია, ხელისუფლება და ედუარდ შევარდნაძე შერისხა, ეს მოთხრობა თქვენზეა, ხელისუფლებაში ჩაბუდებულ, „საქართველოს გამაოხრებელ“ გიორგი-რუსებზეო და თავისი მგზნებარე პათოსით – ისეთით, რჩეულ ხრიდოლელსაც რომ შეშურდებოდა – არათუ მხოლოდ თოქ-შოუზე მოწვეული პატრიოტები, არამედ (როგორც მოგვიანებით გაირკვა) საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძეც კი დააბნია: შევარდნაძეს ჰგონებია, რომ მე მასზე დავწერე მოთხრობა.

დეპუტატი მთლიანად ჩაიკარგა ირაკლის პატრიოტულ ორატორიაში, ის მხოლოდ ალაგ-ალაგ ახერხებდა სიტყვების ჩადგმას:

– თქვენი მეშინია, ნიჭიერების, თორემ... ბიძაშენი ჭაბუა როგორ გვერდში უდგას ედუარდს და შენ კიდევ... არ შეიძლება ასეთი რამეების წერა, არ შეიძლება!

დეპუტატმა ქაფიანიძემ პარლამენტში ნათქვამი გაიმეორა, მოთხრობები დედამისზე წეროსო. კვლავ თამარის შვილად წარმოუდგა მაყურებელს და ამჯერადაც – ისევე, როგორც დილით, – *თითქმის* მაგინა. თუმცა მისი მკვეთრად ნათქვამი „დედა“, „დედამისი“, „დედათქვენები“ კვლავაც ირაკლი კაკაბაძის პატრიოტულმა ლავამ შთანთქა და იმ საღამოს – იმ ეთერში მაინც – ჩვენ დავრჩით გამარჯვებულები.

ღამე, გადაცემის შემდეგ, ორმა, ჩემზე ბევრად უფროსმა და ჩემთვის ძალიან ძვირფასმა ადამიანმა დამირეკა და თავისი შთაბეჭდილებები გამიზიარა. „უფროსი თაობიდან“ მხოლოდ ეს ადამიანები იყვნენ, რომელთაც ჩემი გამხნევება გადაეწყვიტათ. პირველი პოეტი მიხეილ ქვლივიძე გახლდათ, რომელმაც პასტერნაკის ამბავი გამახსენა, მის „ჟივაგოზეც“ ასე ამბობდნენ, არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობთო, მეორე კი ტენორი ნოდარ ანდღულაძე, რომელმაც მირჩია, რომ ამიერიდან, როცა ჩემი მოთხრობის ქვეტექსტებზე ვილაპარაკებდი, სიტყვა „სიმბოლურის“ მაგივრად „ალეგორიული“ მეხმარა. მის რჩევას, სხვათა შორის, დღემდე ვითვალისწინებ. ასე რომ, ქართული პოეტური სკოლა (მიხეილ ქვლივიძის სახით) და ქართული ვოკალური სკოლა (ნოდარ ანდღულაძის სახით) ჩემს გვერდით იყო. პროზაიკოსთაგან არავინ შემხმიანებია.

4. პირველი სტუმრობა საპატრიარქოში

მეორე დღიდან პრაქტიკულად ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში დაიბეჭდა ჩემი სალანძღავი ან მსუბუქად თუ მძლავრად მხარდამჭერი სტატიები. ბრაზიან სტატიებში, ხრიდოლელის მსგავსად, კვლავაც მოითხოვდნენ ჩემს დასჯას, წერდნენ, რომ მე ბოდიში უნდა მომეხადა ქართველი ერისთვის, *თამარისთვის*, და რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყველა იმ სისულელის ბეჭდვა, რასაც ჩემნაირი უნიჭოები და უზნეოები წერენ... ბრაზობდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა – პოლიტიკოსები, მასწავლებლები, მომწერლო სუბიექტები... ეს უკანასკნელნი კი *სხვანაირადაც*: ნუ უწოდებთ ამ აბდაუბდას მოთხრობას, ზედმეტად დიდ ყურადღებას უთმობთ ამ ვაი-მწერალს, მაშინ, როცა საქართველოში უამრავი ღირებული, *მორალურად მყარი* და ჭეშმარიტად ფასეული წიგნები გამოდისო. თუმცა იყო მცირე გამონათებებიც: პეტრე

ჟღენტის მცირე სტატია, მაგალითად (ფსევდონიმ „პეტრე ჟღენტის“ უკან, ეჭვი მაქვს, ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი მწერალი იმალებოდა), სტატია მანეკენისტანიან წმინდანებზე შეყვარებულ ვაჟკაც-პატრიოტებზე (რომელიც ზემოთ ვახსენე) და ასევე „პირველი რუსის“ და მთელი ამ ამბის ჩემთვის ძალიან საინტერესო ანალიზი, რომელიც რომელიღაც რუსულ საიტზე გაჩნდა – მყვირალა სათაურით: „ქართველი სალმან რაშდი“. დანარჩენი ტექსტები – ინტერვიუები, ესეები, ოდები და ჩანახატები (ერთი ასეთიც იყო: „გულმოკლული დედის ჩანახატი“), ძირითადად, „ინკვიზიციური“ ხასიათისა გახლდათ. ერთიმეორეს მიყოლებით შემეხმიანენ გამომცემლებიც: ჯერ ხსენებული მამუკა ხანთაძე, მერე კი ბაკურ სულაკაური, და ტექსტის დაბეჭდვა შემომთავაზეს. პირველად ბატონმა ხანთაძემ დამირეკა და ამიტომ სწორედ მას დავთანხმდი, თუმცა შემდეგ, როცა სკანდალი უკვე ჩამცხრალი იყო, მოთხრობის გამოცემა ერთობლივად გადავიფიქრეთ – მე მთელი ამ ამბის დავიწყებას ვცდილობდი, მას კი (როგორც თავად მითხრა) არ უნდოდა, რომ ხელახლა ატეხილიყო ხმაური. მერე, როდესაც გაზეთმა „ალიამ“ დაბეჭდა ეს ტექსტი, ძალიან ვინანე, რომ „პირველი რუსი“ წიგნად არ მქონდა გამოცემული, – როგორც მითხრეს, მარტო ერთ დღეში გაზეთის 14 000 ნომერი გაყიდულა, მოთხრობას ვერსად იშოვიდი.

ჩვენი ოპონენტებისთვის დამაბნეველი თოქ-შოუს შემდეგ ერთი დღეც არ იყო გასული, რომ ირაკლი კაკაბაძემ დამირეკა და მითხრა, რომ *საპატრიარქოში გვიბარებდნენ*. ახლაც ვერ ვხვდები, რატომ დაგვიბარეს და ან ჩვენ კი რატომ გავიქეცით.

ირაკლიმ მითხრა, რომ საპატრიარქოში იყო ჯგუფი, რომელიც ჩემს განკვეთას მოითხოვდა ეკლესიიდან და რომ ისინიც და სხვებიც, ანუ სხვა, ნაკლებად რადიკალური ჯგუფები, ჩემგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ. ირაკლის თქმით, საჭირო იყო საპატრიარქოში მისვლა და ჩვენი პოზიციის დაცვა. „მძიმე კამათი გველის, მაგრამ მოვიგებთ, ჩემო ბატონო!“ – გამამხნევა მან.

ცხადია, მარტო არ წავსულვართ. წამოგვყვა მამაჩემი (კიდევ კარგი, ბებიაჩემი არა!), რომელსაც უკვე ჩემზე მეტად დაეწყო ნერვიულობა, ამერიკიდან ცოტა ხნის წინ ჩამოსული ნიკა რურუა და მუსიკოსი გოგი ძოძუაშვილი. გოგიმ გზაში ლექცია წამიკითხა პრინციპულობის შესახებ: ბოდიშს არ იხდი, შენს არგუმენტებს ამბობ და უკან მოვდივართო, მაგრამ როგორც კი საპატრიარქოს გალავნის მიღმა აღმოვჩნდით და ბნელ და დამთრგუნველ კაბინეტში შეგვიყვანეს, ეს ლექცია მაშინვე დაივიწყა და ხმადაბლა მითხრა: ეხლა სწრაფად მოიხადე ბოდიში და დროზე გავაჯვათ აქედანო. ეზოში რომ შევედით, მახსოვს, რაღაც ძალიან უცნაურად დაიწყეს აქეთ-იქით სირბილი წვეროსანმა, პირქუშმა ახალგაზრდებმა. ისე ბრდღვინავდნენ, ეჭვიც კი გამიჩნდა, ხრიდოლელები ხომ არ არიან-მეთქი.

დამთრგუნველ კაბინეტში კი ოთხნი დაგვხვდნენ: საპატრიარქოს მაშინდელი პრესმდივანი გიორგი ანდრიაძე, პატრიარქის მდივნად წოდებული შორენა, მეუფე ზენონი და მამა გიორგი თუ მამა დავითი (სამწუხაროდ, არ მახსოვს, რა ერქვა).

სიბრაზე, უფრო კი განაწყენებულობა ამ მეოთხეს, მამა გიორგის თუ მამა დავითს ეტყობოდა, დანარჩენები საკმაოდ კეთილგანწყობილები იყვნენ ჩვენ მიმართ და თუკი გვაკრიტიკებდნენ, მხოლოდ *ღიმილით*. მარტო მამა გიორგი (თუ დავითი) არ იღიმებოდა, თუმცა აგრესიული არც ეგ ყოფილა.

ძირითადად, საპატრიარქოს დოგმატიკოსი *ინტელექტუალი*, პრესმდივანი გიორგი ანდრიაძე გვეკამათებოდა. ჩვენი საუბარი კი, ალბათ, ჰგავდა (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე!) უმბერტო ეკოს „ვარდის სახელში“ აღწერილ ეპიზოდს, სადაც უსინათლო ბერი არისტოტელეს *კომედიის* განადგურების მიზეზს უხსნის ვილჰელმ ბასკერვილელს. დასაწყისში გიორგი ანდრიაძე სულაც არ ჰგავდა გალილეის დამკითხველ ინკვიზიტორს ან, კიდევ უფრო უარესი, მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების საბჭოთა ცენზორს (თუმცა ბოლოს მაინც დაემსგავსა), – თავიდან ის საკმაოდ დამაჯერებლად და დემოკრატიულად გვარწმუნებდა ეკლესიის პოზიციის (ასე ამბობდა!) სისწორეში. ის გვიხსნიდა, თუ რატომ არ შეიძლებოდა წმინდანზე წერა (თუმცა, გამოვტყდები, მისი მონოლოგი იმდენად დემაგოგიური იყო, რომ რეალურად არც მახსოვს ეს „არგუმენტები“), გვეუბნებოდა, რომ ეს ტექსტი შეურაცხყოფდა მართლმადიდებელთა განცდებს, ლახავდა მათ უფლებებს და ა.შ. მახსოვს, შევეკამათე კიდეც: თუკი სჯულის კანონებით მივუდგებით ლიტერატურას, შეიძლება, ყველაფერი *შეურაცხმყოფელად* მოგვეჩვენოს-მეთქი.

>>> გაგრძელება გვ. 108



Тифлисскій мушъ
Porte-faix de Tiflis.

Кавказскіе Типы
Types de Caucase

ნიკალა

ავტორი: აკა მორჩილაძე

მისი ბიოგრაფია ბუნდოვანია, ტყუილი და მართალი ძნელი გასარჩევი.

შემორჩენილია სამიოდე ფოტო, ხოლო მემუარისტების წყალობით ცნობილია მისი ბოლოდროინდელი იერი:

უფრო ხშირად გაუპარსავი, ჭაღარაშერეული ულვაშითა და დარდიანი თვალებით;

საშუალოზე ოდნავ მაღალი, მშიერი კაცივით გამხდარი, მიკიტან მიხო ვარსიმაშვილის ნაქონ ლურჯ პიჯაკში, შავ ყარამანდულ შარვალში და თავზე რუსული კარტუზით, მოარული ნელა და დაბნეულად: ასეთი იყო ფიროსმანი თავისი ცხოვრების ბოლო ათ წელიწადს. ფიროსმანი, ანუ ქალაქელებისთვის მხატვარი ნიკალა ან ნიკალაი მხატვარი.

იმისთვის, რომ ვიცოდეთ რას ნიშნავს ძველი ქალაქისთვის მხატვარი, უნდა ვიცოდეთ რა არის ფიროსმანის დროის თბილისი.

გარეგნულად ეს არის ქართული ღვინო, აღმოსავლური ტკბილეულობა, იტალიური ოპერა და რუსული ჩექმა.

შინაგანად კი ეს არის კულტურათა და რელიგიათა ბუნებრივი შერწყმის ადგილი.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ მახვილგონიერ ინტრიგათა წყალობით დაუძლურებულ საქართველოში სამეფო გააუქმა და ქვეყანა საკუთარ სამხრეთის გუბერნიად გამოაცხადა. როცა ეს მოხდა, თბილისს სულ რამდენიმე წლის გადატანილი ჰქონდა დიდი რბევა: სპარსეთის შაჰის, აღა მაჰმად ხანის ლაშქრობამ ქალაქი მიწასთან გაასწორა და იქ ყოველივე ხილული და ხელჩასაჭიდი დაანგრია და მოსპო. მარტო წაყვანილ ტყვეთა ოდენობამ 15 ათასი შეადგინა.

ეს არ იყო პირველი რბევა მეხუთე საუკუნეში დაარსებული ქალაქისათვის, რომელიც თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ხშირად იცვლიდა მნიშვნელობას: დიდი, აყვავებული და გავლენიანი ქალაქიდან უბრალო სამხედრო ფორტად იქცეოდა, მერე კი კვლავ დაიბრუნებდა თავის ძველ მნიშვნელობას.

თბილისი მკვეთრად გამოხატავდა ქართული კულტურის ერთ მნიშვნელოვან თვისებას: უცხო კულტურასთან საოცარი შეხამებისა და აქედან ახალი ფორმების შობის უნარს. ქართული კულტურის მასაზრდოებელ ძალათაგან ალბათ უმძლავრესი ძველი აღმოსავლეთი და ბერძნული სამყარო იყო, რაც ქრისტიანულ რელიგიას გადაეჯაჭვა და საოცარი ადგილობრივი სამყარო შექმნა.

თუმცა, საუკუნეთა განმავლობაში მუსლიმურ იმპერიებთან გადატანილმა ომებმა, გამარჯვებასთან ნაზავმა მარცხმა, იქაური ყოფითი და კულტურული ტრადიციებიც მრავლად დატოვა.

რუსთა შემოსვლისას თბილისი იყო მოქანცული და დამცრობილი პატარა ქალქი, სადაც გამოარჩევდით არა სასახლეებს, მაღაზიებსა და ქვაფენილით გაწყობილ ქუჩებს, არამედ ყველა ძველი რელიგიის საკულტო ნაგებობებს: ეკლესიებს, მეჩეთებს, სინაგოგებს. ამ პატარა ქალაქისათვის ამდენი სკულტო ნაგებობა ერთგვარად მოულოდნელიც კი ჩანდა, მაგრამ სწორედ ეს იყო კვალი ნამდვილი ქალაქური წარსულისა.

თბილისში ნელა იწყო შემოსვლა ევროპამ. ქალაქის კიდეზე გერმანული დასახლება გაჩნდა, როგორც სამხრეთკავკასიურ ცენტრს, აქაურობას დიდი ქვეყნების ჯაშუშებიც კი მოაწყდნენ. ხოლო რუსული მმართველობა ახალი ქალაქის შენებას შეუდგა თბილისის თავისუფალ კიდეებზე. ნახევარი საუკუნის თავზე ქალაქში უკვე მკვეთრად გაიმიჯნებოდა მისი ევროპული და ძველი ნაწილები. მკვეთრად იმიჯნებოდნენ ასევე ადამიანები: სხვაობა სამოსში, ტრადიციასა და აღზრდაში თვალში საცემი იყო. ძველი თბილისის ყოფას ახალი თბილისის ევროპულობა ნაკლებად ეხებოდა.

სწორედ რუსთა მოსვლის ნახევარი საუკუნის თავზე თბილისში გაიხსნა ოპერა, რაც ალბათ გადამწყვეტი იყო ძველი და ახალი ქალაქის ერთობისათვის. იტალიური ოპერა იმგვარ დაწესებულებად იქცა თბილისისათვის, რომელმაც მოსახლეობის ყველა სოციალური და კულტურული ფენა მოხიბლა. არიებს ქალაქის ძველ ნაწილშიც ტკბილად ღიღინებდნენ. იტალიური მუსიკის გამოჩენამ კი საერთოდაც ახალი მუსიკალური ჟანრი შვა, რომელიც უკვე ნახსენებ ტრადიციულისა და მოსულის შერწყმას დაეფუძნა.

კიდევ ერთი დიდი გარღვევა იყო თბილისისათვის იმპერატორ ალექსანდრე მეორეს რეფორმები, რომელთა წყა-

ლობითაც რუსეთის დიდმა ქალაქებმა გვარიანი თვითმმართველობა და თავისუფლება მიიღეს.

ამ ვითარებაში თბილისი იქცა ქალაქად, სადაც გამუდმებული მშენებლობა და საქმიანობა მიმდინარეობდა და სადაც კულტურული, ეთნიკური და სოციალური სიჭრელე კიდევ უფრო თვალწარმტაცი შეიქნა. საუკეთესო ევროპულ მოდაზე ჩაცმულ ბანოვანთა გვერდით, აქ ნახავდით ჩადრში გამოხვეულ ქალებს, რომლებიც მალვით დაიარებიან აბანოში, ხოლო ევროპულ რესტორნებთან ერთად კვლავაც ღია იყო დუქნებისა და მეიხანების კარი. პარიზულ სამკერვალოთა და საპარიკმახეროთა მხარდამხარ საქმიანობდნენ აღმოსავლური ყაიდის თბილისელი დალაქები და თერძები, ხოლო კლასიკური მუსიკის კონცერტიდან გამოსულს აშუღის კვნესა შემოგესმებოდათ.

თბილისში ამ დროს ღონიერდებოდა კაპიტალიზმი და იყო სრული კარგახსნილობა. ამ დროსვე ჩნდებიან ტბილისში ევროპულად განათლებული პროფესიონალი მხატვრებიც, თუმცა ამას ფიროსმანთან ნაკლები კავშირი აქვს.

იდგა მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლები, ანუ ფიროსმანის ბავშვობის დრო. მთელი ეს თბილისური ორომტრიალი პატარა ნიკალას თვალწინ მიმდინარეობდა, ანუ რასაც ხედავდა და შეიგრძნობდა ფიროსმანი მაშინ, ის იყო განმსაზღვრელი მისი მომავალი შემოქმედებისათვის იმ კულტურულ ტრადიციასთან ერთად, რომლის შესახებაც გაკვრით შევნიშნეთ.

ფიროსმანი დაიბადა 1862 (ან 1864) წელს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, შთამბეჭდავი ველებისა და გასაოცარი შემოდგომის მხარეში, რომელსაც სხვანაირად ქვეყნის ბეღელსაც უწოდებდნენ. ეს იყო ღვინისა და პურის მხარე, ვენახებისა და ყანების ქვეყანა.

ფიროსმანის ყველა წინაპარი გლეხი იყო. მამამისი ასლანი ადრე გარდაიცვალა და ბიჭი ქალაქში მიაბარეს ახლობლების, კალანტაროვების ოჯახს. ანუ, თბილისი ბავშვობიდანვე იქცა მის ქალაქად.

დიდი ცვლილებების მიუხედავად, ძველი ქალაქი არ წაშლილა და არ გადღაბნილა. მან მიიღო ის, რაც ბუნებრივად ერგებოდა: გამოცოცხლდა, გაფერადდა და მაინც დარჩა ძველ ქალაქად.

ძველსა და ევროპულ თბილისს შორის არა მარტო სოციალური, ანდა კულტურული საზღვარი გადიოდა, არამედ გეოგრაფიულიც.

ეს საზღვარი გადიოდა პასკევიჩ ერევანსკის მოედნის კიდეზე, ადგილას, რომელსაც ერქვა შუა ბაზარი (დაახლოებით იქ, სადაც ახლა ღესელიძის ქუჩაა).

ამ საზღვრის ხსენება იმიტომაა აუცილებელი, რომ მხატვარი ამ ქუჩის დაბლა და ამ ქუჩის მაღლა, სულ სხვადასხვა რამეს ნიშნავდა.

ქუჩის მაღლა, ანუ ახალ ქალაქში, რომელიც რუსების დროს შენდებოდა, მხატვარი იყო ნასწავლი კაცი, აკადემიური განათლებით, შემოქმედი, ინტელექტუალი და ა.შ.

ქუჩის დაბლა ქალაქში მხატვარი იყო კაცი, რომელსაც ხშირად წერა-კითხვა იმისთვის თუ ჰქონდა ნასწავლი, რომ აბრებზე კოხტად დაეწერა შეკვეთილი სიტყვები. ეს იყო კაცი, რომელიც თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით ახერხებდა, რომ დაედო თუნუქზე ან მუყაოზე ფერები და ნაირგვარი შეკვეთები შეესრულებინა.

ეს შეკვეთები სულ ნაირ-ნაირი იყო: არა მარტო დუქნების აბრების დახატვა, არამედ იქ სამიცვალებულო განცხადებების ხატოვნად წერა და გამოკვრაც კი.

რა თქმა უნდა ამ საქმეში შედიოდა ჩვეულებრივი ხატვაც და თუ ძალიან ხმამაღლა არ ვიტყვით ფერთა წერაც. იმავდროულად ის იყო მღებავიც და ეს ყველაფერი ერთიანდებოდა ამ სიტყვის ქვეშ: „მხატვარი“. ეს სიტყვა სწორედ ძველი ქალაქიდან, შუა ბაზრის გავლით ავიდა ევროპულ თბილისში.

მხატვრები თბილისში იმ გაგებით, როგორითაც ამ სიტყვას ძველი ქალაქი ხმარობდა, ყოველთვის ბევრი იყო და კონკურენციაც საკმაოდ მაღალი ჩანდა.

100 წლის განმავლობაში თბილისი მზარდი ქალაქი იყო. ამიტომ მას სჭირდებოდა გარეგნული მოხდენილება.

იშვიათად გაივლიდა თვე, რომ ქალაქში რაღაც ახალი დუქანი, კაფეშანტანი, რესტორანი, ან რამე გასართობი სახლი არ გახსნილიყო. ამას ყველაფერს აუცილებლად სჭირდებოდა მხატვარი, სხვანაირად რომ ვთქვათ, გამფორმებელი.

ამგვარი გამფორმებლები კი მრავლად იყვნენ. მაგალითად, ვორონცოვის მოედანზე იყო მხატვარი ჯორაშვილი, რომელსაც ძალიან ბევრი შეკვეთები ჰქონდა. ანდა, ვანო ხოჯაბეგოვი. ანდა, ათონის ქუჩელი მხატვარი არსენა, რომელსაც ძალიან კარგი სახელოსნო მოეწყო. ამ მხატვრებს გარკვეული ერთობა და სოლიდარობა ჰქონდათ, ხშირად ერთად იღებდნენ შეკვეთებს, ერთად ყიდულობდნენ საღებავებს, ანდა ზიარად აგროვებდნენ მასალას.

არცერთ ასეთ მხატვარს რაიმე სპეციალური განათლება არ მიუღია.

სამაგალითოა მხატვართა ერთი საგვარეულოს ისტორია, რომელიც გვაჩვენებს როგორ იქცეოდა კაცი მხატვრად ძველ ქალაქში.

ფიროსმანსავე ეპოქაში საქმიანობდა საკმაოდ ცნობილი თვითნასწავლი მხატვარი, გიგო ზაზიაშვილი, რომელმაც ნიკალასგან განსხვავებით დიდხანს იცოცხლა და სტალინის ეპოქის მიწურულს დაასრულა სიცოცხლე.

მისი მოგონებები მოგვითხრობს როგორ სწავლობდნენ თბილისში ხატვას.

მამამისი შუაბაზრელი მკერავი ყოფილა. საქალაქო კრივის დროს, რაც ერთ-ერთი განთქმული ტრადიცია იყო თბილისში, ხელის ტრავმა მიუღია და საბოლოოდ ექიმებს მკლავი მოუკვეთავთ, რის შემდეგაც ხელობის გარეშე დარჩენილა.

დარაჯად მომსახურეს უნახავს, როგორ იხატავდა წიგნიდან რაღაც სურათებს ერთი წვრილი მოხელე და თავადაც უცდია. მერე ამ საქმეს მიჰყოლია, ხელი გაუჩვევია, შექნილა მხატვარი და ხელობა შვილისთვისაც გადაუცია. ანუ ყველაფერი ერთგვარ ნიჭზე და მარიფათზე იყო დამოკიდებული.

ფიროსმანი განსხვავდებოდა ყველა ამ მხატვრისგან და არა მხოლოდ იმით, რომ არასდროს ჰქონია სახელოსნო, არასოდეს ჰქონია თავისი სახლი და არც ოჯახი ჰყოლია.

როცა უკვე დუქნების მხატვარი იყო, ნიკალა ორთაჭალაში არ დადიოდა. ბოლო 10-15 წელინადს ის ძნელად ეკარე-

ბოდა ვინმეს. სუფრასთანაც კი არ უჩერდებოდა მოქეიფეებს, რაც ძალიან იშვიათი ამბავი იყო ძველ ქალაქში.

კონდუქტორობის შემდეგ ის მხატვარი შეიქნა. ამან მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება.

ფიროსმანს მუდმივი ბინა არ ჰქონია: უფრო სამადლოდ ათევდა ღამეს, თუმცა მუშტარი ყოველთვის ბევრი ჰყავდა და უცნაურიც ეს არის, რადგან წესით, მას ფული უნდა ჰქონოდა.

არადა, მთავრობას მისთვის ისეთი შემოსავალიც კი არ მოუტანია, სულ უბრალო პირობები რომ დაეკმაყოფილებინა. იმავდროულად, ის იყო უხვი და ხელსწრაფი: რაც მისი შემოქმედებიდან გადარჩა ბევრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ უამრავი ნამუშევარი განადგურდა და დაიაკარგა.

კონკურენცია მხატვარ-გამფორმებლებს შორის ძალიან მაღალი იყო და რახან ფიროსმანი ბევრს ხატავდა, ესე იგი მას ბევრი შეკვეთა ჰქონდა... მაგრამ ფიროსმანი ხომ თავის ნამუშევრებში ფულს არ იღებდა!

სხვები იღებდნენ, ამით ინახავდნენ ოჯახს. ეს არ იღებდა.

მედუქნეებს, რომლებიც მისი მთავარი კლიენტები იყვნენ, აწყობდათ ასეთი მხატვარი. ისინი ძალიან იაფად გამოდიოდნენ: ამ კაცს ხატვა ეხალისებოდა, ფულის აღება კი არ უყვარდა. ითხოვდა საღებავის და ტილოს ფულს და სადილს. მეტს არაფერს. შეკვეთები უმთავრესად ძალიან კონკრეტული იყო: აქ ეს დამიხატე, იქ ის. აი, ამ ადგილას მოქეიფეები და ასე დაუსრულებლად. ალბათ ამიტომაც, შეკვეთა ბევრი ჰქონდა.

ფიროსმანი ძირითადად მუშაობდა ქალაქის ორ უბანში – თბილისის სადგურის მიდამოებში და იარმუკა-რიყეზე.

ერთ მოგონებაში კარგად ჩანს შემკვეთ მედუქნეთა და ფიროსმანის ურთიერთობა:

იარმუკაში იყო ერთი ვინმე ვანო აბაევი, ფიროსმანის მეგობარი. ის ავეჯიან ოთახებს აქირავებდა.

ამ ვანო აბაევთან მეგობრობდა თურმე ვაჟა-ფშაველაც, დიდი ქართველი მწერალი. როდესაც ვაჟა სოფლიდან თბილისში ჩამოდიოდა, აუცილებლად მოინახულებდა აბაევს.

სწორედ ვანოსთან შეხვდნენ ერთმანეთს ფიროსმანი და ვაჟა-ფშაველა.

ფიროსმანი რაღაცას ღებავდა შორიახლოს და ვანომ დაუძახა: ისინი ერთმანეთს გააცნო და სადილად დასხა.

გამოირკვა, რო ფიროსმანს წაკითხული ჰქონდა ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

ძველი ქალაქის მხატვრებში კითხვა ძალიან იშვიათი რამ იყო. განსაკუთრებით „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ყაიდის წიგნებისა. ძველ ქალაქში სხვა ლიტერატურა არსებობდა. ასე რომ, ნიკალა აქაც გამორჩეული იყო.

ფიროსმანმა ვაჟას უამბო, რომ ერთ დუქანში, კედელზე დახატა ეს მისი შვლის ნუკრი, იმიტომ რომ მოთხრობამ ძალიან იმოქმედა მასზე. ნიკალამ დახატა ყელგამოჭრილი ირემი და სისხლით მორწყული გარემო. მედუქნეს ეწყინა, დუქანში ხალხი გასართობად შემოდის და ამ სისხლის ყურებაში რა უნდა ჭამონ და რა უნდა დალიონო. ამიტომ, ფიროსმანს კედლის გადაღებამ მოუწია და იმავე ადგილას თავადების ქეიფი დახატა.

>>> გაგრძელება გვ. 114

რაზლაცკი

ავტორი: ლევან ბერძენიშვილი
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი

ბარაშევოს პოლიტიკური ბანაკის ხელმძღვანელი, „მოქალაქე უფროსი“ მაიორი ალექსეი შალინი ზონაში, როგორც წესი, ადრე დილით, პატიმართა გაღვიძებამდე შემოდიოდა, სანამ დილის 6 საათზე ბოლომდე ხმააწეული რადიო გმირული და საზეიმო ხმით არ დაიღრიალებდა Сооюз нерушимый-ს და ყველას არ წამოგვყრიდა ლოგინებიდან. ეს ტრადიცია იშვიათად ირღვეოდა და თუკი შალინს დღისით, პატიმრებით სავსე ეზოში გავლა უწევდა, ზონაში შემოსვლისას თავს დახრიდა, ვინმე რომ არ დაენახა და სწრაფი ნაბიჯით პირდაპირ მიაშურებდა ხოლმე თავის კაბინეტს. ბანაკის მკვიდრმა ყველა პატიმარმა იცოდა, რატომ აკეთებდა ამას მაიორი შალინი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელიღაც ინსტრუქციაში ეწერა, რომ პატიმრის ხილულ სათმო საფარს ორმილიმეტრიანი ბარიერისთვის არ უნდა გადაეჭარბებინა, თმა იქნებოდა ეს თუ წვერ-ულვაში. ამ მილიმეტრებს ბევრი პატიმრის დაჩაგვრა და დასჯა მოჰყოლია, „ლარიოკში“ ვაჭრობის უფლების ჩამორთმევიდან დაწყებული და ოჯახთან შეხვედრის უფლების ჩამორთმევით ან შიზოში ჩასმით დამთავრებული. ამ სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, ჩვენი ბანაკის ერთ-ერთი პატიმარი თავისი ბელადის, მამისა და ღმერთის მიბაძვით მრავალმილიმეტრიან დიდ, ნამდვილ, „სტალინურ“ ულვაშს ატარებდა და შალინს არ უნდა დაენახა ულვაშებიანი პატიმარი. რომ დაენახა, დაუყოვნებლივ უნდა დაესაჯა და რადგან ყველა შედარებით მსუბუქი თუ არამსუბუქი სასჯელი, დიდი ხანია, ამოწურული ჰქონდა, შიზოში, საჯარიმო იზოლატორში ჩასმით ვერ დაკმაყოფილდებოდა; თანაც იმდენჯერ ჰყოლია ჩასმული, რომ განმეორებისაც კი რცხვენოდა. ამას გარდა, ეჭვი არ იყო, რომ ის ღმერთი, რომლის ულვაშებსაც პატიმარი ატარებდა, მაიორი შალინისთვისაც არ ყოფილა უბრალო მოკვდავი, მისთვისაც იგი ერთადერთი და განუმეორებელი ღმერთი იქნებოდა.

ულვაშიანი სტალინისტი პატიმარი გვარად რაზლაცკი იყო. რაზლაცკი, ანუ რუსეთის სიდიდით მეექვსე ქალაქის, სამარის (1935 წლიდან 1991 წლამდე კუიბიშევის) მკვიდრი ალექსეი ბორისის ძე რაზლაცკი, მთელ ომისშემდგომი პერიოდის დისიდენტურ მოძრაობაში უნიკალური მოვლენა გახლდათ, რადგან რსფსრ (რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის) სისხლის სამართლის კოდექსის იმ დროისთვის უკვე მითოსად ქცეული სამოცდამეათე მუხლით (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა, შეესაბამებოდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სამოცდამეთერთმეტე მუხლს), გასამართლებული იყო როგორც სტალინისტი და ПДП (Партия Диктатуры Пролетариата – პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის) დამფუძნებელი. როგორც უაღრესად საშიში პიროვნება, ბოლშევიკი, რომელიც ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ეპოქის საბჭოთა კავშირის მმართველ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფეოდალურ“ კომუნისტურ პარტიას უკიდურესად მემარცხენე პოზიციიდან აკრიტიკებდა. გვარიანად შეშინებულმა „კაგებე“-მ და მისმა მონა-მორჩილმა საბჭოთა სასამართლომ მაქსიმალური დროით ჩამოაშორა აქტიურ მოღვაწეობას – შვიდი წელი მკაცრი რეჟიმის კოლონია და 5 წლით გადასახლება მიუსაჯა. რაზლაცკიმ სამოცდაათიან წლებში იწინასწარმეტყველა „განვითარებული სოციალიზმის“ კრახი და საბჭოთა კავშირის მომავალი კატასტროფა.

როგორც მკაცრი იდეოლოგიის მქონე პატიმართა უმრავლესობა, რაზლაცკიც უაღრესად მტკიცე, მედგარი და გაუტეხელი პატიმარი იყო, რომელიც

თავის თავში აერთიანებდა პოეტის, დისიდენტის, მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის ჰიპოსტასებს.

ჩემთვისაც ცნობილია, რომ სამი პარამეტრიდან: პატიოსნება, ინტელექტი და კომუნისტობა მხოლოდ ორი იყო თავსებადი: პატიოსანი და ინტელექტუალი კაცი კომუნისტი ვერ იქნებოდა, ინტელექტუალი კომუნისტი – პატიოსანი, და პატიოსანი კომუნისტი – ინტელექტუალი. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ყველა ამგვარ თითიდან გამოწოვილ „სიბრძნეს“, უფრო კი ინტელექტუალურ გასართობს, ცხოვრე-

„ასეთ შემთხვევაში, თუკი ჩემი ვაჟი, ალექსეი ალექსეის ძე რაზლაცკი, სტალინის პიროვნებაში ვერ გაერკვევა და რევიზიონისტული სიცრუის გავრცელებას შეუდგება, მე მას სიკვდილს მივუსჯი და განაჩენს საკუთარი ხელით აღვასრულებ: დავხვრეტ, როგორც მოღალატეს.“

ბა მოულოდნელ პასუხს გამოუძებნის ხოლმე. ალექსეი რაზლაცკი ცხოვრების ერთი ასეთი პასუხთაგანი იყო, მის პატიოსნებაში ეჭვი არავის შეუტანია, მისი ინტელექტი ობიექტურად დადასტურებულია, მის „სამიზდატსა“ თუ „ტამიზდატში“ გამოცემულ საკმაოდ მოზრდილ სამეცნიერო თუ პოლიტიკურ შემოქმედებაში მისი კომუნისტობა ჩვენთვის უტყუარი და ასპროცენტიანი იყო და აკი „კაგებე“-ს დამოკიდებულებამ და სასამართლოს განაჩენის სისასტიკემაც დაადასტურა.

რაზლაცკი იმდენად იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში, რამდენადაც ადამიანი საერთოდ შეიძლება იყოს დარწმუნებული რაიმეში. ჩვენ გამოუსწორებელ ლიბერალებს და ოპორტუნისტებს გვეძახდა და ღიმილით გვეუბნებოდა, – ხელისუფლების სათავეში რომ მოვალ, ყველას დაგხოცავთო. საყვარელი ვაჟი ჰყავდა, ალექსეი ალექსეის ძე, სულ მასზე საუბრობდა, სულ მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა, წერილებს წერდა და თუ მისგან წერილს მიიღებდა, მეცხრე ცაზე იყო ხოლმე. სწორედ მასზე ჰკითხეს დათომ და ჟორამ, – შენ ვაჟს რომ ლიბერალური იდეოლოგია შეეპაროს, ხომ იცი, მეოცე საუკუნის ბოლოა, ოცდამეერთე გვიახლოვდება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მოკლედ, შენმა საკუთარმა შვილმა რომ გამოგიცხადოს, – სტალინი ტირანი იყო და კაცობრიობისთვის, რუსეთისთვის და პირადად შენთვისაც ბოროტების მეტი არაფერი მოუტანიაო, – რას უზამ. დაფიქრდა რაზლაცკი, ისე ღრმად დაფიქრდა, რომ ჩვენ ირგვლივ ხალხმა დაიწყო შეგროვება. მანილოვიჩი მოკლედ უხსნიდა შემოსწრებულებს დასმული შეკითხვის არსს. რაზლაცკი კი

ისე ღრმა ფიქრებში წავიდა, რომ არც მანილოვიჩის ირონიული კომენტარები ესმოდა, არც ჟორას დადებულ სანაძ-ლეოს და არც პატიოსანი პოლიაკოვის ხვეწნას აქცევდა ყურადღებას, – თავი დაანებეთ, სტალინისტი კია, მაგრამ ისიც ადამიანია, ხალხი არა ხართო? დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, რაზლაცკიმ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, ამ კეთილი იერის კაცს უე-ცრად სახე მეტალისგან ჩამოესხა და განაჩენიც დაიდო.

– ასეთ შემთხვევაში, თუკი ჩემი ვაჟი, ალექსეი ალექსეის ძე რაზლაცკი, სტალინის პიროვნებაში ვერ გაერკვევა და რევიზიონისტული სიცრუის გავრ-ცელებას შეუდგება, მე მას სიკვდილს მივუსჯი და განაჩენს საკუთარი ხე-ლით აღვასრულებ: დავხვრეტ, რო-გორც მოღალატეს.

იმედგაცრუებულმა პოლიაკოვმა ხელი ჩაიქნია, გახარებულმა ხომი-ზურმა სანაძლეო მოუგო დონსკოის, დათო დიდხანს გაოგნებული იდგა, რაფიკა პაპაიანს თვალზე ცრემლი მო-ადგა, ხოლო ჯონიმ რამდენიმე წუთის შემდეგ გულუბრყვილოდ იკითხა, – რა მოხდაო.

ერთხელ ბანაკში გიტარა გაჩნდა. როგორ და საიდან, არავინ იცოდა, მა-გრამ გაჩნდა. კლასიკური ექვსსიმიანი გიტარა იყო, მაგრამ იმის მიხედვით, ვის ხელში აღმოჩნდებოდა, ხან ესპა-ნურად გაეწყობოდა ტერცულ სტილ-ში (ე-ბ-გ-დ-ა-ე მი-სი-სოლ-რე-ლა-მი), ხანაც რუსულად (დ-ბ-გ-დ-ბ-გ-დ რე-სი-სოლ-რე-სი-სოლ-რე). ჩამოყალი-ბდნენ „ესპანელები“ და „რუსები“. მე და მანილოვიჩი „ესპანელები“ ვიყავით, დონსკოი და პაპაიანი კი „რუსები“. როდესაც რომელიმე „ესპანელს“ „რუ-სის“ ხელში ნამყოფი გიტარა ჩაუვარ-დებოდა, მეორე, მესამე და მეოთხე სიმებს ხელს არ ახლებდა, პირველს მეორის მიხედვით გამართავდა, მეექვ-სეს – პირველის და მეხუთეს მეექვ-სეს მიხედვით. ეს მარტივი პროცედუ-რა იყო და თუკი ვინმესთვის სპილოს ყურზე ფეხი არ ჰქონდა დაბიჯებუ-ლი, ამგვარი პროცედურის ჩატარებას ახერხებდა კიდეც, მაგრამ ამდენ აწყო-ბა-გადაწყობაში სიმები თავდაპირველ მუსიკალურ მნიშვნელობას ცდებოდ-ნენ და ერთმანეთთან შეფარდებაში კი იყვნენ ტერცეტებად, მაგრამ პირველი და მეექვსე სიმი მართლა მი იყო, თუ უკვე რემდე ან სულაც დომდე მოეშ-ვა, ძნელი სათქმელი იყო. საჭირო იყო კამერტონი და კამერტონს, აბა, პოლი-ტიკურ ბანაკში ვინ მოგვაშავებდა.

ერთხელაც მე და რაფიკა პაპაიანი გიტარისა და კამერტონის საკითხზე ვმსჯელობდით პირსაბანში, რომელსაც სიყვარულით „კურილკას“ ვეძახდით (დღევანდელი მსოფლიო აეროპორტე-ბის უმრავლესობაში მოწყობილ მოსა-წევ ოთახებს მოგვაგონებდა, ოღონდ სისუფთავესთან და კომფორტთან ცოტა მწყრალად იყო).

– იდეა მაქვს, – განაცხადა პაპაიან-მა, – დილას საბჭოთა კავშირის ჰიმნს რომ გვიმღერიან, ის ტონი დავიმახსო-ვროთ, მერე როგორმე ჰიმნის ნოტები ვიშოვოთ და გიტარაც იმაზე ავაწყოთ.

– დისიდენტი და გაფუჭებული ხალ-ხი კი ბრძანდებით, მაგრამ, ჩემგან განსხვავებით, ასე თუ ისე, მაინც კა-ნონიერი პატიმრები ხართ და ამდენი რატომ უნდა იწვალოთ? – მოულოდნე-ლად ჩაერია ჩვენ საუბარში „კურილკა-ში“ შემოსული რაზლაცკი.

– რამე უკეთესს ხომ არ შემოგვთავა-ზებთ? – თავაზიანად ჩაეკითხა რაფიკა და ჩუმად თვალი ჩამიკრა, – აქაოდა, ამ სტალინისტმა და პოლიტიკურმა დინოზავრმა კავკასიელ და წინწაწეულ პოლიტპატიმრებს ისეთი რა უნდა გვი-თხრას, რომ გამოგვადგესო.

– ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირის ჰი-მნის ნოტები არ გჭირდებათ, მე ვარ ცოცხალი ნოტები. რევიზიონისტებმა და ფსევდოკომუნისტმა ფეოდალებმა სიტყვები შერყვნეს, თორემ მუსიკა და ტონალობა უცვლელი დატოვეს. თქვე-ნი საძულველი სიტყვა Союз-ის პირვე-ლი მარცვალი Со- არის ნოტი სოლ ანუ გიტარის მესამე სიმი ორივე წყობაში. შემდეგ მოდის დო-სოლ-ლა-სი-მი.

Со-юз не-ру-ши-мый рес-пуб-лик сво-бод-ных

(სოლ)(დო)(სოლ)(ლა)(სი)(მი) (მი)(ლა) (სოლ) (ფა) (სოლ) (დო).

და რაზლაცკიმ აშკარად დიდი სია-მოვნებით იმღერა საბჭოთა კავშირის ჰიმნის სრული ვერსია 1943 წლის ვა-რიანტით; როდესაც სტალინის ხსენე-ბას მიადგა, ხმა გაებზარა და ცრემლი მოადგა, გვარიანი პაუზა გააკეთა, მა-გრამ ბოლოს მთელი ხმით დასჭექა:

Нас вырастил Сталин – на верность народу

На труд и на подвиги нас вдохновил.

– ისე, – განაგრძო საზეიმო სიმღე-რით აღტკინებულმა რაზლაცკიმ, – ამასაც ნუ იზამთ, დიდი საბჭოთა კა-ვშირის ჰიმნს ამ სულელურ გიტარაზე ნუ დახარჯავთ, ცოცხალი კამერტონი ვარ, უშეცდომო ლა-ს მოგცემთ და გი-ტარა ააწყვეთ.

ჩემს შეკითხვაზე, საიდან ასეთი ლა-მეთქი, რაზლაცკიმ მითხრა, – ყველა პოლიტიკურ პატიმარს მეორე პრო-ფესია აქვს; სანამ ქართველები გაუ-თავებლად სვამდნენ, ლენინგრადული არისტოკრატია მეეზოვეებად მუშაო-ბდა (პოლიაკოვსა და დონსკოის გუ-ლისხმობდა), ბუნდელი წვრილი ბურ-ჟუაზია – ელექტრომონტიორებად (მანილოვიჩი და ფელდმანი), კუიბიშე-ველი პროლეტარიატი წლების მანძილ-ზე ფორტეპიანოს ამწყობად მუშაობდა



და დამოუკიდებელი მომღერალი პოეტების, ეგრეთ წოდებული ბარდების კონკურსებზე ჟიურის ხელმძღვანელობდაო.

რაზლაცკის მუსიკალური ისტორიები ამით არ დამთავრებულა; როდესაც „სამხრეთ კავკასიის ხალხთა ქრისტიანული ფედერაციის“ ინიციატივით ჩატარებულ კავკასიური მუსიკის საღამოებზე რუსლან კეტენჩიევმა საკმაოდ რთული ბალყარული სიმღერა შეასრულა, რაფაელ პაპაიანი სახელგანთქმული სომხური სიმღერით, კომიტასის მიერ გადამუშავებული „წიწერნაკით“ („მერცხალი“) წარდგა, ხოლო მე „სულიკოს“ შესრულება ვიკისრე, სიტყვებიდან „გულამოსკვნილი ვტიროდი“ რაზლაცკი ამყვა მშვენიერი სასიმღერო ქართულით და ბოლომდე მეორე ხმა ისე წაიყვანა, რომ პირსაბანი ოთახის, იმავე „კურილკის“ მთელი აუდიტორია მქუხარე ტაშით დაინგრა და შესანიშნავი პრიზი პირველი ადგილისთვის – ერთი ასანთის კოლოფი შავი ჩაი მე დავიმსახურე (რაზლაცკიმ გაყოფაზე უარი მითხრა), ხოლო გიორგი ხომიზურმა საბოლოოდ შეიძულა „სულიკო“, როგორც სტალინიზმის სიმბოლო, და ჩემმა კომენტარმა, რომ ეს ლექსი 1895 წელს დაწერა აკაკი წერეთელმა და ვარინკა წერეთელმა მაშინვე შეუწყო მუსიკა, მის რწმენაზე გავლენა ვერ მოახდინა; სტალინის დროს რადიოში მხოლოდ „სულიკო“ ისმოდა, კაციჭამიას ფავორიტი სიმღერის შესრულებაში, მით უმეტეს, რაზლაცკისთან დუეტში ბერძენიშვილს ჩაი როგორ მიეცით, ბატონო ჟიურის თავმჯდომარეო. თავმჯდომარე ვადიმ იანკოვმა ჟორას გაცხარება გულთან ახლოს არ მიიტანა; მეტიც, ოფიციალური განცხადება გააკეთა, ყველა დროისა და ხალხის მამას, გენერალისიმუს ამხანაგ სტალინს ღვინოც უყვარდა, მაგრამ თუ ოდესმე თავისუფლება მეღირსა, შენი და სტალინის შიში არ მექნება, ღვინოსაც შევსვამ და შეიძლება „სულიკოც“ ვიმღერო, თუ ლევანივით საყვარელ ქართველ კაცს გადავაწყდიო.

როგორც ჭეშმარიტი რუსი და პროლეტარიატის ქომაგი, რაზლაცკი, რა თქმა უნდა, მსმელი კაცი იყო. ერთხელ, როდესაც საუბარი ხელფასზე ჩამოვარდა, ჩვენმა სტალინისტმა მეგობარმა თავისი კარიერული სვლა და ხელფასი მოულოდნელი კრიტერიუმით, ნახევარლიტრიანი არყის ბოთლის ფასით შეაფასა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, გაცილებით უფრო ადეკვატურად ასახავდა საშემოსავლო განაკვეთს, ვიდრე ძველი თუ ახალი მანეთი და კაპიკი.

– თავიდან ძალიან პატარა ხელფასი მქონდა, მხოლოდ 5 ბოთლი. დისერტაცია რომ დავიცავი, ხელფასი მომემატა და 20 ბოთლი გახდა. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რომ გავხდი, ხელფასმა იდეალს მიაღწია და 50 ბოთლი გახდა. საჭმელს და კულტურულ ღონისძიებებს თუ გამოვაკლებთ, 30 ბოთლი რჩებოდა. იდეალს იმიტომ ვამბობ, რომ ყოველდღე თითო ბოთლი უწევდა და თუ დღე ჩაგივარდებოდა... აი, ლაბორატორიის გამგე რომ გავხდი, ძალიან დიდი ხელფასი მქონდა, მთელი 72 ბოთლი და კიდევ რამდენიმე ყლუპი.

არაყზე საუბრისას ეტყობოდა, პოეზიასთან ახლოს რომ იყო. გვიხსნიდა, ლენინის დიდი პატივისცემა მაქვს, მაგრამ ვერ ვივიწყებ, ნიკოლოზ მეორის წამოწყებულ სისულელეს, „მშრალ კანონს“ რომ მხარი აუბა და არაყი რომ აკრძალაო. 1924 წლამდე აკრძალული იყო დალევა და როგორც კი ლენინი გარდაიცვალა, სტალინმა ეს აკრძალვა მოხსნა, აბა, ქართველი კაცი, თანაც კარგი პოეტი, დალევას როგორ აკრძალავდაო! რაზლაცკიმ ზეპირად იცოდა სტალინის რამდენიმე გამოსვლა, მათ შორის, გამოსვლა პარტიის XIV ყრილობაზე, სადაც დიდ ბელადს არაყი რეზერვის წყაროდ მოუხსენიებია. აი, რა უთქვამს ამხ. სტალინს სიტყვასიტყვით: „ჩვენ ვერ მივიღებთ იმ კაბალურ პირობებს, რომლებსაც დასავლეთევროპელი კაპიტალისტები გვთავაზობენ და რომლებიც ჩვენ უარვყავით. რჩება ერთი:

> გულწრფელად რომ ვთქვა, მჯეროდა, მისი ნება რომ ყოფილიყო, მართლა კედელთან მიგვაყენებდა და დაგვხვრეტდა, მაგრამ გული მაინც საშინლად დამწყდა. უყოყმანოდ დაგვხვრეტდა, მაგრამ გული იმასაც დასწყდებოდა. ეტყობა, არც ისე მარტივი არსებაა ადამიანი, როგორც ეს კლასობრივი თეორიით დაბრმავებულ გონებას წარმოუდგენია.



ვეძებოთ წყაროები სხვა სფეროებში. ეს მაინც უკეთესია, ვიდრე დაკაბალება. აქ უნდა ავირჩიოთ კაბალასა და არაყს შორის და ხალხი, რომელსაც ჰგონია, რომ სოციალიზმის აშენება შეიძლება თეთრი ხელთათმანებით, სასტიკად ცდება“.

როგორც კარგ მოსწავლეს, რაზლაცკის 1951 წელს დაუმსახურებია მთელ საბჭოთა კავშირში „სტალინურ ადგილებში“ მოგზაურობა. რამდენიმე ბავშვი ყოფილა და სამი მასწავლებელი, მათ შორის ერთი, შრომის მასწავლებელი, ნაომარი კაცი ყოფილა. ასე მოუვლიათ სხვა ქალაქებთან ერთად თბილისი, გორი და ბათუმი. ბათუმის და თბილისის რა გითხრათ და, გორს ჩემზე გაცილებით უკეთ იცნობდა. ჩემზე კი არა, დოესში გაზრდილ ჯონი ლაშქარაშვილზე უკეთაც იცნობდა. სტალინის მუზეუმს რაც შეეხება, იქ ხომ ყველა თანამშრომელს სახელით და მამის სახელით იცნობდა, ოცჯერ მაინც ყოფილა გორში და მუზეუმს როგორ გააცდენდა, ზოგიერთივით ატენის სიონის სანახავად ხომ არ ჩავიდოდა გორში! სტალინის ძეგლთან დაკავშირებით ზღაპრული დეტალები იცოდა, ის კი არა, სახელგანთქმული გორული კატლეტის ამბავიც იცოდა და მცხეთური სალობიოსიც. ერთხელ ჩემსა და რაფიკას შორის ატენის სიონთან დაკავშირებულ ცხარე კამათს შეესწრო და განაცხადა, ატენის სიონში არ ვყოფილვარ, ისე გამიგია და ატენური ღვინო კი კარგად ვიცი, დამილევია, ეგ ნამდვილად ქართული ფენომენიაო.

ალექსეი ბორისის ძე საინტერესო მოსაუბრე იყო. მოსმენა იცოდა და უყვარდა, ყველაზე უფრო კი კითხვების დასმა უყვარდა. ნებისმიერ კითხვაში მუდამ იგრძნობოდა მისთვის ასე ძვირფასი ქართული აქცენტი (უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო რუსი საესტრადო კომიკოსებისთვის დამახასიათებელი „საერთო-კავკასიური“ აქცენტი, რომელიც ქართული, სომხური, აზერბაიჯანული თუ ჩეჩნური აცენტების ნარევია, არამედ სწორედ ქართული; ეტყობა მთელი თავისი ცხოვრება ბელადს არა მხოლოდ კითხულობდა, არამედ საათობითაც უსმენდა). მთავარ ანტისაბჭოთა დოკუმენტს, რომელიც მან, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, თავის თანამზრახველ გრიგორი ზინობის ძე ისაევთან ერთად „დაამზადა“ (изготовил), კლასიკური რუსული რევოლუციური ტრადიციის მიხედვით ერქვა „ვინ უნდა უპასუხოს?“ („Кому отвечать?“) და შედგებოდა ნაწილებისგან „ვის ვკითხოთ?“ („Кого спросить?“), „საიდან ჩნდება კითხვები?“ („Откуда берутся вопросы?“), „სად ვეძებოთ პასუხი?“ („Где искать ответ?“), „ვინ სვამს კითხვებს?“ („Кто задает вопросы?“). საბრალდებო დასკვნის მიხედვით, დოკუმენტი ცილს სწამებდა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობას, სკკპ და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობას და შეიცავდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის პროგრამას. კუიბიშეველი ჩეკისტების აზრით, რაზლაცკის დოკუმენტი წარმოადგენდა პოლონური „კონტრრევოლუციური ორგანიზაციის“, „სოლიდარობის“ დოკუმენტების გადამღერებას.

ალექსეი რაზლაცკი აღიარებდა, – ორი განსხვავებული მასწავლებელი მყავსო – სოკრატე და სტალინი (ყურადღება მიაქციეთო, – ანგლობდა მანილოვიჩი, ორივე „ს“ ასოზე იწყებაო და არც ერთი არაფერს არ წერდა, პირველი იმიტომ, რომ ასეთი პრინციპი ჰქონდა, და მეორე იმიტომ, რომ წერა-კითხვა არ იცოდაო; ბორიას თეორიით, სტალინის ტომებს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ათასობით თანამშრომელი წერდა ღამღამობით, როცა ბელადს არ ეძინა). ფაქტია, რომ რაზლაცკის, სოკრატესი არ იყოს, კითხვების დასმა უყვარდა. მე ვამბობდი, რომ იყო რაზლაცკიში რაღაც ადრეკომუნისტური, წინარეკომუნისტური, მარქსამდელი, პლატონური და, საერთოდ, ანტიკური. სხვა კომუნისტური პრინციპებისა რა გითხრათ და, კერძო საკუთრებას პლატონივით მართლა არ სცემდა პატივს და, ქართველების გარდა, ერთადერთი კაცი იყო, რომელიც არკადი დუდკინს წეკოს აწევინებდა.

მე და რაზლაცკიმ საერთო თემა გამოვძებნეთ: სოკრატეს გასამართლება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოკრატე ძვ.წ. 399 წ. ყველა დემოკრატიული ფორმალობის დაცვით გაასამართლეს (წარმოდგენილი იყო ორივე მხარე, ბრალდებისა და დაცვის, იყო ორი კენჭისყრა, ხმების დათვლაში ეჭვი არავის შეუტანია და ა.შ.) და სიკვდილი მიუსაჯეს. რაზლაცკის სოკრატე პირველ კომუნისტად მიაჩნდა და მის გასამართლებაში ბრალს სდებდა პროტორევიზიონისტებს (მისი ტერმინი იყო).

– სოკრატეს პროცესმა აჩვენა ე.წ. დასავლური დემოკრატიის არა მხოლოდ სისუსტე, არამედ მისი სრული უუნარობა, დაენახა ახალი მოძღვრების სიკეთე. პირველი კომუნისტისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანით ანტიკურმა დემოკრატიამ თავი დაისამარა, – განაცხადა რაზლაცკიმ და თავის სიტყვას სრულიად მოულოდნელი განვითარება მისცა: Демократия похоронила себя, т.е. «тави даи-САМАРА», как сказал бы Отец.

– გამოდის, რომ სოკრატე პროტოკომუნისტი იყო და ქართული ენა პროტოკომუნისტური ენაა? – ვიკითხე მე „გულუბრყვილოდ“.

– სოკრატე პროტო კი არა, უბრალოდ, კომუნისტი იყო: კერძო საკუთრებას უარყოფდა, მაშინდელ მუშათა კლასს, მონებს გულშემატკივრობდა, მათში ცოდნა შეჰქონდა, მუსიკა უყვარდა, – განაცხადა რაზლაცკიმ, თუმცა მუსიკა რა შუაში იყო კომუნისტობასთან, არ განმარტა.

– რა თქმა უნდა, ქართულ ენაშიც ყოველთვის იყო კომუნისტური პოტენციალი, – განაგრძო სამარელმა პოეტმა და დისიდენტმა, – განა თვით რუსთაველმა არ თქვა, მიეცით მუშებს შრომის საშუალებები და გაათავისუფლეთ პროლეტარიატიო?

– რა გამოდის, შენი თეორიით რუსთაველიც მარქსისტი იყო? – ვერ დამალა გაოგნება ჟორა ხომიზურმა, რომელსაც, როგორც ანტიკომუნისტს და რუსთაველის „ფანს“, აშკარად საყვარელ სათამაშოს ართმევდნენ.

– უბრალო მარქსისტი კი არა, თანმიმდევრული სტალინისტი, – უპასუხა ბორია მანილოვიჩმა, – შენ რა, არ იცი, რომ „ვინ მოყვარესა არ ეძებს“ პირველი კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებაა ნათქვამი?

– „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, – აი, რა თქვა რუსთაველმა, არანაირი მუშები და არავითარი

პროლეტარიატი „ვეფხისტყაოსანში“ არ არის და არ შეიძლება ყოფილიყო, – სერიოზულად შევშფოთდი მე.

– ლევან, შენ ამ დემოკრატებში კიდევ პატიოსან კაცს ჰგავხარ, - დაიწყო რაზლაცკიმ.

– მაგრამ სინამდვილეში თვითონაც გესმის, რომ პატიოსანი არ ხარ და რაზლაცკი თუ ჯერ არ გხვრეტს, მხოლოდ იმიტომ, რომ სანუკვარ ქართველებამდე სხვები ჰყავს დასახვრეტი, – ჩაერთო მანილოვიჩი.

– მაგალითად, ყველა ჯურის კოსმოპოლიტები, – არ ჩამორჩა რაზლაცკი და ცოტა ხნით დაადუმა ცუდად აჟიტირებული ბორის ისაკის ძე; – მოკლედ, ლევან, შენ ჯერ მთლიანად არ დაგიკარგავს კლასობრივი სიმართლის დადგენის შანსი.

– დავუშვათ, ასეა, – დავეთანხმე მე, თუმცა სიტყვა „კლასობრივზე“ ყოველთვის ცუდი რეაქცია მქონდა.

– რაკი ასეა, მოდი დამეთანხმე, რომ რუსთაველი უაღრესად დაბალი აზრისაა ბურჟუაზიაზე, წვრილი იქნება ეს თუ მსხვილი. მე მხედველობაში მაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგილი, როდესაც ავთანდილი სამხედრო დანაშაულში ამხელს ვაჭართა კლასს.

– ავთანდილი უბრალოდ ამბობს, თქვენ, ვაჭრებს ომი არ გეხერხებათო, – დავიცავი კლასობრივი თეორიისგან სტალინისა და მისი მოსწავლის საყვარელი რუსთაველი, რომელიც მალე, როგორც შევატყვე, „სულიკოს“ ბედს გაიზიარებდა: რაკი სტალინს და რაზლაცკის მოსწონდათ, საბოლოო წუნი დაედებოდა და ვადიმ იანკოვის, სერგეი ავერინცევისა და რაფაელ პაპაიანის მიერ გაღმერთებული „ვაების სიმღერათა წიგნის“ ავტორის, ვარდაპეტ გრიგოლ ნარეკაცის დონეს ვეღარ შეწვდებოდა.

– და განა რუსთაველისეული ვაჭრები ბურჟუები არ არიან? – დასვა თავისი შეკითხვა რაზლაცკიმ, – განა ქართველები დღემდე ანტიბურჟუაზიულად არ არიან განწყობილნი და განა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუშა ან გლეხი არ არის? დიდი საიდუმლოა, რომ ქართველებს ვაჭრობა სამარცხვინო საქციელად მიაჩნიათ და მოსკოვში ყვავილების გამყიდველ თანამემამულეებს, როგორც საძულველ ბურჟუებს, ემიჯნებიან?!

– როდის მერე გლეხობისადმი ასეთი ნაზი სიყვარული? – როგორც იქნა, გონს მოვიდა კოსმოპოლიტიზმში ბრალდებული ბორია მანილოვიჩი.

– შეცდომაა ნამდვილი კომუნისტების მხოლოდ მუშათა ინტერესების დამცველებად წარმოდგენა. გლეხობა და მუშათა კლასი, ნამგალი და ურო, აი, ეს არის ხალხი. დემოკრატები, ბურჟუაზია და ინტელიგენცია ხალხი არ არის, ეს წარმოების ნარჩენებია.

– და ვის მორჩა ეს სუბიექტები წარმოებაში? – ვიკითხე მე, – მამა ღმერთს ხომ არა?

– ლევან, შენ ხომ ათეისტი უნდა იყო, ან შენი საყვარელი ბერძნებივით პოლითეისტი, რაც, პრინციპულად იგივეა, რა ღმერთი, რის ღმერთი, ღმერთი არ არსებობს!

– რა ღირს ოპიუმი ხალხისთვის? – ჩაერთო კიდევ ერთი საეჭვო ათეისტი, ჟორა ხომიზური.

– მღვდლებზე საუბარი არ მინდა ამჟამად, – განაცხადა რაზლაცკიმ.

– ალბათ იმიტომ, რომ ზოგიერთი ბავშვი სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, – რაზლაცკის რელიგიური ტოლერანტობის ახსნის თავისი ვარიანტი შემოგვთავაზა მანილოვიჩმა.

>>> გაგრძელება გვ. 118

და განა რუსთაველისეული ვაჭრები ბურჟუები არ არიან? – დასვა თავისი შეკითხვა რაზლაცკიმ, – განა ქართველები დღემდე ანტიბურჟუაზიულად არ არიან განწყობილნი და განა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუშა ან გლეხი არ არის? დიდი საიდუმლოა, რომ ქართველებს ვაჭრობა სამარცხვინო საქციელად მიაჩნიათ და მოსკოვში ყვავილების გამყიდველ თანამემამულეებს, როგორც საძულველ ბურჟუებს, ემიჯნებიან?!



„გაძლიერებული ლოცვა“

ანუ მართლმადიდებლობა სუბუტექსის ხანის საქართველოში

ავტორი: გიორგი მაისურაძე
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

რელიგია და ნარკოტიკები

„რელიგია ოპიუმია ხალხისათვის“ – არის ერთ-ერთი პირველი საბჭოთა იდეოლოგიური ლოზუნგი, რომელიც თავად ლენინმა შექმნა, თუმცაკი ამ სიტყვების ავტორი გერმანელი ფილოსოფოსი და რევოლუციის თეორეტიკოსი, კარლ მარქსია. ამასთანავე, ეს სიტყვები რელიგიის ყველაზე ცნობილი ათეისტური თუ კრიტიკული განსაზღვრებაა, რომელიც ირონიულად რელიგიის გამაბრუებელ და გონიერებისაგან დამაშორებელ ხასიათზე მიუთითებს და მორწმუნე ადამიანსაც ნარკომანთან აიგივებს, რომელსაც სულიერი სიმშვიდისა თუ ბედნიერების განცდა მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით თუ შეუძლია. ამ თვალსაზრისით, რელიგიას ანტიდეპრესანტის ფუნქციაცა აქვს. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში ასეთი საშუალებები არც ტკივილის და არც დეპრესიის გამომწვევ მიზეზებს არ კურნავს. მათი ქმედითუნარიანობა გონების დროებით გამოთიშვაა. ზემოქმედების გადავლის შემდეგ კი ადამიანი იძულებულია, ასეთი პროცედურა რაც შეიძლება ხშირად გაიმეოროს, დოზა გაზარდოს და მთელი საკუთარი ცხოვრება ამაზე დამოკიდებული გახადოს, მის მიერ ნაკარნახებ წესებს და რიტმს დაუმორჩილოს. ადამიანი თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ამგვარ „პრეპარატებზე“, რომლებიც მას ბედნიერების, ნეტარების, არასიმარტოვის, დაცულობის, მოწესრიგებულობისა და ჰარმონიის ილუზიას ანიჭებენ. ასეთ დამოკიდებულებას კი თანამედროვე სეკულარულ ენაზე ნარკომანია ეწოდება. თუმცა ეს ტერმინი ერთ ღვთაებრივ სახელსაც შეიცავს: *მანია* ბერძნულ მითოლოგიაში სიგიჟის ქალღმერთი იყო და ამდენად, სიგიჟესაც ღვთაებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. თუკი ადამიანი, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ჭკუიდან შეიშალა, ძველი ბერძნების რელიგიურ წარმოდგენით მას ღვთაება უსახლდებოდა სხეულში და მისი პირით რომელიღაც გონებით მიუწვდომელ ჭეშმარიტებას ღაღადებდა. ღმერთების მსახურებმა, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც ღვთაებრივ ძალებთან პირდაპირი კავშირის დამყარება და მომავლის განჭვრეტა ხელეწიფებოდათ, საგანგებო პროცედურები შეიმუშავეს ყოფითი სამყაროდან ღვთაებრივში გადასასვლელად. ამ დროს ისინი ხშირად გარკვეულ ნივთიერებებს იყენებდნენ, რომლებსაც, ბოლო ორი საუკუნეა, სამედიცინო-იურიდიულ ენაზე ნარკოტიკებს უწოდებენ.

ნარკოტიკული ნივთიერებების რელიგიებთან კავშირს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და, გარკვეული თვალსაზრისით, ისინი ერთმანეთის თანმხლები კომპონენტებიც არიან. ნარკოტიკული ზემოქმედების მქონე ნივთიერებები, რომელთა უმრავლესობაც მცენარეული წარმოშობისაა, თავდაპირველად სწორედ რელიგიურ რიტუალში გამოიყენებოდა, თანაც, გამომდინარე მათი თვისებებიდან, აღმგზნებები – რელიგიური ექსტაზის, ხოლო ჰალუცინოგენები – „ტრანსის“ მისაღწევად. ერთი ლეგენდის თანახმად, ისლამურ სამყაროში გაჩენილი პირველი რელიგიურ ფანატიკოსთა სექტა ასასინები (არაბულად – *ჰაშიშიინ*) ნარკოტიკულ ნივთიერება ჰაშიშს რელიგიურ-ტერორისტული შთაგონებისთვის იყენებდნენ. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად, ანუ მას შემდეგ, რაც საქრისტიანომ ახლოაღმოსავლური სამყარო ახლოს გაიცნო, ქრისტიანულ საკმეველში ჰაშიში გაჩნდა, რომლის მიღების ტრადიციული მეთოდიც ინჰალაცია, ანუ მისი ბოლის შესუნთქვაა. ჰაშიში კი, რომელიც მსუბუქ ჰალუცინოგენად მიიჩნევა, მგრძნობელობას ამძაფრებს და, ზოგჯერ ეგზალტაციასაც იწვევს, მისი მცირე დოზებით მიღება კი ერთგვარი „ნეტარების“ განცდის შეგრძნებას ბადებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები ერთ-ერთი პირველი სეკულარული ელემენტებიცაა, რომელთა „გამიწიერება“ და არარიტუალური დანიშნულებით გამოყენება ოდითგანვე გავრცე-

„რელიგია გადუხჭირებულთა კვნესაა, უგულო სამყაროს საგულეა, ისევე, როგორც არასულიერების სული. იგი ხალხის ოპიუმია. რელიგიის, როგორც ხალხის მოჩვენებითი ბედნიერების მოცილება, მისთვის ნამდვილი ბედნიერების მოთხოვნას ნიშნავს. მოთხოვნა იმისა, რომ ხალხმა უარი თქვას საკუთარი მდგომარეობის შესახებ ილუზიებზე, არის თავად ისეთ მდგომარეობაზე უარის თქმის მოთხოვნა, რომელიც საკუთარი თავის მოტყუების საჭიროებას გვიქმნის. ამდენად რელიგიის კრიტიკა ჩანასახშივე არის კრიტიკა იმ უდაბურებისა, რომლის სიწმინდის შარავანდედიც რელიგიაა“. კარლ მარქსი

ლებული იყო, განსაკუთრებით საზოგადოების შეძლებულ ფენებში. ახალ ეპოქაში კი თანდათანობით ნარკოტიკების გადემოკრატიულებაც დაიწყო და უკვე XIX საუკუნის ევროპაში მათ არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ საინსპირაციო მიზნებითაც იყენებდნენ ხელოვანები და ინტელექტუალები. აქვე გასათვალისწინებელია ისტორიის მარქსისტული გაგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპიც: თუკი ყველა ეპოქა და ქვეყანა, გამომდინარე მასში არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების სპეციფიკიდან, განსხვავებული მსოფლმხედველობით ხასიათდება, შეგვიძლია ისიც დავამატოთ, რომ მათ თავისი შესაბამისი მოდური ნარკოტიკიც აქვთ. შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში თრიაქის მოწევა ყოფილა გავრცელებული, რომლისადმი სიყვარულით ზოგი ქართველი მეფეც იყო ცნობილი. სავარაუდოდ, თრიაქში სწორედ ოპიუმი უნდა იგულისხმებოდეს. ეს აზიური წარმოშობის მცენარეული ნივთიერება კი XIX საუკუნეში ფართოდ გავრცელდა დასავლეთის ქვეყნებში და მისი, ისევე, როგორც მისგან ნაწარმოები პრეპარატების – მორფიუმისა და ჰეროინის არალეგალური გამოყენება, თანდათანობით სერიოზულ სამედიცინო და სამართლებრივ პრობლემად იქცა მთელ მსოფლიოში. ოპიუმის პროდუქცია მისი მომხმარებლის ორგანიზმს ძალიან სწრაფად მასზე დამოკიდებულს ხდის, რომლისგან თავის გათავისუფლებაც მხოლოდ მედიკამენტებისა და ხანგრძლივი მკურნალობით თუ ხდება შესაძლებელი. ერთ-ერთი ასეთი მედიკამენტია, მაგალითად, სუბუტექსიც, რომელიც უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში ყველაზე „მოდურ“ ნარკოტიკად მოგვევლინა.

ათეისტური XX საუკუნის მეორე ნახევარში ნარკოტიკების სრულმა გამასობრივებამ ერთგვარი რელიგიური ხასიათი შეიძინა და, შეიძლება ითქვას კიდევაც, რომ ნარკოტიკი რელიგიად იქცა ხალხისათვის. გარდა ამისა, დაიწყო ქიმიური, ანუ სინთეტური ნარკოტიული ნივთიერებების წარმოებაც, რომლებმაც ტრადიციული ოპიატები ფართო არენიდან განდევნა. როდესაც ცნობილმა ამერიკელმა პოეტმა ალენ გინზბერგმა ასეთი სინთეტური ნივთიერება LSD გასინჯა, მან სრულ ეიფორიაში განაცხადა, რომ იგი ამ დროს ღმერთს პირადად ესაუბრა. ასეთი გამოცდილება XX საუკუნის 60-70-იან წლებში არაერთი ცნობილი ხელოვანისა თუ ინტელექტუალისათვის შემოქმედებისა თუ შემეცნების წყაროდ და სტიმულატორად იქცა, ფართო მასებისათვის კი მათი გარელიგიურების საბაბად. ასე რომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გასულ საუკუნეში გაქრობის პირას მყოფი რელიგიურობა ნარკოტიულმა ნივთიერებმა გადაარჩინა. ამასობაში კი ათეისტური საბჭოთა სახელმწიფოც დაიშალა და მის ნანგრევებზე ნარკოტიკებისა და რელიგიურობის ახალი ფორმებიც თითქმის თანადროულად გაჩნდა, თუმცა ვიდრე ამ თემას განვავრცობდეთ, კიდევ ერთხელ მარქსის ცნობილ ფრაზას დავუბრუნდეთ.

„რელიგია ოპიუმია ხალხისათვის“

XIX საუკუნის 40-იან წლებში, ანუ იმ დროს, როდესაც კარლ მარქსმა რელიგია ოპიუმს შეადარა, ამ ნარკოტიკულ ნივთიერებას იმდროინდელი მსოფლიოს ადამიანთა ცნობიერებაში არაერთგვაროვანი მნიშვნელობა ჰქონდა: გარდა ტკივილგამაყუჩებელი და გამაბრუებელი საშუალებისა, იგი ასოცირდებოდა ბრიტანეთის იმპერიის მიერ ჩინეთში გაჩაღებულ ე.წ. „ოპიუმის ომთან“ (1839-42 და 1856-60), რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ჩინეთის იმპერატორის მიერ ოპიუმის წარმოების აკრძალვა იყო, რადგანაც ამ ნივთიერებამ ჩინეთის მოსახლეობის ფართო ფენების განარკომანება გამოიწვია. ბრიტანეთი კი ოპიუმით ვაჭრობაზე, რომელიც ევროპაში ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების წარმოებაში გამოიყენებოდა, მონოპოლიის დამყარებას ცდილობდა. ამდენად, XIX საუკუნის 40-იან წლებში ოპიუმი არა მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერების სახელი იყო, არამედ კოლონიური აგრესიის სიმბოლოც.

ზოგადად, რელიგიის მძაფრი კრიტიკა განმანათლებლობასთან ერთად დაიწყო, რაც შუა საუკუნეების ფეოდალური წესრიგის აღსასრულს მოასწავებდა, რამდენადაც ფეოდალური ურთიერთობები საყოველთაო რელიგიურობის პირობებშია შესაძლებელი და ამ ურთიერთობათა საფუძველს თავად რელიგიური ინსტიტუციები და მათდამი უსიტყვო მორჩილება განაპირობებს. ამიტომაც განმანათლებლების კრიტიკის მთავარი სამიზნე სწორედ რელიგია აღმოჩნდა, რომლის უკრიტიკო და ხშირად სრულიად ზღაპრულ დოგმებსა თუ წარმოდგენებს განმანათლებლები გონებასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს უპირისპირებდნენ. განმანათლებელი და ფრანგი ერის „მამის“ რანგში აღზევებული ვოლტერი რელიგიას მოტყუებისა და ხალხის დაკაბალების საშუალებად მიიჩნევდა. მანიპულაციის ამ ფორმის ოპიუმთან პირველი შედარება კი გვხვდება ყველაზე სკანდალური მწერლის მარკიზ დე სადის რომანში „ჟულიეტა“. რამდენიმე წლის შემდეგ უკვე გოეთემ უწოდა რელიგიას

„ნარკოტიული“. გერმანელმა პოეტმა ჰაინრიხ ჰაინემ კი 1840 წელს ერთ თავის პამფლეტში რელიგიის ერთგვარი „სადღეგრძელო“ ჩამოაყალიბა: „გაუმარჯოს რელიგიას, რომელმაც ტანჯულ ადამის მოდგმას მწარე სასმისში სულიერების ოპიუმის რამოდენიმე ტკბილი, დამაძინებელი წვეთი ჩაუღვენთა“... სავარაუდოდ, მარქსის მიერ რელიგიის ოპიუმთან შედარება სწორედ ჰაინეს მიერ უნდა ყოფილიყო შთაგონებული.

ახლა ამ წინაპირობების გათვალისწინებით, გავიხსენოთ უფრო ვრცელი ციტატა კარლ მარქსის 1844 წელს გამოქვეყნებული ნაშრომიდან „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა“, საიდანაც რელიგიის ყველაზე ცნობილი განსაზღვრება მომდინარეობს: „რელიგია გადუხჭირებულთა კვნესაა, უგულო სამყაროს საგულეა, ისევე, როგორც არასულიერების სული. იგი ხალხის ოპიუმია. რელიგიის, როგორც ხალხის მოჩვენებითი ბედნიერების მოცილება, მისთვის ნამდვილი ბედნიერების მოთხოვნას ნიშნავს. მოთხოვნა იმისა, რომ ხალხმა უარი თქვას საკუთარი მდგომარეობის შესახებ ილუზიებზე, არის თავად ისეთ მდგომარეობაზე უარის თქმის მოთხოვნა, რომელიც საკუთარი თავის მოტყუების საჭიროებას გვიქმნის. ამდენად რელიგიის კრიტიკა ჩანასახშივე არის კრიტიკა იმ უდაბურებისა, რომლის სიწმინდის შარავანდედიც რელიგიაა“.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, რელიგიის მარქსისეული კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური შინაარსის იყო: ადამიანები, რომლებიც გადუხჭირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, განიცდიან მძიმე სოციალურ ჩაგვრას, ყოველ ნაბიჯზე აწყდებიან უსამართლობას, ფეხქვეშ ითელება მათი უფლებები და ღირსება, გამოსავალს რელიგიაში ეძებენ, ბედნიერების ილუზიას იქმნიან და ამ ილუზიით თავს იტყუებენ, იმის ნაცვლად, რომ თავისუფლებისა და საკუთარი პრობლემების მოგვარებისათვის იბრძოლონ. რელიგია, როგორც ტკივილგამაყუჩებელი, როგორც ნარკოტიული ნივთიერება, მათ ადუნებს, აბრუებს, მოჩვენებით რეალობას უქმნის და თავისი ფანტასტიკური დაპირებებით დროებით ავიწყებს სატკივარს, რომელიც ამის შედეგად მუდამ მოუგვარებელი რჩება. მარქსის, როგორც ფილოსოფოსის და რევოლუციის თეორეტიკოსის აზრით, რელიგიის კრიტიკის მიზანი თავად იმ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაა, რომელიც ადამიანებს იძულებულს ხდის ბედნიერებისაკენ სწრაფვა რელიგიის ნარკოტიკული ეფექტით მიღებული სუროგატით დაიკმაყოფილონ.

რელიგია და ფსიქოპათია

თუკი განმანათლებლებისა და მარქსისტებისათვის რელიგია, უპირველეს ყოვლისა, ჩაგვრის ინსტრუმენტი და გაუნათლებელი თუ დაკაბალებული ადამიანებით მანიპულირების საშუალება იყო, რელიგიის სრულიად სხვა კუთხით დანახვა სცადა ერთმა აპოლიტიკურმა პიროვნებამ – ავსტრიელმა ექიმმა, ფსიქოანალიზის შემქმნელმა ზიგმუნდ ფროიდმა. იგი არა რელიგიური ინსტიტუციების პოლიტიკით, არამედ თავად მორწმუნე ადამიანების ფსიქიკით, მათი შინაგანი სამყაროთი დაინტერესდა და ამგვარად სცადა რელიგიის არსში ჩახედვა. ფროიდი ერთ თავის ნარკვევში, რომელსაც „აკვიატებული ქმედებები და რელიგიური პრაქტიკები“ ეწოდება, ნევროტული ადამიანების აკვიატებულ ქმედებებს რელიგიურ ცერემონიებს ადარებს. ფროიდი ცალკე განიხილავს ნევროზის ისეთ ფორმას, რომლისთვისაც აკვიატებული ხასიათის იდეები, ქცევები, მოძრაობისა თუ ლაპარაკის მანერაც კი დამახასიათებელია, და მათ აკვიატებულ ნევროზებს უწოდებს. ასეთი ნევროზის მქონე ადამიანები თავიანთ ცხოვრებას ცერემონიულ ფორმას აძლევენ და ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო თუ უაზრო დეტალებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, ჯერ მარჯვენა ფეხის გადადგმა, საყოფაცხოვრებო საგნების მხოლოდ გარკვეული თანმიმდევრობით დალაგება ან გამოყენება და ა.შ. თუ ყველაფერი ისე არ შესრულდა, როგორც მათ სწამთ, უფრო სწორად, აკვიატებული აქვთ, მაშინ ასეთი რამ მათთვის კატასტროფის მომასწავებელია. ამიტომაც აკვიატებული ნევროზებით შეპყრობილთა მხრიდან ხშირია აგრესიაც იმათ მიმართ, ვინც მათ „წესებს“ არ იცავს. თუმცა აკვიატებული ქმედების მთელი არსი სწორედ ისაა, რომ ასეთი ქმედებების შინაარსი ნევროტულ ადამიანებს თავადაც არ ესმით და რომელთა უკან ყოველთვის რომელიღაც სხვა, მათთვის საკმაოდ მტკივნეული და ცნობიერებიდან განდევნილი პრობლემა იმალება. განდევნილი კი, რომელიც ნევროზის სახით უბრუნდება ადამიანს, რომელიმე პირველადი ლტოლვის – უმეტესწილად ეროტული შინაარსის სურვილების აკრძალვის შედეგია, რომელიც არაცნობიერში განაგრძობს არსებობას და მისი მატარებე-

> ფროიდი იმ დასკვნამდე მიდის, რომ აკვიატებული ნევროზი ერთგვარი ინდივიდუალური რელიგიაა, ხოლო რელიგია უნივერსალური აკვიატებული ნევროზი. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი კი ისაა, რომ ნევროტული ადამიანების უხილავი მოტივაცია განდევნილი სურვილებითაა გამოწვეული, მორწმუნეების მამოძრავებელი კი ეგოიზმია, რომელსაც ისინი „ღმერთის სახელით“ ახორციელებენ.

ლი პიროვნების „ცდუნებას“. „ცერემონიული თუ აკვიატებული ქმედებები წარმოიშობა ნაწილობრივ როგორც განსაცდელის (ცდუნების) მოსაგერიებლად, ნაწილობრივ კი მოულოდნელი უბედურებისგან თავდასაცავად“, – წერს ფსიქოანალიზის ფუძემდებელი.

ფროიდის აზრით, აკვიატებული ნევროზები საბოლოო ჯამში ცხოვრების საკრალიზაციის ერთგვარი ნაირსახეობაა, რომლის დროსაც თითოეულ ქმედებას ისეთივე დატვირთვა ეძლევა, როგორიც რელიგიაში რიტუალს, რის გამოც, ისინი ნევროტული პიროვნების ინდივიდუალურ რელიგიად შეგვიძლია განვიხილოთ. ნარკვევის ბოლოში ფროიდი იმ დასკვნამდე მიდის, რომ აკვიატებული ნევროზი ერთგვარი ინდივიდუალური რელიგიაა, ხოლო რელიგია უნივერსალური აკვიატებული ნევროზი. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი კი ისაა, რომ ნევროტული ადამიანების უხილავი მოტივაცია განდევნილი სურვილებითაა გამოწვეული, მორწმუნეების მამოძრავებელი კი ეგოიზმია, რომელსაც ისინი „ღმერთის სახელით“ ახორციელებენ. რელიგიურობის შემთხვევაში, განდევნილი არა იმდენად სექსუალური სურვილები და ფანტაზიებია, რამდენადაც საკუთარი კმაყოფილებისაკენ მიმართული, ხშირად „საზოგადოებრივად მავნე“ ან საზოგადოებისათვის მიუღებელი მოთხოვნილებები, რომელთა განსახორციელებლად მათ, ერთი მხრივ, სანქცია ღმერთისაგან ესაჭიროებათ, მეორე მხრივ კი, საკუთარი ცოდვილობის აღიარება და ჯოჯოხეთის კუპრში წვის შიში მაზოხისტური ტკბობის ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებული ფორმაცაა. ამდენად ბუნებრივიცაა ღვთისმოსავთა მიერ საკუთარი დანაშაულის და ცოდვილობის განცდა, სინანული და მონანიების პრაქტიკები, რომლებიც არა ამ „ცოდვების“ სიცუდის გაცნობიერებას და მათზე უარის თქმას, არამედ მაზოხიზმთან ერთად, მათ გამო არდასჯის პირობასაც ემსახურება. მორწმუნეობა არცთუ იშვიათად მიზანთროპი, კაცთმოძულე პიროვნებების იმუნიტეტი, ხელშეუხებლობის გარანტიაა: ის კი ჩადის „ცოდვას“, დანაშაულს, მაგრამ, მისი მორწმუნეობის გამო, „ღმერთი მის მხარესაა“! აქედან გამომდინარე, არანაირად პარადოქსული და უცნაური არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ არაერთი სისასტიკე და სიმხეცე სწორედ მორწმუნე და ღვთისმოსავი ადამიანების მიერაა ჩადენილი. შესაბამისად, რიტუალის და წესების დაცვას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მორწმუნეებისათვის, ვიდრე თავად ამ რელიგიის შინაარსს, რომლითაც აღმსარებელთა უდიდესი ნაწილი არც კი ინტერესდება.

რელიგია როგორც სუბუტექსი

ერთი ანეკდოტის თანახმად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ზუსტად ისეთი ტიპის კაპიტალიზმის მშენებლობა დაიწყო, როგორიც XIX საუკუნეში კარლ მარქსმა აღწერა და ექსპლუატირებულ კლასებს სოციალური ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხისაკენ მოუწოდა. მაგრამ ეს ანეკდოტი მხოლოდ ველური ფორმების კაპიტალიზმით არ შემოიფარგლება: პოსტსაბჭოთა სივრცეში რელიგიურობაც იმავე სახით დაბრუნდა, როგორადაც მარქსს რელიგია წარმოედგინა – როგორც ოპიუმი ხალხისათვის. თუმცა კიდევ ერთხელ გასახსენებელია ის, რომ მარქსი თავის განსაზღვრებებსა თუ შეფასებებს კონკრეტული ისტორიული ეპოქის აღწერისათვის იყენებდა და ხაზს უსვამდა იმას, რომ ყოველ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბაზისს შესაბამისი იდეოლოგიური „ზედნაშენი“ აქვს. მარქსისტულ თეორიაში ასეთი ზედნაშენის ერთ-ერთი ტიპური გამოხატულება რელიგიაა, რომლის ფორმაცა და შინაარსიც „ბაზისის“ შეცვლასთან ერთად

იცვლება. მაგალითად, ქრისტიანობა, რომელიც მონებისა და ჩაგრული ხალხის იმედად წარმოიშვა და სამი საუკუნის განმავლობაში მიწისქვეშეთიდან (კატაკომბებიდან) უღვივებდა „უპოვართა და მაშვრალთ“ სასოების ნაპერწკალს, ლეგალიზაციისა და სახელმწიფო რელიგიის რანგში აღზევების შემდეგ სწორედ უბრალო და უძალაუფლებო ადამიანების ჩაგვრის ინსტრუმენტად იქცა. XIX საუკუნეში არაფრისმქონეთა და ჩაგრულთა გათავისუფლება მიზნად დაისახა კარლ მარქსმა და მისი შთაგონებით შექმნილმა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. როდესაც კომუნისტებმა იატაკქვეშეთიდან ხელისუფლებაში გადაინაცვლეს, თანდათანობით თავად იქცნენ კორუმპირებულ და მჩაგვრელ კლასად, რომელსაც მარქსის მიერ დასახულ პირვანდელ მიზნებთან საერთო აღარაფერი აღარ ჰქონდა. მოხდა ის, რისი შიშიც ყველაზე მეტად თავად მარქსს ჰქონდა: მარქსიზმი გადაიქცა იდეოლოგიად (ანუ იმად, რასაც მარქსი ყალბ ცნობიერებას უწოდებდა), რომელმაც ადამიანები რელიგიის ნარკოტიული ზემოქმედებიდან კი არ გაათავისუფლა, არამედ რელიგიას ჩაენაცვლა და თავად იწყო განარკოტიკება.

მართლმადიდებლობა როგორც სუბუტექსი ქართველი ხალხისათვის

სუბუტექსი, როგორც უკვე ითქვა, ქიმიური პრეპარატია, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გამოიგონეს, ანუ იმ დროს, როდესაც საქართველო პერესტროიკის ხანაში იყო და საკუთარ თვითგამორკვევაზე ფიქრობდა. ამისათვის კი იმ პრეპარატის გამოგონება აღმოჩნდა საჭირო, რომელიც ქართველ ხალხს საბჭოთა წარსულსა და აწმყოზე დამოკიდებულებიდან გამოიყვანდა და ამით მას ახალ იდენტობას შესძენდა. ასეთ სინთეტურ ნივთიერებად წარმოიქმნა იდეოლოგიისა და რელიგიის ნაზავი, რომელიც თანამედროვე ქართული მართლმადიდებლობის სახელითაა ცნობილი. იგი წარმატებულად ჩაენაცვლა საბჭოურ მარქსიზმ-ლენინიზმს და მას ბევრად უფრო ძლიერი ნარკოტიული ზემოქმედებისაც აღმოჩნდა, ვიდრე მის მდარე ხარისხის წინამორბედ საბჭოთა პროდუქტს. ჩვეულებისამებრ, როგორც ამგვარი ჩანაცვლებების დროს ხდება ხოლმე, ახალი პროდუქტი არა მხოლოდ უფრო ეფექტურია, ვიდრე ძველი, არამედ მისი ნამდვილი მიზანი ძველის დაკარგული ქმედითუნარიანობის გაცოცხლება და გაძლიერებაა. ამდენად, ჩანაცვლების შედეგი არა მანიაკალური დამოკიდებულებისგან გათავისუფლება, არამედ დამოკიდებულებისა და მანიის ახალი, გაუმჯობესებული საშუალების შექმნაა. ისევე, როგორც გასული საუკუნის 20-30-იან წლებში დასავლური საგანმანათლებლო და რევოლუციური იდეების შემოტევისგან დაუძლურებული რუსული მართლმადიდებლობა სტალინურმა ბოლშევიზმმა საკუთარი თავის ჩანაცვლებით სრული დაკნინებისგან გადაარჩინა და აქამდე არნახული მესიანური სული შთაბერა, დაშლილი საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე ჩანაცვლებული ახალი სინთეზი, ქართული მართლმადიდებლობის სახით, სტალინიზმის – საბჭოთა ხანის ქართული ეროვნული იდენტობისა და სიამაყის ფაქტორის – რეანიმატორიუმი აღმოჩნდა. ამ სინთეტურმა წარმონაქმნმა ინკუბაცია წარმატებით გაიარა 90-იან წლებში იმ დროს მმართველ საბჭოთა ფუნქციონერთა გამართლმადიდებლობით. 2002 წელს საქართველოს ხელისუფლებასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული „კონსტიტუციური შეთანხმება“ („კონკორდატი“) კი, არა იმდენად ამ ეკლესიის ისტორიული როლის აღიარებაა, არამედ უფრო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის, რომლის მიხედვითაც, ერთადერთი პოლიტიკური პარტია – სკკპ იყო ლეგიტიმური, – სტილიზებული და „გათანამედროვებული“ ვარიანტია.

>>> გაგრძელება გვ. 123

ოჰი, პედი მუ...

<<< დასაწყისი გვ. 34

ნახევარ საათში კი, მისი წასვლის შემდეგ, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ქალის ისტორიას მოგიყვებიან ჩურჩულით და უკვე აღარ გაგეღიმება და კიდევ, უკვე მერამდენედ ამ ორი გრძელი კვირის მანძილზე, საკუთარ თავს მისცემ პირობას, რომ აღარასოდეს დაიწუწუნებ არაფერზე.

საბერძნეთში ყოფნისას მე მრავალჯერ ვურჩიე საკუთარ თავს, ყველაფრისთვის უფრო მარტივად შემეხედა, რომ იქნებ არაფერია ტრაგიკული იმაში, თუ ღარიბი ქვეყნიდან ხალხი უფრო მდიდარ ქვეყანაში გარბის, რომ ქართველებს ჩვენი დიასპორა პრაქტიკულად (თუ არ ჩავთვლით საამაყო ქართველების პატარა ფრანგულ სათვისტომოს) ჯერ არასდროს გვქონია და ამიტომაც მეჩვენება ტრაგიკულად ის, რასაც გლობალიზაციის ეპოქაში, წესით, მარტივად უნდა უყურებდე... ალბათ, შეიძლება ესეც შეხედო. მე მაინცდამაინც არ გამომივიდა. საბერძნეთის არალეგალური ქართველობა (მიგრანტთა შორის მეტი წილი სწორედ არალეგალურად იმყოფება საბერძნეთში და ამის გამო არ არსებობს არანაირი სტატისტიკაც) რაღაც განსხვავებულად მიჩუმათებული და დავიწყებულია. ის თითქოს ორმაგად არალეგალურია. ის ნამდვილად არ ეამაყება ხელისუფლებას, რადგან ლუკმა-პურის საძიებლად ქვეყნიდან გასული ამდენი ადამიანი ნამდვილად არ ებმის აყვავებული სახელმწიფოს კოსმეტიკურ იმიჯს და წასულები ხშირად ერცხვინებათ აქ დარჩენილებსაც, მათაც კი, ვინც უშუალოდ მათით საზრდოობს („შენი გამოგზავნილი ფული ჯიბეს მიწვავს, დედი!"). სტატიებში მათ „უძღებ შვილებს" უწოდებენ, კიცხავენ, მაგრამ მიგრანტთა შორის მტკიცედ გამეფებული აზრი, რომ სწორედ მათი და მათნაირების გადმორიცხული თუ გამოგზავნილი ფული ასაზრდოებს და აჭმევს ქვეყანას, არ უნდა იყოს მთლად აზრს მოკლებული. უბრალოდ, ზუსტად არავინ იცის, რამდენი ადამიანია ქვეყნის გარეთ გასული და არ მგონია, თუკი რეალური ციფრი როდესმე დასახელდა, იგი სანუგეშო აღმოჩნდეს.

საბერძნეთში ხალხი გაჭირვებას გაექცა და მათი დიდი ნაწილი ისევ გაჭირვებაში ცხოვრობს. აქ ჩუმი ომი მიდის არსებობისთვის, აქ ბევრია კრიმინალი, ომონიის მოედნის მიმდებარე ქუჩების ჯურღმულებში, სადაც პოლიციაც კი მხოლოდ დიდ ჯგუფებად ბედავს შესვლას, ქართველ ახალგაზრდებს ათასგვარ „დურმანებზე" მიუწვდებათ ხელი და იქ სამუდამოდ იკარგებიან. 14-15 წლის გოგოები, რომლებიც ოდნავ ფეხზე დამდგარ დედებს ჩაჰყავთ, მაშინვე ოჯახებში ან კაფეებში იწყებენ მუშაობას და სწავლას სამუდამოდ ანებებენ თავს; ან არადა, საბერძნეთში სწავლა უფასოა (სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც კი), ხოლო სკოლაში სიარულს კანონი არალეგალსაც კი ავალდებულებს. „ყველას ვეხვეწები, არ დაანებებინონ ბავშვებს სწავლისთვის თავი, – მეუბნება ნინო ბაჯელიძე, ჩემი იქ შეძენილი კიდევ ერთი მეგობარი, რომლის ლეგალური სტატუსიც უფლებას მაძლევს ნამდვილი სახელითა და გვარით მოვიხსენიო, – დავდივარ და ყველას ვეხვეწები, რომ ისწავლონ ბავშვებმა – ვერ ვაჯერებ. ეგ ძაან ცუდია, იმიტომ, რომ ემიგრანტების ჩემმა თაობამ ეგ გაიარა – იყო დამლაგებელი და მომავალ თაობაზეც ხო უნდა ვიზრუნოთ და გამოდის, რო უსწავლელად ისინიც დამლაგებლები გამოვლენ. შენ შვილს და მომავალ თაობას ხომ უნდა შეუწყო ხელი, რო იმანაც იგივე არ გაიაროს, რაც შენ გაიარე?" ნინოს არგუმენტებზე პასუხი სულ მარტივია – „ჩემი 15 წლის გოგო მეტს იღებს, ვიდრე საქართველოში აკადემიკოსი"... რა გინდა, რომ უთხრა? და იზრდება მომავალი თაობა, რომელსაც წინასწარ აქვს შანსი წართმეული, რომ წინ წაიწიოს და რაღაცას საკუთარ მშობელზე მეტს მიაღწიოს უცხო ქვეყანაში, სადაც ცხოვრება მოუწევს. რადგან მიუხედავად ყველა ქართველის დაპირებისა, რომ აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში, ძალიან ბევრი ალბათ მაინც დარჩება...

საბერძნეთიდან მე დაღლილი და დაფიქრებული დავბრუნდი, აი, „დაგრუზულს" რო იტყვიან თბილისში – ეგეთი. თან მომყვებოდა ბევრი ნანახი და უამრავი გაგონილი ამბავი და თითქმის ყველა მძიმე და მუქი, მაგრამ იყო ერთი რამ, ასევე ჩასაფიქრებელი – მიუხედავად ამ სიმუქისა, მე შემხვდა ძალიან ბევრი ღირსული, მშრომელი ადამიანი, რომლებიც გაჭირვებას არათუ გაეტეხა ან გაებოროტებინა, უფრო მნიშვნელოვანი და საკუთარ თავში ღრმად მაცქერალი გაეხადა. მათთან ურთიერთობამ შემახსენა სულ მარტივი ჭეშმარიტებები, რომ აუცილებელია იყო თვითკმარი, რომ არ უნდა გაბოროტდე, რომ უნდა შეგეძლოს გაიხარო დღევანდელი დღით,

შვილებით, ოჯახით ან თუნდაც ალალი შრომით ნაშოვნი ლუკმაპურით. ამ შეხსენებისთვის ამ ხალხს მადლობა მინდა ვუთხრა და ეს წერილიც მათ მივუძღვნა...

– შენ, შენ რას აპირებ? – ვეკითხები ლევანს.

– მე ჯერ აქა ვარ, ერთწლიანი შვებულება დეკემბერში მითავდება. ალბათ, ერთი წელი კიდე დავრჩები, მერე ვნახოთ. ეგეთ სამსახურს საქართველოში კიდე ვიშოვი. ჩემი ბიჭი მინდა ჩამოვიყვანო, ფეხბურთს თამაშობს და იქნება აქ მივხედო. თან ჩემზე მაღალია, იმ დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს ვუსმენდი და, – მაღალი ფეხბურთელების დეფიციტიაო. ვნახოთ, იქნება გამოვიდეს რამე...

P.S. ნანა ათენში ქართული კულტურის სახლში გავიცანი. კონცერტის მერე ოფიციალური სადილი იყო. მე გარეთ, ვერანდაზე ვსვამდი ახლად გაცნობილ ქართველებთან ერთად – იქ უფრო მომეწონა. ჩასვლიდან მეორე თუ მესამე დღეს ხდებოდა ეს ამბავი. რაზე უნდა გველაპარაკა? უფრო ისინი ლაპარაკობდნენ, მე ვუსმენდი. თელაველი თელავს იხსენებდა, პლეხანოველი – პლეხანოვს და ქუთაისელი – ქუთაისს. ყველა იმას ჰყვებოდა, რაც ენატრებოდა. ყველაფერი ავურ-დავურიეთ, მაგრა დავთვერი. მერე მეც ავლაპარაკდი. მე მეგონა, ნანამაც დალია, მეორე შეხვედრაზეღა მივხვდი, რომ უბრალოდ ეგეთი იყო – თითქოს ძალიან ლაღი და თამამი, თან ერთიანად დაძაბული – ზამბარასავით. ნანას ერთი წლის უნახავი შვილები და თბილისში თავისი სკოლა ენატრებოდა, სადაც დაწყებით კლასებს ასწავლიდა; კიდევ, ერთი ბერძნული ფრაზა ჰქონდა ამოჩემებული: „ოჰი, ოჰი, პედი მუ“! სულ ამას იძახდა, ეტყოდი რამეს, ხელს ჩაიქნევდა და ამას გეტყოდა, სერიოზულად არ გპასუხობდა, თან ეშმაკები ჰყავდა შავ თვალებში. როცა ინტერვიუზე შევუთანხმდი და მისი ნომერი ჩავიწერე, ასევე ჩავწერე ტელეფონში, – ნანა ოჰიპედიმუ.

მეორე დღეს სხვას ვკითხე: რას ნიშნავს-მეთქი და, – „არა, ჩემო პატარაო!“ – მიპასუხეს. მაშინ ეს მომეწონა. სალონიკიდან ათენში დაბრუნებულმა კიდევ მოვინახულე კულტურის სახლი, სადაც ნანა კვირაობით ქართველ ბავშვებს ასწავლიდა, მერე მასთან ინტერვიუც ჩავწერე, უფრო კი მშრალი პასუხები კითხვარის შეკითხვებზე. მერე ისევ დავლიეთ – ოღონდ ცოტა. ბევრი ვილაპარაკეთ, იქ სხვებიც იყვნენ, რომლებსაც ნანას თითქოს მარტივად ნაამბობი ისტორია შეიძლება უკვე გაგონილიც ჰქონდათ – მოტაცება, გათხოვება თექვსმეტი წლის ასაკში, სროლაში დაღუპული ქმარი და ოცი წლის ასაკში ორი ბავშვით დაქვრივება. ახლა გოგოები 14 და 15 წლისები არიან, ძალიან ლამაზები (ნანა თვითონაც ლამაზია), მეზობლები სულ მირეკავენ აქ და ჩემ შვილებს მიქებენ, – უნდა ნახო, სახლიდან რომ გამოდიან, რა ლამაზები არიანო. სულ მიჯერებენ ყველაფერს. გუშინ დამირეკეს და კინოში წასვლის ნებართვა მთხოვეს... აი, იმათ ვუსურვებდი, რომ მარტო ტურისტებად ჩამოსულიყვნენ საბერძნეთში...

მერე ნანა წავიდა, ცარიელი „ლეპტოპის“ ჩანთა გადაიკიდა, რომ უფრო პრეზენტაბელური ყოფილიყო და პოლიციას არ გაეჩერებინა გზაში. წავიდა ოჯახში, სადაც სხვის ბავშვს ზრდიდა და იმ სიტყვებით ეფერებოდა, საკუთარი შვილებისთვის რო უნდა ეთქვა:

– ოჰი, ოჰი, პედი მუ – არა, არა, ჩემო პატარავ...

საბერძნეთში მე ვიმყოფებოდი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ადამიანის ჰარმონიული განვითარების საზოგადოების“ და ქალთა ფონდ „ტასოს“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში

სადო-მაზო-თაზო

<<< დასაწყისი გვ. 40

...იყო დრო, როცა თაზო, ისევე, როგორც მრავალი ჩვენგანი, არამცთუ ღამით, არამედ დღისითაც არ გადიოდა გარეთ. არ უხაროდა. ის შინ იჯდა, ფიქრობდა — ოღონდ არ გაგიჟებულა, მუსიკას უსმენდა, რასაც დღესაც სულ აკეთებს, და კითხულობდა იმას, რასაც მრავალნი კითხულობდნენ: წმინდა წერილებს, კასტანედას, ოშოს ლექციებს, ათასგვარ ეზოთერიულ ბურუსს. ამას მრავალნი კითხულობდნენ, მაგრამ არ იმახსოვრებდნენ, თაზომ კი დაიმახსოვრა, და დიდი წარმატებით ახორციელებს ცხოვრებაში ძირითად პოსტულატებს. სულ ალუზიების ამ-

ბავია, და თუ პირველწყაროს არ იცნობთ, ძნელად მიხვდებით, რას სჩადის ზოგჯერ ბატონი თაზაზელო.

არადა, გაუგებრობა ყველაზე საშინელი რამაა, რაც თაზოს შეიძლება დამართოთ. გაუგებრობა, არავის არაფერი არ ესმის. არ ესმის და ხომ არ მოკლავ?

ცივ ზამთარში, ფილმის გადაღებების დროს, გაირკვა, რომ თბილისის ერთი ძველი უბნის მოსახლეობის ნაწილთან საუბარს არანაირი აზრი არა აქვს: ქალბატონებმა ამოიჩემეს, რომ დღისით-მზისით კამერებიანი ხალხი მეზობლის სახლის გაქურდვას აპირებდა, და განაცხადეს, რომ ფეხს არ მოიცვლიან, არაფერსაც არ გადააღებინებენ. არა. არა და ვსიო.

თაზომ ჩართო მთელი თავისი გონი, შარმი და გულითადი ღიმილი. ის ხსნიდა, რომ ქალბატონებო, არა. ქალბატონებმა, – შენ ვის ატყუებო. ვახ...

– არაფერს ცუდს არ ვაკეთებთ. კინოს ვიღებთ, გასაგებია? აი, – მიმართა მან განსაკუთრებით აქტიურ მეზობელს, – თქვენ აქ იყავით და...

– მე ვიყავი? – იტკიცა ქალმა, – მე როდის ვიყავი!

– ჩიხია, – ჩიოდა საღამოს გაზქურაში შემძვრალი, სიცივისგან გალურჯებული თაზო, – შანსი არაა. და, როგორც ჩანს, სიცივის და გაუგებრობის გახსენებაზე, მოყვა:

ერთხელ, ასეთსავე ცივ ზამთარში, უბნის იმხანად 13-14 წლის ბიჭებმა აბანოში წასვლა განიზრახეს. თაზოც მათ შორის იყო.

სად იყო და სად არა, ნომრის კარზე საშინელი ბრახუნი ატყდა. ზღურბლზე მამაკაცები იდგნენ, ზრდასრული კაცები, პალტოებში, ქურთუკებში, ქურქებში. ისინი წინკარში შეცვივდნენ, – ბოდიში, ბიჭებოო, – და ორთქლის აბანოში შელაგდნენ. ისხდნენ ასე თაროებზე, თაზო and Co ისე, როგორც აბანოში სხედან ხოლმე, და უცხო, ჩაფუთნული კაცები...

მერე კაცები გალღვნენ, გათბნენ, და გარკვევა დაიწყეს, ვინ ვისი შვილი იყო, ვინ სად სწავლობდა, რას აკეთებდა... იმასლაათეს და წავიდნენ.

– რა სჭირდათ?

– რა ვიცი, ააგდოთ, – მპასუხობს თაზო.

– რამა, კაცო?

– ეეე... – ხელი ჩაიქნია თაზომ.

...როცა ათასი წელი გავა – იმ დროს მე ვერ მოვესწრები – სამხრეთის და ჩრდილოეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის გზასაყარზე მოგზაურები ქვას გადააწყდებიან, წარწერით: თაზაზელო. ზიზღისგან მოკვდა.

მანამდე კი – „თბილისო“... – მღერის მერიის ზარი, და ისმის ბანი: „Господу помолимся“!

ახალ წელს გილოცავთ, თაზ.

მოთქმა თავ-ბოლო ერთი

<<< დასაწყისი გვ. 46

„ეს იყო ერთ-ერთი ჩვეულებრივი გათვლა სნობური მიდგომის მკითხველზე, რომელმაც გარკვეულწილად გაამართლა, იმიტომ, რომ ვიღაცები აიძულა, ჩემი წიგნი წაეკითხათ. ძალიან გულწრფელად ვამბობ ამას, მავანი შეიძლება გააღიზიანა კიდეც და მეც რომ ვყოფილიყავი, გავღიზიანდებოდი. ჯერ ერთი, აბსოლუტურად სხვადასხვა გემოვნების მქონე ავტორების მარგინალიებია და მეორეც - ერთი კონტექსტიდან ამოვარდნილი ჩანს. მე ეს წიგნი აღარ მომწონს, ეს ალბათ ყველა პოეტის და მწერლის თვისებაა, როცა წინა ნაწარმოები არ მოსწონთ. აქ ორიგინალური ვერ ვიქნები, მაგრამ წიგნმა მაინც გაამართლა და ამას მოწმობს თუნდაც ის პრემიები, რაც მან დაიმსახურა. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე სადაც არის გასული, იქ მომგებიანი გათვლა გამოდგა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მკითხველთა ეს წრე უკიდურესად ვიწროა და ძირითადად ლიტერატორებით შემოიფარგლება. სამწუხაროდ, ეს არ არის ჩოხატაურის ან სხვა რეგიონების საზოგადოება. მასობრივი ამ ფორმით რამდენად გახდებოდა არ ვიცი, მაგრამ როგორ უნდა გახდეს დღეს პოეზია მასობრივი, თუნდაც იმ ტრივიალური მიზეზის გამო, რომ წიგნის ტირაჟი 200 ეგზემპლარია? აქედან ალბათ, 100 თუ გაიყიდა და ისიც, „საბას“ შემდეგ, მანამდე არც არაფერი იყიდებოდა.

პოეზიის, როგორც საგამომცემლო პროდუქტის არარენტაბელურობაზე წუწუნი საქართველოში უკიდურესად პოპულარულია, თუმცა, გიორგიც მეთანხმება, რომ ამ მხრივ საქართველო ნამდვილად არაა გამონაკლისი.

„საქართველო, ძირითადად, არც ერთ შემთხვევაში არ არის გამონაკლისი. საერთოდ რატომ არის აუცილებელი, ყვე-

ლას უყვარდეს პოეზია, რა საჭიროა ეს? მე ვფიქრობ, სკოლებში სწავლება უნდა იყოს გაცნობითი ხასიათის და უნდა მოექცეს კიდეც მეტ-ნაკლებად არსებულ კლიშეებში. შეიძლება რაღაც ფორმები მიუღებელია, მაგრამ ვერაფრით ვერ დავაძალებთ მასწავლებელსაც და მოსწავლესაც, რომ ყველამ ერთნაირად აუხსნას ან ყველამ ერთნაირად გაიგოს პოეზია. დარწმუნებული ვარ, რომ პოეზია უნდა იყოს ელიტური; ისევე, როგორც სხვა სახელოვნებო დარგები".

ვიდრე ამ სიტყვების გამო სნობიზმს დავაბრალებდი, უარესი მომაფიქრდა: ასეთი მიდგომით გამოდის, რომ პოპულარობის მიღწევასაც არ უნდა ცდილობდეს პოეტი? მაშინ რაღა საჭიროა ამდენი ლაპარაკი მარკეტინგულ ხრიკებზე, როგორ უკეთ შევფუთოთ და გავყიდოთ ჩვენი „ნაწარმი"?

„როცა ვთქვი, პოეზია ელიტური უნდა იყოს-მეთქი, ვიგულისხმე აბსოლუტურად სხვა რამ. ძალიან გამიხარდება, თუ შემიტანენ სახელმძღვანელოებში, მიმაწერენ მაცივრებზე და ა.შ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ 90 პროცენტი ვერ გაიგებს. უბრალოდ, ეს ადამიანები არ არიან ამის რეციპიენტები პირდაპირი გაგებით. მაგრამ, ჩემთვის სრულიად მისაღებია ასეთი ფორმულა – პოეტი იყოს ძალიან პოპულარული, ლექსები უბრალოდ ცნობილი იყოს, თუნდაც სათაურებით, მაგრამ იგებდეს ძალიან მცირე ნაწილი. ეს ასეც იქნება და თუ მე ამ ფორმულას განვახორციელებ ჩემ თავზე, ძალიან ბედნიერი არ ვიცი რამდენად ვიქნები, მაგრამ ერთი მიზანი მიღწეული მექნება. ანუ ის კი არ ვიგულისხმე, რომ ვინმეს აწყენს პოპულარობა, იკითხონ, თქვან ზეპირად, მაგრამ ვერ გაიგებენ, წარმოუდგენელია.

არაპოპულარული რამე უნდა ვთქვა: როცა ფეისბუქზე ლექსებს ვდებ და ვთაგავ, დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით 10 ადამიანს შეიძლება მართლა მოეწონოს (ერთი დეიდაჩემია, ვინც „ალაიქებს", ეგ არ ითვლება), დანარჩენებს კი იმიტომ მოსწონთ, რომ უნდა მოსწონდეთ.

გინდა თქვა, რომ ბრენდი შექმენი?

ძალიან ხმამაღალი ნათქვამია, თუ გავითვალისწინებთ მასშტაბებს, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს გამიზნულად გავაკეთე. ამ „ბრენდის" შექმნას დასჭირდა სრულიად არაპოეტური ანუ მარკეტინგული ხერხები. არ ვგულისხმობ, რომ სუპერ დესაკრალიზირებული ვარ და ამ ლექსებსაც ასეთივე განწყობით ვწერ, რა განწყობასაც მარკეტინგის მენეჯმენტი ითვალისწინებს. უბრალოდ ვამბობ შეფუთვის თვალსაზრისით. ის, რომ მე რაღაც წრეებში, სადაც პოეზიას კითხულობენ (ნამდვილად ვერ ვიტყვი, მთელს საქართველოში-მეთქი), ვარ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოეტი, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების სნობური განწყობილების ამსახველია. მეტი არაფერი. საქართველოში ლექსი ყოველთვის იყო გარკვეულწილად მანერა და შეიძლება, იყო ეროვნული გლამურის რაღაც შემადგენელი ნაწილიც. XIX საუკუნეში ის იყო ერთ-ერთი უპირატესი ხელოვნება. კარგად მოგეხსენება, რომ თეატრი არ იყო წამყვან პოზიციებზე, ანუ იმ ტიპის სანახაობა, რომელიც შეიძლებოდა მაღალი საზოგადოებისთვის ყოფილიყო პირველი ვიოლინო, და ამიტომ თითქმის ყველა ნიშა, იქნებოდა ეს მაღალი საზოგადოების გართობის თუ პატრიოტული მოწოდებების, შეითავსა იმ სახელოვნებო დარგმა, რასაც პოეზია ერქვა. ყველაზე კარგად განვითარდა პოეზია და განვითარდა ისე, რომ მან მიიბა სხვა, არამარტო სახელოვნებო დარგები.

ხელოვანზე და ხელისუფლებაზე

სტანდარტული კითხვების დროც მოვიდა. როგორ გინდა, გაუძლო ცდუნებას და ახალგაზრდა ამბიციურ ადამიანს არ ჰკითხო, რას ფიქრობს ჟანგმოდებულ, მაგრამ მაინც მარადიულ თემაზე.

არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერთ-ორ ლუკმას გადაუგდებენ ხელისუფლებას და სანაცვლოდ თავიანთი დიდი საქმის კეთების საშუალება ეძლევათ. ასევე არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ არასოდეს არ უნდა გადაუგდო ხელისუფლებას ორი ლუკმა, თუნდაც ეს შენ საქმეში ხელის შეშლად დაგიჯდეს. მეორე ვერსია გაცილებით რომანტიკული და მიმზიდველია, სიმართლე რომ გითხრა, მაგრამ მე პირადად მთლად ბოლომდე ვერ ვარ ჩამოყალიბებული, რომელი ჯობია. თუმცა, მგონი, არსებობს მესამე არჩევანი. ეს პირველი ორი ვარიანტი აქტუალურია იმ შემთხვევაში, როცა შენი პირველადი პროფესია არის პოეზია, ანუ, სოციალურად ხარ დამოკიდებული ამ საქმეზე. პრობლემა მაშინვე იხსნება, თუ სხვა პროფესია გაქვს. ამიტომ, მე თვითონაც მიმიღია მონაწილეობა ძალიან ბევრ უცნაურ საქმეში, მაგალითად, ჩავრთულვარ ტანსაცმლის ბიზნესში, წამიღია მანდარინი გასაყიდად აზერბაიჯანში მატარებლით. და არა იმიტომ, რომ ამ დილემაზე ვფიქრობდი იმ მომენტში, არამედ იმიტომ, რომ პირდაპირ მოცემულობად დავინახე, შემეჯახა ის, რომ მე ჩემი ლექსებით ფულს ვერ ვიშოვი. ეს არც ისე შორეულ წარსულში ხდებოდა. მერე უბრალოდ, ცხოვრებამ რაღაც სხვა შემოთავაზებები მოიტანა და ჩემი სოციალური ყოფა უფრო სტაბილური გახდა. მანამდე ალბათ, როგორც უმრავლესობა, მეც უკიდურესად ღარიბ ფენას მივეკუთვნებოდი. უფრო სწორად, თავის დროზე საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან ვარ, რომელიც 90-იან წლებში აბსოლუტურად გაღარიბდა. ვიღაცები თუ 80-90-იანი წლების თაობას „ემ-ტივის" თაობას ეძახდნენ, ჩვენთვის ეს იყო „პურის რიგის თაობა". ბავშვობის უმეტესი ნაწილი გავატარე პურის რიგში, იმის გამო, რომ ბავშვი ვიყავი და ადვილად ავიღებდი. კი არ ვწუწუნებ და ვტირი, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ამ მოცემულობით გადმოვბარგდი თბილისში და დავინახე, რომ ის საქმე, რომელიც მე თვითონ ყველაზე კარგად გამომდიოდა, ვერაფრით ვერ შემიქმნიდა სტაბილურ სოციალურ ფონს და მივმართე ბევრ სხვადასხვა საქმეს. დღესაც მზად ვარ, იგივე გავაკეთო. ასე რომ, ამ ორი არჩევანისგან თავის დასაღწევად, ჯობია, რაღაც სხვა საქმე აკეთო. წერისთვის დრო კი ყოველთვის დაგრჩება. წარმოუდგენელია, ვიღაცამ თქვას მათემატიკაში ვმოღვაწეობ და ამიტომ ლექსს ვეღარ დავწერო. ჩემთვის ეს წარმოუდგენელია.

ამასთან, გიორგი იმასაც ამატებს, რომ არავითარი უფლება და არც სურვილი არ აქვს, განსაჯოს ადამიანები

(წაიკითხე – პოეტები, გნებავს – ხელოვანები), ვინც ნებით თუ უნებლიეთ დაადგა ზემოთ აღნიშნულ პირველ ან მეორე გზას. თვითონ ყველანაირად ცდილობს, ამისგან თავი შორს დაიჭიროს. „ჩამჭრელ“ კითხვას, ხომ არ არის ამ მცდელობით გამოწვეული ის, რომ გიორგის ლექსებში თითქმის ვერასოდეს შეხვდებით სოციალურ თემატიკას, ადვილად იცილებს თავიდან. არა, მას უბრალოდ არ ეწერინება ამ თემებზე და ამ წუთას ნებისმიერი მცდელობა, ეწერა „აქტუალური“ ლექსები, ყალბი და ტყუილი იქნებოდა.

„არა აქვს მნიშვნელობა, რომელ მხარეს იჭერენ ლიტერატორები, სამთავრობოს თუ ოპოზიციისას, ეს კონიუნქტურის მიხედვით იცვლება ხოლმე. როცა ისინი ღია საჯარო პოზიციას არჩევენ, მათი ლექსები შეიძლება იმდენად სულაც არ იყოს პოპულარული, უბრალოდ, სახეები ხდებიან პოპულარულები. „სახემ“ ერთი სტრიქონიც რომ თქვას, შეიძლება მეორე, გაცილებით სერიოზული პოეტის ბევრად უკეთეს ლექსზე მეტად პოპულარული გახდეს. მაგრამ ამაში საერთოდ არ არის ტრაგედია. მე მაინც მგონია, რომ გაჩნდება ერთგვარი „სეპარატული“ კულტურა, რომელსაც ეყოლება თავისი მკითხველი და შემფასებელი. ჩემთვის, როგორც ამბიციური ადამიანისთვის, ნამდვილად მიმზიდველია, რომ ცნობილი ვიყო, თუმცა ვიცი, რომ ლექსებს მაინც ცოტა მკითხველი ეყოლება. უკვე იმის არც ამბიცია და არც სურვილი აღარა მაქვს, რომ ყველამ იცოდეს ჩემი ლექსები ზეპირად“.

ერთადერთი პოლიტიკოსი, ვისთანაც უშუალო კავშირი ჰქონდა, ედუარდ შევარდნაძე იყო. ამ ამბავს განსაკუთრებული ხალისით ჰყვება.

ედუარდ შევარდნაძის კომპლექსზე

ყოველთვის მიყვარს რაღაც არაორდინარულის, იმპულსურის გაკეთება, ოღონდ არა ეპატაჟისთვის, არამედ ჩემ თავთან წინააღმდეგობის თვალსაზრისით. იყო 2001 წლის ნოემბერი, ცნობილი მოვლენები, რასაც კახა თარგამაძის გადაყენება მოჰყვა. სტუდენტი ვიყავი და, ბუნებრივია, მქონდა თვითდამკვიდრების სურვილი. სტუდენტები ვისხედით შევარდნაძესთან, რომლის სტიპენდიანტიც ვიყავი. მოვიდა ბატონი შევარდნაძე, სპეციალურად შერჩეული ბავშვები გამოდიოდნენ სიტყვით, აქებდნენ, აბა, სტიპენდიანტები ხომ არ გალანძღავდნენ. გვერდით მეჯდა ჩემი კურსელი ორი გოგო და მათ ვუთხარი, – ახლა მე ყველაზე უარეს ამბავს ვიზამ აქმეთქი; ვერაფრით ვერ იზამო; ნახეთ თუ არ ვქნა-მეთქი. არავითარი სამოქალაქო პათოსი არ მამოძრავებდა. აი ასე, პირდაპირ ავდექი და ვუთხარი, – ბატონო ედუარდ, გამარჯობათ, ნებისმიერ ქვეყანაში ალბათ საამაყო იქნებოდა ქვეყნის პრეზიდენტის სტიპენდიანტის სახელი, მაგრამ მე მრცხვენია და ვტოვებ ამ ტიტულს-მეთქი. ძალიან ეწყინა, მეც მერე მეწყინა, რატომღაც, რომ ვუთხარი. მაგრამ დიდოსტატურეშმაკური პასუხი გამცა, იმ წუთას ვერ მივხვდი, აფექტში ვიყავი, მაგრამ მერე გავიაზრე, რომ კლასიკურად გამანადგურა, ასე მითხრა: თქვენ მოგიმატებთ, ყმაწვილო, მოგიმატებთო. ამის შემდეგ „შევარდნაძის კომპლექსი“ ჩამრჩა ცოტა ხანი. ბოლოს, 2009 წელს თვითონ მივედი შევარდნაძესთან და ინტერვიუ ჩავიწერე ლიტერატურის თემაზე. არა იმიტომ, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. რა თქმა უნდა, არ ვახსოვდი, თავი არ მომიკლავს, რომ გავხსენებოდი. ინტერვიუს ჩაწერის პროცესი ძალიან საინტერესო იყო. თუმცა, შევარდნაძემ რაც ილაპარაკა, მთხოვა და, ნახევარი ჩანაწერში დარჩა. მე იმას კი არ მოვრიდებივარ, რომ სიმართლე თქმულიყო, არც არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს, უბრალოდ ინტერვიუ არ იყო ჩემი მთავარი მიზანი. მინდოდა, კიდევ ერთხელ შევხვედროდი, ეს კომპლექსი რომ გადამელახა. დანაშაულის გრძნობა არ მქონია, შეიძლება, რაღაც პერიოდში მქონდა, როცა, მაგალითად, ნათესავები მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, – დავიღუპეთ, ქუჩაში ვეღარ გახვალ, მოგკლავენო. თუმცა, ეს არ იყო სერიოზული სინდისის ქენჯნა. ინტერვიუზე რომ მივედი და გაიგო, რომ გურული ვარ, ძალიან გაუხარდა, და შეძლებისდაგვარად, ყოველ მეორე სიტყვას აყოლებდა ხოლმე, – „შენ გეცოდინება მაგიო“; რაღაც ინტიმურ-გურული სითბო იგრძნო. მე სულ ვცდილობდი, ამ „გურულობიდან“ გამომეყვანა და დამებრუნებინა საბჭოთა პერიოდში, მაგრამ შევარდნაძე მაინც ჯიქურ მიიწევდა გურულობისკენ. ბავშვობის ამბები გაიხსენა, – პირველი ეგნატე ნინოშვილი წავიკითხეო, – და „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ჩემი საყვარელი წიგნიაო. ინტერვიუ ჩვენ საიტზე, lib.ge-ზე გამოქვეყნდა.

სეკულარიზმზე, საკრალიზმზე, ლიბერალიზმზე და ასე შემდეგებზე

გურიის ლამის ანეკდოტურ სეკულარიზმზე ადრე ბევრს ხუმრობდნენ, დღეს ამ თემაზე ბევრს და (ზოგჯერ) არც ისე ანეკდოტურად მსჯელობენ. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ სოციალურ ყოფაში ეს ლამის ყველაზე აქტუალური პრობლემაა, რომელიც, გვინდა თუ არ გვინდა, გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე.

„ჩემი ოჯახი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ისევე, როგორც სხვა არაერთი, ძალიან გაღარიბდა და გურიაში ამ ტიპის ადამიანები ერთბაშად მიიდრიკნენ რელიგიისაკენ. მე ამაში ნამდვილად არ ვხედავ განსაკუთრებულ ტრაგედიას. ყველა ადამიანს აქვს თავისი არჩევანი. იქიდან გამომდინარე, რომ ისინი რელიგიის (ამ შემთხვევაში – მართლმადიდებლობის) გზით წავიდნენ, მე კი ვიყავი 7-8 წლის ბავშვი, რომელსაც ტომ სოიერზე მეტად ეზარებოდა ეკლესიაში წირვაზე სიარული, მაინც დავდიოდი და მქონდა შინაგანად ძალიან დიდი შიში ამ ყველაფრისადმი. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ უცნაურად მეზარებოდა ეს ყველაფერი. აღსარებებზეც ვარ ნამყოფი, თუმცა, ჩემი მოწყობით ნამდვილად არა ვარ ჰომო რელიგიუსი. ზოგადად რელიგიების წინააღმდეგი არა ვარ და არა იმიტომ, რომ ამას კონიუნქტურა მოითხოვს. მე თვითონ ხანდახან დავდივარ ხოლმე აშრამებში და ბაჯანებს ვმღერი კრიშნაიდებთან ერთად, ყველაზე კარგად ვისვენებ იქ, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ. ალბათ რელიგიას გარკვეულწილად სულიერი დასვენების ფუნქციაც უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება

დღევანდელ სიტუაციას, ისევ გურიას რომ მივუბრუნდეთ, თითქმის შარჟის დონეზეა დასული რელიგიური აქტივობები. მაგალითად, შეიძლება ნახოთ ბირჟა, სადაც ადამიანები აფურთხებენ, შარდავენ კიდეც და ამავე დროს იქვე აღმართულია ჯვარი, რომელსაც შემოხვეული აქვს საახალწლო ნათურები. და ეს ხდება თითქმის ყველა ქუჩის კუთხეში. ის, რომ ადამიანები დღეს პურს ისე არ გატეხენ, ან სექსი არ ექნებათ, ან მანქანის ბორბალს ისე არ გამოცვლიან, კურთხევა არ აიღონ, მე ვფიქრობ, ეს უფრო საზოგადოების პრობლემაა, ვიდრე სამღვდელოების. რა იწვევს ამას, ადამიანების მენტალობაა ამ ტიპის ქმედებისკენ მიდრეკილი, თუ კომუნისტური სივრციდან გათავისუფლება და რაღაც ახლის ძიება იყო ამის მიზეზი, არ ვიცი. საზოგადოების უდიდესი ნაწილი იმდენად საკრალიზებულია, რომ ეს პრობლემა ერთი შეხედვით ისეთ თავისუფალ სფეროებსაც კი, როგორიცაა სახელოვნებო სივრცე, ძალიან დიდი დოზით შეეხო. სპექტაკლის დადგმა იქნება ეს თუ ლექსის დაწერა, წინასწარ თუ არ იღებენ კურთხევას, მერე თუ უთხრა მოძღვარმა, რომ ეს რაღაცებს ეწინააღმდეგება, ამას თავს ანებებენ, თუ არ წვავენ. რაც შეეხება ამ ყველაფრის მიმართ წინააღმდეგობას, ესეც იქცა მოდურად, იმდენად, რომ ადამიანები, რომლებიც, შესაძლოა, სხვა სფეროში არაფერს არ წარმოადგენენ, იქცნენ ამის ერთგვარ ბარომეტრებად, „ექსპერტებად“. ამასთანავეა კავშირში კიდევ ერთი საკითხი: პოლიტკორექტულობის ირონიული წილი ისაა, ზოგადად, რომ ყველაფრის კრიტიკა იქცა გმირობად – ანუ ძალიან ადვილია, ვიღაცამ თქვას ვიღაცაზე, რომ ეს არის „პიდარასტი“, მერე გამოვიდეს მეორე და თქვას, რომ პირველმა დაარღვია პოლიტკორექტულობა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება საერთოდ არაფერი არ გაეგებოდეს ამ სფეროში. ეს ნიშა იყო თავისუფალი და დაიკავეს ადამიანებმა, რომელთა ნაწილიც, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერია და შეიძლება პროფესიონალიც არის, მაგრამ ნაწილი უბრალოდ იმიტომ მიეკედლა ამას, რომ დღეს გარკვეულ ლიბერალურ საზოგადოებაში ეს გმირობად მიიჩნევა და ფასობს და, შესაბამისად, მათთვის ეს მომგებიანია. თუმცა, ეს სულაც არ მეჩვენება ტრაგედიად, იმ შემთხვევაში, თუ შედეგს გამოიღებს, ანუ თუ მოხდება ისე, რომ სეკულარიზმი გაიმარჯვებს, მერე, რა თქმა უნდა, ყველაფერი დაიწმინდება. შეიძლება ეს ორი უკიდურესობა ბევრს ნერვებს გვიშლიდეს, მაგრამ პროცესი, ალბათ ყველა სახელმწიფოში ასე მიდიოდა.

სახელოვნებო სფეროს რაც შეეხება, მეჩვენება, რომ კომუნისტური ცენზურის რეინკარნაცია მოხდა, ოღონდ უფრო ჰუმანური შეფუთვით, სხვა, უფრო „მიღმიერი“ იდეალები გაჩნდა.

საქმე ისაა, რომ ლიტერატურაზეც ძალიან დიდი გავლენა მოახდინა საზღვრების გახსნამ. პარადოქსულია, მაგრამ ეს რაღაცით ჰგავს რელიგიურობის ბუმს. მთელი რიგი ავტორებისა, უცებ აღმოჩნდა სრულ თავისუფლებაში, მათ შეეძლოთ ეწერათ ყველაფერი ყველაფერზე. თუმცა, საზოგადოებისგან მაინც მძაფრი კრიტიკა მოდიოდა. ერთ-ერთი პირველი სკანდალი მამუკა ლეკიაშვილის სახელს უკავშირდება, შემდეგ ზაზა ბურჭულაძის ეპატაჟური რომანები, ლაშა ბუღაძის მოთხრობა და სხვა მრავალი. არა მგონია, რომ საზოგადოების რეაქციაში რაიმე მოულოდნელი იყო, უფრო პირიქით. რეაქცია რომ არ ყოფილიყო, ნამდვილად გასაკვირი იქნებოდა, და მე ამაში ვერ ვხედავ ვერაფერს განსაკუთრებულს. მთავარია, რომ ეს რეაქციები კრიმინალად არ იქცეს, იმის უფლება არავის ჰქონდეს, რომ რაღაც აგიკრძალოს. ამაზე კანონმა უნდა იზრუნოს“ .

გიორგი კეკელიძის ლექსებს ეპატაჟურს ნამდვილად ვერ დაარქმევ, არც განსაკუთრებით მძაფრი გამოხმაურება მახსენდება, აი, ისეთი, ნამდვილი თუ ფსევდოლიბერალებისგან მხარდაჭერა რომ დასჭირვებოდა. თვითონ ამას იმით ხსნის, რომ ჯერჯერობით წარმატებით უმკლავდება ცდუნებას და არ ცდილობს, ეპატაჟის ხარჯზე იოლად გავიდეს ფონს. თუმცა, არც არავის ერჩის, ვისაც ეს გზა აურჩევია. ერთი სიტყვით, ნამდვილი პლურალიზმის მომხრეა და თუ რაღაც არ მოსწონს, უბრალოდ არ კითხულობს.

„ინტერპრეტაციის წინააღმდეგ“

რამდენიმე თვის წინ გიორგიმ სიუზენ ზონტაგის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ესეი, „ინტერპრეტაციის წინააღმდეგ“ ქართულად თარგმნა. მართალია, ზონტაგის ტექსტი კინოს ეხება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ გიორგის ქართველი ლიტ.კრიტიკოსები უხვად ანებივრებენ პოზიტიური კრიტიკით, მის მიერ ამ ტექსტის თარგმნა და გამოქვეყნება მე პირადად ირონიად მომეჩვენა. რამდენად ზუსტია ეს ინტერპრეტაციები? რამდენად ეთანხმება თავად და ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც რომელიმე კრიტიკოსს „ათიანში მოურტყამს“. ამ კითხვას გიორგი ღიმილით ხვდება, ასეთი რამ საერთოდ ვერ წარმომიდგენია და საჭიროებასაც ვერ ვხედავ, კრიტიკოსმა, ლიტერატურათმცოდნემ ზუსტად ის გაიგოს, რაც ტექსტშია კონდენსირებული, რასაც ავტორი „გულისხმობდაო“, თუმცა:

„ინტერპრეტაციები გაცილებით უფრო დიდ გავლენას ახდენს შემდეგ ლექსებზე, და ნაკლებად შეესაბამება იმ კონკრეტულ, უკვე დაწერილ ლექსებს, რომელთაც მიემართება. თუმცა, ეს გავლენა ყოველთვის „დახმარება“ არ არის, შეიძლება, პირიქითაც მოხდეს, რაღაცაში შეგაფერხოს; მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, გაქეზებს. თუმცა, მე კარგა ხანი მჭირდება, რომ მათ თავი დავაღწიო. იგივე, ფოლკლორული მოტივების გამოყენებასთან დაკავშირებით იმდენი წერეს, რომ ძალიან დიდ ხანს საერთოდ გავჩერდი. ერთი კარგი თვისება ნამდვილად მაქვს, როგორც პოეტს, როდესაც ჭარბად და რაღაც ინერციით ვწერ ძალიან ბევრ ერთმანეთის მსგავს ტექსტს, ვჩერდები; ანუ, ვცდილობ, რომ ინტერპრეტაციების წინააღმდეგ ვიმოქმედო“.

ბოლოს ისიც დაამატა, რომ პირველი წარმატების შემდეგ არ გრძნობს არანაირ პასუხისმგებლობას თუ ვალდებულებას მკითხველის წინაშე და ყველანაირად შეეცდება, მოლოდინი არ გაამართლოს; ის მოლოდინი, რომელიც ძალიან მცირერიცხოვან ქართველ მკითხველს უკვე შეუქმნა „ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა“, გიორგი კეკელიძემ.



“BORN IN GEORGIA OR FROM SURFACE TO ABYSS”

<<< დასაწყისი გვ. 52

არსებობს მოსაზრება, რომ მხატვარი არ უნდა დაფიქსირდეს რაიმე ერთ სტილისტურ ფორმულაზე და არ უნდა აქციოს მეთოდი დროის მიღმა მდგომ კანონად. ამას მეც ვეთანხმები. ამიტომ, შავ-თეთრი ფერწერა გრძელვადიანი და სერიოზული კვლევის შემდეგ, როგორც მეთოდი, დასრულდა.

შავ-თეთრ ფერწერას კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი ჰქონდა. მე ბევრ ნაწარმოებში ვცდილობდი, უზოგადესი ყველაზე უფრო ტრივიალურთან დამეკავშირებინა. გაკეთებული მაქვს დიდი ზომის სურათი „მაკრატელი” (200x600 სმ.). მას მთელ სიგრძეზე ორი შავი ხაზი მიჰყვება.

ერთი მხრივ, ეს ხაზი მხოლოდ თავის თავს წარმოაჩენს და ამჟღავნებს, ანუ ხაზის რეალობას უკეთებს პრეზენტირებას. მაგრამ გარკვეულ მოდუსში – მზერის გადანაცვლებისას – ეს ხაზი აღმნიშვნელის მისიას იძენს და ჩვენ ცნობიერებაში ტრივიალური (ილუზორული) სფეროდან საყოფაცხოვრებო საგნის იმიჯი ტივტივდება; აქ იკვეთებიან, როგორც ჰაიდეგერი იტყოდა, „ონტიურად ყველაზე ახლობელი“ და „ონტოლოგიურად ყველაზე შორეული“.

ამ უკიდურესობების დაწყვილება მიგვანიშნებს იმაზე, რომ საგანი (რასაც ჩვენ რაღაც წარმოსახვით რეალობას ვეძახით) ყველგან და ყველაფერთან იკვეთება, რომ მისი ტოტალურობა საკუთარი სიცარიელის ხარჯზე ყოვლისმომცველია. აი, ასეთ საკითხებზე ლაპარაკობს ჩემი შავ-თეთრი ფერწერა, ასეთ საკითხებს განიხილავს ბორის გროისი თავის სტატიაში „მხატვარი ასკეტი“, რომელიც მან ჩემ შავ-თეთრ ფერწერას მიუძღვნა.

პირველად თბილისში რომ გამოვფინე ჩემი მაკრატელი, მომიახლოვდა ჩვენი აკადემიის პროფესორი და ყურში ჩამჩურჩულა, – მე კი ვხვდები, ამით შენ რაც გინდოდა გეთქვა – ორი მრგვალი და ერთი გრძელი, განა ვერ ვხვდებიო.

მახსენდება მეორე სიტუაცია. 1988 წელს მოსკოვში მქონდა გამოფენა, სოტბის ისტორიული რუსული აუქციონის პარალელურად. აუქციონის შემდეგ გვიან ღამით მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი მუზეუმის დირექტორი ეწვია ამ ჩემ გამოფენას. მათ შორის ტომას კრენიციც იყო, გუგენჰაიმის მუზეუმის დირექტორი (მაშინ ახლად დანიშნული). გამოფენაზე ტომასი დიდხანს იჯდა „მაკრატელის“ წინ, მერე კი, როცა უკვე სომხურ რესტორანში გადავინაცვლეთ, მომიახლოვდა და სურათის ფასი მკითხა. ფასი რომ გაიგო, ოფიციანტს ანგარიშის ქაღალდი გამოართვა და მასზე სურათის შეძენის კონტრაქტი დამიწერა. მეორე დილით ტომასი ნიუ-იორკში გაფრინდა, მე კი საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროში მიტანილი რესტორნის ანგარიშის ქაღალდზე დაწერილი კონტრაქტით უკან ცივი უარით გამომისტუმრეს. ასე არ მოხვდა ჩემი „მაკრატელი“ გუგენჰაიმის მუზეუმში – ოთხ თვეში კი ბატონი ლუდვიგი ეწვია მოსკოვს და „მაკრატელი“ ოფიციალური ხაზით იყიდა. დღეს ეს სურათი ბუდაპეშტის ლუდვიგის მუ-

ზეუმის პერმანენტულ ექსპოზიციაშია გამოფენილი.

შავ-თეთრი ფერწერა დიდი და გრძელი პროექტი იყო, რომელიც დასრულდა. ტექსტმა, რომელიც ცდილობდა, ჩვენი განზომილებისთვის ტრანცენდენტური გაეცნო, საკუთარი თავი ამოწურა. ეს კვლევა პრაქტიკულად დასავლურ კულტურაშიც ჩამთავრდა. მეტაფიზიკამ დასავლურ ცნობიერებას გაუცრუა იმედები. მან ისეთი უხეში და უზნეო შედეგები მოიტანა (კომუნიზმის, ფაშიზმის სახით), რომ საკუთარ თავს სრული დისკრედიტაცია გაუკეთა. ვერტიკალურად სტრუქტურირებულმა იდეალების სამყარომ, რომელიც ასევე იერარქიული და პირამიდულია, ერთიანად გაუცრუა ადამიანს იმედი. ასე დამთავრდა ჩემთვისაც მეტაფიზიკის უშუალო კვლევა და ტრანსცენდენტურისკენ გარღვევის უშუალო მცდელობა.

180 გრადუსით შემობრუნება ანუ პოსტსტრუქტურალიზმი

მიშა ხუნდაძე: იქნებ ვისაუბროთ პოსტსტრუქტურალიზმზე, მის მნიშვნელობაზე მხატვრებისთვის და მხატვრობისთვის. და რა არის საერთოდ დღევანდელი თანამედროვე ხელოვნების პარადიგმა?

გია ეძგვერაძე: როგორც ისტორიამ გვანახა, 70-იანი წლების შემდეგ აზროვნება საკმაოდ სწრაფად და მობილურად შეიცვალა. რასაკვირველია, ამასთან ერთად სამყაროც შეიცვალა. პოსტსტრუქტურალიზმი (რომელმაც სტრუქტურალიზმი ჩაანაცვლა, ეს უკანასკნელი კი ეგზისტენციალიზმს მოჰყვა), ცნობიერების ეს აბსოლუტურად ფუნდამენტალური შემობრუნება იმდენად დიდი და გამრღვევი ძალა გამოდგა, რომ არაცნობიერად მასებიც კი აიყოლია, განსხვავებით თავის წინამორბედებისგან, რომლებმაც მხოლოდ არტისტულ და სამეცნიერო წრეებში ჰპოვეს გამოძახილი. მხატვრებისთვის, ამ ახალი აზროვნების გათვალისწინებისა და გააზრების გარეშე, აბსოლუტურად შეუძლებელია კვლევის პიკზე ადგილის შენარჩუნება. ასე რომ, მეც 90-იანების დასაწყისში ნელ-ნელა და უხალისოდ ჩავერთე ამ ახალი კვლევის პროცესში.

ძალიან მტკივნეული იყო ეს გარდატეხის მომენტი, რომელიც 180 გრადუსით ითხოვდა შემობრუნებას. კაცისთვის, რომელიც შეჩვეულია მეტაფიზიკას, სადაც ყველაფერი გასაგებია – თუ რა არის მაღლა და რა დაბლა, რა არის ცუდი და რა კარგი, რა არის წმინდა და რა ჭუჭყიანი, ძალიან რთულია ამ ფასეულობების აბსოლუტურობაზე უარის თქმა. ირღვევა სამყაროს სიმწყობრე, მის გამართულ ლოგიკაში ნაპრალები ჩნდება. თითქოს სამყარო თავზე გენგრევა – დალაი ლამა ჩიჩოლინას მეზობელია ჟურნალის ყდაზე, დოლი ბასტარდი სხაპასხუპით იძლევა ინტერვიუს პოლიტიკის ან ეკოლოგიის საკითხებზე, და ამას სერიოზულად გვთავაზობენ... კიჩი და უზნეობა გაკიცხვას არ იმსახურებს; მადონას ქცევის წესზე, მისი ცნობიერების მიმართებაზე ფილოსოფიური გამოკვლევები იწერება. ყველაფერი წვრილმანი, ბანალური, ინტერესის ცენტრში ექცევა და კვლევის, სიყვარულის, ყურადღების ღირსი ხდება. ზუსტი ეგზისტენციური ორიენტაციები ქრება. როგორ? დაცემაა? დეკადანსი? დეგრადაცია? არა, ყველაფერი სასიცოცხლო ენერგიითაა სავსე. აბა, როგორ?

როგორც ვთქვით – მეტაფიზიკაში ყველაფერი გასაგებია, მხოლოდ უნდა შეუერთდე ამ სისტემას და უკვე აზრზე მოსული კაცის იმიჯი გაქვს, შეგიძლია სულ მალე მასწავლებელიც გახდე – ორიენტაცია ხომ გაიგე, მერე თუ ღმერთმა სპეკულაციის ნიჭითაც დაგაჯილდოვა, გურუდაც გამოდგები. აქ კი? ფასეულობები მოიშალა, ლოგიკა გაუფასურდა. ხომ თქვა ლიოტარმა, – „პოსმოდერნისტული აზროვნება გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ რეფერენციების გარეშე“. ისეთი პირი უჩანს, რომ ეს დრო, ეს ახალი პრინციპი მიმღებლობის რაღაც მისტიკურ დონეს ითხოვს, დათმობის და მინდობის აქამდე არნახულ ხარისხს, იესო ქრისტეს რომ არ დასიზმრებია ისეთს. რა ვუყოთ ამ ყველაფერს? ამ ქუდმოგლეჯილ სამყაროს. როგორც ოთარ იოსელიანის ფილმშია – ვენდოთ, რომ თხას პატრონი იპოვის? აი, ეს კითხვები დამესხა თავს, როგორც კი აღვიქვი, რომ უცნაურად შეცვლილი სამყარო დამხვდა დასავლეთში. „სულიერი“ 60-იანებისგან მას თითქმის აღარაფერი შერჩენოდა (რაც ჩვენ თაობას ასე ამოძრავებდა).

ეს ყველაფერი ძალიან დამაბნეველი იყო. პრაქტიკულად, თითქმის ყველა რელიგია მეტაფიზიკაზეა აგებული, სადაც ცოდნა, როგორც ითქვა, პრინციპულად ერთმნიშვნელოვანია; და მხოლოდ სადღაც, უმაღლეს წერტილზე, ყველაზე მიუწვდომელ ტექსტებში ფრთხილად არის ჩაწვეთებული, რომ ერთმნიშვნელოვანების მიღმა სხვა რაღაც იმალება – ის, რაც სულის შემკვრელ თავისუფლებაზე მიგვანიშნებს. ვედებში, რომლებიც ადამიანის ცხოვრებასთან კავშირში უსასრულო ასკეზას ქადაგებენ, უეცრად ასეთ ფრაზას წააწყდები, – თუ ნათელი დაგადგა, შემდეგ გაერთე ქალებით, ცხენებით, ღვინით. როგორ? რისთვის დავიხარჯეთ? გავწირეთ თავი და ჩვენი სასიცოცხლო დრო. იმიტომ, რომ ამ აბსურდით სავსე გამონათქვამში ალქიმია უკვე მომხდარია – აქ ქალიც შენა ხარ, ცხენიც და ღვინოც. მაგრამ შეიძლება, გზის გარეშე, პირდაპირ შედეგი შევთავაზოთ სამყაროს? შედეგი, რომლის ნამდვილი სახე ასე დიდხანს და საგულდაგულოდ ინახებოდა და იმალებოდა, რომ მდაბიონი არ შემცდარიყვნენ და მოხმარება რიტუალში არ არეოდათ. ალბათ შეიძლება – „უფლის გზა შეუცნობელია“, და ეს დროც დადგა.

ამ ყოველივეს გადახარშვა ძალიან მტკივნეულია – მეტაფიზიკიდან ამოგლეჯილი კაცი ბუდიდან გადმოგდებულ ჩიტს ჰგავს, რომელმაც არ იცის ფრენა. თანაც მე და თამუნა დასავლეთში წასულები ამ ფუნდამენტურ კრიზისს მარტო უნდა გავმკლავებოდით. ეს ყველაფერი 90-იანების დასაწყისში ხდებოდა და ჩვენ გარშემო არავინ იყო – თითქმის მარტო გადავხარშეთ ეს განახლება. მომიწია ახალ ლიტერატურასთან შეჯახება. ჩემი ავტორიტეტები – ნიცშე, ჰაიდეგერი, კირკეგორი,

თავიდან იყო წასაკითხი და იმ ჭრილიდან დასანახი, საიდანაც მათ თანამედროვე ფრანგული ფილოსოფია აღიქვეს. დაიწყო ცნობიერების ძიება, რომელსაც შესწევს უნარი, ჰორიზონტალურად და ნაკადობრივად დაინახოს ფენომენები – ჩვენ ხომ ღმერთი გაუთავებელი აწმყო გვეგონა, ის კი მომავლისკენ უშრეტი ლტოლვა აღმოჩნდა.

პოსტსტრუქტურალური ცნობიერება პოეტური ფორმაა. ის ლოგიკური კონსტრუქციებით არ აღიწერება. მისი, როგორც ერთიანი და მწყობრი მოძღვრების, არტიკულირება შეუძლებელია, რადგან მოძღვრება სტატიკური ფორმაა, სტატიკა და მოსაზღვრულობა კი სწორედ ისაა, რასაც ეს ახალი ცნობიერება ებრძვის. მას სახელად ყველაზე უფრო ნიცშეს ტერმინი უხდება – „Classical ecstatic nihilism".

ეს მეტამორფოზა ჩემთვის ახლაც საწყის პროცესშია, სხვანაირად ამ აბსოლუტურ ექსტატურობას უკვე მეც ვიქნებოდი ნაზიარები. ეს ცნობიერება გაუთავებელი გამოწვევაა, უსასრულო ძალისხმევაა – აქ ამ სივრცეში სიმშვიდე და შვება ყველაზე ნაკლებად სასურველი მდგომარეობაა.

ჩემთვის ყველაზე მთავარი ყოველთვის ის არის, რომ ახალი იდეები მხოლოდ იდეებად არ დარჩეს და ისინი მხოლოდ ინტელექტუალურად არ გაითავისო. ისე არ უნდა მოხდეს, რომ სინტაქსის ახალ წესს ჩაწვდე და ეს ცოდნა მხოლოდ საზოგადოებაში ადგილის მოსაპოვებლად გამოიყენო. ახალი იდეების ნაკადი შენი სასიცოცხლო შესაძლებლობები უნდა გახდეს, მათი ტარება შენ სუნთქვაში უნდა განხორციელდეს.

შემოქმედება არ არის დროისათვის შესატყვისი არტ პროდუქციის კეთება. მისი მისია არ არის ესთეტიკური ღირებულებების მოტანა და დამკვიდრებაა. ის ყოველთვის დროებითი ორიენტაცია უნდა იყოს, რომელიც თან სდევს სულის მოძრაობას და თანაც განწირულია. განწირულია, რომ ერთ მშვენიერ დღეს სულთან მეგობრობა შეუწყდეს, მისია დაუსრულდეს, მაშინ როცა სულის ფორმა საკუთარ სილუეტს გაარღვევს.

თვითმგორავით გაუთავებელ მოძრაობაში

მიშა ხუნდაძე: სად მიგიყვანა მხატვრობამ? რა ეტაპზე ხარ ახლა? – პატარძლის კაბაში გამოწყობილი თვითმგორავით გაუთავებელ მოძრაობაში რომ იმყოფები, ფერადი ხაზებით დახაზულ, ერთმანეთში ქაოტურად არეულ გზებზე.

რა არის თანამედროვე ხელოვნება? როგორ გავერკვეთ, ვინ არის თანამედროვე მხატვარი და ვინ არა? საიდან იწყება თანამედროვე მხატვრობა? ამდენ სხვადასხვა კულტურულ ენათა ბაზისზე გაფორმებული მიმდინარეობებით გარშემორტყმულმა მხატვარმა, საიდან შეიძლება დაიწყოს, რა შეუძლია გამოიკვლიოს?

გია ეძგვერაძე: თანამედროვე ხელოვნება იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი დროის თანამედროვე მხატვრები აუცილებლად თანამედროვე ხელოვნებას ქმნიან. თანამედროვე ხელოვნება არის ტერმინი, რომელსაც კულტურულ სამყაროში გარკვეული კონოტაცია აქვს. ის კონკრეტულ პრობლემატიკაზე მიგვანიშნებს, რომლის ბუნების დადგენაც ძალიან რთულია, თუ არ გაქვს გარკვეული დისტანცია იმ ფორმათა და რეპრეზენტატიულ სისტემათა უსასრულო ცვალებადობასთან, რაც თანამედროვე ხელოვნების სცენაზე იჩენს თავს. თანამედროვე ხელოვნების ძირეულ იდეაზე დრო იმდენად ძლიერად ზემოქმედებს და მისი ფორმების ისეთ სახეცვლილებებს გვთავაზობს, რომ ძალიან რთულია მისი ფორმულის სახით გამოტანა ან მატრიცის სახით დანახვა. რაღაც მომენტში თანამედროვე ხელოვნების ბაზარზე გაბატონებული ფასეულობა ისე ერთმნიშვნელოვნად ღირებული და სენსაციური ხდება, რომ პრაქტიკულად მთლიანად გადაფარავს ხოლმე ამ პრინციპის სიღრმისეულ შინაარსს. მერე უცბად ეს ყველაფერი ჩაიშლება და სივრცეში თავისუფალი ადგილები გაჩნდება. ყოველ ათ წელიწადში სიტუაცია პრინციპულად იცვლება; მოდა და თრენდი, დილერების და გალერისტების (დღეს უკვე კოლექციონერებისა და კურატორების) მანიპულაციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხელოვნების ექსტერიერზე, მისი სახის მიმიკაზე. დღეს ხელოვნება კონცეპტუალურია, მინიმალურია. მერე კი, მინიმალიზმის ნაცვლად, საკმაოდ პრიმიტიული ნარატივი წამოიწევს წინ, ხვალ შეიძლება ვიდეო და ფოტო შემოიჭრას არტ სცენაზე, ძალიან სპეციფიკური სტილისტური ნიშნით, მერე კი ყველაფერი ისევ შეიცვალოს და აბსტრაქცია დაფუძნდეს როგორც წამყვანი თრენდი. მოკლედ ფორმალური ფენომენების დონეზე ისეთი ქაოსი დგას, რომ რაც უფრო დიდხანს აკვირდები და დიდხანს მედიტირებ ამ გაუთავებელად მოძრავ ნაკადზე, კიდევ უფრო იბნევა სურათი, მით უფრო ხვდები, რომ თანამედროვე ხელოვნების ერთმნიშვნელოვნად დახასიათება ალბათ პრაქტიკულად შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ ამ ყველაფერს ისტორიულ ჭრილში – იმპრესიონიზმიდან მოყოლებულს დავინახავთ.

80-იან წლებში იყო მცდელობა, რომ თბილისში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი შექმნილიყო – ამ მუზეუმის მაშინდელ კონცეფციას არაფერი ჰქონდა საერთო „თანამედროვე ხელოვნებასთან", ამ მუზეუმის და ამ კონცეფციის შესატყვისი სახელწოდება იქნებოდა „თანამედროვე ქართული ვიზუალური კულტურის მუზეუმი" – კულტურასა და თანამედროვე ხელოვნებას შორის ხომ პრინციპული და რადიკალური განსხვავება არსებობს.

ამ ქაოსს რომ გამოვეცალოთ ხელიდან, აქ ადორნოს ფრაზას მოვიტან, რომელიც პირადად ჩემთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის დეფინიციაში. ადორნო მხატვრებს, რომლებიც თანამედროვე ხელოვნებას ქმნიან, პარტიზანებს ადარებს; პარტიზანებს, რომლებიც გადიან უცხო ტერიტორიაზე, ტერიტორიაზე, რომლის გზებიც უცნობია, ტერიტორიაზე, რომლის რუკებიც არ არსებობს. სწორედ აქ, თავისი გამჭრიახობის და ინტუიციის ხარჯზე, მათ უნდა მოიპოვონ ინფორმაცია, დაადგინონ გარემოს სპეციფიკა, დააფიქსირონ ამ უცნობი სივრცის გამსაზღვრელი ნიშნები და შემოზიდონ ეს ინფორმაციუ-

ლი ნადავლი უკან თავიანთ ტერიტორიაზე – ჩვენი ტექსტის კონტექსტში რომ ვთქვათ, კულტურაში. თანაც შემოზიდვა უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, ისეთი ენით, რომ ეს ინფორმაცია კულტურისათვისაც გასაგები იყოს და ამავე დროს აბსოლუტურად ორიგინალურიც დარჩეს, ანუ უნიკალური მონაპოვრის შესატყვისი. ჩვენი კულტურის (ამ სიტყვის უზოგადესი გაგებით – რაც ადამიანური ცნობიერების საერთო ფორმას ნიშნავს) მიღმა სივრცე ორია – კულტურამდელი (ბარბარული – ინსტინქტის ენერგია) და პოსტკულტურული, რომლის ჯერ კიდევ სრულიად გაუფორმებელ სილუეტსაც დღეს ჩვენ აბსურდს ვეძახით.

როდესაც პიკასო „ავინიონის ქალებზე" მუშაობდა, ორი ჟურნალისტი ეწვია. სახელოსნოდან რომ წამოვიდნენ, ერთმა მეორეს უთხრა, – ამ კაცს ალბათ მალე თავჩამოხრჩობილს იპოვიანო. ასე აბსურდულად, ასეთ სიგიჟედ გამოიყურება მომავალი ცნობიერების სილუეტები. არადა, დღეს „ავინიონები" ჩვენთვის კულტურაში შემოზიდული, კულტურულ ენად და კომუნიკაციის ფორმად ქცეული, მშვენიერების გარკვეულ კრიტერიუმს წარმოადგენს. ასე იყო იმპრესიონიზმზეც; ამ მიმდინარეობის პირველ გამოფენაზე ნიუ-იორკში, შესასვლელთან გაფრთხილება ეწერა ორსული ქალებისთვის, – ნანახმა სიმახინჯემ შესაძლოა, შოკი გამოიწვიოს და ნაყოფი დაზიანდესო.

თანამედროვე ხელოვნება როგორც რეალური, ქმედითი და მისიის მატარებელი ძალა, ალბათ მხოლოდ შექმნასა და მის აღიარებას შორის პერიოდში არსებობს, შემდეგ იგი უამრავ სხვა მისიას იძენს, მაგრამ მთავარს კი კარგავს – ხდება მატერიალური და კულტურული ფასეულობა, ესთეტიკური და ასევე ეთიკური კომუნიკაციის გამტარად და კატალიზატორად წარმოჩინდება, მაგრამ ამ როლების მატარებელს ტრანსგრესიის მუხტი უკვე გამოცლილი აქვს, აქ ის ენობრივ რეალობად იქცევა და დამიწდება.

აქ დასავლეთში მხატვრებს „აღმნიშვნელების შემქმნელებს" გვეძახიან (signifier makers). ჰაიდეგერმა ენას ეგზისტენციის სახლი უწოდა. დამიწების შემდეგ ენად ქცეული თანამედროვე მხატვრის შემოქმედება ამ სახლს ავრცობს, ადიდებს, ფლიგელებს მიაშენებს, ახალ სართულებს ადგამს. ეს არის თანამედროვე ხელოვნების სოციალური ფუნქცია, როცა მისი ტრანსგრესიული მუხტი ენის რეალობად იქცევა. თუ ეს გამრღვევი მოძრაობა შემოქმედის მიერ შემოტანილ აღმნიშვნელს (ვიზუალური კოდი) არ ახასიათებს, მაშინ კომპილაციასთან გვაქვს საქმე, რე-სტრუქტურირებასთან, რე-პროდუქციასთან, შედგენილ კოლაჟთან, ეს ყველაფერი კი ინტერესს მოკლებულია; ამას თავად კულტურაც კი „სალონს" ეძახის.

არსებობს კიდევ უშუალო რეაგირების შემოქმედება. ადამიანის ემოციური სამყარო რეაგირებს უამრავ მოვლენაზე – სოციალურ, ფიზიოლოგიურ, კოსმიურ, მისტიურ მოვლენებზე, ხელოვნების და კულტურის ფაქტებზე, ნაზრევსა და უაზრობაზეც. როდესაც ეს უშუალო ემოციური რეაგირება შემოქმედებით იმპულსთან იკვეთება, მხატვარი ჩვენ გარშემო დღეს დაგროვილი უამრავი ენობრივი სტრატეგიიდან ირჩევს შესატყვისს და ამ ენით აფორმებს თავისი რეაგირების შემოქმედებით პროდუქტს.

ასეთი შემოქმედების მაგალითია, ვთქვათ, დასავლეთში კარგი სტუდენტი. მაგრამ აქედან თანამედროვე მხატვრის ცნობიერებამდე უზარმაზარი სივრცეა გადასალახი.

თანამედროვე მხატვრის ფენომენი რომ შედგეს, თანმიმდევრული დესტაბილიზაცია (უფრო მეტიც, დეკონსტრუქცია) უნდა გაუკეთდეს ადამიანის დეტერმინირებულ ცნობიერებას, ყველა შრეში და ყველა ეტაპზე. დადაისტებმა მისწერეს წერილი დალაი ლამას: ჩვენ ცნობიერება ნულოვან დონეზე დავიყვანეთ, ახლა გვასწავლე, სად არის გზაო. რასაკვირველია, დალაი ლამასგან წერილი არ მიუღიათ. ეს საკითხი ინსტრუქციების დონეზე არ დაიყვანება. როგორც ამბობენ, ცაში გზები არ არის, ბილიკებიც არ არსებობს. თანამედროვე მხატვრობა სწორედ ასეთ გადახსნილ სივრცეში ახორციელებს გასვლას, სწორედ ამ უსაზღვრობაში და იქ ადგენს თავის საკუთარ გზებს და საკუთარ ბილიკებს. მაგრამ ეს დეკონსტრუირების პროცესი საშინელ ტკივილთან არის დაკავშირებული. ამ პროცესს „ადამიანურის" მიღმა გაჰყავხარ, იმის გარეთ, რასაც საჯარო, კომუნალური ცხოვრება ჰქვია. „თბილი ცხოვრება" აქ მთავრდება.

ძნელია ოჯახიდან, შენი ქვეყნიდან გარეთ გახვიდე და გადაეყარო სხვა კულტურას. აი, ადამიანი წავიდა საქართველოდან, თავისი ოჯახიდან, მყუდრო, მოვლილი, თბილი სახლიდან, დაემშვიდობა ხაჭაპურებს და ლობიანებს. წავიდა, ვთქვათ, დასავლეთში, შეიჭრა უცხო კულტურაში, სადაც მთელი გარემო სხვა კულტურული ნიშნებითაა აგებული. ამ სიტუაციაში ადამიანი ვერსად პოულობს შესაბამისობას საკუთარ თავთან – აბსოლუტურ დისკომფორტშია, რომელიც ძიების უცილობელი პირობაა. ამ პრინციპულ ნაბიჯს ადამიანი დგამს, რომ „სხვა" შეიცნოს, „ის, რაც მას არ ჰგავს" (ფილოსოფიაში უფრო აზუსტებენ და ამას „ახლობელ სხვას" უწოდებენ). ახლა წარმოიდგინე, რომ ტრანსგრესია მოახდინო და გადახვიდე ისეთ სამყაროში, სადაც საერთოდ კულტურული ნიშნებით არ ხდება არავითარი აპელირება, ანუ „აბსოლუტური სხვა-ში" – „ის, რაც შენ არ ხარ". რა ხდება იქ? რა არის იქ? არის საერთოდ იქ რაიმე ხელმოსაკიდი? კონკრეტულობა? არსებობს იქ რაიმე – რასაც შეიძლება დაერქვეს სახელი, მიენიჭოს ნიშანი. ასეთ შემოქმედებას, რომელიც ასეთ სფეროში იჭრება, ასეთ სივრცეში ოპერირებს, არაფერი აქვს საერთო რეაგირების შემოქმედებასთან, რე-ორგანიზაციებთან, კომპილაციებთან. ასე ვეუბნები სტუდენტს, – იცოდე, პროფესორი იმიტომ კი არ მოდის აქ, რომ რაიმე გასწავლოს, ან კონცეფციებით გაგიმდიდროს შენი ცნობიერების კულტურული სივრცე. ნამდვილი პროფესორის მისიაა, თავის გამოცდილების ხარჯზე ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ მოგიქციოს. გლობალური კითხვის ნიშანი გააჩინოს შენში. „გააჩუქე შენი თავდაჯე-

რებულობა და შეიძინე შეცბუნება“, – ამბობდა რუმი. ესეთ სიმაღლეებზეა ლაპარაკი რადიკალურად აუთენტურ თანამედროვე ხელოვნებაში. და ვინც ამ სიმაღლეს იღებს, სულის შემკვრელი გრძნობა უჩნდება (რა თქმა უნდა, თუ პროცესების სიმულაცია არ ხდება). ბუდა ამბობდა, – როცა მთელი ჩემი ბუნება ერთ და განუყოფელ კითხვის ნიშნად იქცა, ნათელი მხოლოდ მაშინ დამადგა.

ასეთი მაგალითები კულტურაში ცოტაა. ასეთია დიუშამი, უორჰოლი, არტო.... აქედან ყველაზე თვალსაჩინო და ბოლომდე უკომპრომისო ცხოვრების მაგალითი ჩემთვის არტოა.

ეს ყველაფერი, რაც აღვწერე, ღრმა შრეებია, სადაც ბევრს არ შეესვლება – კომუნალური ცნობიერების დონეზე კი სულ სხვა სურათი გვაქვს.

ერთ-ერთ ჩემ სტატიაში ცნება „მხატვარი” გავაანალიზე მისი დასავლური კონოტაციების თვალსაზრისით. ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელი, და ნეგატიური ცნება ნორმალურ (საშუალო და დაბალი კლასის) დასავლურ სოციალურ ცნობიერებაში ასახავს შემოქმედს, როგორც მაღალი დონის პროფესიონალს, რომლის შემოქმედებასაც მყარი და იდენტიფიკაციისათვის ადვილი, ანუ კარგად არტიკულირებული სამეტყველო რესურსები აქვს. როგორც პიროვნებას აქვს საზოგადოებაში გამორჩეული იმიჯი, მის პროდუქციას თანამედროვე ხელოვნების ბაზარზე მყარი ფასი ადევს, ხოლო კულტურული ტექსტის სივრცეში – გავრცობილი და ლეგიტიმური დისკურსი. ამ ყველა ნიშნის მატარებელ „მხატვარს“ კურატორული კორპუსი ადგილს უმკვიდრებს აკადემიურ დონეზე, მედია ინფორმაციულ „აურას“ უქმნის. ასე ეტაპურად ფორმდება „მხატვარი სელებრითი“ (ამ სიტყვამ დღეს „ძველმოდური“ და „პროვინციული“ სიტყვა „გენიოსი“ ჩაანაცვლა, ზუსტად ასევე ჩაანაცვლა სიტყვა „ლეგიტიმაციამ“ სიტყვა „აღიარება“). ეს სწორედ ის „სელებრითია“, რომელსაც დასავლეთის საზოგადოება ეთაყვანება, უყვარს, აღმერთებს.

დასავლეთის რეალობაში სწორედ ამას სჭირდება პირველ რიგში დეკონსტრუქცია. „მხატვრის“ ამ სოციალურ იდენტურობის გაფორმების მყარ რიგს თითქმის ყველა დიდი შემოქმედი ებრძვის, ყველა თავისებურად. აგნეს მარტინი, ბრუს ნაუმანი და კიდევ ბევრი სხვა საერთოდ გაეცალნენ ხელოვნების სცენას და განმარტოება ამჯობინეს.

საზოგადოება დეტერმინაციის მონსტრია, რომელსაც მე პირადად ჩემ ცხოვრების წესში და ასევე შემოქმედებაში ორი სტრატეგიით დავუპირისპირდი – ნაპრალურობით (gap) და ნახტომით (jump). ამ პრინციპის ნათელსაყოფად დიდი და კომპლექსური პროექტი გავაკეთე, რომელსაც „პატარძალი“ (Bride) ჰქვია. თავად ეს პატარძლის ცნება ძალიან მრავალმნიშვნელოვანია. პატარძალი რომ ხდები, შენი ოჯახის სტრუქტურიდან გამოთავისუფლებული ხარ, მაგრამ ჯერ კიდევ ახალი სისტემის ნაწილიც არა ხარ, პატარძალი არც მოხმარების და არც მსახურების კონდიციაში არ იმყოფება, აწმყო არ გააჩნია, მისი არსებობა მხოლოდ მომავლის ნიშნით ხორციელდება, ანუ სულ „ნაპრალში“ იმყოფება. ეს „ნაპრალურობა“ (gaping) არის ჩემთვის თანამედროვე ხელოვნება, ნაპრალურობის ცნობიერება და მისი შესატყვისი ნახტომური დინამიკა არის ჩემი ცხოვრების წესის იდეალი. ამ ნაპრალურ ცნობიერებას ჰაიდეგერიც აღწერს და ამ კონტექსტში სიტყვა „გაძლება“ აქვს ნახმარი. „ნაპრალში გაძლება“ – კულტურის მიღმა ქაოსია. ჩემმა სტუდენტმა მითხრა: საშინელი ქაოსი შემოდის, როდესაც იწყებ გაბრძოლებას კულტურულ ცნობიერებასთან, რომლის პროდუქტიც შენ თვითონ ხარო. სწორედ ამ კონტექსტში ხმარობს სიტყვებს „ნაპრალში გაძლება“ ჰაიდეგერი – იდგე ქაოსის ცენტრში, შეუქმნა მას ცენტრი, სადაც ის თავის სრულ და უშრეტ შესაძლებლობებს ავლენს და გიჩვენებს – ამ ყველაფერს ძალიან ახლოს მივყავართ სანუკვარ ცნებასთან – „ადამიანის პოსტკულტურულ იდენტურობასთან“.

ჩვენი ადამიანური ცნობიერება პრინციპულად ინცესტუალურია და არც ყოფილა არასოდეს სხვანაირი. თუ რაიმე დიდი სხეულის ან სისტემის ნაწილი არ ვართ, საშინელი ტკივილი და შიში გვიპყრობს – არც კი დაგვსიზმრებია, რა არის ამ დაცულობის მიღმა. არა, დაგვსიზმრებია – ის ტიტანური ოკეანის ტალღა შორიდან რომ მოდის და გადაფარვას რომ გვიპირებს. ამ დროს გვიგრძვნია ის ძრწოლა და ზეიმი, რაც დაუცველობას მოაქვს, რაც „ნაპრალში გაძლებას“ ნიშნავს – ადამიანური სტატუსის მიღმა სრულიად და ბოლომდე გადახსნილ სივრცეში.

მიშა ხუნდაძე: იოანე სინელს აქვს ნათქვამი, – „როცა შიში უშიშობას შობს, მაშინ გამობრწყინდება სიხარული. როდესაც უსასრულო სიხარული ზღვარს მიაღწევს, მაშინ წმინდა სიყვარულის ყვავილს გამოიღებს“.

აკადემია

მიშა ხუნდაძე: შენ ხშირად იმეორებ ჰაიდეგერის სიტყვებს: არ ეძიოთ ფილოსოფია უნივერსიტეტებში. მართალაც, პატარა წვრილმან პოლიტიკანურ გადაწყვეტილებებში, თავიანთ თავზე მორგებულ სისტემებში, ინსტიტუციების წიაღში აღარ რჩება ადგილი „მოაზროვნე აზრისთვის“. ეს არ იქნებოდა ყურადსაღები, რომ აქ არ გვქონდეს საქმე ახალგაზრდებთან, ისინი რჩებიან საბოლოოდ მოტყუებულნი.

მაინც რა უნდა იყოს აკადემია და როგორი ფორმით უნდა არსებობდეს იგი დღეს? შენი ნათქვამია: „ოდესღაც (იქ ძველ საბერძნეთში) აკადემია შემოქმედებითი აზრის ადგილს წარმოადგენდა. ეს აზრი, „მოაზროვნე აზრი“, არ გამოაცალკევებდა საკუთარ აზრს სივრციდან, არ ცდილობდა, გაფორმებულიყო როგორც საგანი, როგორც ფასეულობა, როგორც გაცვლითი ერთეული“. შესაძლებელია, რომ დაბრუნდეს ასეთი აკადემია?

გია ეძგვერაძე: გერმანიაში სამ აკადემიაში ვასწავლიდი – დიუსელდორფის, ბონის და ბერლინის. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც შენ წამოჭერი, ყველაზე პოზიტიური გამოცდილება დიუსელდორფში მქონდა. პრაქტიკულად, სწავლება როგორც ეგეთი (იმ გაგებით როგორც

ეს საქართველოში ესმით დღეს) აკადემიაში არ ხდება. მარკუს ლუპერცი (წლევანდლამდე აკადემიის რექტორი) აკადემიის პროგრამების და განრიგების ბროშურის შესავალ სტატიაში ასე მიმართავს სტუდენტებს: „თანამედროვე ხელოვნების სწავლება შეუძლებელია – ამიტომ, აქ ჩვენთან აკადემიაში გარემოთი და ატმოსფეროთი ხდება სწავლება“. ეს სწავლება არის რაღაც კოლაბორაციის ფორმა, ისეთი ატმოსფეროს შექმნა, სადაც იბადება თავისუფლება, იბადება რადიკალური აზროვნება, შეკითხვა, განყენება კულტურასთან, ირაციონალურობის, სუბიექტურობის შეგრძნება, შინაგანი მოლოდინი, შეცბუნება – ყველაფერი ის, რაც ცნობიერების ახალი ხარისხისკენ მიგვანიშნებს და რის გარეშეც შემოქმედება თავისი აუთენტური ფორმით არ შეიძლება დაიწყოს. ხომ თქვა პიკასომ, – ჩვენ ყველანი თვითნასწავლი მხატვრები ვართ, რადგანაც ყოველი ჩვენგანი ვიზუალური გამომსახველობის საკუთარ სისტემას იმუშავებსო. დიუსელდორფის აკადემიაში პროფესორი არ ცდილობს, რაღაცით ამოავსოს სტუდენტი, გაავსოს დირექტივებით, პირიქით ძალიან ფრთხილად ეკიდება და პრაქტიკულად არასდროს არ აჩქარებს მას – რადგან თანამედროვე ხელოვნების სწავლება პრინციპულად ცნობიერების ახალი ხარისხის დაბადებაში დახმარებაა. ფორმის და საერთოდ მხატვრული ენის სინტაქსისის დონეზე, რასაკვირველია, პროფესორი გარკვეულ რჩევებს იძლევა, როცა ნამუშევრის განხილვა ხდება, მაგრამ მთავარი ფოკუსი აქ ყოველთვის სიფრთხილეზე და ყურადღებაზეა, რომ რაიმე სიახლე, სულის მოძრაობა არ გამოეპაროთ. არ გამოეპაროთ „poiesis-ი“, რაც პრინციპულად, თანამედროვე ხელოვნების შემოქმედების შინაგანი არსია. ჰაიდეგერი „poiesis-ს“ ახასიათებს როგორც ექსტატურ მოძრაობას, როცა რაიმე იწყებს მცდელობას, საკუთარი არსი შეცვალოს და „სხვად“ იქცეს – იმად, რაც თვითონ არ არის. აი, ამ „სხვა“-სკენ მოძრაობის სიყვარული უნდა ვასწავლოთ, ამისკენ სწრაფვა და ძალისხმევა ამ მიმართულებით. მოლოდინი ვახსენე. ბევრ შემთხვევაში, სტუდენტის სრული პასიურობაც კი შეიძლება პოზიტიური იყოს მისთვის და მოლოდინის ფაქტი აღმოჩნდეს. კაფკას აქვს ასეთი გამოთქმა: არაფერი არ გჭირდება რომ გააკეთო, უბრალოდ დაჯექი მაგიდასთან და უცადე, უცადე გულისყურით, უცადე და ის მოვა. ასეთი ულამაზესი და უცნაური აზრი გამოთქვა მან, მაგრამ ეს ფრაზა არ არის მხოლოდ პოეზია. ეს ცდა, ეს შინაგანი მოლოდინის განცდა, ზოგჯერ ყოველგვარ ქმედებაზე ბევრად მეტს ნიშნავს, იმ შინაგანი ჩვენი მცდელობისათვის, რომ დავიბადოთ, გაგვიჩნდეს რეალური შეგრძნება და შევცბუნდეთ ფაქტით, რომ ვარსებობთ (ეს ხომ ბევრის ხვედრი არ არის) და არა მხოლოდ ვქმედებთ – ასეთი ძირეული „ინსაიტის“ გარეშე თანამედროვე ხელოვნების შესატყვისი შემოქმედება არ იბადება.

აი, ასეთი ფაქიზი და რთული ნიუანსებითაა სავსე თანამედროვე ხელოვნების სწავლება. დროში თავისუფალი არსებობა სტუდენტის ცხოვრების წესი უნდა იყოს; ეს ბადებს ალტერნატიული ცხოვრების წესს და ამ ცხოვრების წესის სუბიექტს.

როგორ დახატო კარგად ბოთლი, ან კარგად გადმოსცე დრაპირის ფაქტურა, ასეთი რამე დასავლეთში ნამდვილად არავის აღარ ახსოვს – ალბათ დამწყებ სკოლაშიც კი არავინ აღარ ასწავლის. ასწავლიან იმას და ისე, რაც სტუდენტს შემოქმედებით ცნობიერებას დაუძრავს. „poiesis-ის“ პროცესში ხომ, როგორც ცნობილია, ფორმა საკუთარ თავს თვითონ უკეთებს ორგანიზებას. ამის და ასევე პიკასოს ზემოთ მოტანილი გამონათქვამის საუკეთესო მაგალითია ფიროსმანი – მისმა ექსტატურობამ, მისმა „poiesis-მა“, მისი მხატვრული ენის სისტემა აბსოლუტური სრულყოფილებით გააფორმა. აქეთკენ ცდილობენ, უბიძგონ ახალგაზრდა შემოქმედს დასავლეთში და თუ ყველაფერი ის, რაზეც მე ახლა აქ ვისაუბრე, შიშს გვრის ვინმეს და აბსურდად ეჩვენება, ეს იმ რუტინის ბრალია, რომელიც ადამიანს ასე უყვარს და რომელშიც ასე კომფორტულად გრძნობს თავს, როცა რაიმეს მყარად ეყრდნობა – ყველაფერ იმას, რაც ერთხელ ფუნდამენტურად დამკვიდრდა და ისტორიულად დაფუძნდა.

რაც დღევანდელ დღეს არანაირად არ პასუხობს თანამედროვე ევროპული აკადემიის მრწამსს, ეს ჩვენი თბილისის სამხატვრო აკადემიაა. ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო, როცა ბოლოს თბილისში რომ ვიყავი ჩამოსული, ვიღაცამ მაჩვენა დოკუმენტი, სადაც აკადემიაში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტის მიერ შესრულებული ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმების გრძელი სია იყო ჩამოწერილი. კრიტერიუმები დაახლოებით ასეთი სახის იყო – შუშის ბოთლის გამჭირვალების გადმოცემის ხარისხი, დრაპირის სიმძიმის და ფაქტურის იმიტაციის ხარისხი და ასე შემდეგ. დღეს ასეთი დოკუმენტის არსებობა მხოლოდ ჰაერში გამოკიდებული ნონსენსი რომ იყოს, გავხალისდებოდით და ამით გათავდებოდა, მაგრამ როცა ამ დოკუმენტს უკან სწავლების ინსტიტუცია უდგას, და ის ახალგაზრდა კაცის შემოქმედების მცდელობის „კრიტერიუმად“ გვევლინება, ეს ფაქტი ეთიკურად დრამატულ (რომ არ ვიხმაროთ მართლმსაჯულების ტერმინოლოგია) მოვლენად იქცევა და წარმოუდგენელ სიბეცედ გვევლინება. აი, ასეთი რამის ჩადენა აბსოლუტურად დაუშვებელია. ასე არ შეხვიდე კაცი არაფერთან რეფერენციაში, არაფერი არ გაიაზრო, რაც ხდება პროგრესულ კულტურულ გარემოში, იმ კულტურის პიკზე, რომელსაც ისტორიულად შენც ეკუთვნი – ამაზე კომენტარი ძნელი გასაკეთებელია.

როცა აკადემიაში ახალგაზრდა კაცი მოდის, მასში ყველაზე ღირებული პირველადი, ვიტალური ენერგიაა. ამ ენერგიას უნდა მიეცეს გეზი. ერთ მაგალითს გეტყვით – დიუსელდორფის აკადემიაში ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა, რომ მთხოვეს, ერთი აბიტურიენტის ნამუშევრები გადამერჩია. ძალიან ნიჭიერი ბიჭი აღმოჩნდა – ზოგიერთ ნამუშევარში პლასტიკის, მოცულობის, ფორმის კარგ შეგრძნებას ავლენდა; სხვა ნამუშევრებში, სადაც კიჩურ ურჩხულებს, სუპერმენე-

ბს და სექსუალურ სცენებს ხატავდა, პლასტიური თვალსაზრისით დიდი არაფერი ხდებოდა. მოკლედ, ასეთი იყო სურათი და მეც ჩემი შეფასების მიხედვით გადავურჩიე ნამუშევრები. ჩემ შემდეგ ამ აბიტურიენტის მშობლებს მიეცათ შესაძლებლობა, ეს ახალგაზრდა კონსულტაციისთვის იორგ იმენდორფთანაც წაეყვანათ. იორგი სულ სხვა ნახატებით დაინტერესდა – აი, იმ კიჩურით, სადაც გაუგებარი ფანტაზია და ენერგია ჩანდა, სამყაროზე და სოციალურ გარემოზე რეაქცია იჩენდა თავს, სადაც გარემოსთან დამოკიდებულება იკითხებოდა და მასთან შეხების ნიჭი და სურვილი. ეს ახალგაზრდა კაცი სწორედ ამ „კიჩური“ ნახატებით მიიღეს აკადემიაში და ჩემმა შემდგომმა თვალის დევნებამ მაჩვენა, რომ იორგის გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორი იყო.

ასე მივიღე პირველი დაუსწრებელი გაკვეთილი თანამედროვე ხელოვნების სწავლებაში – მაშინვე მივხვდი, და, რაც მთავარია, ერთი წუთითაც არ გამჭირვებია მეღიარებინა, რომ სწორი არ ვიყავი, რომ მე ისევ ვიზუალური კულტურული კლიშეებიდან მინდოდა დამენახა ამ ყმაწვილის პოტენცია და სწორედ ამ კლიშეებში ჩავტოვებდი მას. რაც საჭიროა, ყველაფერი მოვა, მოვა პროცესში, როგორც კი ამის საჭიროება გაჩნდება; მოცულობა იქნება ეს თუ ფორმა, სინათლის თუ ზედაპირის შეგრძნება. მოვა და გაჩნდება კიდევ უფრო მიმზიდველად და უშუალოდ, კიდევ უფრო აქტიურად, „ევრიკალურად“ წარმოჩინდება. მექანიკურად შემოტანილზე და ნასწავლზე თანამედროვე შემოქმედებას ვერ მოარგებ, ვერ გადაჭიმავ, შეუძლებელია. ეს მის ბუნებას ეწინააღმდეგება.

მხატვრული ენის გაფორმების პროცესები დღეს უკუღმა ხორციელდება. რა თქმა უნდა, ასე რადიკალურად შეცვლილი პრინციპის გადახარშვა, აღიარება, მიღება ძნელია. ძნელია, უცბად ენდო შემოქმედებით ძალას, ძიების აბსტრაქტულ შინაგან შეგრძნებას და სილუეტებს, მიჰყვე ამ შეუცნობად ლტოლვას და აღიარო მისი საკუთარი თავის დასტრუქტურირების უნარი.

ყველა კულტურას, ყველა ეპისტემას, ყველა პარადიგმას საკუთარი გზა აქვს. უკვე ას წელზე მეტია, რაც კულტურულ სამყაროში არსებობს ხელოვნების ერთიანი კონცეფცია, რომელსაც „თანამედროვე ხელოვნება“ ჰქვია. ეს პრინციპი გამორიცხავს ერთიანი და უნივერსალური მხატვრული ენის არსებობას – პირიქით, მისი ძირეული პრინციპი ის არის, რომ ყოველი მხატვარი მის სუბიექტურ, ინდივიდუალურ და უნიკალურ ირაციონალურ კოსმოსს აფორმებს ამ კოსმოსისთვის ერთადერთ შესატყვის ენაში. ასეთი სუბიექტივიზაციის პროდუქტს სთავაზობს თანამედროვე ხელოვნება კულტურას. ფიროსმანი ამ პრინციპის დაუძლეველი ჩემპიონია.

არ არის საჭირო, კაცი ჯერ ციხეში ჩასვა, რომ მერე თავისუფლების გემო უფრო გაიგოს. ციხიდან გამოსულმა შეიძლება ძალიან გაიხაროს თავისუფლებით, მაგრამ მას თავისუფალი კაცის ცნობიერება არასოდეს აღარ ექნება – ყოველთვის ნაციხარის თვალით დაინახავს სამყაროს. ხომ ამბობდა მატისი, – ათი წელი ვსწავლობდი და მერე ათი წელი ვივიწყებდი ნასწავლსო. ადამიანი თავის-უფალ არსებად იბადება და მას ეს სიამაყე და გაბრწყინება არ უნდა წაართვან – მონობაში არ უნდა ჩააბარონ. მოვიდა ივ ტანგი, იყო გემის კაპიტანი და საერთოდ არ უხატია, ნახა საგამოფენო დარბაზში დე კირიკოს ნამუშევრები, იგრძნო, რომ ასეთ სამყაროს ეგეც ღრმად განიცდიდა და პირდაპირ დაიწყო ხატვა. ასე გახდა წამყვანი სიურრეალისტი. ნდობაა საჭირო, მიმართვა, გამხნევება, დიდი ყურადღება, სიფაქიზე, დანარჩენი თავისით გვარდება. სინერგეტიკას უნდა გავეცნოთ, თუ როგორ აგვარებს ბუნება თავისით ფორმის და სტრუქტურის ორგანიზაციას. ამ აუთენტურობას, ამ ორგანულ პროცესს არ სჭირდება ძალდატანება, პირველ რიგში, ეს ძალდატანება უნდა მოიხსნას აკადემიაში. მაშინ აკადემია გახდება ადგილი, სადაც იქნება ლტოლვა შეუცნობადისკენ და ადგილი, სადაც ჩნდება კითხვები, დაიბადება გამრღვევი შემოქმედებითი იმპულსები, თორემ სხვანაირად გვეყოლება გაუთავებლად კარგი ხელოსნები, კარგი „ოსტატები“, ილუსტრატორები, კომპილატორები – თანამედროვე ხელოვნებისათვის კი არც ერთი მათგანი არ გამოდგება.

თუ არ ვცდები, პავლე მოციქულის ნათქვამია: „როგორ მიყვარხარ ადამიანო და როგორ მძაგს შენი ქმედება“.

ფუკოს ფრაზაა: „არასოდეს არ მკითხო ვინ ვარ და არასოდეს არ მომთხოვო დავრჩე ის ვინც ვარ“.

და ბოლოს დელიოსის: „ცოდნა მხოლოდ იმიტომ გვჭირდება რომ ერთ დღეს მისი სრული უძლურების ფაქტი დავადგინოთ და სასოწარკვეთაში ჭეშმარიტი შანსი გაგვიჩნდეს“.

მიშა ხუნდაძე: ისევ იოანე სინელს აქვს ნათქვამი: „თვალის გუგასავით გაუფრთხილდი მწუხარებას, რომ თანდათანობით არ დაგტოვოს მან; რადგან ძლიერი ძალა აქვს და დიდად აღემატება იმ ძალას, რომელიც ჩვენი პირადი მცდელობისა და განსჯის შედეგად მოდის“.

გია ეძგვერაძე: ჰაიდეგერთან ეს მწუხარება ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა და „Worry“-ს ტერმინშია დაფიქსირებული. ჰაიდეგერი თვლის, რომ თუ ეს მწუხარება („Worry“) არსებას არ დასწყებია, ის ჯერ ადამიანად არ შეიძლება ჩაითვალოს – სწორედ ეს მწუხარება ბადებს „poiesis-ის“ წყურვილს, სურვილს, მისკენ სწრაფვას. „poiesis-ის“ პროცესი კი იმ სრულფასოვანი შემოქმედების ფორმაა, რომელსაც ცდილობს, მიუახლოვდეს და მიუერთდეს თანამედროვე ხელოვნება.

ჩვენი დღევანდელი საუბარი იმ კომუნიკაციის ფორმის მაგალითია, რომელსაც მე ჩემ სტუდენტებთან ვახორციელებ და რომელიც გზას უკვალავს ახალი ცნობიერებისკენ ლტოლვას. ეს ლტოლვა და ცნობიერება კი მხატვრულ შემოქმედებით ფორმას თავისით და ძალდაუტანებლად შობს, და მაშინ და ასე მრავლდებიან აუთენტური, ღირებული და უნიკალური მნიშვნელობები.

ინტერვიუ ქორი უილქესთან

<<< დასაწყისი გვ. 66

ის დღე საერთოდ დაუვიწყარი იყო, რადგანაც რამდენიმე ფორმატში უნდა დამეკრა. დაუვიწყარი და მძიმე... როსქოს გარდა ერნსთანაც უნდა დამეკრა, და მანამდის კი მომღერალ მეგი ბრაუნთან, ოსქარ ბრაუნ უმცროსის ქალიშვილთანაც. ძალიან რთულია ვოკალისტებთან დაკვრა, რადგანაც ამ დროს შენ აკომპანიატორი ხარ და არა სოლისტი. შესაბამისად, მათთან მუშაობისას უფრო რბილი, ლირიული მიდგომა უნდა გამოიყენო. იმ დღეს როსქოს თითქმის ყველა ჩემი შესაძლებლობის მოსმენის საშუალება მიეცა, სოლისტის, აკომპანიატორის და ასე შემდეგ. თავისი შთაბეჭდილებები ერთ მეგობარს, დრამერ ვინს დევისს გაუზიარა, ამ უკანასკნელმა კი როსქოს სიტყვები მე გადმომცა. მან მითხრა: „როსქოს ძალიან მოეწონა შენი დაკრული იმ დღეს და მთხოვა მასთან სახლში მიგიყვანო; უნდა, რომ ერთად დაუკრათ“. ამ საუბრის შემდეგ როსქოს გადავურეკე. მან მითხრა: „ჰო, მოდი ჩემთან“. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ის თავისი ახალი ალბომისთვის, Song For My Sister წერდა მუსიკას. სიმართლე რომ გითხრათ, მაშინ არც კი ვიცოდი, თუ რატომ დამპატიჟა და ნიშნავდა თუ არა ეს მიპატიჟება იმას, რომ მის ბენდში უნდა დამეკრა; მეგონა, რომ უბრალოდ უნდა გვემეცადინა. მან ნოტები მიჩვენა და შევეცადე ამ გზით გავრკვეულიყავი მის მუსიკაში; დამიჯერეთ, როსქოს ნოტების კითხვა არცთუ იოლი საქმეა! ეს ადამიანი, განსაკუთრებით კი როდესაც საქსოფონი/ები უჭირავს ხელში, აბსოლუტურად უნიკალურია! ორი საათის განმავლობაში ვუკრავდით, მერე კი მითხრა: „კარგია უილქი, კარგია! ახლა კი მოდი, საქმეს შევუდგეთ“. და დაიწყო სრული სიგიჟე! ის უკრავდა, მე კი რაღაც ფსევდოსამოციანელურ, ძირითადად დასწავლილ კილოებს მივედ-მოვედებოდი. ის წამდაუწუმ მაჩერებდა, არაფერს მეუბნებოდა, უბრალოდ მცირეოდენი პაუზის შემდეგ ამბობდა: „მზად ხარ? თავიდან!“ მეხუთედ თუ მეექვსედ რომ მოხდა ასე, გავბრაზდი და ახლა სულ სხვანაირად დავიწყე დაკვრა; ვუკრავდი იმის საწინააღმდეგოს, რასაც ის უკრავდა! მანამდე კი ლამის ფეხდაფეხ მივდევდი. არ შევუჩერებივარ! სწორედ მაშინ მივხვდი, თუ როგორი პარტნიორი სჭირდებოდა დაკვრისას. ჩვენ უკვე დიდხანს ვუკრავთ ერთად და შევამჩნიე, რომ როდესაც ის სხვებთან, მისთვის ჯერ კიდევ უცნობ მუსიკოსებთან უკრავს, ის რაღაც იდეას სთავაზობს მათ, და თუ ისინი ბრმად მიჰყვებიან მის იდეას, როსქო ადვილად ბრაზდება ხოლმე...

მოდი ისევ ლესთერ ბოუის დავუბრუნდეთ; მან ერთხელ თქვა, რომ ჯაზმენს მუსიკალური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად რამდენიმე ბენდი ესაჭიროებაო...

ჰო, ვიცი და სწორედ ლესთერის გამოა, რამდენიმე ბენდში რომ ვუკრავ ერთდროულად. ამას მისი წამხედურობით ვაკეთებ...

...სწორედ ეს მაინტერესებს: ამას იმიტომ აკეთებთ, რომ ამ დროს შესაბამის ფორმატს ეძებთ თქვენივე იდეების უფრო კარგად გადმოსაცემად, თუ უბრალოდ ადვილად ამოგდით ყელში მხოლოდ ერთ ბენდთან მუშაობა? (ქორი უილქესს ორი ბენდი ჰყავს – Abstract Pulse და Black Slang - კ.თ)

მე უბრალოდ მუსიკა მიყვარს. უამრავ სხვადასხვა მუსიკოსთან დამიკრავს სტილისტურად და ჟანრობრივად განსხვავებული მუსიკა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ საერთო ინტერესები გვაერთიანებდა. ამ დროს კი ხშირად ხდებოდა ისე, რომ ის მუსიკოსები სრულიად ახალი არხის გახსნას ახერხებდნენ ჩემში. მაგალითისთვის ავიღოთ ჩემი ბენდი Abstract Pulse. ჩვენ ახალი საუკუნის დასაწყისიდან ვუკრავთ ერთად. დრამერი აიზაია სფენსერი და საქსოფონისტი ქევინ ნაბორსი ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს. ერთად კი იმიტომ შევიკრიბეთ, რომ ისეთი მუსიკის დაკვრა გვინდოდა, ვინც და რაც ჩვენ ვართ. საბოლოო ჯამში ხომ ყველაფერი კარგ და ცუდ მუსიკამდე დადის?! იმდენად მოგვეწონა ერთად დაკვრა, რომ გადავწყვიტეთ, ბენდად დავრჩენილიყავით. რა თქმა უნდა, ის, რომ ყველა ჩვენგანი AACM-ის (კრეატიულ მუსიკოსთა განვითარების ასოციაცია. 1965 წელს ჩიკაგოელი მუსიკოსების მიერ დაარსებული ორგანიზაცია. www.aacmchicago.org- კ.თ) სკოლაგავლილი ვართ და ეს ფაქტი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის. ჩვენ არ გვინდოდა როსქო მიჩელის, კაჰილ ელ ზაბარის თუ ერნსთ დოქინსის მიერ დასახული გზიდან გადახვევა, მაგრამ ამავე დროს ჩემს პირველ დისკზე Drop It აბსოლუტურად

განსხვავებული გრუვი თუ ტექსტურები შეგხვდებათ, რაც უკვე იმის შედეგია, თუ როგორ გვესმის მუსიკა ყველაფერი ამის მიღმა. როცა ჩემი ბენდისთვის მუსიკას ვწერდი, იმ პერიოდშიც კი, როდესაც როსქოსთან ერთად ტურნეში ვიყავი, სასტუმროში რომ ვბრუნდებოდი და ჩემს მასალას ვუჯდებოდი, მინდოდა ის მუსიკა გადამეტანა ნოტებში, რაც მე მესმოდა. ასეთი მუსიკის შესრულებას კი სხვა ტიპის მუსიკოსები ესაჭიროება; მე მათ ვეძებდი და ვპოულობდი. ეს ჩემი ცხოვრებაა და ესაა ის, რისი კეთებაც მომწონს.

მუსიკოსების გარდა, თქვენ ახალგაზრდა პოეტებთანაც თანამშრომლობთ, მაგალითისთვის ე.წ. დისკო-პოეტ ჰარი ბისთან... (Khari B – www.disco-poetry.com)

ჰარი ბი! საიდან იცნობთ მას? ესე იგი მუათა ბოუდენზე გსმენიათ, არა? ის ჰარი ბი-ს მამაა. საოცარი მუსიკოსი, და AACM-ის წევრი. ეს სულ ერთი საერთო წრეა ჩიკაგოში – მე, აიზაია სფენსერი, ქევინ აბრამსი, ბასისტი დარიუს სევიჯი... ჰარი ბის მათი მეშვეობით შევხვდი და, უკვე დიდი ხანია, ვთანამშრომლობთ...

თქვენ ერთხელ თქვით, რომ ვინაიდან ისტორიულად ჯაზი ცეკვასთან ასოცირდება, სურვილი გაქვთ, ცეკვა ჯაზს დაუბრუნოთ. რატომ მიგაჩნიათ, რომ ეს ნაბიჯი აქტუალურია თქვენთვის, და შესაბამისად ჯაზისთვისაც, დღევანდელ კონტექსტში?

დღეს ჯაზი უკვე აღარაა ისეთი პოპულარული, სახალხო მუსიკა, როგორც ადრე, გასული საუკუნის ორმოციანებსა თუ ორმოცდაათიანებში. რაღაც მომენტში ახალგაზრდებმა ინტერესი დაკარგეს ჯაზის მიმართ მხოლოდ ერთი რამის გამო – ჯაზურ მუსიკაზე ცეკვა შეუძლებელი გახდა. მე არ მინდა მხოლოდ საცეკვაო გრუვზე ორიენტირებული მუსიკის დაკვრა, ასეთი მუსიკა, როგორც წესი, წყალწყალაა. მინდა, რომ ჩემი მუსიკის სმენისას ადამიანებმა რაღაც შეიგრძნონ და ამავე დროს კონცერტზე კარგი დროც გაატარონ. მე მიყვარს ცეკვა, მიყვარს ჰიფ-ჰოფის და სხვა სახის მუსიკის სმენა და აბსოლუტურად ნორმალურად მიმაჩნია საერთო ინტერესებით გაერთიანებულ ადამიანებთან ერთად ასეთი მუსიკის დაკვრა. მუსიკოსები, რომლებიც ჩემ მეორე ბენდში, Black Slang უკრავენ, სხვადასხვა მუსიკალური წრეებიდან არიან. ჩიკაგო, როგორც უკვე ვახსენე, საკმაოდ სეგრეგირებულია ამ თვალსაზრისით. გოსფელის შემსრულებელი მუსიკოსები, როგორც წესი, კლასიკური მუსიკის შემსრულებლებთან „ტუსაობენ“, სხვები თავისიანებთან, მე კი ყველა მათგანთან, რადგანაც ჩემი ცნობისმოყვარეობა ამოუწურავია; ყველაფერი მაინტერესებს! ჩემი დრამერი გოსფელის სკოლის მიმდევარია, ბასისტს კი უბრალოდ ყველაფრის დაკვრა შეუძლია თანაბრად კარგად. როდესაც ის უკრავს, მუსიკა არ ჟღერს ისე, თითქოს ჯაზმენი ავანგარდული მუსიკის ან ჯაზმენი ჰიფ-ჰოფის დაკვრას ცდილობდეს. ის ჟღერს ისე, როგორც უბრალოდ ძალიან კარგი მუსიკოსი. ჩემ მუსიკას რომ დავუბრუნდე, Black Slang-თან დაკვრა რაც დავიწყე, ახალგაზრდა მსმენელთა რიცხვმა ერთიორად იმატა. ჯაზს რომ ვუკრავ, დარბაზში ბევრ ახალგაზრდას ვერ შენიშნავთ. იცით, კიდევ რაზე ვფიქრობ? ვინ იქნება ჩემი მსმენელი ორმოცდაათის ან სამოცის რომ გავხდები? ეს აბსოლუტურად საღი შეკითხვაა. ის ადამიანები, ვინც დღეს ჯაზს უსმენს, უკვე ცოცხლები აღარ იქნებიან, არა? ამანაც გადამაწყვეტინა სხვა ბენდების ამოქმედება, რადგანაც ამ გზით ჩემი კარიერაც გახანგრძლივდება. ადამიანებს სხვადასხვა ინტერესები ამოძრავებთ. ისე არ გამიგოთ, თითქოს მათ ჯაზის მოსმენა აღარ სურთ. არა! როდესაც ახალგაზრდები ჩემს ჯაზ-გიგებზე მოდიან, სრულიად მოულოდნელ რეაქციას ავლენენ: „უჰ, არც კი ვიცოდი ჯაზი ასეთი საკაიფო თუ იყო! ჯაზი მართლაც რომ ფანტასტიკური ყოფილა!“ მათ უბრალოდ არც კი ჰქონიათ იმის საშუალება, რომ ჯაზი ნორმალურად მოესმინათ! აი, ამ გაუთვითცნობიერების მთავარი მიზეზი!

რადგან ახალგაზრდებზე ჩამოვარდა სიტყვა, თქვენ არა მარტო AACM-ის წევრი ხართ, არამედ ჩიკაგოს ჯაზის ინსტიტუტის (www.jazzinchicago.org) ბორდის წევრიც. რამდენადაც ვიცი, ინსტიტუტის ძირითადი ძალისხმევა სწორედ ახალგაზრდა ჯაზ-აუდიტორიის მიზიდვაზეა მიმართული.

ინსტიტუტთან, რომელიც ხშირად სწორედ AACM-თან ერთად ახორციელებს პროგრამებს, უკვე დიდი ხანია, ვთანამშრომლობ და ამ ხნის განმავლობაში მართლაც რომ ბევრი გაკეთდა. დღეისთვის ბევრი საინტერესო პროგრამა მოქმედებს, მაგალითისთვის Made in Chicago, რომელიც საშუალებას აძლევს ადგილობრივ მუსიკოსებს, სხვადასხვა ფესტივალებში მიიღონ მონაწილეობა. ინსტიტუტს ახალგაზრდა მარკეტოლოგთა დიდებული შემადგენლობა ჰყავს, რომლებსაც კარგად ესმით, თუ რას ნიშნავს მსგავსი პროექტების წარმატებულად ორგანიზება. ძალიან, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ჯაზის პოპულარიზაციის თვალსაზრისით ინსტიტუტის და AACM-ის მიერ... ისინი არა მარტო ჯაზის, არამედ ერთმანეთის აქტივობების პრომოციასაც ეწევიან... ეს მნიშვნელოვანია!

დაბოლოს, ეს თქვენი პირველი გამოსვლა იქნება საქართველოში. რას ელით დღევანდელი საღამოსგან?

არ ვიცი... მინდა, რომ შემდეგ ჩამოსვლაზე უფრო დიდხანს დავრჩე. ბოლოს და ბოლოს ასეთი დიდი მანძილი გამოვიარე აქ ჩამოსასვლელად! ჩემი ახალი მენეჯმენტის უფროსი ლესთერ ბოუის ქალიშვილი სუკარი ბოუია; ჩვენ ამას წინათ ვისაუბრეთ და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი რომელიმე ბენდით დავბრუნდები აქ. ისე კი, ვიმედოვნებ, რომ დარჩენილი სამი თუ ოთხი საათის განმავლობაში, ვიდრე დაბნელდება და კონცერტის დრო მოვა, სულ ცოტას მაინც დავათვალიერებ თბილისს...

„პირველი რუსის“ ამბავი

<<< დასაწყისი გვ. 72

ნიკა რურუამ კი უთხრა, რომ ლიტერატურის მიდგომა ისტორიისადმი ან, საერთოდ, ნებისმიერი თემისადმი სრულიად სხვაა და ეკლესიის კი სულ სხვა, და რომ მწერალს ყველაფრის დაწერის უფლება აქვს, თუნდაც სისულელისო. ირაკლი კაკაბაძემ მთელი სია ჩამოთვალა იმ ქართველი მწერლების, რომლებიც წმინდან-მეფეებზე წერდნენ, ჩემზე შთამბეჭდავად აღწერდნენ მათ ეროტიკულ-ვნებიან თავგადასავლებს და რომ *განათლებულ მკითხველს* საერთოდ არ უნდა გასჩენოდა ასეთი ტიპის შეკითხვები. „საბჭოური პერიოდის ლიტერატურაზე ამბობ?“ – შეეკითხა პრესმდივანი. აქ უკვე ნაწყენი მამაოც (მამა გიორგი თუ მამა დავითიც) ჩაერთო დისკუსიაში: ჩემს შვილსაც თამარი ჰქვია და შენ მასაც მიაყენე შეურაცხყოფაო (ამ დროს, თვალებში მიყურებდა), ზოგიერთი მორწმუნე კი საერთოდ *დაბრკოლდა*, როცა ეს მოთხრობა წაიკითხაო. მახსოვს, მამაჩემმა უპასუხა: ვაი იმ მორწმუნეს (ეს „ვაი“ არასდროს დამავიწყდება), ვისაც ლაშას მოთხრობა დააბრკოლებს და რწმენას შეურყევსო. ეს კი არ მახსოვს, რურუამ რა ქნა, მაგრამ მეუფე ზენონმა კი სწორედ მას მიმართა ღიმილით: „იურისტო (ასე უთხრა), ეს არ არის სასაცილო, ანგარიში უნდა გაუწიო მორწმუნეს განცდებს“.

როგორც მოგახსენეთ, დისკუსია მშვიდად მიდიოდა, მაგრამ უეცრად კარი გაიღო და ოთახში „ბუშლატის“ ჯიბეებში ხელებშეყოფილი, ნაცრისფერწვერიანი და კინკრიხოზე სუმოისტივით თმაშეკრული ვინმე მამა ტარიელი შემოვიდა. მამა ტარიელმა გაბრაზებულმა მოათვალიერა ოთახი, ჯიბიდან ცალი ხელი ამოიღო და კლასიკური თბილისელი ძველი ბიჭივით, ხრინწიანი ხმით, იკითხა:

– აბა, ერთი რომელმა დაწერეთ ივანე რუსზე?

...„ივანე“ თქვა „იურის“ მაგივრად.

ჯერ დავიბენით, მერე კი ჩვენდაუნებურად გავითამაშეთ ძველი ამერიკული ფილმის, „სპარტაკის“ ფინალი: „მე ვარ სპარტაკი!.. მე ვარ სპარტაკი!“...

მეუფე ზენონს კი აშკარად დაეტყო, რომ სრულებითაც არ ესიამოვნა მამა ტარიელის შემოსვლა. მკაცრად მიმართა კიდეც, მამა ტარიელო, მაგრამ იმან არც მოუსმინა, – სპარტაკის მეთოდმა არ გაჭრა: მამა ტარიელმა შესანიშნავად იცოდა, ვინც იყო *ივანე-რუსის* დამწერი, ჩემკენ წამოვიდა და ხმამაღლა მითხრა:

– ღირსი არ იქნები ეხლა, ხელები რო დაგიმტვრიონ?! თამარზე როგორ დაწერე!

ერთი „ძმაო“ არ დაუყოლებია, თორემ დანარჩენი ყველაფერი მარიო პიუზოს რომანის თბილისელი ადეპტებისგან ჰქონდა გადმოღებული.

მარტო მამა ტარიელისთვის კი არა, ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო ირაკლი კაკაბაძის რეაქცია. ირაკლი ფეხზე წამოხტა და ისტერიულად დასჭყივლა:

– თქვენ ხართ კაგებეშნიკები, ეშმაკეულები და დამნაშავეები! თქვენ არ ხართ ქრისტიანები!

მახსოვს, მე პატრიარქის მდივანს, შორენას მივუბრუნდი და შეშინებულმა შევთხოვე (გულწრფელად რომ ვთქვათ, ისიც დამფრთხალი იყო):

– ირაკლის დიაბეტი აქვს, მაგის ანერვიულება არ შეიძლება, რამე ტკბილი უნდა ვაჭამოთ!

ქ-ნი მდივნის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საიდანღაც მომენტალურად გააჩინა შოკოლადები და მურაბებიც კი, თუმცა, სამწუხაროდ, ვერაფრის გასინჯვა ვერ მოვასწარით – მართალია, მამა ტარიელი გაისტუმრეს, მაგრამ ახლა თავად გიორგი ანდრიაძე გადაიქცა *მამატარიელად*: გეგონება, მოსამართლე ყოფილიყო და საბოლოო განაჩენის გამოსაცხადებლად ემზადებოდა, ვეებერთელა ხის მაგიდის უკან დადგა, წინ ორი ცალი ფურცელი ჩამოიდო და მითხრა, რომ თუკი ბოდიშს არ მოვიხდიდი, შესაძლოა ყველაფრი *გართულებულიყო*. მერე კი ისეთი დაუჯერებელი რამე თქვა, რომ შუასაუკუნეობრივ ინკვიზიციურ დაკითხვაზე, ან, თუკი უფრო ზუსტი ვიქნები, სტალინური ჩეკას ჯურღმულებში მეგონა თავი...

ამ ორ ფურცელზე, მისი თქმით, სხვადასხვა ტექსტი იყო დაბეჭდილი, პირველში *მონანიე უძღებ შვილად* ვიყავი მოხსენიებული, მეორეში კი ეწერა, რომ მე ეკლესიიდან უნდა განვეკვეთე. თუკი საჯაროდ მოვიხდიდი ბოდიშს, პირველ ტექსტს გაახმაურებდნენ (მონანიე უძღებ შვილზე), ხოლო თუკი არ მოვიხდიდი – მეორეს.

ჩვენ ეს ტექსტები არ წაგვიკითხავს, მხოლოდ იმას ვყვები, რასაც ეს ადამიანი *შვრებოდა*, თუმცა იმაში ნამდვილად არ შემიტანია ეჭვი, რომ ამ ფურცლებზე მართლაც ეწერა *უძღები შვილისა* და *განკვეთილის* შესახებ.

გოგი ძოძუაშვილმაც მაშინვე ჩამჩურჩულა: ლაშ, დავახვიოთ აქედანო და მეც ფეთიანივით წამოვხტი, ანერვიულებულმა დავძახე, საბოდიშო არაფერი მაქვს-მეთქი და ოთახიდან გავვარდი.

ცოტა ხანში მამაჩემიც და ჩემი მეგობრებიც გამომყვნენ.

მახსოვს, სანამ კიბეს მივაგნებდი, მანამდე ბნელი და საკმაოდ განიერი დერეფანი გავიარე. რაც უფრო მეტად ვცდებოდი ჩვენს „სადისკუსიო ოთახს“, მით უფრო კარგად მესმოდა ქალის ხმა (ალბათ, მონაზვნის ან იღუმენიის), რომელიც მონოტონურად კითხულობდა ლოცვებს. უეცრად, დერეფანში შეჭრილ რაღაც უცნაურ ოთახს ჩავუარეთ, რომელსაც სუსტად ანათებდა გრძელ შანდლებზე დარჭობილი რამდენიმე სანთელი. კედლებთან მონაზვნები ჩამომდგარიყვნენ. ლოცვებს

სწორედ ერთ-ერთი მათგანი კითხულობდა. ხოლო წინ, მაღალზურგიან სავარძელზე – ჩვენგან ზურგით და სახით ფანჯრისკენ – პატრიარქი იჯდა და საპატრიარქოს ეზოს ბნელ ბაღს გაჰყურებდა. მე ის ვიცანი *ხელით*, რომელიც სავარძლის სახელურზე ჰქონდა ჩამოდებული. არა მგონია, რომ ოდესმე დამავიწყდეს ეს *სურათი* და მთელი ის საღამო.

5. მეორედ მისვლა საპატრიარქოში

ალბათ, არც იმ „ბრაზიან მორწმუნეთა“ რეაქციები და სატელეფონო ზარები დამავიწყდება, ფონად რომ გასდევდა მთელ ამ ამბავს. მორწმუნე-პატრიოტთა (დედათა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა, პოეტთა და ა. შ.) წერილები სტალინ-ჟდანოვის დროინდელი „პრავდას“ მამხილებელი, მოწინავე სტატიების პათოსით იყო დაწერილი. მართლმადიდებელ ჟდანოველებად გადაიქცნენ უბრალო მოქალაქეებიც: ერთ-ერთ მინიმარკეტში, მაგალიდათ, იქ მოღვაწე მუშაკებმა მაინცდამაინც დედაჩემის გასაგონად გაიმეორეს დეპუტატ-მსახიობ ქაფიანიძის მიერ თქმული: თუ კაია, დედამისზე დაეწერაო. ასევე, როგორც მოგვიანებით გაირკვა, თურმე, „მორწმუნე“ ძველ ბიჭთა მცირე ჯგუფსაც გამოუდია ამ მხრივ თავი – ამის დამწერისთვის ხელები უნდა დაგვემტვრია, მაგრამ მამამ გაგვაჩერაო.

ძირითადი პოლემიკა გაზეთ „რეზონანსში“ იმართებოდა – რეზონანსის რედაქტორმა, ლაშა ტუღუშმა ამაყად მითხრა, ეს სკანდალი ჩვენ განვჭვრიტეთ და გარკვეული თვალსაზრისით ჩვენვე დავგეგმეთო. თუმცა, ცხადია, სტატიები ისე არ გთრგუნავდა (ბოლო-ბოლო, არც წაიკითხვდი), როგორც სატელეფონო ზარები და ცოცხალი რეაქციები. მართალია, რეალურად არც არავის აღუსრულებია თავისი მუქარა და, როგორც ქართველებს სჩვევიათ, ეს ყველაფერი *ვერბალური ტერორიზმით* შემოიფარგლა, მაგრამ ნაკლებად უსიამოვნო როდი იყო სიძულვილის ეპიცენტრში ყოფნა. ყველაზე დამღლელი კი მაინც ის გახლდათ, რომ უმეტესად არავის უნდოდა ჩემი არგუმენტების მოსმენა, – ბრაზიანები ხომ თავისთავად, მაგრამ სხვებიც, ანუ მსუბუქად გაბრაზებულებიც აბსოლუტურად დარწმუნებულები იყვნენ, რომ მე შევცდი, ცუდად მოვიქეცი და რომ *ასეთი რამეების წერა არ შეიძლება*.

ზოგი, მაგალითად, იმასაც ფიქრობდა, რომ ფსიქიური ან სხვაგვარი პრობლემები მქონდა. მახსოვს, ერთხელ, ჟურნალ „სარკეს“ კორესპონდენტი მესტუმრა სახლში და უეცრად ყოველგვარი შესავლის გარეშე მითხრა: თქვენზე ამბობენ, რომ რახან ესეთ მოთხრობებს წერს, სექსუალური პრობლემები აქვს და შემთხვევით პედერასტი ხომ არ ხართო? პატარა გოგონა გახლდათ, მაგრამ ძალიან ბრაზიანი. დაბნეულობისგან ენა ჩამივარდა (არ ვიცოდი, რა მეპასუხა), მამაჩემი კი ოთახში შემოვარდა (თურმე, მასაც გაეგონა ჟურნალისტის შეკითხვა) და აღელვებულმა მომაძახა:

– უთხარი, უთხარი, რომ ჰეტერო ხარ, უთხარი, რომ ქალები მოგწონს!

მგონი, სწორედ იმ დღეს „დაგვიბარეს“ ხელმეორედ საპატრიარქოში. ირაკლი კაკაბაძეს, როგორც წესი, მეუფე ზენონი და გიორგი ანდრიაძე ურეკავდნენ ხოლმე და საპატრიარქოს *უახლეს მოთხოვნებს* აცნობდნენ. ეს ორი ისე იქცეოდა, რომ ჩვენ გვეფიქრა: აი, ესენი გვეხმარებიან. არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც ასე ყოფილიყო. თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, იმ ხანად ყველაზე მეტად სწორედ ეს წყვილი მიშლიდა ნერვებს.

ირაკლი კაკაბაძემ მითხრა, რომ პატრიარქს უნდა შევხვედროდით, მაგრამ ამჯერად რატომღაც მე აღარ წავსულვარ. ასე რომ, პატრიარქს („ჩემს საქმეზე“) თავად ირაკლი, ჟურნალისტებისგან გულდათუთქული მამაჩემი და რატი ამაღლობელი შეხვდნენ. რატი ამ ეტაპამდე არაადეკვატურ ირონიას იჩენდა „ჩემი პროცესის“ მიმართ – დღეში ათ მესიჯს მაინც მიგზავნიდა შემდეგი ტექსტით: ***ლაშა, ილოცე ღამით? მამა ზენონი***, ან: ***ლაშა, არა ვარ შენით კმაყოფილი*** და ა.შ. იმ საღამოს კი, საპატრიარქოში, ჩემი არ იყოს, ეგეც დათრგუნულა. „ლიბერალურ“ ფრთას ხსენებული მ. ზენონი, გიორგი ანდრიაძე და პატრიარქის მდივანი შორენა წარმოადგენდნენ, „ინკვიზიტორებს“ კი ხსენებული მ. ტარიელი და კიდევ ერთი მამაოც, რომლის სახელსაც იქ მყოფი ჩემი წარმომადგენლები ვერ იხსენებენ. პატრიარქის გარდა ამ შეხვედრას დასწრებია მეუფე დანიელიც, რომელსაც, მართალია, ერთხელაც არ ამოეღო ხმა, მაგრამ მკაცრი სახით კი იყურებოდა.

„ინკვიზიტორები“, თურმე, ჩემს განკვეთას მოითხოვდნენ პატრიარქისგან, „ლიბერალები“ კი ამბობდნენ, რომ არ ღირდა ასე მკაცრად ჩემი დასჯა, ვინაიდან *დარწმუნებულები იყვნენ, რომ მოვინანიებდი*.

მამა ტარიელს წინა შეხვედრაზე თქმული (ოღონდ არა მის მიერ) სიტყვები გაუხსენებია – მორწმუნეები ბრკოლდებიანო და ასეთი რამ უამბნია პატრიარქისთვის: მორწმუნეები თამარის ხატს ვეღარ კოცნიან, *იქ აღწერილი ამბები გვახსენდებაო*. და შემდეგ მოკლედ, თუმცა მკაცრად ჩამოუთვლია ის მიზეზები, თუ რატომაც უნდა განკვეთილიყო ეკლესიიდან ამის დამწერი. „ლიბერალები“ მას სუსტად შეწინააღმდეგებიან. საერთოდ კი არც იმის შემჩნევა ყოფილა ძნელი, თუ როგორ აღიზიანებდათ ერთმანეთი „ლიბერალებს“ და „დამსჯელებს“.

პატრიარქს მამაჩემისთვის დაუკისრებია პასუხისმგებლობა: მისი ბრალია, უკეთ უნდა აღეზარდა შვილიო, – და რატის თქმით, ამ მცირე კამათისთვის სწორედ ასეთი დიპლომატიური ხერხით, *მამის ბრალეულობის გამოკვეთით* დაუსვია წერტილი. „ლიბერალებსაც“ სიხარულით აღუქვიათ პატრიარქის მესიჯი: დამნაშავე *უძღები შვილის* ბიოლოგიური მამა ყოფილა, *ბავშვის* დასჯა ვის გაუგონია, აუცილებლად მოინანიებსო.

საპატრიარქოს „ლიბერალების“ აზრით, „დამსჯელების“ გაჩერება მხოლოდ ერთადერთი რამით იქნებოდა შესაძლებელი: მე საჯაროდ უნდა მომეხადა ბოდიში.

6. მესამედ მისვლა საპატრიარქოში

თუმცა, ცხადია, ბოდიშის მოხდა არც მიფიქრია. მაშინაც ასე ვფიქრობდი და დღესაც იმავე აზრზე ვარ, რომ საბოდიშო არავისთან არაფერი მქონდა.

სკანდალმა კი უკვე *დამღლელ* ფაზაში გადაინაცვლა: მაგრამ დაიქანცა მხოლოდ ერთი მხარე, ანუ ჩვენ. გაბრაზებულებს დაქანცვის არაფერი ეტყობოდათ,

პირიქით: თითქოს უფრო მომრავლებულიყვნენ კიდეც და დამატებითი ენერგიაც მიცემოდათ. ყველაზე აუტანელი კი ეს იყო: რაც უფრო მეტად ვიღლებოდით, მით უფრო გვეშინოდა მოსალოდნელი (თუმცა საკმაოდ აბსტრაქტული) ხიფათის. მახსოვს, როგორ მეშინოდა ქუჩაში გასვლის, ტელეფონის აღების, დაღამების და გათენების, წვერიანებისა და უპეებჩაშავებული უწვერულების, ბრაზიანი დედებისა და აგრესიული ჟურნალისტების... როგორც ჩანს, ყველაზე მეტად სწორედ შიში მღლიდა – ჩემი და სხვისი ფობიები – თორემ ახლა რომ ვიხსენებ იმ დღეებს, რეალურად ეს ყველაფერი არა საშიში, არამედ უბრალოდ *სამარცხვინო* იყო. თუმცა ისიც გასაგებია, რატომაც ვიყავით ასეთი დამფრთხალები: ის, რაც ჩემს (თუ ჩვენს) თავს ხდებოდა, ხდებოდა პირველად და ამიტომ წარმოდგენა არ გვქონდა, ჯერ ერთი, როგორ უნდა მოვქცეულიყავით და მეორეც, მოჰყვებოდა თუ არა რაიმე კონკრეტულად უსიამოვნო იმ ვერბალურ-ფსიქოლოგიურ ტერორს, რომელიც ქართველი „პატრიოტებისგან“ და „მორწმუნეებისგან“ მოდიოდა.

თუმცა, გამამხნევებელთა რიგებს, ზოგჯერ, „ახალი სისხლიც“ ემატებოდა ხოლმე: ერთიმეორეს მიყოლებით დამირეკეს ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა. ჯერ გია ბარამიძემ, რომელმაც მითხრა, რომ თუკი მოვინდომებდი, *ის* და ზურა *ჟვანია ჩემს მაგივრად მოუხდიდნენ პატრიარქს ბოდიშს*. მერე კი თავად ზურა ჟვანიაც შემეხმიანა, რომელიც ცოტა ხნის წინ გადამდგარიყო პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან, შენი მოთხრობით სულაც არა ვარ აღფრთოვანებული, მაგრამ, მოდი, ახლა ერთად მოვიფიქროთ, როგორ უნდა გამოძვრე ამ უაზრო სიტუაციიდანო. ბოლოს მიხეილ სააკაშვილმაც დამირეკა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდა ორ წელიწადში, მისთვის ჩვეული, ოპტიმისტური გაბმული ფალცეტით იცინა და სხაპასხუპით ნათქვამი ამ სიტყვების მერე – „აბა, როგორ ხარ, აბა, როგორ ხარ?“ – ერთადერთი წინადადებით გამამხნევა: *მაგათ* ნედლი წვერი აქვთ, წვერზე ცეცხლი უნდა წაუკიდო და ყველაფერი დალაგდებაო. გამამხნევა იმხანად შევარდნაძის ოპოზიციაში მყოფმა ზვიად ძიძიგურმაც, რომელიც ირაკლი კაკაბაძეს მოჰყვა და, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის, როგორც „ეროვნული“ ყაიდის პოლიტიკოსისთვის სულაც არ იყო მომგებიანი ჩემნაირი „ანტიქართული“ სუბიექტის დაცვა, მაინც არ შეშინდა და ჩვენს ერთ-ერთ *ძალაგამოცლილ* შეხვედრაზე მოვიდა.

მუდმივი კონტროლის ქვეშ ვყავდი საპატრიარქოს „ლიბერალებს“ (მათ ხომ ჩემს *უძღებშვილადქცევაზე* აეღოთ პასუხისმგებლობა), დღეში რამდენჯერმე მირეკავდნენ (ბ-ნი ანდრიაძე კი, საერთოდ, სახლშიც მადგებოდა) და ქვის კომანდორებივით (მოცარტთან ერთი მაინც იყო, ჩემთან კი სრული სამი), ჯიუტად და უდრეკად მომიწოდებდნენ: მოინანიე! მოინანიე! მოინანიე!

– ბოდიში უნდა მოიხადო, – მეუბნებოდა საპატრიარქოს პრესმდივანი, – თორემ სხვანაირად შეუძლებელი იქნება აღშფოთებული ხალხის დაწყნარება.

– უკვე ძალიან გვიჭირს რადიკალური ჯგუფების კონტროლირება, – მაშინებდა მ. ზენონი, – გარკვეული ნაბიჯის გადადგმაა შენგან საჭირო.

სადაც არ მივდიოდი, ყველგან „ბოდიში მოიხადე“, ან „ბოდიში არ მოიხადო“ მხვდებოდა. სიტყვა ბოდიშს ვერსად ვემალებოდი. თუმცა იყო სხვა სიტყვებიც: „რამ დაგაწერინა“ და „ის მაინც ამოგელო“... დათო ტურაშვილმა, მაგალითად, თავისი უფროსი ქალიშვილის ოთახში გამომკეტა, მუხლებზე ჩემი მოთხრობა და კალმისტარი ჩამოიდო და მითხრა: რაც ყველაზე მეტად უშლით ნერვებს, ის ადგილები ამოვიღოთ ან გადავაკეთოთო. თუმცა კითხვა რომ დაიწყო, ყველაფერი *გადასაკეთებელი* მოეჩვენა და ხელი ჩაიქნია.

სწორედ დათოსთან ვიყავით, როცა გადაფითრებულმა რატიმ შემდეგი სახის ინფორმაცია მოგვაწოდა: მამაჩემისთვის დაურეკავთ და უთქვამთ, რომ თბილისში *ახალციხის მრევლი ჩამოსულა თავის მოძღვართან ერთად, რათა დღეს ფიზიკურად გამსწორებოდნენ*.

ახლა კი გვეცინება ამ სიტყვებზე, მაგრამ მაშინ კი ძალიან შეგვეშინდა (აი, ის ხიფათიც, რომელსაც ველოდითო!). მე მაშინვე წარმოვიდგინე, როგორ ჩამქოლავდა ჩემი სახლის სადარბაზოსთან *ახალციხის მრევლი* და დათოს სავარძლეულებზე მიმსხდარ ჩემს გულშემატკივრებს გაბზარული ხმით, ზეცისკენ ხელებაღმართულმა მივმართე:

– წამიყვანეთ პატრიარქთან!

ანუ ეს ნიშნავდა: *გბარდებით*.

დათოს სიდედრმაც, ქალბატონმა ნათელამ, ცრემლიანი თვალებით შემომხედა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ამ დროს, რა კარგი ბიჭი ხარ, კაცო.

პატრიარქმა იმ საღამოსვე მიგვიღო. ამჯერად ჩვენთან ერთად დათო ტურაშვილი (*ჩაბარება* მისი ბინიდან მოხდა) და ნიკო თოფურიძე წამოვიდნენ, რომელსაც, მისივე თქმით, არაფრით დაენახვებოდა მამა ტარიელი. „მე ვიცი რატომაც!“ – ამბობდა იგი. და მართლაც, შენიშნა თუ არა მ. ტარიელმა ნიკო თოფურიძე, ახლოსაც არ გაგვკარებია...

მახსოვს, როგორი აქოშინებული მოვარდა მეუფე ზენონი, – ვიდრე პატრიარქთან შევიდოდით, რაღაც კელიისმაგვარ ოთახში შემიყვანა და მითხრა, რომ თუკი მონანიებას გადავწყვეტდი, კვიპროსზე წამიყვანდა მოსალოცად – ჩადენილზე დაფიქრება გმართებსო – და მოგზაურობის ხარჯების ანაზღაურებასაც შემპირდა.

ამ სიტყვებმა კინაღამ ხელმეორედ გამაქციეს საპატრიარქოდან...

კვიპროსზე წასვლაზე, ცხადია, იქვე ვუთხარი უარი.

პატრიარქმა ღიმილით მიგვიღო, თავზეც ჩამომადო ხელი და მითხრა, ეს რა ამბავი აგიტეხავსო.

ყველანი ვიღიმოდით, მე კი ერთი სული მქონდა, როდის დავიჩივლებდი ახალციხის მრევლზე და როდის მივიღებდი პატრიარქისგან *უსაფრთხოების გარანტიებს*.

ნიკო თოფურიძემ კი მას მეტისმეტად უცნაურად შეახსენა, თუ ვინც იყო:

– უწმინდესო, ჩვენ სუფრაზე შევხვედრივართ ერთმანეთს.

(თურმე, ნასვამი ყოფილა).

პატრიარქმა გვერდით მომისვა და მითხრა, რომ თამარი ქართველი ერის საყვარელი წმინდანია და მისი შეურაცხყოფა არ შეიძლებოდა. მე კი ვთქვი, რომ თამარ-მეფეზე ცუდი არაფერი დამეწერა (ანკი სხვას რას ვიტყოდი!) და რომ ეს მოთხრობა რუსებზე იყო.

– მერე არ გეშინია, რომ რუსებმა ეს მოთხრობა წაიკითხონ და ომი და-

გვიწყონ? – მკითხა პატრიარქმა.

იმდენად მოულოდნელი და გულუბრყვილო (მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა) შეკითხვა იყო, რომ პასუხი ვერც მოვიფიქრე, დავიბენი.

მდივან შორენას, მახსოვს, ჟურნალი „დრო მშვიდობისა“ ეჭირა ხელში და, თუ არ ვცდები, ჩემ მოთხრობაში ის ადგილები ჰქონდა გახაზული, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე უხამსად ეჩვენებოდა.

– რატომ დასცინი ლოცვებს? – მკითხა პატრიარქმა, – იქ შენ „მამაო ჩვენოზე“ გიწერია... ჩვენ ხომ ყოველდღე ვამბობთ „მამაო ჩვენოს“.

მე ვთქვი, რომ მეც ყოველდღე ვამბობ და სულაც არ დავცინი, ეს მხოლოდ ლიტერატურული ფორმაა-მეთქი, თუმცა მივხვდი, რომ საერთოდ არ მინდოდა პატრიარქთან კამათი (მით უმეტეს, რომ თვითონაც არ მეკამათებოდა) და დავდუმდი. უფრო სწორად, კამათში კი არ იყო საქმე, უბრალოდ, არ მინდოდა, რომ ამ სიმშვიდეში, ამ *ნელ რიტმში* დისონანსი შემეტანა ჩემი რეპლიკებით და იქ დამკვიდრებული (თუნდაც გარეგნული) სიწყნარის *მიღმა* აღმოვჩენილიყავი. თუმცა ბოლოს მაინც მოვახერხე და აგრესიულთა შესახებ მოვყევი (ძალიან მინდოდა მეთქვა, ზოგიერთ მღვდელს ჩემი ჩაქოლვა უნდა-მეთქი, მაგრამ მომერიდა). პატრიარქმა კი თქვა, რომ ხალხი ღელავს ამის გამო და მათი დაწყნარება არცთუ ისე ადვილი იქნება, მეუფე ზენონმა კი მე შემომხედა და პატრიარქივით დინჯად და მტკიცედ მომმართა: ახლა სწორედ ამ აღელვებული ხალხის დაწყნარებაა საჭიროო (ტექსტი უძღებ შვილზე!)...

მე ჩავიბლუყუნე, რომ თუკი მორწმუნეთა გრძნობებს შეურაცხყოფა მივაყენე, სინანულს განვიცდიდი ამის გამო და თავი ჩავქინდრე.

– ყველაფერი კარგად იქნება, – გვითხრა პატრიარქმა და აუდიენციაც დასრულდა.

დერეფანში, თუ არ ვცდები, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი დაგვხვდა, რომელიც ცნობისმოყვარედ გვეკითხებოდა: „რა მოხდა? რა მოხდაო?“, პატრიარქის მდივანმა შორენამ კი ვეებერთელა სანთლები დაგვირიგა და ისე *ყოფითად*, ისე ჩვეულებრივად მითხრა, თამარს რომ ნახავ, გადაეცი, პატრიარქთან ვიყავი და მონანიებას ვაპირებო, რომ თავიდან ვერც მივხვდი, რომელ თამარზე მეუბნებოდა – მეთქი, ვიღაც საერთო ნაცნობი გვყავს... თურმე, თამარ-მეფეს გულისხმობდა.

მამა ტარიელის დამაფრთხობელმა, მსუბუქად მოქანავე ნიკო თოფურიძემ კი ღიმილით ჰკითხა: შორენა, თქვენ რომელი სკოლა დაამთავრეთო?

სიტუაციისთვის იმდენად შეუფერებელი შეკითხვა იყო (ადამიანი თამარ-მეფესთან შეხვედრას მიგეგმავდა და ამან კი მისი სკოლის ნომრის გამორკვევა დაიწყო), რომ ქ-ნ შორენას პასუხს არც დავლოდებივარ – უხერხულობისგან გამოვეცალე.

მეუფე ზენონმა მამა დავითის ეკლესიაში დამიბარა მეორე დღეს (მგონი, იქ წირავდა): შუადღის თორმეტ საათზე ერთობლივი პრესკონფერენცია უნდა ჩაგვეტარებინა, სადაც მე საჯაროდ მომიწევდა ბოდიშის მოხდა.

იმ დღეს სახლში არ დავრჩენილვარ, მე და რატიმ ძებნილი კრიმინალებივით გავათენეთ ღამე, რადგან გვეშინოდა, რომ სახლთან არ ჩავექოლე ვინმეს (ვთქვათ, ახალციხელ მამაოს), როგორც ეს მაშინდელ ცნობილ ეკზეკუტორებს (*მამა ბასილებს* და სხვა მისნაირ მართლმადიდებლების „დამცველებს“) სჩვეოდათ ხოლმე: ამ *ზონდერჯვაროსნებისგან* ხომ ყველაფერი მოსალოდნელი იყო.

7. პირველი დასასრული

მთელი ღამე გავათენე: ვბრაზობდი, რომ შარაძე-ქაფიანიძე-მამა ტარიელების მსგავს ფარისევლებს, ურაპატრიოტებს და რეტროგრადებს უნდა გაემარჯვათ, თუმცა იმასაც ვხვდებოდი, რომ, ალბათ, სწორედ ეს „ბოდიში“ დაუსვამდა წერტილს მთელ ამ კოშმარს. აბა, რატომ მოითხოვდნენ ჩემგან ასე ჯიუტად ამ *აღიარებას*? ჩემი აზრით, ეს ორგანიზებული აგრესია საპატრიარქოს რადიკალების მიერ იყო მართული და ჩემი „მაპატიეთ, შევცდი“ პატრიარქის თვალში კიდევ უფრო აღამაღლებდა (და გააძლიერებდა) იქაურ „ლიბერალებს“ („აი, სწორედ ამათ და არა რადიკალებმა შეძლეს გზასაცდენილის მოქცევა!“), შესაბამისად, პატრიარქი ბევრად უფრო მკაცრი იქნებოდა რადიკალების მიმართ და „თავდასხმებიც“ შეწყდებოდა. თუმცა, შესაძლოა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ვარაუდები ყოფილიყო და სხვა არაფერი.

შუადღის თორმეტ საათამდე (*ანუ საჯარო ბოდიშამდე*) ორი საათი იყო დარჩენილი. მე უსაფრთხოდ მივედი სახლში (რატომღაც მეგონა, რომ თუკი ჩამქოლავდნენ, აუცილებლად სადარბაზოში, ლიფტებთან) და შევეცადე თავი განმეწყო მთაწმინდის პრესკონფერენციისთვის. უძილობის, დამცირებულობის და დეპრესიის გამო დაავადმყოფებულ, გაღიზიანებულ მოხუცს ვგავდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს საწამლავი უნდა დამელია ორ საათში. რატი ჩემთან ერთად იყო და არ მეკამათებოდა – ჩემს *ბოდიშს* ისიც შეგუებოდა, თუმცა ვერც იმის ძალას პოულობდა საკუთარ თავში, რომ ჩემი კომპრომისი გაემართლებინა... თუნდაც ფსიქოთერაპიული მოსაზრებებით.

ფაქტობრივად, ერთდროულად მოვიდნენ (ჩემს წასაყვანად) გიორგი ანდრიაძე და (ჩემი საბოლოო გადაწყვეტილების გასაგებად) ნინია და ირაკლი კაკაბაძეები. მეც, ისე მოხდა, რომ დედაჩემთან და ნინიასთან ერთად აღმოვჩნდი ჩემ ოთახში და მათ უახლოესი გეგმები გავაცანი: ორ საათში *ქართველ ერს* ბოდიში უნდა მოვუხადო-მეთქი. როგორც ჩანს, იმ დილით არც ერთი არ ელოდა ჩემგან *ასეთ პრინციპულ კომპრომისს*, ხოდა ისე აღშფოთდნენ, რომ გამიკვირდა კიდეც. ნინია ამბობდა, რომ მე საბოდიშო არაფერი მქონდა, და თუკი ბოდიშს მოვიხდიდი, ეს იქნებოდა საშინელი და სამარცხვინო პრეცედენტი. თითქმის იმავეს მეუბნებოდა დედაჩემიც. მოკლედ, გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ იმ დღეს მხოლოდ ამ ორმა შეძლო ჩემი გამხნევება. გიორგი ანდრიაძეს უარი ვუთხარი პრესკონფერენციაზე წასვლაზე, მეუფე ზენონს (რომელმაც ერთი ათჯერ მაინც დამირეკა იმ დილით) პრინციპულად და რაღაცნაირი ნიშნისმოგებითაც კი გავუთიშე ტელეფონი და ჟურნალისტები ჩემ სახლში დავიბარე. მთელი *ჭეშმარიტად* ლიბერალური ბოღმა მათთან უნდა ამომენთხია. დამირეკა მამაჩემმაც, რომელიც ჩემზე მეტად დათრგუნული იყო,

და როცა გაიგო, რომ ბოდიშის მოხდას არ ვაპირებდი, უცნაურად (და სრულიად მოულოდნელად) გამხიარულდა: როგორც საჭიროდ თვლი, ისე მოიქეცი, მითხრა.

ჟურნალისტები მალევე მოვიდნენ და მეც სახელდახელო პრესკონფერენცია მოვაწყვე. ვთქვი ყველაფერი, რასაც გულწრფელად ვფიქრობდი, – *ვთქვი, რომ საბოდიშო არაფერი მაქვს, მაგრამ თუკი მორწმუნეთა გრძნობებს შეურაცხყოფა მივაყენე, სინანულს გამოვთქვამდი ამის გამო.* ასევე ვთქვი, რომ შარაძეებს და მისთანებს არანაირი უფლება არა აქვთ, მწერლებს უბრძანონ, რა წერონ და რა არა; და რომ ლიტერატურა და თავისუფლება სინონიმებია და ცენზორების დრო საბჭოურ წარსულს ჩაბარდა. ეს პათეტიკური ტექსტი სიტყვებით – მე ბოდიშს არ ვიხდი – დავასრულე და ამაყი და აღაჟღაჟებული დავემხე სკამზე.

მე ჩამწერეს ტელეკომპანიების, პირველი არხისა და „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებმა (სხვები, მგონი, არ ყოფილან) და ჩვენც შიშით, თუმც, ვიმეორებ, ამაყად დაველოდეთ მათ საინფორმაციო გამოშვებებს.

მთელი დღის განმავლობაში არც ერთ საინფორმაციოში არ გაუშვიათ ჩემი ინტერვიუ (მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოთხრობის ამბავი იმ კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო და, ვფიქრობ, არცთუ ისე ცოტა ადამიანს აინტერესებდა, როგორ დასრულდებოდა ეს ყველაფერი), საღამოს რვის ნახევარზე კი სახელმწიფო ტელევიზიის დირექტორმა, ზაზა შენგელიამ დამირეკა და ბოდიში მომიხადა იმის გამო, რომ ჩემს ინტერვიუს ვერ გაუშვებდა:

– შორენამ დამირეკა და მთხოვა, არ გამეშვა, – მითხრა მან, – ხომ გესმის, საპატრიარქოს ვერ გადავახტები.

ზაზა შენგელია ბევრად უფრო ღირსეულად მოიქცა (ინტერვიუ მაინც არ დამიჩეხა), ვიდრე „რუსთავი 2“-ის მაშინდელი ხელმძღვანელობა.

„რუსთავი 2“-ის საღამოს საინფორმაციო გადაცემაში გავიდა სიუჟეტი, სადაც მხოლოდ ერთადერთი ფრაზა იყო დარჩენილი ჩემი დილის ინტერვიუდან: „...თუკი მორწმუნეთა გრძნობებს შეურაცხყოფა მივაყენე, სინანულს გამოვთქვამ ამის გამო“, შემდეგ კი *ჟურნალისტის სიტყვები* „დაედო“ ჩემ გამოსახულებას: **მწერალმა ლაშა ბუღაძემ ბოდიში მოიხადა.** სიუჟეტი საპატრიარქოს მაშინდელი პრესსპიკერის, ერთ-ერთი სასულიერო პირის წაკითხული ტექსტით დასრულდა.

ამ ტექსტში *უძღებ შვილად* ვიყავი მოხსენიებული.

ასე რომ, მართალია, პირადად მე ბოდიში არ მომიხდია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, *საჯარო ბოდიში* მაინც შედგა.

და, როგორც ვვარაუდობდი, მაშინვე შეწყდა ვერბალურ ტერორისტთა ზარებიც. თუმცა, სამაგიეროდ, ახლა *თანაგრძნობით აღსავსე* სეირის მაყურებლები მეხმიანებოდნენ, რომლებიც „ბრაზიანებზე“ მეტად მიშლიდნენ ნერვებს: ბოდიში უნდა მოგეხადა, აბა რა, სწორად მოიქეციო. მეც დაუღალავად ვყვებოდი ერთსა და იმავე ამბავს, – ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ დავძლიე შიში, როგორ არ მოვიხადე ბოდიში და როგორ დამწამა ცილი (სავარაუდოდ აქაც საპატრიარქოს ცენზორების ჩარევის შედეგად) „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა. შეიძლება ვცდები, მაგრამ მიუხედავად მათი ჩემდამი კეთილგანწყობისა („მოთანაგრძნობეებს“ ვგულისხმობ), ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ, სინამდვილეში, ძალიანაც გაუხარდათ, ან, ყოველ შემთხვევაში, დამშვიდდნენ მაინც, რომ გმირი ვერ შედგა ჩემგან.

საბოლოოდ კი, მგონი, მას შემდეგ შეწყდა ჩემზე თავდასხმები, რაც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე ელაპარაკა პატრიარქს. მამაჩემს, მაგალითად, შევარდნაძემ ასეთი გენიალური ფრაზაც კი უთხრა: ეს კაცი (*ანუ პატრიარქი.* – ლ. ბ.) მაგ თანამდებობაზე 1977 წლიდან მუშაობს და ასეთი მძიმე საუბარი მასთან არასდროს მქონიაო.

გაოგნებული ვიყავი, როცა შევარდნაძემ თავის ტრადიციულ „ორშაბათის რადიოინტერვიუში“ ჩემზე და ჩემს მოთხრობაზე ილაპარაკა, თითქოს გამომესარჩლა კიდეც და ხალხს მეტი გულისხმიერებისკენ და სიმშვიდისკენ მოუწოდა. ეჭვი მაქვს, რომ ორგანიზებული ბრაზიანები, ან ისინი, ვინც მისი ცეკას მდივნობის დროს იყვნენ დანიშნულები *საკრალურ პოსტებზე*, ჩემმა ვირტუალურმა ბოდიშმა კი არა, არამედ სწორედ ედუარდ შევარდნაძის პოზიციამ გააჩერა. თუმცა, შესაძლოა, ამჯერადაც ვცდებოდე. ერთი რამ ფაქტია: ედუარდ შევარდნაძის გამოსვლის შემდეგ ვერბალურ ტერორისტთა არც ერთი სტატია აღარ დაბეჭდილა გაზეთებში.

სამდღიან სკანდალს წერტილი დაესვა. ცენზურამ ნაწილობრივ გაიმარჯვა: ტექსტი ვერ აკრძალეს, როგორც საბჭოურ დროს, მაგრამ ჟურნალისტების შეშინება (ან, თუ გნებავთ, დამორჩილება) კი მაინც შეძლეს – ჩემი *ნამდვილი პოზიცია* ხომ არცერთ არხზე არ გასულა.

თუმცა წერტილი მხოლოდ „პირველი რუსის“ ამბავს დაესვა. ზოგჯერ, ახლაც ხდება ასეთი ამბები: თანამედროვე ზონდერმრევლი კელტურ *ჭიაკოკონობაზე* მომლხენ ქართველ თინეიჯერებს ესხმის თავს, უშედეგოდ ცდილობს სატელევიზიო თოქ-შოუს აკრძალვას („წმინდანთა შეჯიბრი ცოდვაა!“), ღორივით დაკვლით, ლინჩის წესით ჩაქოლვით და – რაც ყველაზე სამწუხაროა, კონიუნქტურულ ხელისუფლებასთან ერთად უნისონში – დაპატიმრებით ემუქრება ინტერნეტ-მეტიჩრებს, რომელთაც უცენზურო სიტყვები დაადეს პატრიარქის გამოსახულებას. თუმცა ეს შემთხვევები უკვე იმდენად უსუსური და კომიკურია, რომ გაბრაზებულებსაც კი უთხელდებათ თავთავიანთი რიგები. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ ამით – ამ იდიოტიზმითა და ფანატიზმით – თავად რელიგიის, ქრისტიანობის დისკრედიტირება ხდება და ზონდერმღვდლისგან ნაცემ და ნაგინებ თინეიჯერს თუ ექსთინეიჯერს – ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე – ზოგადად ქრისტიანობაზეც უცრუვდება გული. ეს ადამიანები, ზონდერმამაობები თუ მორწმუნე ამკრძალავები, ვერ ხვდებიან, რომ ამ აგრესიით, ამ ველური და მახინჯი ფანატიზმით არა ჰელოუინის ავ სულებს, ან ინტერნეტის ანტიღვთიურ ბაცილებს, არამედ სწორედ ქრისტიანობას დევნიან ამ ხალხის გულებიდან. რადგან მე ასე მასწავლეს: *როდესაც თავისუფლებას ებრძვიან ადამიანში, ებრძვიან ქრისტესაც.*

ნიკალა

<<< დასაწყისი გვ. 78

ანდა, რომელიმე მედუქნე ეტყოდა ფიროსმანს, დამხატე ოღონდ ხელში ჯაჭვი მეჭიროს, ამ ჯაჭვზე კიდე ყოჩი იყოს გამობმულიო. თბილისში ყოჩების ჩხუბი ძალიან პოპულარული იყო და ბევრ მედუქნეს ესახელებოდა რო კარგი ყოჩი ჰყავდა.

ნიკალას ერთი მეგობარი მედუქნე ბეგო იაქსიევი იგონებს, რომ ერთხელ იმდენი ხატაო, იმდენი მოვუყევი და ხატაო, რომ ბოლოს ველარ მოვიფიქრეთ რაღა დაეხატაო.

გამოვედით დუქნის გარეთო და დავინახეთ ჩარდახიანი ურემი და ნიკალამ თქვა: აგე ეხლა ეს დავხატოთო. აი, ამ ტიპის შეკვეთები არსებობდა და ფიროსმანი თანახმა იყო.

მისი ფასი იცოდნენ – დიდი-დიდი მედუქნეს მისთვის ჯიბეში ჩაედო ერთი ან ორი მანეთი. ისიც დიდი თავპატიჟის შემდეგ. იმ დროისთვის ეს არ იყო მაინცდამაინც გროშები, მაგრამ სასაცილო ფული იმასთან, რასაც თბილისში სხვა მხატვრები იღებდნენ იგივე საქმისათვის.

იმ დროის ცნობილი სირაჯი მესხიშვილი, რომელიც ფიროსმანს დახატულიც ჰყავს, ამბობს, ნიკალას ვალი ეჯავრებოდა, მის კოსტუმს კი ჯიბე არა ჰქონდაო, ე.ი. რასაც ჩააგდებდი იმ წუთში ვარდებოდა და ჩაგდებას კიდევ არ განებებდაო. ამიტომ მისი ჰონორარი საჭმელი იყო და სასმელი იყოო. ყოფილა, რომ ნაჩუქარი ფული ფიროსმანს მათხოვრებისთვის დაურიგებია.

ფიროსმანი ხან იკარგებოდა, ხანაც გამოჩნდებოდა. ხშირად ის თავად ჩამოივლიდა დუქნებს შეკითხვით, რამე ხომ არ დაგიხატოთო, ხშირადაც უნდა გეძებნათ. თუმცა, მედუქნეებმა იცოდნენ მისი საყვარელი ადგილები.

თბილისში ვერ იპოვიდი სხვა ისეთ მხატვარს, რომელსაც ერთი მათლაფა ხარჩოს და ბოთლი არაყის საფასურად დაეხატა რაღაც.

ფიროსმანის გარეგნობაც კი იმ დროის ძველ ქალაქში შეკითხვებს ბადებდა.

იგივე ბეგო, რომელიც 4-5 წელიწადს პატრონობდა ფიროსმანს და მისთვის ტანსაცმელსაც კი ყიდულობდა, გვიამბობს, რომ ნიკალასთვის სამოსის შერჩევა ძალიან ძნელი იყო.

ფიროსმანმა ყოველთვის დახვეწილი ტანისამოსის არჩევა იცოდა და უნდოდა, რომ თავისი მეგობარი მედუქნეხელოსნებისგან გამორჩეული იერისა ყოფილიყო. იმავდროულად, ხშირად ფიროსმანს ეცვა ძველი და ჩამოძენძილი ტანსაცმელი, მაგრამ ეს ძველმანები უხდებოდა, კარგად ედგა ტანზე და ვერც იტყოდი, რომ ეს კაცი მაწანწალაა, თუმცა, სამოსი კი მაწანწალისა ეცვა.

დავანახებდი ხოლმე, ძალიან იაფ, ოღონდ ყარაჩოღლურ სამოსს და თავს გააქნევდა, ჩემი არ არისო, იხსენებს ბეგო.

ერთხელ ვიღაცამ ხუმრობით თბილისელ მედუქნეთა და ხელოსანთა (ყარაჩოხელთა) სამოსის ტრადიციული ატრიბუტი, ბაღდადი გადაკიდა მხარზე და ნიკალამ ბრაზით მოიშორა: არა ვარ ყარაჩოხელი და თქვენნაირი არა ვარო.

ამ სიტყვებს ფიროსმანი ხშირად ამბობდა ხოლმე მეგობართა წრეში.

ერთი საკვირველება ისიც არის, რომ მედუქნეების და ყარაჩოხელების წრეში ის ამბობდა, რომ ტანსაცმელს მნიშვნელობა არა აქვს. ხშირად ფეხსაცმელიც არ ჰქონდა ისეთი, რომ თავისუფლად ევლო ქუჩაში. მაგრამ როგორც კი ერთიორჯერ მოხვდა ევროპული თბილისის მხატვართა წრეში, თქვა, მერიდება აქ ყოფნა, შესაფერისად არ მაცვიაო.

როცა პირველად მიიყვანეს მხატვართა ასოციაციაში, დახმარების სახით ათი მანეთი მიუძღვნეს. ალბათ, შესაფერისი სამოსის ყიდვაც იგულისხმებოდა. მან რამდენიმე დღეში უზარმაზარი ტილო მიიტანა საჩუქრად, თქვენ რომ თუმანი მომეცით, იმით საღებავები ვიყიდე და აი, ეს ნახატი დაგიხატეთო.

იმ დროის თბილისში ღარიბი კაცისთვის ცხოვრება ძალიან ძნელი და აუტანელი არ იყო, თუ მას მეგობრები ჰყავდა. მეგობარი თავს გაგატანინებდა და შიმშილს არ გაგრძნობინებდა.

ფიროსმანს არ ჰქონდა სახლი, არ ჰქონდა ფული, არ ჰქონდა ვალი. ამის მიუხედავად, მედუქნეებმა „გრაფი“ დაარქვეს.

ეს არ იყო მხოლოდ დამცინავი მეტსახელი. ირონიის უკან მის იერი და ღირსება იდგა: სიღარიბეს ფიროსმანი არად აგდებდა.

თბილისში ვერ იპოვიდი სხვა ისეთ მხატვარს, რომელსაც ერთი მათლაფა ხარჩოს და ბოთლი არაყის საფასურად დაეხატა რაღაც და ასეთი მათხოვრული გარიგების დროს, ღირსება შეენარჩუნებინა. მეტიც, შემოეტია კიდეც თავისი ღირსებით და განსაკუთრებულობით.

„გრაფი“ ალბათ აქედანაც მომდინარეობს. თუმცა იქიდანაც, რომ ის თავის ხელობას სიამაყით უცქერდა. მდაბიო ხალხისთვის, მისი წრისთვის ეს გაუგებარი იყო.

როდესაც ნიკალას აღმომჩენმა, მიშელ ლე დანტიუმ, ფიროსმანის შესახებ რამდენიმე წერილი დაწერა უცხოეთში, ხოლო ძმებმა ზდანევიჩებმა მხატვარს ამის შესახებ უამბეს, ნიკალამ ამაყად გამოაცხადა მეგობართა წრეში, მე უკვე საფრანგეთშიაც მიცნობენო.

ნიკალას სიცოცხლეშივე მოეწყო მისი გამოფენა მოსკოვში, ზდანევიჩები კი მის უამრავ ნახატს ყიდულობდნენ და თბილისშიაც გამართეს მისი გამოფენა, ოღონდ ძველი ქალაქისათვის ამ ამბებს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ფიროსმანის სიამაყეც უფრო ახირებული ჩანდა, რასაც პასუხად ხითხითი მო-

ჰყვებოდა ხოლმე. ამიტომ მას „გრაფი“ ერქვა.

ფიროსმანი დუქნის დარბაზის კუთხეში მჯდომი ხატავდა ხოლმე, უვარგის სინათლეში. იქ ყოველთვის ბევრი მოქეიფე იყო, ხმაური, არღნის ხმა (რომელიც, სხვათა შორის, მოსწონდა), ხშირი გადაპატიჟებები. სანამ ამას აიკრძალავდა, ფიროსმანს ყოველ სუფრასთან მისვლა და იქ თითო ჭიქის გამოცლა უწევდა.

ზაფხულობით საერთოდაც ადრე დგებოდა: 6 საათიდან დაიწყებდა მუშაობას და საღამოსთვის რამდენიმე ნახატს უმთავრებდა ხოლმე მედუქნეებს. შეიძლება ითქვას, სამუშაო დღის ბოლოს ის დაქანცული და მთვრალი იყო და იქავე, დუქნის უკანა ოთახში იძინებდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ფიროსმანი ლოთი იყო.

მაგრამ ის არ თვრებოდა. ლოთები არ თვრებიან. მათ არაყი სიცოცხლისათვის სჭირდებათ.

შემორჩა მისი გამონათქვამი, რომელსაც ხატვის დროს წამოისროდა ხოლმე: ბეგო, ბიჭო, არაყი მომაშველე!

ეს ჩვეულებრივი, საწყალი ლოთი კაცის მოწოდებაა. იმისათვის, რომ ემუშავა, გალოთებულ ფიროსმანს აუცილებლად უნდა დაელია. ქეიფის მოტივი მის სმაში არ იყო, ეს იყო მარტოხელა კაცის ლოთური პორციები, რომელსაც ის იღებდა დღის განმავლობაში.

ერთი სადგურისპირა მედუქნე იხსენებს, რომ დილაობით, აცახცახებული ფიროსმანი მიდიოდა მასთან და სთხოვდა, რამე დამალევინე და სანაცვლოდ რასაც, რამდენსაც გინდა დაგიხატავო.

ნახსენებ სირაჯ მესხიშვილს გამოუვიდა საოცარი, არაჩვეულებრივად ზუსტი ფრაზა ფიროსმანის შესახებ: ხატავდა იმიტომ, რომ დაელია და სვამდა იმიტომ, რომ დაეხატაო.

თბილისი არ იყო დიდი ქალაქი, მაგრამ ერთი თავისებურება კი ჰქონდა. ამ ქალაქში ადამიანი ძნელი მოსაძებნი იყო. ნახსენები საზღვარი ძველ ქალაქსა და ევროპულ ნაწილს შორის თუმცა უხილავი გახლდათ, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო ყრუ კედელი, რომლის იქით ევროპული ნაწილიდან მისული კაცი ბრმას ჰგავდა, ხელის ცეცებით დადიოდა. თუ ამ თავისებურებას იმასაც დავუმატებთ, რომ თავად ფიროსმანიც რაღაც გასაოცრად მოძრაობდა ქალაქში, მისი პოვნა თითქმის შეუძლებელი იყო. ეს მეგობრებსაც კი უძნელდებოდათ. ჰკითხავდნენ ხოლმე: სადა ხარ, სად გადაიკარგეო და მიუგებდა, აი, დიდუბეში ვიშოვე პატარა ოთახი და იქა ვარ და წყნარათა ვარო. როცა უნდოდა, თვითონ აუცილებლად მოგძებნიდა. მისი აღსასრულიც მისი ამ მარტო სიარულის და გაქრობის უკანასკნელი გამოხატულება იყო.

ძველი ქალაქის ხალხს, ევროპულ ქალაქში არ იცნობდნენ. იყო ერთი-ორი გამონაკლისი, მაგრამ ეს მხოლოდ წესს ადასტურებდა.

ფიროსმანი კი აუცილებლად გრძნობდა, რომ მას უნდა გაერღვია ეს უხილავი საზღვარი და ევროპულ თბილისში მოხვედრილიყო. ის ამას გრძნობდა, მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველი არ უნდა ჰქონოდა. თუმცა, ჰქონდა სურვილი, ამ სურვილის ასასრულებლად კი არანაირი იარაღი არ გააჩნდა, არც ხასიათში და არც ყოფაში.

ეგებ ამიტომაც, მის ტილოებზე შეიმჩნევა რაღაც საოცარი მშვიდი უიმედობა. ასეთივე მშვიდი უიმედობა გამოსჭვივის მისი ორიოდე ფოტოპორტრეტიდან, რომლებიც ისტორიამ შემოგვინახა.

მაგრამ ფიროსმანი უნდა აღმოეჩინათ და ის აღმოაჩინეს. აღმოაჩინეს ევროპული თბილისის შვილებმა, მაგრამ მერე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.

პირველი მსოფლიო ომი იყო ფიროსმანის დასასრულის დასაწყისი, მაგრამ მან ეს არ იცოდა.

დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა: თბილისის ყველა შემოსასვლელში ფიროსმანი იდგა.

კოჯრის დაღმართებიდან რომ ჩამოხვიდოდი და უწევდი ველიამინოვის ქუჩის შესაყარს შუა ბაზართან, იქ პირდაპირ ვიტრინაში გამოედოთ ფიროსმანის ტილოები.

წამოხვიდოდი დიღმიდან საბურთალოს გამოვლით და სანამ მტკვარზე გაკიდულ ბორანს უწევდი, წააწყდებოდი „შავი ვანოს დუქანს“. იქაც ფიროსმანი ეკიდა.

სხვა მხრიდან დაძრული, მოაწევდი თუ არა იარმუკას, ისევ ფიროსმანი შემოგეფეთებოდა. ასეთი შემოსასვლელი ტბილისში ბევრი იყო, ყველგან დუქანი იდგა და ყველგან შეგეძლო გენახა ფიროსმანის ტილოები, ოღონდ საქმე ის არის, რომ ამ დუქნებში ევროპული თბილისის შვილები და ინტელექტუალები არ დადიოდნენ.

მაგრამ იყო ერთი შემოსასვლელი თბილისში, საიდანაც ნასწავლი ხალხი ხშირად შემოდიოდა. ეს იყო თბილისის სადგური და ამ სადგურიდანაც რო გამოხვიდოდი, ყველგან იყო ფიროსმანი:

უამრავი დუქანი, საჩაიე, სასტუმრო, სირაჯხანა, რესტორანი, ტრაქტირი და ფიროსმანის ტილოები. ამიტომ, თუ ფიროსმანი საპოვნელი იყო, მას აუცილებლად იპოვნიდნენ. და ის იპოვეს, სწორედ სადგურისპირა დუქნებში, ძმებმა ზდანევიჩებმა და რუსულპასპორტიანმა ფრანგმა მიშელ ლე დანტიუმ.

– ეს ჯოტოა, ჯოტო.... – ასე ბუტბუტებდა ლე დანტიუ, როდესაც ფიროსმანის ტილოები შეამჩნია ნახევრადბნელში.

ასე მოიწონეს პირველად ფიროსმანი ევროპული თბილისის შვილებმა და ამას მოჰყვა ბევრი რამ, რასაც თითქოს უნდა შეეცვალა ფიროსმანის ცხოვრება.

როდესაც კირილ და ილია ზდანევიჩებმა და ლე დანტიუმ ფიროსმანის ნახატები იპოვეს, ამოიცნეს ისინი და მათი შეგროვება დაიწყეს, მშვიდობა იდგა, თუმცა ახლოვდებოდა პირველი მსოფლიო ომი, რომელშიც დაიღუპა ლე დანტიუ და დაიჭრა ილია ზდანევიჩი.

ზაფხულში არდადეგებზე ჩამოსული ზდანევიჩები და ლე დანტიუ, რომლებიც უფრო ხალხური ხელოვნების ნიმუშებს ეძებდნენ და კერამიკით იყვნენ დაინტერესებულნი, შეიქნენ ნამდვილი მოგზაურები ძველი თბილისის დუქნებში. ფიროსმანი არავიში ერეოდათ და ერთხელ ნიკალასაც გადააწყდნენ, კითხვა-კითხვით მიაგნეს სამუშაოში ჩაფლულს, როცა კედელზე წერდა სიტყვას „სარძევე“.

მათ ილაპარაკეს: ფიროსმანი იყო ძველმანებში ჩაცმული და ძალიან ღირსეული.

მერე ისე მოხდა, რომ ისინი დამეგობრდნენ. ფიროსმანი ხატავდა და ჩუქნიდა მათ უამრავ ნახატს. მან დახატა კიდეც ილიას პორტრეტი.

ძმები არდადეგებზე თუ ჩამოდიოდნენ ტბილისში და ფიროსმანს არ ივიწყებდნენ. ეხმარებოდნენ, კვლავ ეძებდნენ და აგროვებდნენ მის ნამუშევრებს, ცდილობდნენ როგორმე გაზეთებამდე მიეტანათ

მისი ამბავი, თბილისელი აკადემიური მხატვრებისთვის ეჩვენებინათ.

ამ მხატვართა უმრავლესობა მერე ძალიან მტრულად შეხვდა ნიკალას, მათ შორის ყველაზე ცნობილი, გიგო გაბაშვილი, მაშინდელი აქაური მხატვრების მეტრი. ის სასტიკად არ ცნობდა ფიროსმანს, მაგრამ შეუძლებელი იყო გაბაშვილს ვერ ამოეცნო ფიროსმანის უსაზღვრო ნიჭი. ეგებ ამიტომაც არ ცნობდა მას შემოქმედად.

პირველმა მსოფლიო ომმა კი ძალიან ბევრი რამ შეცვალა.

ფიროსმანისთვის თვალში საცემი შეიქნა, რო თბილისში დუქნების დაკეტვა დაიწყეს.

ეს იყო სრული კრიზისი, ქვეყანაში იყო გაჭირვება, სამხედრო წესები. თბილისი დაჭრილებით გაივსო. ფაქტიურად, ეს იყო ფრონტის ზურგის მთავარი ქალაქი კავკასიაში.

ფიროსმანის ერთადერთი შემოსავლის წყარო დაიშრიტა.

ახალი დუქნების გახსნა კი არა, თბილისში დუქნები იკეტებოდა.

ომის დაწყებისთანავე ძალიან ბევრი ჯარისკაცი იპარებოდა სამხედრო ნაწილებიდან. თბილისში კიდე იყო 300, 400, 500, 600 დუქანი. ეს ისედაც ღვინისა და ქეიფის ქალაქი იყო. იმ დუქნებში, რომლებშიაც ფიროსმანი მოღვაწეობდა, ღვინო და სადილი ძალიან იაფი იყო. ჯარისკაცები კი იპარებოდნენ, და ყიდდნენ თავიანთ ჩექმებს იაფი ღვინისათვის. ეს იმხელა პრობლემად იქცა, რომ ძალიან მალე დუქნებში ღვინის გაყიდვაც კი აკრძალეს. ხანმოკლე აკრძალვა იყო, მაგრამ მოსახდენი მოხდა: მედუქნეები კოტრდებოდნენ.

რაღა შეკვეთა იქნებოდა, რაღას წააწერდნენ კედლებსა და აბრებს. მთელი წლის განმავლობაში ნიკალამ ერთ ლუდხანას დაუხატა აბრა და ქუჩაზე გამოდგმულ ფარანზე დააწერა ორიოდ სიტყვა.

მაგრამ სწორედ ამ დროს გერმანიიდან ჩამოვიდა მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, რომელმაც, რა საღიმილოც არ უნდა იყოს, სადგურზევე იპოვა ფიროსმანი: ჯერ ტილოები, მერე კი მათი ავტორიც. შევარდნაძე ენერგიული და მონდომებული კაცი იყო, მოჯადოებული ფიროსმანით.

მან მიიყვანა პირველად ფიროსმანი „ნამდვილი“ ქართველი მხატვრების შეკრებაზე, სადაც ნიკალას ძლივს ამოგლიჯეს რამდენიმე სიტყვა. შევარდნაძე ძალიან ცდილობდა რომ მოევლო ფიროსმანისთვის, მაგრამ ჯადო კვლავ მოქმედებდა: ფიროსმანი იკარგებოდა და მას ვერ პოულობდნენ.

შევარდნაძეს ფიროსმანი მხატვარმა გიგო ზაზიაშვილმა აპოვნინა, ფიროსმანისთვის გარკვეულად სიმბოლურმა ფიგურამ. ადამიანმა, რომელმაც მოახერხა ის, რაც ვერ მოახერხა ნიკალამ.

ზაზიაშვილი დაიბადა ძალიან სიმბოლურ ადგილას: თბილისში – ძველი და ახალი ქალაქის საზღვარზე, შუა ბაზარში. მამამისის მსგავსად, იყო თვითნასწავლი მხატვარი, სწორედ იმ ყაიდისა, ძველ ქალაქში რომ „მხატვარს“ უწოდებდნენ. თავისი შრომით წვალებით, დაგვით, მონდომებით და ნიჭით, მან მიაღწია იმას, რომ შეიქნა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და უხვშეკვეთიანი მხატვარი ძველ ქალაქში, და მერე თანდათან გადავიდა ევროპულ თბილისში.

მას ყოველთვის კარგი სახელოსნო ჰქონდა და, რაც მთავარია, მან ადრევე გაიცნო გიგო გაბაშვილი, თავისი სათაყვანებელი მხატვარი.

გაბაშვილმა შეიტკბო ეს თბილელი მხატვარი. ზაზიაშვილი იყო ერთადერთი კაცი ევროპული ქალაქის მხატვრებს შორის, რომელიც ფიროსმანს არა თუ იცნობდა, მეგობრობდა მასთან და მისი მოძებნაც იოლად შეეძლო.

მას არაერთხელ გაუმართავს ხელი ფიროსმანისთვის. ცოლიც კი გაფრთხილებული ჰყავდა, თუ ნიკალამ შემოიაროს, უსადილოდ არ გაუშვა, ხომ იცი როგორი კაცია და უჭირსო. მეტიც, ერთ ხანს, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, ველიამინოვის ქუჩაზე ზაზიაშვილს და ნიკალას ერთად ჰქონდათ სახელოსნო.

უფრო სწორად ეს ზაზიაშვილის სახელოსნო იყო, მაგრამ მან მიიკედლა ფიროსმანი და ერთად მუშაობდნენ რაღაც შეკვეთებზე. თუმცა, ფიროსმანმა ვერც ამ საქმეში ივარგა. წესრიგი მისი ცხოვრება არ იყო. ზაზიაშვილს არაერთხელ უპოვნია მთვრალი ნიკალა ქუჩაში, წამოუყენებია, წაუყვანია, დაუწყნარებია. რაც შეეძლო ეფერებოდა, მაგრამ მათი ურთიერთობა მაინც რთული იყო. დრო გადიოდა, ფიროსმანი კი აუცილებლად გრძნობდა, რომ ის, რაც ჰქონდა ზაზიაშვილს, მასაც ეკუთვნოდა და შეიძლება გრძნობდა იმასაც, რო ერთი ათად ეკუთვნოდა. ამიტომ, ყოფილა, რომ მათ ერთმანეთზე ძვირი უთქვამთ.

მაგალითად, ქართველ მხატვრებთან შეხვედრისას ფიროსმანმა თქვა, ჩვენებურმა ხატმწერებმა, ხატვა არ იციან და რასაც ისინი აკეთებენ, ხატვასთან არანაირი კავშირი არ აქვსო.

რა დასამალია და, ზაზიაშვილი ყველაზე ცნობილი ხატმწერი იყო მაშინ...

ერთხელ ნასვამი ნიკალა ქუჩაში მოდიოდა და რომელიღაც დუქნის კართან ყური მოკრა: ნახეთ, რა ლამაზად დახატა ზაზიაშვილმა აბრაო.

ფიროსმანმა მოიხედა და მოსაუბრეებს დაუყვირა: ზაზიაშვილი, ზაზიაშვილი, მე უკეთესად დავხატავო.

იყო ასეთი ისტორიაც: ჩვენგან არაერთხელ ნახსენებმა სირაჯმა მესხიშვილმა ნიკალას პორტრეტი შეუკვეთა.

ნიკალა რომ მუშაობას მორჩა და წავიდა, მესხიშვილთან ზაზიაშვილმა შემოიარა და ნიკალას ნამუშევარს რომ ახედ-დახედა, იქვე დაიწყო სირაჯის ხატვა. მესხიშვილი იგონებს, ზაზიაშვილის ნახატი უფრო მგავდა, ამიტომ, უკეთესი იყოო. სირაჯს უნდა ვაპატიოთ, რადგან ის უფრო ფოტოგრაფიულ მსგავსებაზე ლაპარაკობს, მაგრამ მეგობართა კონკურენტობაც აშკარაა.

ზაზიაშვილი ეხმარებოდა ფიროსმანს. ფიროსმანი ამ დახმარებას იღებდა, მაგრამ მათი ერთად მუშაობა არ გამოდიოდა. მერე კი ზაზიაშვილმა შევარდნაძეს გააცნო ფიროსმანი. მხატვრები ორჯერ დაეხმარენ ფიროსმანს ფულით. ორჯერვე ეს ფული მას ლადო გუდიაშვილმა წაუღო. პირველად გადასცა, მეორედ კი ვეღარ იპოვა.

უცნაური და მძიმე წელიწადია ფიროსმანისთვის 1916.

ეს ის დროა, როცა ის პირველად შეხვდა მხატვრებს და რაღაცის იმედი მიეცა.

ფიროსმანმა წარმოიდგინა, რომ მისი ბოგანო ცხოვრება დასრულდებოდა და ის ნამდვილი მხატვარივით იცხოვრებდა.

მაგრამ მის გულში იმავე წელს დასამარდა ყოველგვარი იმედი ერთი უცნაური ამბით – ფიროსმანი ორჯერ მოხვდა გაზეთში.

პირველად ის „სახალხო ფურცლის“ სურათებიან დამატებაში გამოჩნდა, სადაც მისი პორტრეტი დაბეჭდეს, როგორც ახლადაღმოჩენილი გენიოსისა და ნიკალას ამ ამბავმა ფრთები შეასხა. მაგრამ მეორე სურათმა, სრულიად გაანადგურა ფიროსმანი.

ზაზიაშვილის ცოლი იგონებს, როგორ მოვიდა ერთხელ მათთან აღელვებული ფიროსმანი და მოიტანა იმავე გაზეთის სურათებიანი დამატება, სადაც ფიროსმანის კარიკატურა იყო დაბეჭდილი:

ფეხშიშველი, ბანჯგვლიანი, ჩამოგლეჯილი ფიროსმანი დგას და ხატავს თავის საოცარ ჟირაფს. თუმცა ჟირაფი იმ კარიკატურაზე საოცარი არ არის, მხატვარს კი ზურგს უკან უდგას იმ დროის განთქმული ესთეტი გრიგოლ რობაქიძე და ეუბნება: ისწავლე მეგობარო, ისწავლე, 20-30 წელი უნდა კარგად ისწავლო, მერე ალბათ ნამდვილი მხატვარი გამოხვალ და გამოფენასაც მოგიწყობენო.

ფიროსმანმა გაზეთი ზაზიაშვილის ცოლს დაუტოვა და უთხრა: შენი ჭირიმე, გიგოს უთხარი, როგორც გადამკიდა აი ამ ხალხს, ისე ჩამომაშოროსო.

მხატვართა წრეს გულისხმობდა.

აქედან ტრაგედიის შექმნა არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩანს, ფიროსმანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ევროპული თბილისიდან გაგონილი ყოველი სიტყვა. ეს მისთვის იმედი იყო.

კარიკატურის კომენტარი მან პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. ხუმრობა, ირონია, სატირა ვერ დაინახა.

ფიროსმანი დადიოდა ამ გაზეთით ხელში ქალაქში და ეტყობოდა, რომ ძალიან განიცდიდა.

ის მივიდა თავის ძმაკაცთან, შაშო მექუდესთან იარმუკაში და იქაც ხელში ეს გაზეთი ეჭირა.

ნახეთ, როგორ გამამასხრესო და რას მიპირებენ და მიშვებიანო: 20-30 წლის მერე მოგიწყობთ გამოფენასო. 20 წლის მერე ხომ მკვდარი ვიქნებიო. ეხლა ომია და ამ ომში თავი რითი გავიტანო, მე 20-30 წელი როგორღა ვიცოცხლებო, – პირდაპირ და გულწრფელად ეუბნებოდა მექუდეს.

სჯეროდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც უნდა შეცვლილიყო.

ფიროსმანი გაქრა ქართველი მხატვრებისთვის. ამ კარიკატურის მერე იგი აღარ უნახავთ.

ის მიეცა ისევ ძველი ქალაქის სამყაროს, რომელიც ძალიან შეცვლილიყო ამ ომის დროს.

მათხოვრობა, დაჭრილები, ეპიდემიები.

ქალაქი სულს ღაფავდა და ცხოვრების არანაირი სახსარი ფიროსმანისნაირი კაცისთვის აღარ არსებობდა. რაც მთავარია, აღარ არსებობდა დუქანი, სადაც ის თავს შეინახავდა.

ერთხელ ზაზიაშვილმა გადაწყვიტა, რომ მოეძებნა ნიკალა და იცოდა სადაც იქნებოდა – მალაკნების მოედანზე, სადგურის უკან. ფიროსმანი ნაჩვევი იყო იქ მისვლას, იქ იკრიბებოდნენ თბილისელი მედროგეები. მედროგეებმა დროგზევე იცოდნენ სუფრის გაშლა და ტრადიციულად ლოთები იყვნენ.

ფიროსმანი იქ იყო: ძალიან მთვრალი და არცთუ კარგ ხასიათზე მყოფი.

ზაზიაშვილი სულ ტყუილად ეცადა მის წამოყვანას: რას აღარ ჰპირდებოდა, მხატვრებს უხსენებდა, საზოგადოებაში გამოსვლაზე ელაპარაკებოდა.

ფიროსმანმა კი გაიცინა, მედროგეებზე მიუთითა და ბრაზიანად უთხრა: აი ჩემი საზოგადოებაო.

ომის ბოლოსკენ, როგორც ჩანს, იყო კანტიკუნტი შეკვეთები. ფიროსმანი სადგურთან ცხოვრობდა, კიბის ქვეშ, შეშისა და ღვინის საწყობში. პატრონი და გულშემატკივარი ერთადერთი კაცი ჰყავდა – ცალფეხა მეჯღანე არჩილა მაისურაძე. ეს კაცი უვლიდა მას, ეხმარებოდა და ამხნევებდა.

და ფიროსმანს ჰქონდა ბოლო შეკვეთა. ეს იყო სასტუმრო, მალაკნების მოედანზევე. ის მუშაობდა და სვამდა ჩვეული გაქანებით.

ეს იყო ძალიან ცუდი დრო, არეულობა და უპატრონობა: რუსეთში იმპერატორი ტახტიდან გადამდგარიყო, გადეზერტირებულ ჯარისკაცთა გუნდები ქალაქში დაბოდიალობდნენ, თბილისში მძვინვარებდა „ისპანკა“, საშინელი, ლამის უკურნებელი გრიპი. წამალი არათუ ღარიბისთვის, მდიდრისთვისაც კი ჭირდა.

იდგა გაზაფხული.

ფიროსმანი მუშაობდა სასტუმროში, თუმცა ყოველთვის ბრუნდებოდა თავისი კიბის ქვეშ. როცა ორ დღეს არ გამოჩნდა, მაისურაძემ, თვითონაც ცალფეხამ და გაჭირვებულმა, მოიკითხა და თავის სოროში, იატაკზე დაგდებული იპოვნა. ფიროსმანი გონდაკარგული არ იყო და მაისურაძემ ჩათვალა, რომ ეს მორიგი ლოთური შემოტევაა, თუმცა, ისიც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მას „ისპანკა“ შეეყარა.

ფიროსმანმა უთხრა, სამი დღეა ასე ვაგდივარ და ვკვდებიო, კაცი არ შემოსულაო. მაისურაძე დატრიალდა, ექიმებიც კი მოუყვანა.

ფიროსმანი წაიყვანეს არამიანცის საავადმყოფოში.

ამის შემდეგ ის ცოცხალი აღარავის უნახავს.

აქ კვლავ უნდა გავიხსენოთ საღებავებით მოვაჭრე პეპოვიანცი, ვის მაღაზიაშიც ფიროსმანი ყიდულობდა ამ თავის დარჩეულ საღებავებს.

ამ არეულ დროში, პეპოვიანცის ყოფილ ნოქარს, პაჭუა მიშას, უპატრონო მიცვალებულთა საზიდარ ეტლზე ეშოვნა სამსახური.

ომის დროს ბევრი ჯარისკაცი და მაწანწალა იხოცებოდა. ამის გამო რამდენიმე სასაფლაო გაეფართოვებინათ და უპატრონოებს სახელმწიფო ხარჯით მარხავდნენ .

პეტრე-პავლეს სასაფლაოს კიდეზეც იყო ერთი ასეთი ადგილი. იქ ერთ დღეს, მეზობლები უპატრონო მიცვალებულ ქალს კრძალავდნენ. ჭირისუფალთა შორის ერია ფიროსმანის ძველი მეგობრის, შაშო მექუდის ვაჟი ვასო. სასაფლაოზე ვასო პაჭუა მიშას გადაეყარა, რომელიც თავის უპატრონოთა ეტლს მოუძღვოდა. პაჭუა მიშამ დანანებით უთხრა ვასოს, რომ ეტლში საბრალო ნიკალა მხატვარი ასვენია, რომელიც საავადმყოფოდან გამოატანეს დასაკრძალად.

ვასო დატრიალდა, მღვდელი მოიყვანა და წესი ააგებინა.

მან ფიროსმანის საფლავი დაიმახსოვრა და იარმუკაზე ამბავი ჩამოიტანა, ჩვენი დაკარგული ნიკალა მომკვდარაო. შაშო მექუდემ და ნიკალას ძველმა მეგობარმა ილია აბაევმა ყველა ძველქალაქური წესი აუსრულეს მიცვალებულს: მის საფლავზე ავიდნენ დამწუხრებულები, სუფრა გაშალეს, ჭიქა წაუქციეს და მერე ქვაც კი დაადეს ნიკალას საფლავს.

20-იან წლებში დაიწყო ფიროსმანის ბუმი.

მაგრამ საფლავი ვეღარ იპოვეს.

ფიროსმანი კვლავ გაქრა.



რაზლაცკი

<<< დასაწყისი გვ. 88

– არა, იმიტომ, რომ სინამდვილეში რელიგია ჩვენი მტერი არ არის, ჩვენი ნამდვილი მტერია ბურჟუაზია, – მოჭრა რაზლაცკიმ.

– იმიტომ იყო, რომ ომის დროს ამხანაგმა სტალინმა ეკლესიაც დაიხმარა და მისი წმინდანებიც? – შეაპარა საეჭვო თეზისი ხომიზურმა.

– წმინდანები შინაგანად კომუნისტები იყვნენ, – განაცხადა რაზლაცკიმ.

– ტყუილად კი არ თქვა ჰიტლერმა, – ქრისტე კომუნისტი იყო და პეტრე და პავლე პირველი ბოლშევიკებიო, – მოულოდნელად როზენბერგის იდეების „გაძლიერება“ დაიწყო ამავე იდეების ერთ-ერთმა მსხვერპლმა მანილოვიჩმა.

– ჰიტლერიც შინაგანი კომუნისტი ხომ არ იყო? – ეშმაკურად იკითხა ხომიზურმა.

– ეგ როლი უფრო ჰიმლერს მოუხდებოდა, – არ დამალა თავისი „სიმპათიები“ მანილოვიჩმა.

– თქვენ არაფერი გესმით, თქვენთან არც მაქვს საქმე, – გაბრაზება დაიწყო რაზლაცკის, – მალაპარაკეთ ჩემ ქართველთან, ამ კაცს ჩემი ესმის.

– მე ასე გავიგე, შენი გაგებით, ყველა კარგი კაცი კომუნისტი ყოფილა სოკრატედან დაწყებული, წმინდანებით გაგრძელებული და რუსთაველით დამთავრებული, – შევაჯამე რაზლაცკის მოძღვრება მე.

– ეს გამარტივებული წარმოდგენაა, – განაცხადა რაზლაცკიმ, – მაგრამ, როგორც სამუშაო ჰიპოთეზა, გამოდგება.

– თუ ღმერთი არ არსებობს, გამოდის, რომ წმინდანები მართლა კომუნისტები ყოფილან, ეს ლოგიკურია, – დაასკვნა ხომიზურმა.

– ე.ი. ფრანცისკო ასიზელის ცხოვრების შესახებ შეთხზული ფიორეტტი „ყვავილები“ სინამდვილეში კომუნისტური პარტიის მანიფესტი ყოფილა, – ვერ დამალა თავისი „აღფრთოვანება“ მანილოვიჩმა, რომელიც ვერასოდეს ფარავდა კათოლიციზმის განსაკუთრებულ მიუღებლობას და ხშირად საუბრობდა ვატიკანისა და ჰიტლერის საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ.

– იცი თუ არა, ლევან, რომ ალექსეი ბორისოვიჩმა სპეციალური ნაშრომი დაწერა სახელად „მეორე კომუნისტური მანიფესტი?“– იკითხა ჟორამ.

– როგორ არ ვიცი, ალექსეი ბორისის ძის საბრალდებო დასკვნა მაქვს წაკითხული, – განვაცხადე მე; ჩემი გაგებით, რაზლაცკი მარქსია და მისი თანამზრახველი ისაევი – ენგელსი.

– მარქს ალექსეი ბორისოვიჩ, ენგელს გრიგორიი ზინოვიევიჩ, რუსთაველი შოთა ვისარიონოვიჩ, პლეხანოვ ფრანცისკ ასიზსკი, ლენინ პიოტრ პავლოვიჩ და სტალინ იისუს იოსიფოვიჩ, – დაიწყო ჩამოთვლა მანილოვიჩმა.

– მაიმუნები ხართ ყველა, ყველას კედელთან მიგაყენებთ და დაგხვრეტთ! – საბოლოოდ გაბრაზდა, როგორც იქნა, რაზლაცკი (ყველაზე მეტად, მე მგონი, ამ პატიოსან ხალხში „რევიზიონისტი“ პლეხანოვის უაზრო „ჩაჩრამ“ აღაშფოთა).

ყველას სიცილი წაგვსკდა.

– ვერც შენ გიშველის ქართველობა, – არ დამამადლა ერთი ტყვია მეც, – თქვენმა ნაციამ მსოფლიოს საკმარისი და საკმარისზე გაცილებით მეტი უკვე მისცა, დანარჩენები საჭირო აღარა ხართ.

– ეს არის შენი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა, – მიუმღერა მანილოვიჩმა.

* * *

პერესტროიკამ ალექსეი რაზლაცკის თავისუფლება მოუტანა. 1987 წლის თებერვალში პოლიტიკური ზონებიდან რომ პატიმრები გამოუშვეს, რაზლაცკიც შეიწყალეს (ამ მოვლენას ხანდახან გორბაჩოვის ამნისტიას უწოდებენ, თუმცა არანაირი ამნისტია არ ყოფილა, ფორმალურად პოლიტპატიმრებმა თითო-თითო წინადადებით შეწყალება ითხოვეს და სსრკ უზენაესმა საბჭომ შეიწყალა). კუიბიშევში რომ დაბრუნდა, ძველებურად წერდა ლექსებს და დღეში 4 კოლოფ პაპიროსსაც ეწეოდა. ხუმრობდა, – მანამ ვიცოცხლებ, სანამ კუიბიშევში ჩემი საყვარელი პაპიროსის, „სევერის“ წარმოება არ შეწყდებაო. ექვსი თვე სამუშაო ვერ იშოვა, ბოლოს „გიპროვოსტოკნეფტის“ ინსტიტუტის კაპიტალური მშენებლობის ლაბორატორიაში ეკონომისტ რაზლაცკის ცალკე კაბინეტი გამოუყვეს კიბის ქვეშ, რომ თავისი პაპიროსები ეწია და თავისუფლად ემუშავა. აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში: აქვეყნებდა სტატიებს, გამოდიოდა „სახალხო ფრონტის“ ხმაურიან კრებებზე

და იმდროინდელ კუიბიშევში პოპულარულად ქცეულ მრავალათასიან მიტინგებზე. ეჩვენებოდა, რომ კომუნიზმის აღორძინება ახლოვდებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს მისი დრო მოდიოდა...

კომუნისტი ალექსეი რაზლაცკი 1989 წლის 6 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა. მე ეს ამბავი დიდი გულისტკივილით შემატყობინეს დაუძინებელმა ანტიკომუნისტებმა, ცალკე ჟორა ხომიზურმა და ცალკე ვადიმ იანკოვმა. საშინლად დამწყდა გული. გულწრფელად რომ ვთქვა, მჯეროდა, მისი ნება რომ ყოფილიყო, მართლა კედელთან მიგვაყენებდა და დაგვხვრეტდა, მაგრამ გული მაინც საშინლად დამწყდა. უყოყმანოდ დაგვხვრეტდა, მაგრამ გული იმასაც დასწყდებოდა. ეტყობა, არც ისე მარტივი არსებაა ადამიანი, როგორც ეს კლასობრივი თეორიით დაბრმავებულ გონებას წარმოუდგენია. სულ მალე, 1991 წლის 25 იანვარს კუიბიშევს სახელი გადაერქვა და ძველი სახელი, სამარა დაუბრუნდა, ხოლო იმავე წლის 26 დეკემბერს, ბევრისთვის ასევე მოულოდნელად საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. პაპიროსი „სევერის“ წარმოება შეწყდა, თუმცა მისი ადგილი ამავე დასახელების ფილტრიანმა სიგარეტმა დაიკავა, ხოლო ალექსეი რაზლაცკის დიდება თითქმის მთლიანად გადავიდა მის ვაჟზე, ალექსეი ალექსეის ძე რაზლაცკიზე, მომღერალ ბარდსა და გიტარისტზე, რომელმაც სამარის სახელგანთქმული საფეხბურთო კლუბის, „კრილია სოვეტოვის“ ფანკლუბის ჰიმნი „ჩვენი ფრთები“ დაწერა, რომელიც „კრილუშკებში“ სხვადასხვა ერისა თუ რასის ფეხბურთელების თამაშს აშკარად ლიბერალური გაგებით ეკიდება და, რომელიც, სხვათა შორის, ულვაშს არ ატარებს.

„გაძლიერებული ლოცვა“

<<< დასაწყისი გვ. 92

ამ იურიდიული დოკუმენტით საქართველოში სარწმუნოებათა თანასწორობა და სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ მიუკერძოებლობა ისეთივე რეალობაა, როგორც სსრკ კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული შეუზღუდავი სინდისის თავისუფლება იყო.

ჩანაცვლების სამართლებრივ გამოვლინებებზე უფრო აშკარა მისი ეგრეთ წოდებული რიტორიკული და მენტალური ფორმებია, რომლებშიც სტალინური ყაიდის საბჭოთა იდეოლოგიური ფორმულების „მართლმადიდებლური“ სტილიზაცია და ამ გზით მათი შინაარსის გაქრობისაგან გადარჩენა კიდევ უფრო ნათლად ჩანს. თუკი საბჭოთა ხალხს სტალინი უნათებდა კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას, ახლა კომუნიზმის ადგილი საქართველოს გაბრწყინებამ დაიკავა, პარტიის – ეკლესიამ, პარტიული ინსტრუქტორების – მოძღვარმა მამაოებმა, სახელმწიფო დაწესებულებებში ბელადებისა და პოლიტბიუროს წევრების სურათები – ხატებმა და პატრიარქის პორტრეტებმა, პარტიულ ბოსთა „ჩაიკები“ და შავი „ვოლგები“– ეპისკოპოსების ჯიპებმა, ქუჩებსა და ავტოტრასებზე გაკრული საბჭოთა ლოზუნგები: „დიდება სკკპ-ს“ ან „პარტია ჩვენი მესაჭეა“ – რელიგიური შინაარსის ფრაზებმა: „ჩვენთან არს ღმერთი“ და „უფალი დიდია“... ეკლესია თანდათანობით ისეთივე ზესახელმწიფოებრივ ავტორიტეტად გარდაიქმნება, როგორიც კომპარტია იყო, რომელსაც სრული მონოპოლია უნდა ჰქონდეს „სულიერების“, „ტრადიციის“, „ზნეობრიობის“, „ჭეშმარიტების“ ფლობასა და განსაზღვრებაზე.

საბჭოთა მენტალობის შენარჩუნებასა და დაკონსერვებაზე მიანიშნებს თანამედროვე ქართული მართლმადიდებლობის ანტიდასავლური განწყობაც: როგორც საბჭოთა პროპაგანდა მის იდეოლოგიურ მტერს – კაპიტალისტურ დასავლეთს გარყვნილების, სულიერებისგან დაცლის, ზნეობრივი დაცემისა და გადაგვარების ადგილად წარმოაჩენდა, ასევე მართლმადიდებელი ფუნდამენტალისტებისთვისაც დასავლეთი, ლიბერალობა, თვით დემოკრატიაც კი მწვალებლობისა და ცოდვითდაცემის სინონიმია.

ასეთ ჩანაცვლებებში „შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება“. უცვლელი მხოლოდ თავად ადამიანები რჩებიან, ადამიანები, რომლებსაც საკუთარი არსებობის გასამართლებლად და მისთვის საზრისის მისანიჭებლად მზა და მარტივი პასუხები, ხელშეუხებელი და უკრიტიკო ავტორიტეტები ესაჭიროებათ, რომლებიც მათ ნაცვლად იფიქრებენ, მათ ნაცვლად მიიღებენ გადაწყვეტილებებს, მათ ნაცვლად განსაზღვრავენ მათსავე ცხოვრებას და მათ ნაცვლადვე იქნებიან ამ ცხოვრებისათვის პასუხისმგებლები. როგორც XXI საუკუნის დამდეგს სუბუტექსი არ გამოჩენილა საქართველოში ნარკომანიისაგან განსაკურნებელ მედიკამენტად, ასევე პოსტსაბჭოთა მართლმადიდებლობა არ მოვლენია საქართველოს საბჭოთა წარსულისაგან გასათავისუფლებლად. ორივე „პრეპარატი“ თითქმის ერთდროულად ახალი ნარკოტიკის სახით გავრცელდა საზოგადოების ფარ-

თო მასებში, წარსულის არა გადასაფასებლად და გასააზრებლად, არამედ მის დასავიწყებლად, არსებულ მოუგვარებელ პრობლემებზე თვალების დასახუჭად, შეულამაზებელი რეალობისგან გასაქცევად და ამ რეალობის ყოველგვარ აზრსა და შინაარსსმოკლებული ფრაზებითა და ზღაპრული წარმოდგენებით შესანიღბად. რა საჭიროა პრობლემებსა და მათ მოგვარებაზე თავის მტვრევა, როდესაც არსებობს სრულიად მარტივი და ნარკოტიზირებადი გამოსავალი: „ლოცვის გაძლიერება“!

მაგრამ ყოველ ნარკოტიკულ ნივთიერებას თავისი „გვერდითი მოვლენებიც“ აქვს და ტკივილების გაყუჩებასა და „კაიფთან“ ერთად არცთუ მაინცდამაინც სასარგებლოდ აისახება ადამიანის ორგანიზმსა და ფსიქიკაზე. უკვე XIX საუკუნეში შეამჩნიეს, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანის აზროვნება თუ ლაპარაკი ბოდვას ემსგავსება. ამიტომაც ზოგიერთი ფსიქიატრი ნარკოტიკების ექსპერიმენტული გამოყენებით ისეთი ფსიქიკური მოვლენების შესწავლას და გაგებას ცდილობდა, როგორიცაა, მაგალითად, პარანოია. პარანოია სიტყვასიტყვით „გონების გვერდით“ ყოფნას ან „გაორებულ გონებას“ ნიშნავს. პარანოიდი ადამიანებისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ აკვიატებული იდეები, არამედ ცალკეული საგნების, ნიშნების, სიმბოლოების ზედმეტად სერიოზული აღქმა ან სიმბოლური მნიშვნელობის ვერგაგება და მათი რეალობად მიღება. ასეთი ფსიქიკური მდგომარეობა კი ხშირად ჰალუცინაციებით, „დევნის მანიით“ თუ „შეთქმულებათა თეორიებით“ გამოიხატება. ამგვარი გამოვლინებები არ არის სპონტანური ხასიათის, არამედ პარანოია რწმენის საკმაოდ მყარი ფორმაა, რომლის გარჩევა რელიგიური სისტემისაგან ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პარანოიდული ბოდვა რელიგიურ შინაარსს ატარებს. ამ მიზეზის გამო, პარანოიდის გადარწმუნება ან განკურნება ფაქტობრივად შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში კი სახიფათო და საზიანო ისაა, რომ „გაორებული გონება“ რეალობასთან კონფლიქტს წარმოშობს, რაც არცთუ იშვიათად სხვადასხვა სახის აგრესიასა და ფიზიკურ ძალადობაშიც კი გადაიზრდება.

ყველაზე სახიფათო რელიგიისა და პარანოიის შერწყმაა, რომელიც სხვადასხვა დროსა და სივრცეში ბადებდა და ბადებს თითქმის ერთნაირ სტერეოტიპებს, რომელთა საფუძველიც, უმეტეს შემთხვევაში, რელიგიური თუ მხატვრული სიმბოლიკის არასიმბოლური, პირდაპირი მნიშვნელობით გაგებაა. ასე, მაგალითად, ა.წ. II საუკუნეში ქრისტიანების დევნის მიზეზი ის ბრალდება იყო, რომ ისინი კანიბალები არიან, ღვთისმსახურების დროს მცირეწლოვან ბიჭებს კლავენ და მათი სისხლითა და ხორცით იკვებებიან. ეს ბრალდება სახარების ერთი ცნობილი პასაჟის – „თუ არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე“ (იოანე 6, 53), – პირდაპირი, არასიმბოლური მნიშვნელობით წაკითხვას ეფუძნებოდა. თუმცა სულ რამდენიმე საუკუნის შემდეგ კანიბალიზმს, სექსუალურ აღვირახსნილობას, ეპიდემიების გავრცელებასა და სხვა მსგავს ბრალდებებს უკვე თავად ეკლესია უყენებდა ჯერ ქრისტიანულ სექტებსა თუ მწვალებლურად შერაცხულ მიმდინარეობებს, შემდეგ ებრაელებს და სხვა არაქრისტიანებს. მოგვიანებით, უკვე სეკულარულ ეპოქაში ასეთი პარანოიდული წარმოდგენები შეთქმულებათა თეორიებში გადაიზარდა, რომლის ყველაზე შემზარავი გამოვლინებაც ჰოლოკოსტი იყო.

XXI საუკუნის დამდეგს რელიგიურ-პარანოიდული შინაარსის შეთქმულებათა თეორიები ისევ პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში, რაც სხვადასხვა სახის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ფსიქიკური კრიზისებით აიხსნება. საქართველოში კი ამისი მიზეზი სწორედ ნარკოტიკული ბურანიდან გამოსვლისა და რეალობის დანახვის შიში შეიძლება იყოს, რომელიც ფხიზელ ცხოვრებას მიუჩვეველ ადამიანებს ყველაფერს, რაც მათთვის უცნობი და გაუგებარია, რაც მათ მიერ რეალობად აღიარებულ და დაჯერებულ ფანტაზიებს არ შეესაბამება, დემონურ და მტრულ არსებებად და მოვლენებად აღაქმევინებს. ამიტომაც შეიძლება ჰელოუინის საკარნავალო კოსტუმში გამოწყობილი მოზარდი მართლმადიდებელ ფანატიკოსს სატანად და ანტიქრისტედ მოეჩვენოს. ქართულ მედიაში გახმაურებული მართლმადიდებელ ფუნდამენტალისტთა განცხადება, რომ 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დაბომბვა ღვთის ნება იყო, გადასავლურების მცდელობის გამო, საქართველოს დასასჯელად, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, „შეთქმულების თეორიად“ გამოხატული პარანოიის ტიპური ნიმუშია, რომლის ფონზეც, ზოგიერთი სამღვდელო პირის აზრი, რომ „თინეიჯერობა“ ღვთის გმობაა, მხოლოდ ნევროზის შედარებით მსუბუქ ფორმას წააგავს, რისი მიზეზიც უბრალოდ გონებრივი შეზღუდულობა შეიძლება იყოს.

მაგრამ ინტელექტის დეფიციტისა თუ ფსიქიკური რეგრესიის გარდა, საქმე გვაქვს მოვლენასთან, რომელიც მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის ფარგლებს სცილდება და უფრო ეთნოლოგების მიერ აღწერილ რელიგიურობის ადრეულ თუ პრიმიტიულ ფორმებს უახლოვდება. ამის პირველი ნიშანია საყოფაცხოვრებო და საკრალური სფეროების აღრევა, სამომხმარებლო საგნების კურთხევა, საეკლესიო რელიკვიებისათვის („მკურნალი ხატები“, „ავი თვალისგან დამცავი ჯვრები“) მაგიური ძალის მინიჭება, სიზმრისა თუ ჰალუცინაციის სასწაულად და გამოცხადებად მიჩნევა. ამგვარად მართლმადიდებლობის დანიშნულება საყოველთაოდ აღიარებულ და კომერციულ ჯადოქრობამდე დაიყვანება, რომელმაც „ყველაფერი რიგზეა“-ს ილუზია უნდა შექმნას. ეს კი იდეალურად ერწყმის ბრეჟნევის ხანის საბჭოურ თვითმოტყუებისა და სიყალბის ტრადიციას და მხოლოდ საზოგადოების სრულ სააზროვნო დეგრადაციას ემსახურება.

იმისათვის, რომ ადამიანებს ასეთ „ჭეშმარიტებებში“ ეჭვი არ შეეპაროთ, სულიერების ამ სუროგატებით არ დაიღალონ და „ლომკა“ არ დაეწყოთ, საჭიროა, „ლოცვა გავაძლიეროთ“, რაც ნარკომანებში დოზის მატებას წააგავს, რომელიც ადამიანს კიდევ უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის ნარკოტიკზე და კიდევ უფრო მეტად აუცხოებს მას რეალობისაგან, რომლისგანაც გაქცევა მას მხოლოდ მუდმივი თვითგაბრუებითა და თვითმოტყუებით თუ შეუძლია.

MARJANOFF EXPRESS

იტალიური რესტორანი

ხელმძღვანელი: თიკა მახალდიანი
ნინი ნიკოლური
ირინა ბაირაშევსკაია

ანსამბლი: **MARJANOFF DIXIE**

მომღერალი: გიორგი ხუციშვილი
მარიკა ებრალიძე
ალეკო ასლანიშვილი

ყვირი: ალეკო ასლანიშვილი

დასაწყისი 21.35

36 95 16

95 03 23

Georgia Tbilisi Marjanishvili Str. #8

თბილისი მარჯანიშვილის ქ. №8

Italian Restaurant MARJANOFF EXPRESS

დეგაპრინტი

DEGAPRINT

ციფრული ოფსეტური ბეჭდვა

ტელ.: +995 32 995007 / 998843

ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net

რადიო „ნაცნობი“ გეპატიჟებათ კლუბში „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა

მისამართი: აბანოს ქ. N 3

MON group



MON group

გილოცავთ

შობა-ახალ წელს!

Merry Christmas and

a Happy

New Year!

2010

WWW.LIBERALI.GE